ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა 2012-2022

- 2012-

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა შემუშავებული იქნა პროექტის - „აჭარის რეგიონში თვითმმართველობის ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში.

[პროექტი განხორციელდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.](#)

პროექტის ავტორი და დირექტორი - ლევან გობაძე, ა(ა)იპ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“-ს გამგეობის თავმჯდომარე.

[ავტორთა კოლექტივი:](#)

- **ლევან გობაძე** - საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“;
- **ნონა ხუჯაძე**, ეკონომისტი - ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“;
- **ასლან დევაძე**, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი - ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“;
- **დავით არძენაძე**, ეკონომისტი - ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“;
- **ზაზა გორგაძე**, ეკონომისტი - ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“;
- **პაატა ბახტაძე**, ეკონომისტი - ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“;
- **ზვიად ელიზიანი** - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი, საერთაშორისო ბიზნესის განვითარებისა და ინვესტიციათა ხელშეწყობის ცენტრი;
- **უჩა ოქროპირიძე**, ისტორიის აკადემიური დოქტორი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი;
- **ოლეგ ჯიბაშვილი,** ისტორიის აკადემიური დოქტორი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი.

ავტორთა კოლექტივი მადლობას უხდის თანამშრომლობისა და გაწეული დახმარებისათვის ქობულეთის საკრებულოსა და გამგეობის თანამშრომლებს, ერთობლივი სამუშაო ჯგუფის წევრებს:

- **სულხან მოწყობილს, მამუკა ქათამაძეს, ავთანდილ რომანაძეს, მერაბ ჯინჭარაძეს და მერაბ ცინცაბაძეს.**



www.kobuleti.org.ge

სარჩევი

1 სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები და წინაპირობები 2

2 სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიური საფუძვლები 4

3 ინფორმაციული ბაზის შექმნისა და გამოყენების ასპექტები მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის შედგენაში 9

4 ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმის განხორციელების შეფასების ინდიკატორები 24

5 მუნიციპალიტეტის ისტორია 28

6 მუნიციპალიტეტის მმართველობითი და ადმინისტრაციული სტრუქტურა 36

7 გეოგრაფიული დახასიათება 38

8 ბუნებრივი რესურსები 41

9 დემოგრაფია 51

10 ინფრასტრუქტურა 56

11 ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფერო 63

12 განათლება 70

13 დარგობრივი ეკონომიკა 74

13.1 ეკონომიკის დარგობრივი დინამიკა და ეკონომიკური ზრდა 74

13.2 სოფლის მეურნეობა 76

13.3 ტურიზმი 94

14 უსაფრთხოება 108

15 საჯარო ფინანსები 109

16 სოციოლოგიური კვლევის შედეგები 126

16.2 მოსახლეობის გამოკითხვა 128

16.3 ბიზნესმენთა გამოკითხვა 137

16.4 სპეციალისტების გამოკითხვა 142

17 ქობულეთის მუნიციპალიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი (SWOT) .. 149

18 ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ–ეკონომიკური განვითარების სავარაუდო სცენარი 168

19 მისია 171

20 მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მიმართულებების შემუშავებისა და განხორციელების ძირითადი პრინციპები და ასპექტები 172

21 ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის ძირითადი სტრატეგიები და ქვე-სტრატეგიები 177

21.1 სტრატეგიები **198**

21.1.1 სივრცითი დაგეგმარება 198

21.1.2 სოფლის მეურნეობის განვითარება 200

21.1.3 ტურისტული პოტენციალის ათვისება და განვითარება 212

21.1.4 მუნიციპალიტეტის სამრეწველო პოტენციალის ათვისებ 231

21.1.5 ინფრასტრუქტურის განვითარება 235

21.1.6 გარემოსდაცვითი საქმიანობების კოორდინაცია 240

21.1.7 კომუნიკაცია 242

21.1.8 ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სისტემის გაუმჯობესება 244

21.1.9 განათლების სისტემის ხელშემწყობი გარემოს ფორმირება 246

21.1.10 მუნიციპალიტეტის კულტურული განვითარება 250

21.1.11 მუნიციპალიტეტში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა 254

22 დანართები 256

1 სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები და წინაპირობები

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“.

კანონი საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის შესაბამისად განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივ, ეკონომიკურ და ფინანსურ საფუძვლებს, სახელმწიფო გარანტიებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესს, მათ უფლებამოსილებებს და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობას.

კანონით განსაზღვრულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ისეთი ექსკლუზიური უფლებამოსილებები, როგორიცაა: თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების, მუნიციპალური პროგრამებისა და გეგმების დამტკიცება; თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა; თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული მოწყობა; მიწათსარგებლობის დაგეგმვა, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ზონებად (გამწვანების, დასვენების, სამრეწველო, სავაჭრო და სხვა სპეციალური ზონები) დაყოფა, მათი საზღვრების დადგენა და შეცვლა; თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების მართვა; თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება, ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა და შეფასება; ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვა, მშენებლობა და განვითარების უზრუნველყოფა; თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში რესურსების მობილიზება, შესაბამისი ღონისძიებების (ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ჯანმრთელობისთვის რისკფაქტორების იდენტიფიცირება) შემუშავება, განხორციელება და მოსახლეობის ინფორმირება; სოციალურ-კულტურული ღონისძიებების განხორციელება და შესაბამისი ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტების (არქივი, ბიბლიოთეკა, მუზეუმი, საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებები და სხვა) საქმიანობის ხელშეწყობა.

ზემოთმოყვანილი და ორგანული კანონით გათვალისწინებული სხვა ექსკლუზიური უფლებამოსილებები აყალიბებს სამართლებრივ საფუძვლებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული წინამდებარე გეგმის შემუშავებისათვის.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავებას ასევე საფუძვლად დაედო გარკვეული წინაპირობები.

2006 – 2010 წლებში ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“-ს მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში ევროკავშირის და საქართველოში აშშ საელჩოს მხარდაჭერით განხორციელებული იქნა რამდენიმე პროექტი:

- თემთა მობილიზაციის ინიციატივა;
- თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიები აჭარის მაღალმთიანეთში;
- თემზე დაფუძნებული ანტიკორუფციული სამოქალაქო ინიციატივა.

პროექტების რეალიზაციის დროს მიღებულმა გამოცდილებამ იმ პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიცირების საშუალება მოგვცა, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალურია ამ მუნიციპალიტეტებისათვის და რომელთა გადაწყვეტაც, არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან, სახელმწიფო და რეგიონული პოლიტიკიდან, თვითმმართველობის პროცესებში მოქალაქეთა მონაწილეობის არსებული დონიდან გამომდინარე, გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს.

მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით 2009 წელს, ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“-ს მიერ შემუშავებული იქნა პროექტი „აჭარის რეგიონში თვითმმართველობის ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისათვის“ რომელმაც მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში, გაიმარჯვა და მიიღო დაფინანსება მისი განხორციელებისათვის.

პროექტის მიზანი იყო ისეთი კომპლექსური ღონისძიებების რეალიზაცია, რომელიც ხელს შეუწყობდა თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გაძლიერებას მუნიციპალური ტერიტორიების მდგრადი განვითარების, მუნიციპალური მომსახურების სისტემის დახვეწის, რეგიონის მუნიციპალიტეტების ქვეყნის და საერთაშორისო საინფორმაციო სისტემებში ინტეგრაციისათვის.

2010 წლის 4 მაისს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტს“, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობას შორის გაფორმდა სამმხრივი თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელმაც განისაზღვრა თანამშრომლობის სფეროები და პრინციპები ზემოთაღნიშნული პროექტის ფარგლებში.

თანამშრომლობა მოიცავდა შემდეგ სფეროებს:

1. მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება;
2. მოსახლეობისა და ბიზნეს სექტორის მომსახურების, ერთი ფანჯრის პრინციპით მოქმედი ცენტრის ჩამოყალიბება;
3. მუნიციპალური მომსახურების სტანდარტების შექმნა და მათი იმპლემენტაცია;
4. საინვესტიციო პასპორტის მომზადება;
5. მარკეტინგული სამოქმედო გეგმის მომზადება;
6. მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ინტერნეტ პორტალის მომზადება.

პროექტით გათვალისწინებული ყველა დაგეგმილი საქმიანობა განხორციელდა სრულად.

2 სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიური საფუძვლები

მუნიციპალური ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეფექტური მოდელის შემუშავება და განხორციელება ქვეყნის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. როგორც მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, თავიანთი ფუნქციების მაღალხარისხოვანი შესრულებისათვის, ესაჭიროებათ ეფექტური სამოქმედო პროგრამა და მისი შესატყვისი მექანიზმების ამოქმედება. მუნიციპალიტეტმა უნდა შეძლოს ისეთი მთავარი მიზნის მიღწევა, როგორიცაა მოსახლეობის ცხოვრების დონის ხარისხობრივი ამაღლება ეკონომიკის მდგრადი ფუნქციონირებით, ხელშემწყობი საინვესტიციო კლიმატის ჩამოყალიბებით, ადამიანური რესურსების პოტენციალის განვითარებით, ხარისხიანი სოციალური და საცხოვრებელი გარემოს შექმნით და აშ.

ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების გეგმების შემუშავების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მეთოდის სწორად შერჩევას. ყველა მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელია როგორც საერთო, ისე განმასხვავებელი სპეციფიკური თავისებურებანი, რაც მოითხოვს ეფექტური მეთოდოლოგიური ბაზის გამოყენებას. შესაძლო გამოყენების მქონე მეთოდების ნუსხა საკმაოდ ფართოა.

მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის ქვეშ იგულისხმება სოციალური, ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო და ორგანიზაციული ხასიათის ურთიერთდაკავშირებულ ამოცანათა კომპლექსის და ღონისძიებების განხორციელება. გეგმა ერთი მიზნის ქვეშ გაერთიანებული, განსაზღვრულ ვადებში გაწერილი, გამოვლენილი რესურსებისა და წყაროების, მათი მიღების გზების, მონაწილეთა და შემსრულებელთა ჩართვის, სასურველი შედეგების მიღების პროცესის მართვის და მონიტორინგის ჩამოყალიბებული სისტემაა.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების პროექტების შედგენისას გამოყენებულ იქნა საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები: სპეციფიკურობა, მიღწევადობა, გაზომვადობა და შესრულების დროის გრაფიკთან მიბმულობა:

<u>**სპეციფიკურობა**</u> - პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს დამკვეთის კომპეტენციას, ე.ი. პროგრამით გათვალისწინებული საკითხები უნდა შედიოდეს იმ პრობლემათა ჩამონათვალში, რომელთა გადაწყვეტაზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტი. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის შედგენისას ერთ-ერთ მოთხოვნად განისაზღვრა ქვეყნისა და რეგიონის დონეზე, კერძო და არაკომერციული სტრუქტურების მიერ განხორციელებული სხვა პროგრამების ღონისძიებების დუბლირების არ დაშვება.
<u>**მიღწევადობა**</u> - გულისხმობს რომ მთავარი და ქვემიზნები პოტენციურად უნდა იყოს მიღწევადი, რეალურად განხორციელებადი.
<u>**გაზომვადობა**</u> - გეგმაში დასახული მიზნები არამარტო მიღწევადი უნდა იყოს არამედ შეიძლებოდეს მისი მასშტაბის დადგენა, მიზნის მიღწევის შემოწმება.

<u>**დროის გრაფიკთან მისადაგება**</u> - გულისხმობს მიზნის მიღწევის ვადებისა და გეგმის რეალიზაციის ეტაპების დადგენას.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების შედგენისადმი მეთოდური მიდგომა საშუალებას იძლევა ცალკეული მიზნები და ამოცანები განისაზღვროს მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პერიოდებისათვის. მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მეთოდური უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მეთოდური უზრუნველყოფა ეფუძნება სამ ძირითად მიდგომას:

1. **ზუსტი გაანგარიშებებისა და ლოგიკური სქემების მიდგომა** - გულისხმობს მათემატიკური ფორმულებისა და ლოგიკურ-ანალიტიკური სქემების გამოყენებით პროექტებისა და პროგრამების დასაბუთებას;
2. **სოციალურ-ეკონომიკური მიდგომა** - გულისხმობს სოციოლოგიური კვლევის პროცესების ხარჯზე საჭირო ინფორმაციის მიღებას, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული პრობლემების გამოვლენას, მათი გადაჭრისათვის მიზანშეწონილი გადაწყვეტილების შემუშავებას, საზოგადოების აქტიური ნაწილისა და სამეურნეო სუბიექტების ინტერესთა გათვალისწინებას და პროგრამის შესრულებაში ჩართვას;
3. **სცენარული მიდგომა** - მისი მთავარი პრინციპია მუნიციპალიტეტის განვითარების შესაძლო ალტერნატიული ვარიანტების შემუშავების სასურველი ვექტორიდან მოსალოდნელი გადახრების ხარისხობრივი და რაოდენობრივი ანალიზი, მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაღალი ალბათობის მქონე შესაძლო სცენარების განსაზღვრა, ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამული, ობიექტური მოქმედება მისთვის ყველაზე სასარგებლო მიმართულების რეალიზებისათვის, რომელშიც მინიმუმამდე იქნება დაყვანილი რისკ ფაქტორების მოქმედება, არასასურველი სცენარების განვითარება.

ჩვენ შემთხვევებში სცენარული მიდგომა, გამოყენების თვალსაზრისით, პრიორიტეტულად შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა ცალკეული პროექტების შემთხვევაში არ არის გამორიცხული სამივე მიდგომის ცალკეული ელემენტების გამოყენება. სცენარული მიდგომა სხვა არაფერია თუ არა ანალიზის დროს იმიტაციური მოდელების მეთოდების გამოყენება. ანუ ის არაა ფოკუსირებული მკაცრად ფორმალიზებული მეთოდების უპირატეს გამოყენებაზე. ამ შემთხვევაში შეუძლებელია და არც მოითხოვება ზუსტი პარამეტრების დადგენა მათემატიკური ფორმულებით. სიტუაციის ანალიტიკური შეფასებების მიღება ორიენტირებულია ვერბალური განზოგადების საფუძველზე. ასეთი მიდგომა რეალურად ასახავს კვლევის სიღრმესა და გადაწყვეტილების მიახლოების ალბათობას სინამდვილესთან.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების დროს გამოყენებული მეთოდური მიდგომა სხვადასხვა მოქმედებისათვის წინადადებათა კომპლექსის შემუშავებას გულისმოხბს. პირველ რიგში - მმართველობითი კომპეტენტური გადაწყვეტილებების მიღებისათვის, რაც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელთა დელეგირებული ფუნქციაა.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმა განიხილება როგორც მუნიციპალიტეტის მთელი საზოგადოების საქმიანობის პროექტი. ის მოწოდებულია უზრუნველყოს კოორდინაცია სხვა სუბიექტებთან - ბიზნესი, საზოგადოებრივი ინსტიტუტები, მუნიციპალიტეტის გარე კონტრაგენტები, სხვადასხვა სახელისუფლებო ორგანოები რეგიონში, ქვეყანაში და მის გარეთ სუბიექტებთან.

პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდის პრინციპებზე დაყრდნობით სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის სქემა პირობითად ასეთია:

- მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება მრავალვარიანტული, მრავალფაქტორული ანალიზის საფუძველზე მუნიციპალიტეტის შესაძლო განვითარების ალტერნატიული ვარიანტების შემუშავება;
- რისკების, რესურსული შესაძლებლობების, ძლიერი და სუსტი მხარეების, საფრთხეების გათვალისწინებით მისაღები სცენარის შერჩევა;
- მიზნობრივი სცენარის მიხედვით მუნიციპალიტეტის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების შერჩევა.
- გეგმის რეალიზაციის ძირითადი მაჩვენებლები. ე.წ. მიზნის ხის პრინციპით ფორმირებული იერარქიის სტრუქტურაში სტრატეგიებისა და ქვესტრატეგიების რანჟირებული ჯგუფების ორიენტაცია მთავარი მიზნის შესრულებაზე.

დიაგრამა №2.1. მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავების იერარქიული სტრუქტურა



სტრატეგიათა დეკომპოზიცია დამოკიდებულია მუნიციპალიტეტის გადასაჭრელ პრობლემათა რაოდენობაზე და მასშტაბებზე. თითოეული ქვეამოცანა თავის, მხრივ განსხვავებული რაოდენობის პროექტებს შეიცავს. მეთოდურად თითოეული ამოცანის განსაზღვრისა და შესრულების რეგლამენტი ზოგად პრინციპებზეა დაფუძნებული.

მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის შედგენა თავის მხრივ უზრუნველყოფილი იქნება მისი განხორციელების ეფექტური ორგანიზაციით, რომელიც სქემატურად ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ.

დიაგრამა №2.2. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმის რეალიზაციის სქემა



მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავებას საფუძვლად უდევს ქვეყნისა და საზღვარგარეთის ცნობილი და აღიარებული მეცნიერებისა და სპეციალისტების ნაშრომები მაკროეკონომიკაში, საერთო და სპეციალურ მენეჯმენტში, რეგიონულ პრობლემებში, სოციალურ-ეკონომიკური

განვითარების სფეროში და ა.შ. გეგმების მეცნიერული დასაბუთებულობის მაღალი დონისა და მოსალოდნელი შედეგების ოპტიმალურობის მიღწევისათვის გამოყენებული იქნება აღიარებული და აპრობირებული, ეფექტური მიდგომებისა და მეთოდების ცალკეული ელემენტები და ასპექტები, მაგალითად:

- მიზნობრივი მიდგომა - მიზნები, მისი მიღწევის გზები;
- სისტემური მიდგომა - (სისტემურ კომპლექსური, სისტემურ პროგრამული, სისტემურ ნორმატიული და ა.შ.) მუნიციპალიტეტი როგორც სისტემა;
- გეოსისტემური მიდგომა - მუნიციპალიტეტის როგორც კვლევის ობიექტის სიღრმისეული შესწავლა მასში შემავალი მიკროსისტემების დონემდე. (მუნიციპალიტეტი-სოფლები, ზონები);
- პრობლემატური მიდგომა - სივრცობრივ დროითი განვითარების წინააღმდეგობების შესწავლა;
- გეოპოლიტიკური-საზოგადოებრივი ურთიერთობების სუბიექტების ინტერესთა წარმოშობის, გავრცელებისა და რეალიზაციის პრობლემები;
- ინოვაციური მეთოდი-განვითარების სტრატეგია, მიზნები, ამოცანები, პროექტები, პროგრამები, მოსალოდნელი შედეგები, დასკვნითი დებულებანი.

მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის შედეგების მეთოდური უზრუნველყოფა სამ ძირითად ეტაპად შეიძლება წარმოვიდგინოთ:

- ორგანიზაციულ-მოსამზადებელი ეტაპი;
- პროგნოზულ-ანალიტიკური ეტაპი;
- სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმა.

გეგმის რეალიზაცია ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის უწყვეტობას დროში, რაც გულისხმობს სხვადასხვა ვადიანი პროგნოზული დოკუმენტების მიღებას პერიოდულობის პრინციპით, რაც საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტს ჩამოაყალიბოს მართვის მუდმივად განვითარებადი ეფექტურ სისტემა.

N	პროგნოზული დოკუმენტი	პროგრამული დოკუმენტი	შესრულების ვადა	ახალი დოკუმენტის შედგენის ან კორექტირების პერიოდულობა
1	გრძელვადიანი პროგნოზი	კონცეფცია	10 წელი და მეტი	10 წელი
2	საშუალო-ვადიანი პროგნოზი	პროგრამა	3-5 წელი	3-5 წელი
3	მოკლე-ვადიანი პროგნოზი	გეგმა	1 წელი	1 წელი

3 ინფორმაციული ბაზის შექმნისა და გამოყენების ასპექტები მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის შედგენაში

სოციალურ-ეკონომიკური განვითრების საშუალო და გრძელვადიანი გეგმების შემუშავებისას ინფორმაციული ბაზის საიმედოობა, მრავალფეროვნება და საკმარისობა ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია. გეგმის შემუშავების პროცესში მთავარ მოთხოვნებად განისაზღვრა:

- ინფორმაციის შეგროვებისას აპრობირებული, აღიარებული და ეფექტური ფორმებისა და მეთოდების გამოყენება;
- მუნიციპალიტეტის, როგორც კვლევის ობიექტის შესახებ ამომწურავი, საიმედო, პროექტის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის მაღალკომპეტენტური დონეზე დასაბუთებული სტრატეგიული გეგმის მიღებისათვის აუცილებელი და საკმარისი მონაცემთა ბაზის ფორმირება;
- ინფორმაციულ-ანალიტიკური მასალების კომპლექსურობა და საბოლოო დასკვნების სისტემურობის პრინციპით ჩამოყალიბება;
- ეგზოგენური და ენდოგენური ფაქტორების შესაძლო ზემოქმედების გათვალისწინება.

სხვადასხვა წყაროებით მიღებული ინფორმაცია არის ის მთავარი რესურსი, რომელიც ინტელექტუალური პროდუქტის საბოლოო სახეს მუნიციპალიტეტის განვითარების პროგრამის სახით წარმოადგენს. პროექტზე მუშაობის მთელი პროცესი მოიცავს იმ საყოველთაოდ ცნობილ ფაზებსა და ეტაპებს, როგორიცაა ინფორმაციის შეგროვება-გადამუშავება-შენახვა-გადაცემა.

ინფორმაციული მასალების შეგროვების პროცესი, მიუხედავად გარკვეული შეფერხებებისა, რაციონალურად წარიმართა, რამაც უზრუნველყო შემდეგი:

- ინფორმაციის რეალობასთან მაქსიმალური მიახლოება, კვლევის ობიექტის ფუნქციონირებაზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედების შესაძლო მახასიათებლების დადგენა;
- მუნიციპალიტეტის დონეზე ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა დარგებისა და სფეროების შესახებ საცნობარო, შეფასებითი, საკონტროლო და ზოგადპარამეტრული ინდიკატორების განსაზღვრა;
- კვლევის ობიექტების მართვისა და ფუნქციონირების, ეფექტურობის შეფასება ვერტიკალურ-იერარქიული და ჰორიზონტალური ორგანიზაციულ ფუნქციონალური კომუნიკაციების გათვალისწინებით.

სტრატეგიული თვალსაზრისით ინფორმაციული ბაზა საკმაოდ მრავალფეროვანია და შემდეგნაირად არის წარმოდგენილი.

1. ისტორიული, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით;
2. მუნიციპალიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვის პრინციპები;

3. გეოგრაფიული მდგომარეობა;
4. ბუნებრივი რესურსები (მიწა, წყალი, სასარგებლო წიაღისეული, ტყე და სხვა.) და მათი გამოყენების მდგომარეობა;
5. დემოგრაფია, შრომითი რესურსები;
6. ინფრასტრუქტურა (ტრანსპორტი, გზები, კომუნიკაციები, ენერგეტიკა, წყალმომარაგება, კანალიზაცია, მელიორაცია და ა.შ.);
7. ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა;
8. განათლება, კულტურა, სპორტი;
9. დარგობრივი ეკონომიკა (სოფლის მეურნეობა, ტურიზმი და სხვა.);
10. საჯარო ფინანსები. სხვა ფინანსური წყაროები;
11. სოციოლოგიური მასალები (კრიტიკული შენიშვნები, წინადადებები, პროგრამული ხასიათის რეკომენდაციები);
12. ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტის“ საკუთარი მონაცემთა ბაზა;

ინფორმაციული ბაზის საბოლოო პროგრამული სახის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმად ტრანსფორმაციის პროცესში, ერთ-ერთ მთავარ მომენტად განისაზღვრა პრობლემური და რესურსული ასპექტების წარმოჩენა. ეს მიეკუთვნება ინფორმაციის გადამუშავების ეტაპს, რომლის ანალიტიკურმა შეფასებებმა შესაძლებელი გახადა განსაზღვრულიყო პრობლემებისა და რესურსული პოტენციალის შემდეგი ნუსხა:

პრობლემები

- არასაკმარისად განვითარებული საყოფაცხოვრებო და საკანალიზაციო წყლების ქსელები და გამწმენდი ნაგებობები;
- სამრეწველო და საყოფაცხოვრებო მომსახურების და სხვა ობიექტების მიერ გარემოს დაბინძურება;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა წიაღისეული რესურსების საძიებო-დაზვერვითი სამუშაოების განხორციელებისა და ათვისების არასათანადო დონე. ბუნებრივ-წიაღისეული რესურსების საბადოების გამოყენების დროს გარემოს დაცვითი ნორმების დარღვევის შემთხვევები;
- ტყის მასივებში უნებართვო ჭრები;
- ტყეებში მოუწესრიგებელი მისასვლელი გზები, ტყეკაფის რაციონალურად წარმოების პროცესს შეფერხებები;
- ტყის მასივებში გავრცელებული სხვადასხვა დაავადებები. გავრცელებულ დაავადებებთან და მავნებლებთან ბრძოლისათვის მიზანმიმართული ღონისძიებების სიმცირე ან არარსებობა;
- მუნიციპალიტეტში სამეურნეო საქმიანობისა და საცხოვრებელი გარემოს მოწყობის მიზნით დახრილი რელიეფის მქონე მიწების გამოყენება;

- მეწყერული და ეროზიული პროცესების მაღალი საშიშროების ხარისხის მქონე ტერიტორიების და უბნების აღურიცხაობა და მათ მიმართ სათანადო პრევენციული ღონისძიებების გაუტარებლობა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურისტული სააგენტოების არ არსებობა;
- თავისუფალი ტურისტული ზონების ათვისების ნელი ტემპი;
- რეაბილიტაციას დაქვემდებარებული საგზაო ინფრასტრუქტურა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არასაკმარისად განვითარებული მგზავრთა გადაყვანის სისტემა;
- ელექტრო-ენერგიის მოხმარების გამრიცხველიანების პროცესის გაჭიანურება;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გაზიფიცირების პროცესის გაჭიანურება;
- სამელიორაციო სისტემის არასრულფასოვანი მუშაობა;
- მუნიციპალიტეტში, რეგისტრირებულ დანაშაულთა მაღალი მაჩვენებელი და გახსნილ დანაშაულთა დაბალი მაჩვენებელი;
- მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვე;
- მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დაბალი მაჩვენებლები;
- სარეაბილიტაციო-სარემონტო საგანმანათლებლო ობიექტები;
- სკოლებში კვალიფიციური კადრების ნაკლებობა;
- პედაგოგთა საგნობრივი დეფიციტი;
- პენსიონერი და არასაკუთარი სპეციალობით მომუშავე პედაგოგების მაღალი ხვედრითი წილი;
- დეფიციტურ ბიუჯეტიანი სკოლები;
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების უკმარისობა;
- რესტავრაციას დაქვემდებარებული ისტორიული ძეგლების მაღალი ხვედრითი წილი;
- ისტორიულ ძეგლებთან შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოუწესრიგებლობა;
- სახალხო დღესასწაულების დაბალი სანახაობრივი მხარე და ნაკლები პოპულარიზაცია;
- მაღალი კლასის სასტუმროების სიმცირე (სასტუმროების უმრავლესობაში საკონფერენციო დარბაზების არ არსებობა);
- ტურისტთა კვების ობიექტების უმრავლესობის ერთ მცირე ტერიტორიაზე თავმოყრა და მათი სეზონური ფუნქციონირება;
- კვების ობიექტებისა და სასტუმროების მომსახურე პერსონალის დაბალი კვალიფიკაცია;
- ციტრუსოვანთა ნაყოფის რეალიზაციისა და გადამუშავების მოცულობის უკმარისობა, ექსპორტის სირთულეები;
- არასტანდარტული ნაყოფის დიდი ხვედრითი წილი საერთო მოსავალში, მისი შესყიდვის დაბალი ფასები და გადამუშავებული ნაყოფის მცირე მოცულობა;

- ამორტიზირებული, დასარევლიანებული და შემცირებული ჩაის ფართობები;
- ჩაის ფოთლის კრეფისა და გადამუშავების პოტენციური შესაძლებლობების დაბალი დონე;
- ჩაის პროდუქციის რეალიზაციის სფეროში არსებული მაღალი კონკურენციით გამოწვეული შეზღუდულობა;
- ჩაის გადამამუშავებელი სუბიექტების მიერ პლანტაციების შეძენის პრობლემები;
- ჩაის ფაბრიკების სანედლეულო ბაზით უზრუნველყოფის დაბალი დონე და არასტაბილურობა;
- მევენახეობისათვის ვარგისი მიწების ათვისების ძალიან დაბალი დონე;
- მარცვლეული კულტურების წარმოების არარენტაბელურობა;
- ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების წარმოებასა და მოთხოვნას შორის მნიშვნელოვანი სხვაობა (დეფიციტი);
- მეცხოველეობის დარგის განვითარების დაბალი დონე;
- მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების პოტენციალის ათვისების დაბალი დონე;
- მეფრინველეობის დარგის განვითარების დაბალი დონე;
- მეფრინველეობის ფაბრიკების დახურვის ფაქტები;
- სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციის დაბალი დონე;
- მრეწველობის დარგის განვითარების შეუსაბამობა არსებული რესურსების პოტენციალთან;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოების ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების ნელი ტემპები;
- გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა რაოდენობისა და ნედლეულის გადამუშავების მოცულობის მიხედვით, საერთო სიმძლავრის დაბალი ხვედრითი წილი მრეწველობის მთლიან ინფრასტრუქტურაში;
- სამშენებლო ბლოკების წარმოებისათვის გამოყენებული ინერტული მასალების მოპოვებისა და გამოყენების ნეგატიური ფაქტები;
- მოთხოვნის შესაბამისი მიწოდების არ არსებობა სამშენებლო მასალების წარმოების დარგში;
- მოსაპირკეთებელი ქვების მარაგების ათვისების არასაკმარისი ღონისძიებები;
- უალკოჰოლო სასმელების წარმოების კლებადი ტენდენცია იმპორტის ზრდის პარალელურად;
- საყოფაცხოვრებო ობიექტების უმეტესი ნაწილის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სუსტია და დაბალია მომსახურების ხარისხი;
- სავაჭრო ობიექტები თავმოყრილია საკურორტო ზონებში, სუსტადაა განვითარებული საბითუმო შესყიდვის სისტემა;

- არ არის განვითარებული ოჯახურ და ფერმერულ მეურნეობებში წარმოებული ჭარბი პროდუქციის შესყიდვისა და არსებული საცალო ვაჭრობის ქსელის მომარაგების საბითუმო სისტემა;
- საცალო ვაჭრობის ობიექტების ქსელის განვითარებაში მართვის დაბალი დონე;
- ვაჭრობის სფეროს კადრების მოუმზადებლობა და მომსახურების დაბალი ხარისხი;
- მრეწველობის სფეროში დასაქმებული მოსახლეობის დაბალი ხვედრითი წილი;
- სამრეწველო ობიექტების ფუნქციონირების სეზონური ხასიათი;
- მრეწველობის დარგის განვითარებისა და ფუნქციონირების შესახებ ინფორმაციული მასალების უკმარისობა;
- მრეწველობის დარგის განვითარებისადმი სახელმწიფოს მხრიდან მხარდამჭერი პოლიტიკის გატარების უკმარისობა და აქედან გამომდინარე მეწარმე სუბიექტების მხრიდან ამ დარგისადმი ნაკლები ინტერესი.

რესურსები

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მინერალური და თერმული წყლები მდიდარი შემადგენლობით;
- მოსახლეობისათვის სასმელად ვარგისი და ტექნიკური დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობის მქონე წყლების მნიშვნელოვანი მარაგი;
- წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემის მშენებლობის გააქტიურებული პროცესი;
- თევზის სატბორე მეურნეობების მოწყობისათვის ვარგისი მდინარეთა აუზების და წყლის დებეტის არსებობა;
- თევზის სატბორე მეურნეობების მოწყობის მზარდი ტენდენცია;
- სხვადასხვა სახის სამშენებლო-საყალიბე თიხებისა და კირის საბადოები;
- ცემენტის წარმოებისთვის გამოყენებადი ლატერიტების გამოვლენა;
- ფერადი და კეთილშობილი ლითონები;
- ღორღის ნედლეული-ვულკანოგენური ქანები, ტორფი;
- გაცემული სასარგებლო წიაღისეულის უწყებრივი ლიცენზიებით მიმდინარე საღორღე ნედლეულის, სააგურე თიხის, ანდეზიტო-ბაზალტის, ქვიშა-ხრეშისა და გაბრო-დიორიტის მოპოვება;
- გაცემული ნებართვებით მოთხრილი-მოტეხილი ხე-ტყის ჭრა და მოცემული რესურსების ათვისება;
- საქართველოს კანონი „ქობულეთის თავისუფალი ტურისტული ზონის“ შესახებ;
- მოქმედი ტურისტული მარშრუტები;
- მუნიციპალიტეტში მოქმედი კურორტები და საკურორტო ადგილები;

- ქობულეთის წვრილქვიშიანი მრავალკილომეტრიანი სანაპირო ზოლი;
- ქობულეთის ზღვისპირა პარკი სპორტული მოედნებით, საზაფხულო კაფე-ბარებით, ბუნგალოებითა და დისკო-კლუბებით;
- დაცული ტერიტორიები თავისი ტურისტული ინფრასტრუქტურით, საწყალოსნო, ეთნოლოგიური, ეკოლოგიური და ფრინველებზე დაკვირვების ტურების მოწყობის შესაძლებლობით;
- ისტორიული ძეგლები და ღირსშესანიშნაობანი;
- მრავალფეროვანი ტრადიციული დღესასწაულები;
- ტურიზმის პოტენციური სახეობები: შემეცნებითი ტურიზმი, ეკოტურიზმი, სასოფლო და აგრარული ტურიზმი, სამთო ტურიზმი, საცხენოსნო ტურიზმი, სამკურნალო ტურიზმი, ფრინველებზე დაკვირვების ტურიზმი;
- შექმნილია და მოქმედებს 6 სხვადასხვა ანსამბლი მრავალფეროვანი და საინტერესო პროგრამებით;
- მუნიციპალიტეტში აღრიცხულია სახალხო რეწვის ოსტატები, ოჯახური ტრადიციებით და თვითნასწავლი ხელოვნებით;
- დინამიურად მზარდი ტურისტთა რაოდენობა;
- ტურისტთა განთავსების ობიექტების რაოდენობის ზრდა (სასტუმრო, სასტუმროს ტიპის სახლები, კერძო ბინები და ა.შ.);
- საკურორტო პოლიკლინიკა;
- ქობულეთის პროფესიული კოლეჯი, საშუალება დეფიციტური კადრების მომზადება-გადამზადებისა ტურიზმისათვის;
- მრავალფეროვანი და საინტერესო გეოგრაფიული აღწერილობა;
- გზებზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- მოქმედი შიდამუნიციპალური, საქალაქთაშორისო და საგარეუბნო სამარშრუტო ხაზები;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებები: ფიჭური კავშირგაბმულობის ქსელები, ინტერნეტით სრულად უზრუნველყოფილია ქალაქი ქობულეთი;
- მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორიის კომუნიკაციური ქსელებით დაფარვის მიზნით მიმდინარე ღონისძიებების შემუშავება-განხორციელება;
- მუნიციპალიტეტის სრული გაზიფიცირების პროცესი;
- დამშრობი არხებისა და ქსელების არსებობა;
- მუნიციპალიტეტში მოქმედი პოლიციის სამმართველო და სამი განყოფილება. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველმყოფი გარემო;
- დარეგისტრირებულ დანაშაულთა კლებადი ტენდენცია;
- მოსახლეობის ზრდის დინამიკა;
- შრომისუნარიანი მოსახლეობის ხვედრითი წილის მაღალი მაჩვენებელი;
- საშუალო განათლების მიღების ხელმისაწვდომობის ჯანსაღი გარემო;

- სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებით უზრუნველყოფილი განათლების სფერო;
- მუნიციპალიტეტში მოქმედებს კერძო სკოლები და შექმნილია მათი განვითარებისათვის ხელშემწყობი გარემო;
- სკოლების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ყველა სკოლა აღჭურვილია კომპიუტერებითა და ინტერნეტ-კავშირით;
- მუნიციპალიტეტის სკოლებში სათანადო სტანდარტებს შეესაბამება სასკოლო ოთახები, სპეცკაბინეტები და ლაბორატორიები, მოწყობილია სამასწავლებლოები, სააქტო დარბაზები, სპორტული დარბაზები, სასადილო და სამედიცინო პუნქტები;
- სკოლებში ფუნქციონირებს ინტეგრირებული ბიბლიოთეკები;
- მუნიციპალიტეტის სკოლების ბაზაზე მოქმედი სხვადასხვა წრეები და სახელოსნოები;
- აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ განხორციელებული პროექტები „ვასწავლოთ მომავალი წარმატებისათვის“, „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთან ერთად“, ამაღლებენ სასწავლო პროცესის მართვის ხარისხს სკოლებში;
- პედაგოგთა სერთიფიცირების პროცესი;
- ოქროსა და ვერცხლის მედლებზე სკოლადამთავრებულ მოსწავლეთა მაღალი მაჩვენებელი;
- უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულ აბიტურიენტთა მზარდი დინამიკა;
- გრანტის მიმღებ აბიტურიენტთა მაღალი ხვედრითი წილი;
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სახელმწიფო დაფინანსება;
- საბავშვო ბაღების უმრავლესობის კარგი საექსპლუატაციო მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებული მიზნობრივი პროგრამები;
- სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შედარებით მაღალი ხვედრითი წილი სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით;
- ციტრუსოვანთა ნაყოფის წარმოებისა და რეალიზაციის მნიშვნელოვანი მოცულობა და ხვედრითი წილი;
- ციტრუსოვანთა ნაყოფის გადამამუშავებელი საწარმოები;
- სუბტროპიკული კულტურების გავრცელების დიდი შესაძლებლობები;
- სუბტროპიკული კულტურების პროდუქციის რეალიზაციით მიღებული შემოსავლების დიდი ხვედრითი წილი ოჯახურ ბიუჯეტებში;
- მევენახეობის განვითარების შესაძლებლობების და პრიორიტეტული მიმართულებების დასაბუთებული მეცნიერული კვლევები ცალკეული სოფლებისა და ზონების მიხედვით;

- ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების წარმოების გაფართოების შესაძლებლობა;
- საადრეო და საშემოდგომო ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების წარმოების შესაძლებლობა;
- ეთერზეთების წარმოების მცენარეული ნედლეულის არსებობა;
- ბამბუკის წარმოებისა და გამოყენების პოტენციალი;
- დეკორატიული მცენარეების წარმოების პოტენციალი;
- მეყვავილეობის დარგის განვითარების ტენდენციები;
- მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ზრდის მნიშვნელოვანი რესურსები;
- ტრადიციები და განვითარების რესურსები მეფუტკრეობაში თაფლის წარმოების ზრდის ტენდენცია;
- საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროგრამები მეფუტკრეობაში;
- სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების პროცესის გააქტიურება (ციტრუსის ნატურალური წვენები, კონცენტრატები, ჩაი, თხილი, რძის პროდუქტები და ა.შ.);
- სახელმწიფო პროგრამები „იაფი კრედიტი“ - სახალხო რეწვა, ჩაისა და საკონსერვო წარმოება, სასათბურე მეურნეობა, სამკურნალო და დეკორატიული მცენარეების მოვლა მოყვანა-გადამუშავება, მეცხოველეობა, მეფრინველეობა, ციტრუსების გადამუშავება და ა.შ.;
- სარკინიგზო ტრანსპორტი;
- ავტობანი სენაკი–ფოთი-სარფის მშენებლობა;
- წყალზე სამაშველო სამსახური;
- მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს სამრეწველო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების ტენდენცია;
- სხვადასხვა სიმძლავრის ჩაის გადამამუშავებელი საწარმოები;
- ჩაის პლანტაციების გარკვეული ნაწილის აღდგენის პროცესი, იზრდება ჩაის ფოთლის დამზადების მოცულობა, გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტი და ნომენკლატურა. თანდათანობით ფართოვდება ადგილობრივი წარმოების პროდუქციის დივერსიფიკაცია ქვეყნის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ;
- ადგილობრივი ინერტული მასალების მარაგის გამოყენებით წარმოებული სამშენებლო მასალებით ადგილობრივი მოთხოვნის დაკმაყოფილება;
- ინერტული მასალების გამოყენებით ფუნქციონირებადი საწარმოები, რომლებიც აწარმოებენ ხრეშს, სილას, სამშენებლო ბლოკებს, მოსაპირკეთებელ ფილებს;
- მეტალო-პლასტმასისა საამქროები და ტექსტილის სამკერვალო ობიექტები;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი პურის საცხობები, რომლებიც მთლიანად აკმაყოფილებენ ადგილობრივ მოთხოვნას;

- საყოფაცხოვრებო და სავაჭრო ობიექტების ქსელის გაადგილებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ტენდენციები;
- ციტრუსოვანთა ნაყოფის დამფასოებელი საამქროები;
- მუნიციპალიტეტში მიმდინარებს ხილის, ციტრუსების, ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების ახალი ჯიშების გამოცდისა და დანერგვის პროცესი, რაც პერსპექტივაში უზრუნველყოფს გადამამუშავებელი მრეწველობის სანედლეულო ბაზის შექმნას;
- სამრეწველო ინფრასტრუქტურის წარმოებაში უცხოური კერძო ინვესტიციების მოზიდვის გააქტიურება;
- სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ათვისების მნიშვნელოვანი პერსპექტივები;
- ადამიანური რესურსები;
- წარმოებისა და მომსახურების ასევე ენერგო მომარაგების სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ქსელებით უზრუნველყოფის პოტენციური დონე;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამები;
- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსებული სამედიცინო და სოციალური დაცვის პროგრამები;
- სოციალური დაცვის სააგენტოს მომსახურებები;
- აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ განხორციელებული სხვადასხვა სახის პროექტები;
- მუზეუმები, ხალხური შემოქმედების მრავალფეროვნება, ანსამბლები სახალხო დღესასწაულებზე;
- აგრარული სექტორის დომინირება, სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოების სპეციფიკურობა, ეკოლოგიური კონკურენტუნარიანობის მაღალი დონე, მოსახლეობის მდგრადი ინტერესი აგრარული სფეროსადმი. ისტორიულად ჩამოყალიბებული დოვლათის წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების რეგიონული მოდელის არსებობა;
- ხე-ტყის დამუშავების ტრადიციები, სახელოსნოები, წარმოების, ტექნოლოგიების მრავალფეროვნება, სიმარტივე, მიღებული პროდუქციის ასორტიმენტისა და ნომენკლატურის გაფართოება, მათზე ბაზარზე საკმაოდ მაღალი მოთხოვნა. ხე-ტყის რესურსების მარაგი;
- კარტოფილის ნათესების ზრდის ტენდენცია. მეზობელი ქვეყნებიდან შემოტანილ პროდუქციასთან შედარებით მაღალი კონკურენტუნარიანობა, ექსპორტის შესაძლებლობანი, ადგილობრივი ბაზრის მდგრადი და მაღალი მოთხოვნა. ეკოლოგიური სისუფთავე, მთის იალაღებზე ორგანული სასუქის გამოყენების პოტენციალი, მაღალი გემური თვისებების მქონე კარტოფილისგან სხვადასხვა სახის პროდუქციის წარმოების შესაძლებლობა;

- მუნიციპალიტეტის დარგთა შეთანწყობის ოპტიმალური მოდელის სხვადასხვა შესაძლო ვარიანტები;
- მდინარე ჭოროხზე ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობა;
- სხვა რესურსები.

ინფორმაციული მასალები ქმნის იმის საფუძველს რომ ჩამოყალიბდეს რესურსებსა და პრობლემების ურთიერთკავშირებისა და პროგრამის შესაძლო ვარიანტების შემუშავების მიმართულებები. სქემატურად მთელი ტექნოლოგიური ციკლი ასე შეიძლება გამოვსახოთ:

I ეტაპი.

კვლევის ობიექტის, მუნიციპალიტეტის განვითარების პროგრამის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა.

- მიზნები და ამოცანები;
- საფუძვლები;
- სამუშაოთა განხორციელების გეგმა;
- საჭირო ინფორმაციის სტრუქტურის განსაზღვრა და შეგროვების გზები, მომწოდებლები;
- გამოკითხვის ანკეტები, პირველადი ინფორმაციის შეგროვების ფორმები;
- მეთოდოლოგიის არჩევანი;
- შემსრულებლები და თანამონაწილეები.

II ეტაპი.

საწყისი ინფორმაციული ბაზის ფორმირება ინფორმაციის შეგროვება.

- ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- სოციალური მომსახურების სააგენტო;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი;
- საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო;
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველო;
- ანკეტური გამოკითხვის მასალები;
- სხვა ინფორმაციული წყაროები.

ინფორმაციის სახეობების (ჯგუფების) ჩამოყალიბება

- მუნიციპალიტეტის ისტორია და სტრუქტურა;
- მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული დახასიათება;
- ბუნებრივი რესურსები;
- ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და არაორგანული ბუნების ძეგლები;
- მოსახლეობა და დემოგრაფიული პროცესები. არსებული მდგომარეობა;
- დარგობრივი ინფრასტრუქტურა;
- ჯანმრთელობა, სოციალური დაცვა, განათლება, კულტურა;
- მუნიციპალური ეკონომიკის მდგომარეობა;
- ფინანსები;
- სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები.

III ეტაპი.
ინფორმაციის დამუშავება.

- ზოგად საცნობარო ინფორმაციის გამოყოფა;
- კვლევის ობიექტის, მუნიციპალიტეტის შესახებ მიღებული მასალების სრულყოფა და დასკვნების გაკეთების უზრუნველყოფის დონე;
- სიღრმისეული შესწავლა, ინფორმაციული უკმარისობის გამოვლენა ცალკეული საკითხების მიმართ. დამატებითი ინფორმაციის შეგროვების ორგანიზება;
- მუნიციპალიტეტის ცალკეულ სფეროებში და მიმართულებებში, პროექტებში ძლიერი და სუსტი მხარეების წარმოჩენა. არსებული მდგომარეობის შეფასებიდან გამომდინარე პრობლემებისა და რესურსების ნუსხის განსაზღვრა.

საბოლოო გადაწყვეტილების, პროექტის მომზადება (გეგმის პროექტი):

- გამოვლენილ პრობლემათა ნუსხის დადგენა;
- პრობლემათა პრიორიტეტების დადგენა ისეთი მიმართულებების გათვალისწინებით როგორიცაა:
    - პრობლემების გადაჭრის მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები;
    - საჭირო რესურსებით უზრუნველყოფის პოტენციური შესაძლებლობების არსებობისა და მოზიდვის დასაბუთება;
    - საჭირო გარემოს არსებობის დასაბუთება, გამომდინარე სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსიდან, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებიდან, ბიზნეს სფეროსა და მოსახლეობის ინტერესებიდან და სხვა გარემოებებიდან;
    - პრობლემის წამყვანი როლი სხვა პრობლემების გადაჭრაში და მათთან დამოკიდებულების ხარისხი;

- ○ პრობლემათა პრიორიტეტულობის პრინციპით რანჟირება, გადაჭრის გზების, შემსრულებელი სუბიექტებისა და შესრულების პერიოდების განსაზღვრა;
- შესრულების პროცესში შესაძლო რისკ-ფაქტორების განვითარების და ზემოქმედების ვარიანტების დამუშავება;
- ანკეტური გამოკითხვის მასალების საფუძველზე პრობლემათა გადაჭრის აუცილებლობის გათვალისწინება ასევე მოწოდებული რეკომენდაციების, წინადადებების, სურვილების, შეხედულებების შეფასება და პროგრამაში ჩართვის აქტუალობის ან უარყოფის მოტივაციების დადგენა;
- საქართველოს სახელმწიფო სტრატეგიული კურსისა და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტების გათვალისწინება;
- საერთაშორისო თანამეგობრობის, პარტნიორი და დონორი ქვეყნების, საერთაშორისო პოლიტიკური და ფინანსური ორგანიზაციების ინიციატივით განსახორციელებელი პროექტებისა და პროგრამების გათვალისწინება;

IV ეტაპი. ინფორმაციის შენახვა და გადაცემა.

- პროგრამის საბოლოო ვარიანტის ფორმირება, მოზიდვა, ექსპერტული შეფასება საჭიროებიდან გამომდინარე აუცილებელი კორექტივების შეტანა;
- პროგრამის ელექტრონული ვერსიით და ბეჭდური სახით ფორმირება;
- პროგრამული დოკუმენტი;
- მომხმარებელზე გადაცემა, პრეზენტაცია.

დიაგრამა № 3.1. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმების შემუშავების პროცესი



მუნიციპალური განვითარების სფეროში საქართველოს სახელმწიფო სტრატეგია მუდმივად განვითარებადი სისტემის ჩამოყალიბებაზეა ორიენტირებული. ქობულეთის მუნიციპალიტეტის განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამის შედგენისას სწორედ ეს პრინციპი იქნა გათვალისწინებული. ინფორმაციული ბაზის დამუშავების შედეგად გამოვლენილ პრობლემათა შორის პრიორიტეტულად შეიძლება განხილულ იქნეს შემდეგი ჯგუფები:

- სტრუქტურული პრიორიტეტები - მუნიციპალიტეტის ცალკეული დარგების განვითარება;
- სამეურნეო-ტექნიკური პროგრესის დანერგვის შესაძლო პრიორიტეტული მიმართულებები;
- პრიორიტეტები სოციალურ სფეროში;
- მუნიციპალიტეტის მართვის სისტემის სრულყოფისა და აქტუალური პრობლემების გადაჭრის პრიორიტეტები.

პროგრამის საბოლოო ვარიანტის ჩამოყალიბებისა და მასში ობიექტურად დასაბუთებული პრიორიტეტული პრობლემების ასახვა და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრა დაეფუძნა ისეთ ასპექტებს როგორიცაა:

- პრობლემათა შერჩევა, მათი გადაწყვეტის აუცილებლობის დასაბუთება;
- პრობლემათა რანჟირება პრიორიტეტულობის მიხედვით, მნიშვნელობა, სირთულე, ტრადიციული მეთოდებით მათი გადაჭრის შეუძლებლობა ან არაეფექტურობა, რესურსული უზრუნველყოფის შესაძლებლობები, პრობლემათა გადაჭრაში მუნიციპალიტეტის, აჭარის მთავრობის, ან ქვეყნის ხელისუფლების ჩართვის აუცილებლობა და ა.შ.;
- ქვეყნისა და აჭარის რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებთან შესაბამისობა;
- პროგრამის განხორციელებით მაქსიმალური საბიუჯეტო და ეკონომიკური ეფექტის მიღება;
- მუნიციპალიტეტის განვითარების საშუალო და გრძელვადიანი პერიოდებისათვის პროგრამის ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნა, ე.წ. „მიზნის ხის“ აგების პრინციპით სარგებლობა, რაც გულისხმობს გენერალური მიზნის მიღწევისთვის ორ და სამ საფეხურიანი ქვემიზნებით პროგრამის შედგენას. ამის მიღწევის კრიტერიუმად გამოიყენება ისეთი ინსტრუმენტები და მექანიზმები, როგორიცაა ეკონომიკური, ლოგიკური ანალიზი, ქვედა რანგის მიზნების ერთობლიობა მთავარი მიზნის მისაღწევად, მიზნების კონკრეტულობა და შემსრულებელთა კომპეტენტურობა;
- მიზნის მიღწევისათვის აუცილებელ ღონისძიებათა სისტემა, მისი გაწერა განსაზღვრულ დროში შემსრულებელ ადრესატებზე;
- პროგრამის სტრუქტურიზაცია - ქვესისტემები, პროექტები;
- რესურსების შეფასება-რესურსები, რომლებიც აუცილებელია მთლიანად პროგრამის განხორციელებისთვის. რესურსების უკმარისობის შემთხვევაში პროექტებისა და მიზნების დაზუსტება. დამატებითი რესურსების მოძიების გზების დადგენა;
- მარკეტინგული კვლევა-პროგრამის მოსალოდნელი ეფექტის შეფასება. არაეფექტური პროექტების ამოღება.

რეალურად, მიუხედავად კონკრეტული სტადიების გამოყოფისა და ცალკე დაუხასიათებლობისა პროგრამის შედგენის სტადიებად შეიძლება განვიხილოთ: ტექნიკური დავალება;

- ესკიზური პროექტი;
- ტექნიკური პროექტი;
- მუშა პროექტი;
- განხორციელება;
- ახალი საპროექტო მიმართულება.

4 ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმის განხორციელების შეფასების ინდიკატორები

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის შედგენისა და შესრულების შეფასების ინდიკატორები განსაზღვრულია კვლევის შედეგად გამოვლენილი პრობლემებისა და რესურსების გათვალისწინებით. მთავარი ამოსავალი წერტილი - ყველა შესაძლო ინდიკატორებისაგან რეალურად გამოყენებადი და მიღწევადი ინდიკატორების შერჩევა, ეფუძნება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის ძირითად სტრატეგიებსა და ქვე-სტრატეგიებს, მათში შემავალი პროექტების მიზნებსა და ამოცანებს. ინდიკატორები დაჯგუფებულია ცალკეული პირობითი მიმართულებების მიხედვით, რომლებიც მთლიანობაში პასუხობენ გეგმით განსაზღვრულ საერთო და დარგობრივ სფეროებს.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის შედგენისა და შესრულების შეფასების ინდიკატორები ფორმულირებული იქნა შემდეგნაირად:

1. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობისა და ცხოვრების ხარისხის ამაღლება

- ცხოვრების დონის ინდექსი (რეალური შემოსავლები, მოსახლეობის ჯგუფები, ფასები სამომხმარებლო საქონელზე და მომსახურებაზე);
- ნომინალური და რეალური საშუალო თვიური ხელფასი (საბიუჯეტო ორგანიზაციები, არასაბიუჯეტო ორგანიზაციები, ბიზნეს სფერო);
- საარსებო მინიმუმის დონე ქვეყანაში არსებულ დონესთან შედარებით;
- საარსებო მინიმუმის ქვევით მყოფი მოსახლობის ხვედრითი წილი;
- ოჯახური ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების დინამიკა და თანაფარდობა;
- ოჯახების ფულადი შემოსავლების თანაფარდობა საარსებო მინიმუმთან;
- ოჯახური და ფერმერული მეურნეობების განვითარების დინამიკა, საშუალო წლიური შემოსავალი ერთ დასაქმებულზე, დანაზოგები.

2. ეკონომიკური პოტენციალის ზრდა

- სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა, ზრდის ინდექსი;
- სამრეწველო პროდუქციის წარმოება ერთ მცხოვრებზე;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობა, წარმოების ზრდის ინდექსი;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობა ერთ მცხოვრებზე;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სამრეწველო გადამუშავების ხვედრითი წილი;
- სამელიორაციო სისტემა, სარწყავი არხების სიგრძე, მორწყული ფართობის რაოდენობა, მიღებული შემოსავლების ზრდა, დანახარჯები;
- მუნიციპალური ბიუჯეტის შემოსავლების საკუთარი რესურსები, მისი ზრდის დინამიკა;
- სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების ზრდა ძირითად კაპიტალში;
- საცალო ვაჭრობის მოცულობა ერთ მცხოვრებზე;

- ფასიანი მომსახურების საერთო მოცულობა ერთ მცხოვრებზე;
- ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის დონე ქვეყანაში არსებულ დონესთან შედარებით;
- მყარსაფარიანი გზების საერთო სიგრძე, სასოფლო გზების ხარისხობრივი მაჩვენებლები;
- სატელეფონო, სხვადასხვა საკომუნიკაციო ქსელების, სატელევიზიო არხების, ინტერნეტის განვითარების დონე და მოსახლეობისათვის მათი მისაწვდომობის ხარისხი;
- დასაქმება, დასაქმებულთა ხვედრითი წილი შრომისუნარიანი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში;
- წარმოების ფაქტორების პოტენციალის გამოყენება, დარგთაშორისი ბალანსი;
- ტურისტული ინდუსტრიის განვითარების დინამიკა. ტურიზმი, როგორც დარგთაშორისი საკვანძო დარგი;
- ვიზიტორთა საშუალო წლიური რაოდენობა სეზონების მიხედვით;
- ადგილობრივი წარმოების სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო და ხალხური რეწვის პროდუქციის მოწოდება რეალიზაცია ტურისტთა კვების ობიექტებში;
- ტურისტული რესურსების ტურისტულ პროდუქტებში და მარშრუტების ჩართვის დონე;
- სასტუმროებსა და კვების ობიექტებში ადგილების რაოდენობა;
- ტურიზმის ცალკეული სახეობების განვითარება.

3. ადამიანური კაპიტალის განვითარება

- მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა და მიგრაციის დონე;
- ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დინამიკა (მეწარმეობის სხვადასხვა ფორმები);
- სიცოცხლის ხანგრძლივობის საშუალო დონის ტენდენცია;
- ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსი (სიცოცხლის ხანგრძლივობა, სწავლის ხანგრძლივობა, მსყიდველობითი უნარი ა ა.შ.);
- მრავალშვილიანობის ხელშეწყობა და ახალდაბადებულთა ჯანმრთელობის შენარჩუნება;
- ჯანდაცვის დანახარჯები ერთ სულზე. დანახარჯების საერთო მოცულობა დაფინანსების ყველა შესაძლო წყაროდან;
- მოსახლეობის დაზღვევის უზრუნველყოფა სხვადასხვა წყაროებით და ფორმებით;
- ექიმებითა და მედ-პერსონალით მოსახლეობის უზრუნველყოფა 1000 კაცზე;
- პერიოდული პროფილაქტიკური დათვალიერებისა და მკურნალობის ღონისძიებით მოსახლეობის უზრუნველყოფა;
- დაავადებულთა საშუალო რაოდენობა და ხვედრითი წილი მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში;
- სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის დინამიკა;
- დაავადებათა ინტენსივობა და გავრცელება (ტუბერკულოზი, ონკოლოგია, ნარკოლოგია, ფსიქიატრია და ა.შ.);
- ბავშვთა და მოზარდთა უზრუნველყოფა სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტებით;
- ქორეოგრაფიული ანსამბლები, შემოქმედებითი კოლექტივები;

- უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე მოსახლეობის ხვედრითი წილი;
- ერთ სულ მოსახლეზე განათლების სფეროში მუნიციპალური ბიუჯეტის დანახარჯების დონე;
- ბავშვთა და მოზარდთა სკოლებში ადგილებით უზრუნველყოფა ერთცვლიან რეჟიმში;
- ბაგა-ბაღებით უზრუნველყოფის დონე;
- პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების, გადამზადების მუნიციპალური პროგრამები. დანახარჯები მუნიციპალური ბიუჯეტიდან;
- კინოთეატრების რაოდენობა, თეატრების რაოდენობა, კულტურის სახლების რაოდენობა, მათში დასაჯდომი ადგილების რაოდენობა;
- მუზეუმები, ბიბლიოთეკები, დამთვალიერებელთა და მკითხველთა რაოდენობა.

4. მოსახლეობის ცხოვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა

- გარემოს დაცვისა და საგანგებო სიტუაციების პროფილაქტიკის ღონისძიებებზე დანახარჯები – სიტუაციის გაჯანსაღების დინამიკა;
- ტექნოლოგიური საშიშროების პოტენციური ობიექტების რაოდენობა (გამწმენდი ნაგებობები, კანალიზაცია, საწარმოები, გზები, მშენებლობები, ტრანსპორტი, კომუნალური მეურნეობა და ა.შ.);
- გარემოს დაცვის მდგომარეობის ძირითადი მაჩვენებლები (ჰაერი, წყალი, ნიადაგი);
- საგანგებო სიტუაციების რაოდენობა და ნეგატიური შედეგები;
- ბუნებრივ სტიქიური მოვლენების შემცირების მაჩვნეებლები. დანახარჯები ამ მიმართულებების ღონისძიებებზე;
- დარეგისტრირებულ დანაშაულთა რაოდენობა.

5. მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს ხარისხის გაუმჯობესება

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის სიმჭიდროვე. მიგრაციის ტენდენციები;
- სამეურნეო გამოყენებაში მყოფი ტერიტორია. მიწათსარგებლობის ტექნოლოგიების დაცვა. მეწყერული და სხვა ფაქტების რაოდენობა;
- ტყე-პარკები და დასვენებისა და გასართობი ზონები;
- მუნიციპალიტეტის სივრცობრივი განვითარების რესურსები;
- საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა. კეთილმოწყობის დონე. სანიტარული ჰიგიენის, წყალმომარაგების, ენერგომომარაგების, კანალიზაციის და სხვა უზრუნველყოფის დონე;
- მოსახლეობის შემოსავლებისა და კომუნალური გადასახადების თანაფარდობა.

6. მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის გაფართოება

- სწავლებისა და კონსულტირების გააქტიურება;
- ინფორმაციული მხარდაჭერა;
- ინვესტიციური რისკების დაზღვევა;
- შეღავათიანი კრედიტების მიღებისათვის გარემოს გაუმჯობესება. საშუალო საპროცენტო განაკვეთი;

- პროექტების განხორციელების რესურსული უზრუნველყოფა (ლიცენზია, წყალი, მიწა, კომუნიკაცია და ა.შ.);
- ცალკეული დარგების საინვესტიციო მიმზიდველობის გამოვლენა და სხვა ქონებრივი რესურსების ბაზაზე საკონსულტაციო საბჭოს შექმნა;
- წარმოების ფაქტორების საჯარო მოცულობით მოზიდვის გაფართოება;
- საკუთრების უფლებების დაცვა;
- მუნიციპალური შესყიდვების გაფართოება. ადგილობრივი პროდუქციის საერთო სახელმწიფო შესყიდვებში ჩართვა. ექსპორტის წახალისება და ხელშეწყობა;
- შეღავათიანი პრივატიზაცია.

ჩვენს მიერ განსაზღვრული ინდიკატორების ნუსხა და დატვირთულობის ხარისხი შეიძლება გარკვული მიმართულებითა და შინაარსით კომპლექსურად იქნეს გამოყენებული. ამავე დროს შესაძლებელია გარკვეული კორექტირება განიცადოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის შესრულების პროცესში.

5 მუნიციპალიტეტის ისტორია

ქობულეთის მუნიციპალიტეტი უძველესი ხანიდან არის დასახლებული. აქ, ისე როგორც საქართველოს ყველა სხვა რეგიონში უხვად მოიპოვება ქვის ხანის ნამოსახლარები, ისპაანის ადრებრინჯაოს ხანის მასალები, ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები, უძველესი სამაროვნები და სხვა უმდიდრესი ისტორიული წარსულის ამსახველი მასალა.

საუკეთესო ბუნებრივი და საცხოვრებელი პირობები ხელს უწყობდა აქ ადამიანის უძველესი პერიოდიდან დასახლებას. საერთოდ, აჭარაში, მოსახლეობის უძველესი კვალი ძველი ქვის ხანის (ქვედა პალეოლითი), გვიანი მეზოლითის და ნეოლითის ხანიდან არის დადასტურებული. ძეგლთა უმრავლესობა აჭარის ბარის ზონასა და მთისწინეთშია (გორა-ნამოსახლარები) აღმოჩენილი. რაც შეეხება საქართველოს მეზოლითურ კულტურას, იგი ძვ. წ. აღ-ის XII-XI ათასწლეულებში თავსდება. აჭარის ქვის ხანის სადგომები ძირითადად გვიან მეზოლითურ და ადრე ნეოლითურ კულტურას ქმნიან, რომლებიც უმთავრესად ძვ. წ. აღ-ის VIII-VI ათასწლეულებს მოიცავს. ქობულეთის მუნიციპალიტეტში მეზოლით-ნეოლითის ხანის ნამოსახლარებია ჯიხანჯურის, ჩოლოქის, ხუცუბნის, ჩაისუბნის, სახალ-ვაშოს, კოხის, კვირიკეს, სოფელ ქობულეთის უძველესი დასახლებანი. ნამოსახლარებისათვის დამახასიათებელია შედარებით ბინადარი ცხოვრება, შემგროვებლობა, ნადირობა-მეთევზეობა, მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის დასაწყისი, კერამიკული წარმოება, საცხოვრებელი სახლი სამეურნეო სათავსოებით, ხელოსნობის ჩანასახი, ცეცხლის გამოყენება კერძის დასამზადებლად, თიხის ჭურჭელი, სათევზაო და სანადირო აღჭურვილობის გამოჩენა, ცხოველთა (ღორი, ცხვარი, ძაღლი, ძროხა) მოშენება და ხორბლეულის მოყვანა, წყალმომარაგების მარტივი სისტემების გამართვა, ნიადაგის დამუშავების და მკის მარტივი იარაღების შექმნა, მარცვლეულის გადამუშავების ხერხის მიგნება და ა.შ.

სპილენძის ხანაში (ენეოლითი), ძვ.წ.აღ-ის V-IV ათასწლეულებში, ამ რეგიონის მოსახ-ლეობამ ლითონის დამუშავება-გამოყენების შემდგომი დაწინაურების კარგი საფუძველი მოამზადა. ამ ხანაში ადამიანმა ჯერ თვითნაბადი ლითონის გამოყენება დაიწყო, შემდეგ კი მადნისაგან ლითონის მიღების მარტივ წესს მიაგნო.

ძვ.წ.აღ-ის IV ათასწლეულის II ნახევარში ადგილობრივი მოსახლეობა, საქართველოს მოსახლეობასთან ერთად, ბრინჯაოს ხანაში გადადის, რომელიც აქ დაახლოებით 2 ათას წელს გაგრძელდა. ქობულეთის მუნიციპალიტეტში ადრე ბრინჯაოს ერთ-ერთი ძეგლია ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარი (ქობულეთთან). იგი ძვ.წ.აღ-ის IV ათასწლეულის დასასრულსა და III ათასწლეულის დამდეგს განეკუთვნება, როდესაც შავი ზღვის დონე, რეგრესული პროცესების (აცივება) განვითარების შედეგად, 3-5 მ-ით დაბლა ყოფილა თანამედროვე ნიშნულთან შედარებით. ამ პერიოდს ახასიათებდა საკმაოდ განვითარებული მიწათმოქმედება, ხელოსნობა: მეთუნეობა, ხითხურობა, რთვა და ქსოვა, მაღალ დონეზეა ბრინჯაოს მეტალურგია ლითონსამსხმელო ცენტრით.

ქობულეთ-ფიჭვნარის ტორფქვეშა ნამოსახლარის ქვედა არქეოლოგიური ჰორიზონტი ძვ.წ.აღ-ის 3200 წლით თარიღდება (სილნარ ნიადაგზე მდგარი ჯარგვლების ნანგრევები),

ზედა ჰორიზონტი კი, სადაც ხიმინჯებზე მდგარ პლატფორმაზე ნაგები ჯარგვლების ნაშთებია დაცული, ძვ.წ.აღ-ის 2600 წელს მიეკუთვნება. ძვ.წ.აღ-ის 1860 წ. თარიღდება ამ ნამოსახლარის გადამხური ტორფის ქვედა დონეზე აღებული მერქანი. ისპანში ამ დროს ლითონსამსხმელო ერთ-ერთი ცენტრი უნდა ყოფილიყო.

III ათასწლეულის შუა ხანებში დაიწყო დათბობის პერიოდი, რასაც მოჰყვა ახალი შუალედური ტრანსგრესია, რომელიც ძვ.წ.აღ-ის XVII-XVI საუკუნეებამდე გრძელდებოდა. ზღვის სანაპიროს სამოსახლოები (ისპანი) წყლით დაიფარა, ადამიანი იძულებული გახდა მიეტოვებინა ისინი და მთისწინეთისაკენ გადაენაცვლა. ამავე პერიოდში წარმოიქმნა ახალშავზღვიური ტერასა და თანამედროვე აკუმულაციური ველი, რომელზეც ძვ.წ.აღ-ის XVI-XV საუკუნეებში ადამიანი კვლავ იწყებს დასახლებას. ამ დროს ქ. ქობულეთის ჩრდილოეთით, ჩოლოქ-ოჩხამურის ხერთვისის ზონაში ჩნდება გორა-ნამოსახლართა ჯგუფი, რომლის მთავარი სამოსახლო განლაგებულია „ნამჭედურის“ ბორცვზე.

ნამჭედურის უძველესი სამოსახლოს დამაარსებელნი ქრონოლოგიურად და სამეურნეო-კულტურული თვალსაზრისითაც ისპანის მემკვიდრენი არიან.

ბრინჯაოს ხანაში აღნიშნული ტერიტორია კოლხური კულტურის გავრცელების არეალში შედის და მისი მოსახლეობა აქტიურად მონაწილეობს თვით ამ კულტურის შექმნა-ჩამოყალიბებაში. ამ ხანისათვის დამახასიათებელია ლითონჩამოსასხმელი საამქროები, კოლხური ცულების და საბრძოლო იარაღების ჩამოსხმა, სამეურნეო იარაღებისა და სამკაულების წარმოება, ხის საცხოვრებელი სახლების აგება და ნაქვის იატაკის გამოყენება, ხუტორული ტიპის დასახლებები, კერამიკის წარმოება, მიწათმოქმედების გვერდით მესაქონლეობის არსებობა, მეთევზეობა-მონადირეობა, ფართოპირიანი თოხები (ზენითის განძი).

საერთოდ, უნდა აღინიშნოს ბრინჯაოს ხანის, განსაკუთრებით კი, გვიანბრინჯაოსა და ადრე რკინის ხახის ე.წ. „მდნობელთა განძების“ აღმოჩენა ქობულეთის მუნიციპალიტეტში ფიჭვნარში, წყავროკა, ხუცუბანი, სამება, ზენითი (სამჯერ), ბობოყვათი, ციხისძირი, ჩაქვი, ჩაისუბანი, სახალვაშოში.

აჭარის დაბლობზე არსებული ბრინჯაოს წარმოების ორი ლოკალური რაიონიდან, ერთი ქობულეთის დაბლობზე (კინტრიშის ხეობა) და ჩაქვისწყლის აუზში მდებარეობდა, საიდანაც ვრცელდებოდა ბრინჯაოს ნაკეთობანი აჭარის შიდამთიან რაიონებში (მახუნცეთი, ჭვანა, ვერნები).

აღნიშნული პერიოდი საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით „ხევების“ წარმოქმნის ხანაა. ასეთი ხევები უნდა წარმოშობილიყო ქობულეთის მუნიციპალიტეტშიც და ცალკეულ ხევთა გაერთიანებით შეიძლება ჩამოყალიბდა ერთიანი ქვეყანა „ხევი აჭარისა“, რომელიც, საფიქრებელია, ძვ.წ.აღ-ის IX-VIII საუკუნეთა პირველი ნახევრის ურარტულ წყაროებში მოხსენებულ „ქვეყანა შეშეთის“ (შავშეთი), „ქვეყანა ზაბახას“ (ჯავახეთი), რომლებიც „ქვეყანა დიაუხის“ (ტაო) მოკავშირენი არიან, გაერთიანებაში უნდა ყოფილიყო.

ძვ.წ.აღ-ის X-VIII საუკუნეები რკინა-ფოლადის ათვისების, ქართველთა სამეურნეო საქმიანობაში რკინის საბოლოო დამკვიდრების და ბრინჯაოს გამოდევნის ხანაა. ამავე დროს იწყება სამეთუნეო ჩარხის გამოყენება, საგრძნობლად დაწინაურდა ლითონის (რკინის, სპილენძის) მოპოვება და დამუშავება. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რკინის მომპოვებელი კერები აღმოჩენილია ჩაქვსა და ქობულეთში, ლითონდამმუშავებელი სახელოსნოები – ქობულეთ-ფიჭვნარში და ა. შ. მათ საქმიანობაში ძირითადია რკინის მოპოვება-დამუშავება, სამეთუნეო ჩარხის გამოყენება, მიწათმოქმედება, საფეიქრო საქმე, მეცხოველეობა და მისი პროდუქტების დამზადება, შენახვა და ტრანსპორტირება, გაფორმდა ქართული წარმართული პანთეონი, გაჩნდა ქალაქური ტიპის დასახლებანი სახელოსნო უბნებით და სასოფლო-სამეურნეო შემოგარენით.

ძვ.წ.აღ-ის VI საუკუნისათვის ნამჭედურის გორანამოსახლარი ფიჭვნარის ურბანისტული დასახლების ცენტრად გვევლინება. ძვ.წ.აღ-ის VI საუკუნიდან II საუკუნემდე ნამჭედურის ბორცვზე იდგა აკროპოლისი, რომელიც ქალაქური ტიპის სამოსახლოს შიდა ციხეს წარმოადგენდა. ნამჭედურის ირგვლივ წარმოქმნილი ქალაქური სამოსახლოს ეკონომიკა ემყარებოდა ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიას, აგრეთვე კერამიკულ წარმოებას. ეს ქალაქი ანტიკური ხანის აჭარის ბარის მთავარი კულტურულ-ეკონომიკური და ადმინისტრაციული ცენტრი უნდა ყოფილიყო, რომელიც არა მარტო ნედლეულით ამარაგებდა რკინის წარმოების კერებს, არამედ ლითონის პროდუქციის გასაღებისა და ექსპორტის ძირითად ცენტრსაც წარმოადგენდა.

ძვ.წ.აღ-ის VIII საუკუნის II ნახევრიდან აჭარის ტერიტორია ქობულეთითურთ კოლხეთის სამეფოშია. ანტიკურ ხანაში კოლხას ჩრდილოეთი რეგიონები ძვ.წ.აღ-ის VI საუკუნეში ახალ კოლხურ სამეფოში გაერთიანდა, თავისი სამონეტო სისტემით (კოლხური თეთრი). დღეს მუზეუმებში დაცულ ამ მონეტათა დიდი ნაწილი ფიჭვნარშია აღმოჩენილი.

ელინისტური პერიოდიდან აჭარის ზღვისპირეთში კარგად ჩანს განვითარებული მევენახეობა. დღეისათვის აქ გამოვლენილი და შესწავლილია ვაზის ათეულობით შემოტანილი თუ ადგილობრივი ჯიში, რომელთა დიდი ნაწილი ქართული მაღლარის უძველეს სახეობებს განეკუთვნება. აჭარაში აღმოჩენილია დიდი რაოდენობით ქვის საწნახლები, რომელთაგან ყველაზე უადრესი მონოლითური ქვის საწნახელი გამოვლენილია ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ზენითში. იგი ელინისტური ხანით თარიღდება. ეს დიდი წარმადობის საწნახელი რეგიონში მევენახეობა–მეღვინეობის მსხვილი მეურნეობის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს. მას ანალოგები გააჩნია აღმოსავლეთ საქართველოში, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთსა და პალესტინაში. ელინისტური ხანის ფიჭვნარისა და ციხისძირის ძეგლები მიუთითებენ აქ მეთევზეობის, ხელოსნური წარმოების, განსაკუთრებით მელითონეობის (რკინა) მაღალ დონეზე.

ძვ.წ.აღ-ის IV საუკუნის დასასრულიდან ზღვისპირა აჭარა ახლად წარმოქმნილი ქართლის (იბერიის) სამეფოს შემადგენლობაში შევიდა. ერთიან ქართულ სამეფოში აჭარა, როგორც ჩანს, ძვ.წ.აღ-ის II საუკუნემდე რჩებოდა, ხოლო ამ საუკუნიდან იგი მთლიანად კოლხეთის შემადგენლობაშია და მის ერთ-ერთ „სკეპტუხიას“ წარმოადგენს. მას შემდეგ, რაც პომპეუსმა ძვ.წ.აღ-ის 66 წელს დაამარცხა მითრიდატე პონტოელი, მან გადალახა მდ.

აფსაროსი და კოლხეთს შეაფარა თავი, იქედან კი ბოსფორის სამეფოში გადავიდა. ამ დროს მითრიდატეს აუცილებლად უნდა გაევლო დღევანდელი ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორია. ძვ.წ.აღ-ის 48 წელს კი, როდესაც რომაელებს აუჯანყდა მათ მიერ მითრიდატე პონტოელის მემკვიდრედ დატოვებული მისივე შვილი ფარნაკე, მას კოლხეთის შავიზღვისპირეთიც დაუკავებია და გაუძარცვავს მითიური ფრიქსეს მიერ აგებული ლევკოთეას მდიდარი სამლოცველო და მისი სამისნო; ხოლო ფარნაკეს წინააღვდეგ ომის საწარმოებლად სახსრების მოპოვების მიზნით მას ასევე მოექცა მოთრიდატე პერგამონელიც.

ლევკოთეა არა მარტო მდიდარი სამლოცველო და სამისნო იყო, არამედ წარმართობის დროინდელი კოლხეთის უდიდესი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრიც, რომელიც, სავარაუდოდ, დღევანდელი ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფ. ხუცუბნის (გვარას საზღვართან) მიდამოებში მდებარეობდა. ქრისტიანობის პერიოდში აქ ფუნქციონირებდა თეთროსნის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. შემდგომში იგი განადგურდა, მაგრამ თანამედროვე პერიოდში ისევ მოხდა მისი აღდგენა ძველ სავარაუდო ადგილზე. ქობულეთ-ოზურგეთის საგზაო მაგისტრალიდან იგი კარგად მოსჩანს მთელი თავისი მშვენიერებით.

უკვე ახ. წ.აღ-ის I საუკუნეში, ფარსმან I-ის (36-66 წწ.) დროს, შავი ზღვის სანაპირო ზოლი ქართლის სამეფოს ერთ-ერთ პროვინციად შეიძლება ვიგულისხმოთ, ხოლო 131 წლისათვის კი იგი უცილობლად მის შემადგენლობაშია, როგორც ოძრხის საერისთავოს ნაწილი.

აღნიშნული პერიოდისათვის აჭარის სანაპირო ზოლში ცხოვრობდნენ ქართველური მოდგმის ტომები ძიდრიტები (ბიძერები).

ახ. წ.აღ-ის პირველი საუკუნიდანვე აჭარის ტერიტორიაზე აღმოსავლეთ ქართული კულტურის დიდი გავლენა შეინიშნება. ამ პერიოდის განძები და სამარხეული ინვენტარი ქობულეთის მუნიციპალიტეტში აღმოჩენილია ციხისძირში, ფიჭვნარში და მეზობელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ურეკში.

ქართლის მეფეების ამაზასპის (დაახლ. 245-265 წწ.), მირიანის (307-361 წწ.), ვარაზ-ბაქარის (368-374 წწ.), ვახტანგ გორგასლის (457-502 წწ.), დაჩის (VI ს-ის 10-იანი წლები) მოღვაწეობის დროს დღევანდელი აჭარის ტერიტორია ოძრხეს საერისთავოს შემადგენელი ნაწილია, ხოლო მისი ერისთავი – ქართლის სამეფოს ერთ-ერთი ერისთავთაგანი.

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, VIII საუკუნის ბოლოდან აჭარის ზღვისპირა დაბლობი დასავლეთ საქართველოს შემადგენლობაშია. შემდგომ ისტორიული განვითარება ისე წარიმართა, რომ ქობულეთ-ბათუმის მხარე ჭოროხამდის, გეოგრაფიულად აჭარის ნაწილი, როგორც ჩანს, პოლიტიკურად უმთავრესად გურიის სამთავროში შედიოდა და ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ვახუშტი მას გურიის ნაწილად სთვლიდა.

სწორედ ამ პერიოდში აჭარის ზღვისპირა მხარეში ქვაბულიძეთა ფეოდალური გვარი უნდა დამკვიდრებულიყო და წარმოქმნილიყო მხარის სახელწოდება „ქობულეთი“. როგოც ვარაუდობენ, XI საუკუნისთვის იგი უკვე უნდა არსებულიყო. ნ.ბერძენიშვილის აზრით, ქორონიმი „ქობულეთი“ უნდა მოწმობდეს, რომ აქ ვარდანისძე-გურიელზე უადრეს ქვაბულიძეები ბატონობდნენ.

1953 წელს ნ.ხოშტარიამ წამოაყენა მოსაზრება პეტრა-ქობულეთის (ტერმინების) იდენტურობის შესახებ, რამდენადაც ერთიცა და მეორეც ქვას, კლდეს გაუიგივა. ამავე საკითხზე გამოსცა წიგნი, რომელშიც აღნიშნავს: „შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ახ. წ.აღით VI საუკუნიდან ცნობილი იყო მხარის სახელი ქობულეთი, მისი ცენტრი, ციხე იმავე სახელით, და აგრეთვე რომელიღაც დასახლებული პუნქტი, რასაკვირველია მხარის ზღვისპირა ზოლში, სადაც იმავე სახელწოდების საეპისკოპოსო კათედრა იყო.“ ნ.ბერძენიშვილმა ეჭვი გამოთქვა ქობულეთის ამგვარ ეტიმოლოგიაზე და თავის მხრივ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ქორონიმი ქვაბულიძეთა გვარს დაუკავშირა.

თვით ქორონიმ „ქობულეთის“ სიძველეზე მეტყველებს ქართული წყარო, როველიც მოგვითხრობს 1046 წელს ბაგრატ IV-ის ანაკოფიის ციხეზე გალაშქრებას, სადაც აფხაზეთის ლაშქრის მეთაურად მოხსენიებულია ვინმე ოთაღო, ჭაჭა ქუაბულელის ძე. ზედწოდება „ქუაბულელი“ სწორედ „ქობულეთელს“ უნდა ნიშნავდეს. თუ ეს ასეა, მაშინ აქ „ქობულეთის“ უძველეს ხსენებასთან გვაქვს საქმე, რომლის მფლობელადაც ჭაჭა ქუაბულელი უნდა ვიგულისხმოთ. თავისთავად ივარაუდება, რომ „ქობულეთი“ კიდევ უფრო ძველი ცნებაა.

XI საუკუნის I ნახევარშიც აჭარა საერისთავოა, ასევე უფრო გვიანაც. XIII საუკუნეში იგი ქობულეთითურთ ლიხთამერი საქართველოს შემადგენლობაშია, ამავე საუკუნის II ნახევრიდან კი სამცხის სპასალარების (ათაბაგების) სამფლობელოში. ერთი საუკუნის შემდეგ, კერძოდ, 1372 წლისათვის აჭარის ზღვისპირა დაბლობი გურიელის მფლობელობაშია.

თურქების აჭარის უშუალო დაპყრობამდე დღევანდელი აჭარის ზღვისპირეთი ათაბაგების გამგებლობიდან, გარკვეული დროით, კვლავ გურიის სამთავროს შემადგენლობაში აღმოჩნდა. XVI საუკუნის ერთი ოსმალური წყაროს მიხედვით გურია უშუალოდ ტრაპიზონს ესაზღვრება.

XVI საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს ოსმალები ჭანეთს იპყრობენ და გონიოს ციხეს იკავებენ, ამავე საუკუნის ბოლოს კი აჭარაში იჭრებიან. 1609 წელს „შემოიკრიბა მამია გურიელმან სპანი, შევიდა აჭარას, მოსწყვიტნა ოსმალნი და დაიპყრა კუალად თვითვე აჭარა“. მაგრამ ეს იყო უკანასკნელი გაბრძოლება. 1611 წლის ოსმალეთის იმპერიის აღწერაში შიდამთიანი აჭარის სანჯაყი უკვე ჩილდირის, ანუ ახალციხის, ხოლო ბათუმის სანჯაყი – ტრაპიზონის ეიალეთშია შეტანილი. ასე შევიდა აჭარა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში. ქობულეთის მხარისა და ხინოს დაპყრობა კი თურქებმა XVIII საუკუნის 70-იან წლებში შესძლეს, საბოლოოდ კი XIX საუკუნის I ნახევარში დაიმორჩილეს და ბათუმთან ერთად ტრაპიზონის ეიალეთს შეუერთეს.

1850 წლიდან აჭარა ტრაპიზონის ეიალეთში შეიყვანეს. დღევანდელი აჭარის ტერიტორია 4 კაზაში განაწილდა: ბათუმის კაზაში შედიოდა 2 ნაჰიე (ოლქი) – ბათუმისა და

ქობულეთისა (ჩურუქ-სუ), რომელთაც სანჯაყ-ბეგები განაგებდნენ. ქობულეთში სანჯაყ-ბეგებად იყვნენ თავდგირიძეები, ხოლო ჩაქვში – ბეჟანიძეები.

1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს თანამედროვე ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორია კავკასიის ფრონტზე საბრძოლო მოქმედებების ერთ-ერთ ძირითად უბანს წარმოადგენდა.

1878 წელს, რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, რუსული ადმინისტრაცია აჭარის ტერიტორიას ყოფს ბათუმისა და აჭარის „ოკრუგებად“, რომელთაგან პირველში შედიოდა კინტრიშის (ქობულეთის) უბანი. 1883 წ. ბათუმის ოლქი გააუქმეს და ორ „ოკრუგად“ (ართვინისა და ბათუმის) ქუთაისის გუბერნიას შეუერთეს. 1903 წ. კი აღნიშნული „ოკრუგები“ კვლავ გამოყვეს ქუთაისის გუბერნიიდან და ისევ შეართეს ბათუმის ოლქად. ამ დროისათვის კინტრიშის საპოლიციო უბნის ცენტრი იყო ალამბარი. ასეთი ადმინისტრაციული დაყოფა გაგრძელდა 1917 წლამდე.

1917 წ. მაისში გააუქმეს ბათუმისა და ართვინის ადმინისტრაციული ოკრუგები. შემდგომ პერიოდში აჭარაში ჯერ თურქები, შემდეგ კი ინგლისელები ბატონობდნენ და დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მხოლოდ 1920 წ. 7 ივლისს მოახერხა აქ თავისი იურისდიქციის დამყარება. 1921 წ. 18 მარტს კი აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა და იგი დანარჩენ საქართველოსთან ერთად რუსეთის გასაპჭოებულ იმპერიას შეუერთეს. 1921 წ. 16 ივლისის დეკრეტით შექმნილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოებად გამოცხადდა მეჯლისი, სახალხო კომისართა საბჭო და ადგილობრივი საბჭოები. გაუქმდა საპოლიციო უბნები, შეიქმნა მაზრები და სასოფლო თემები – 5 მაზრითა და 12 თემით; 1923 წელს სასოფლო თემები 18-მდე გაიზარდა. ქობულეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე ტერიტორია შედიოდა ქობულეთის მაზრაში ცენტრით სოფ. ქობულეთში.

1930 წელს მაზრები შეიცვალა რაიონებით, ხოლო სასოფლო თემები – სასოფლო საბჭოებით. 1940 წლისათვის აჭარაში შედიოდა 4 რაიონი და ერთი რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი ბათუმი, მათ შორის ქობულეთის რაიონი, ცენტრით დაბა ქობულეთში. 1944 წელს ქობულეთს ქალაქის სტატუსი მიენიჭა.

1962 წელს გაუქმდა ბათუმისა და ქობულეთისა რაიონები და მათგან შეიქმნა ჩაქვის რაიონი ცენტრით დაბა ჩაქვში. ამავე წელს ქობულეთი გახდა რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი. 1964 წ. 7 აპრილს ჩაქვის რაიონი გაუქმდა და ისევ აღდგა ქობულეთის რაიონი ცენტრით ქ. ქობულეთში. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე.

1990 წლის ოქტომბერში საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნებით სახელმწიფოს სათავეში ეროვნული ძალები მოვიდნენ. თანდათან დაიწყო ძველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის დემონტაჟი და ახალი დემოკრატიული საქართველოს მშენებლობის პროცესი. 1991 წ.-ის მარტში შეიცვალა რაიონული მმართველობის სტრუქტურები – გაუქმდა რაიონული საბჭოს აღმასკომი და მის ნაცვლად შემოღებული იქნა რაიონის პრეფექტურა. ცოტა მოგვიანებით, 1991 წ.-ის აგვისტოში, საქართველოში კომპარტიის

საქმიანობაც აიკრძალა და გაუქმდა პარტიის ქობულეთის რაიკომი. ამის შემდგომ რაიონის ცხოვრებაში ახალი ეპოქა დაიწყო.

2006 წლიდან, თვითმმართველობის სისტემის საკანონმდებლო რეფორმის შემდეგ, ქობულეთის რაიონს ეწოდა ქობულეთის მუნიციპალიტეტი.

საბჭოთა პერიოდში ქობულეთის რაიონი იყო მეციტრუსეობისა და მეჩაიეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ამასთან აქ კარგად განვითარდა სოფლის მეურნეობის სხვა დარგებიც – მეხილეობა, მებოსტნეობა, მესაქონლეობა, მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა, სანაშენე და სამეურნეო კულტურების ახალი ჯიშების გამომყვანი წარმოება, აქვე დაწინაურდა ციტრუსებისა და ჩაის გადამამუშავებადამზადების დარგები და სხვ. განსაკუთრებით დიდი პოპულარობა მოიპოვა ქობულეთის რაიონმა აქ არსებული უნიკალური პლაჟისა და თბილი ზაფხულის გამო, როგორც საკურორტო და დასვენების კერა. ქ. ქობულეთი გადაიქცა საკავშირო, ხოლო ციხისძირი – რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტად. ამავე პერიოდში განვითარდა ე.წ. ეკოტურიზმის ადრეული ფორმა კინტრიშის ნაკრძალში ტურისტთა გეგმიურ მარშრუტებზე ლაშქრობების სახით.

ქობულეთის მუნიციპალიტეტს გააჩნია საკმარისი ადამიანური რესურსები. მისი მოსახლეობა 1926 წლიდან 1989 წლამდე ოთხჯერ და მეტად გაიზარდა და ამავე წლის აღწერით 88 183 კაცს მიაღწია.

აქვეა სახელმწიფოს მიერ დაცული ტერიტორიები: მტირალას ეროვნული პარკი, ქობულეთის ნაკრძალი – ისპანი II და ქობულეთის აღკვეთილი – ისპანი I. ბოლო ორი მსოფლიოს უნიკალური სფაგნუმიანი ტორფნარების გამო შეიქმნა. ისპანი II 1996 წლიდან რამსარის კონვენციის საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიანი ტერიტორიაა, როგორც მიგრირებადი და მოზამთრე ფრინველების დასასვენებელი ადგილია სამხრეთი-საკენ მიმავალ შორეულ გზაზე. ისპანის ცოცხალ სფაგნუმიან ტორფნარებს ჩრდილოეთით ესაზღვრება თიკერის რელიქტური კოლხური ტყე. დიდი მნიშვნელობა გააჩნია კინტრიშის ნაკრძალსაც, რომელიც დაარსდა 1959 წელს და მდებარეობს ზღვის დონიდან 450-2000 მ-ის სიმაღლეზე.

ღირსშესანიშნავი ისტორიული ძეგლებია პეტრა-ციხისძირი, ფიჭვნარი, ელიას ციხე, ხინოს XI– XII საუკუნეების ნაეკლესიარი, თაღოვანი ხიდები მდ. კინტრიშზე ცხემვანსა და კობალაურში, ზენითის ელინისტური ხანის ქვის მონოლითური საწნახელი და სხვ. გარკვეული ისტორიული ღირებულება აქვს კვირიკესა და დაგვას მეჩეთებს.

დღევანდელი ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ამ კუთხის შესანიშნავი შვილები, რომელთაც თავიანთი კვალი დასტოვეს არა მარტო აჭარის, არამედ მთელი ქართველი ერის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლების ისტორიაში. ესენი არიან გულო-აღა კაიკაციშვილი, დედე-აღა და რეჯებ ნიჟარაძეები, ხასან თხილაიშვილი, ქემალ ნოღაიდელი და სხვები. თანამედროვე აჭარის ღირსეული წარმომადგენლები იყვნენ გამოჩენილი მეცნიერები – ჯემალ ნოღაიდელი, ასლან ინაიშვილი, აკადემიკოსები – დავით ხახუტაიშვილი და დურსუნ ბალაძე.

ქობულეთს ჰყავს დამეგობრებული ქალაქები: სელჩუკი (თურქეთი – 1995 წ.), ალავერდი (სომხეთი – 2007 წ.), იუჟნი (უკრაინა – 2008 წ.), ტერაჩინა (იტალია – 2009), ახტალა (სომხეთი – 2010). მათი თანამშრომლობის სფეროებია განათლება, კულტურა, სპორტი, ვაჭრობა, ეკონომიკა, ტურიზმი.

2007 წელს მუნიციპალიტეტში დაწესდა საპატიო ქობულეთელის წოდების მინიჭება, რომელიც პირველმა მიიღო ცნობილი ქართველი, წარმოშობით ქობულეთელი აკადემიკოსის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის მამია კომახიძის მეუღლემ ნინო ჯავახიშვილმა, რომელიც არის ანატომი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ა.ნათიშვილის სახელობის ექსპერტ-მორფოლოგიის ინსტიტუტის და ანატომთა, ჰისტოლოგთა და ემბრიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე 1966 წლიდან.

6 მუნიციპალიტეტის მმართველობითი და ადმინისტრაციული სტრუქტურა

ქობულეთის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს თვითმმართველ ერთეულს, მისი ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ქობულეთი.

მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებს წარმოადგენენ მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა.

საკრებულო არჩევითი ორგანოა, რომელიც შედგება ათი პროპორციული სისტემით და ყოველი თემიდან არჩეული ერთი მაჟორიტარი საკრებულოს წევრით. ქობულეთის საკრებულოს წევრების რაოდენობა შეადგენს 30 წევრს.

საკრებულოს თავმჯდომარე არის თვითმმართველი ერთეულისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ხელმძღვანელი.

საკრებულოში, საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს და მისი სტრუქტურული ერთეულების კონტროლის მიზნით შექმნილია ხუთი მუდმივმოქმედი კომისია:

1. აგრარულ საკითხთა კომისია;
2. განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ტურიზმის საკითხთა კომისია;
3. იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია;
4. საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია;
5. ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია.

მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილია ერთი ფრაქცია:

- ნაციონალური მოძრაობა - „საქართველოს აღმშენებლობისა და გამთლიანების სია“

მუნიციპალიტეტის გამგეობა წარმოადგენს აღმასრულებელ ორგანოს, რომელიც ახორციელებს საქმიანობას თავისი სამსახურების საშუალებით. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ფუნქციონირებს 11 სამსახური:

- არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური;
- აუდიტის სამსახური;
- ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და საინვესტიციო განვითარების სამსახური;
- ზედამხედველობის სამსახური;
- იურიდიული სამსახური;
- კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის სამსახური;
- სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური;

- საფინანსო სამსახური;
- ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა სამსახური;
- ხანძარსაწინაარმდეგო სამსახური;
- ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

ქობულეთის მუნიციპალიტეტი შედგება 20 ტერიტორიული ორგანოსაგან:

- ქალაქი ქობულეთი;
- დაბა ოჩხამური;
- დაბა ჩაქვი;
- სოფელი ალამბარი;
- სოფელი აჭყვისთავი;
- ბობოყვათის თემი;
- გვარას თემი;
- სოფელი დაგვა;
- სოფელი ზენითი;
- კვირიკეს თემი;
- ლეღვას თემი;
- მუხაესტატეს თემი;
- საჩინოს თემი;
- ქაქუთის თემი;
- სოფელ ქობულეთის თემი;
- სოფელი ჩაისუბანი;
- ციხისძირის თემი;
- ხალას თემი;
- ხუცუბნის თემი;
- ჭახათის თემი.

7 გეოგრაფიული დახასიათება

მდებარეობა. ქობულეთის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თვითმმართველ ერთეულს, რომელსაც ჩრდილოეთით ესაზღვრება ოზურგეთის, სამხრეთით – ხელვაჩაურისა და ქედის, აღმოსავლეთით – შუახევის მუნიციპალიტეტები, დასავლეთით – შავი ზღვა (17 კმ–იანი სანაპირო ზოლით).

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საერთო ფართობი შეადგენს 711,2 კვ^2–ს. მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შედის ერთი ქალაქი, ორი დაბა და 17 სხვა ტერიტორიული ორგანო. მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 1კმ^2–ზე 126,5 კაცია.

რელიეფი. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მთავარი ოროგრაფიული ერთეულებია: ქობულეთ–ჩაქვის ქედის ჩრდილო–დასავლეთი კალთა, შავიზღვისპირა ვაკედაბლობები და გორაკბორცვიანი ზოლი. ქობულეთი–ჩაქვის ტექტონიკის ეროზიული ქედის ჩრდილო–დასავლეთი კალთა, რომელიც მუნიციპალიტეტის შუა და აღმოსავლეთ ნაწილებს მოიცავს, მუნიციპალიტეტის ფარგლებში ვრცელდება მთა ყოროლისთავიდან (1302 მ) მთა ხინომდე (2599 მ). ეს უკანასკნელი ქობულეთის მუნიციპალიტეტის უმაღლესი ადგილია. ქედის თხემზე არის აგრეთვე მწვერვალები: მტირალა (1381 მ), ჩაქვისმთა (1547 მ), საგუდისთავი (1700 მ) და პერანგა (2235 მ). რელიეფი აგებულია ინტენსიურად დანაოჭებული, ძირითადად ეოცენური ვულკანური ქანებით: ანდეზიტურგანფენებიანი ტლანქშრეებრივი ტუფ–ბრექჩებით, ტუფ–ქვიშაქვებითა და ტუფ–კონგლომერატებით. ალაგ–ალაგ შიშვლდება მესამეულის დროინდელი სიენიტურ–დიორიტული ინტრუზიები. ქედის კალთა დასერილია ხშირი მდინარული ქსელით. რელიეფში ჭარბობს ღრმად დანაწევრებული მთახეობათა ფორმები. წყალგამყოფის ხეებზე შემორჩენილია საფეხურებრივად განლაგებული მოვაკებული ზედაპირების ფრაგმენტებიც.

ქობულეთ–ჩაქვის ქედის ქვემო ნაწილზე და მიმდებარე ვაკე–დაბლობის მიჯნაზე მკვეთრად დანაწევრებული, ალაგ–ალაგ ზღვიური და მდინარეული ტერასებიანი გორაკ–ბორცვებია, რომელიც სამხრეთ–დასავლეთ ნაწილში შავ ზღვამდე აღწევს და წარმოშობს ფლატეს.

მუნიციპალიტეტის ჩრდილო–დასავლეთ ნაწილში მეოთხეული ნალექებით – თიხებით, ქვიშებითა და კონგლომერატებით აგებულ ჭაობიან, ქობულეთის ვაკე–დაბლობებს უჭირავს, რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთით ვიწროვდება. მას ზღვის სანაპიროს გასწვრივ დიუნური სერები მიუყვება. მცირე ზომის ვაკე–დაბლობებია აგრეთვე დაბა ჩაქვთან და ჩაქვისწყლის შესართავთან.

მუნიციპალიტეტი მდიდარია სასარგებლო წიაღისეულებით: ტორფი, ცეცხლგამძე თიხები, მაგნეტიტური ქვიშები. დიდი რაოდენობით მოიპოვება: სამშენებლო ქვა, ქვიშა და ხრეში.

ჰავა. მუნიციპალიტეტის ვაკე–დაბლობსა და გორაკ–ბორცვებზე ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა. მთებში სიმაღლის მატების შესაბამისად ჰავა ჯერ ზომიერად

ნოტიო ხდება, შემდეგ – გრილი. საშუალო წლიური ტემპერატურა იცვლება 13,5^{0}C–დან (ზღვისპირა ზოლში) -3^{0}C–მდე (მთა ხინო). აბსოლიტური მინიმალური ტემპერატურა -17^{0}C, ხოლო აბსოლიტური მაქსიმალური ტემპერატურა 42^{0}C. ნალექის საშუალო რაოდენობა წელიწადში 2500–3000მმ–ს შეადგენს. უხვნალექიანობით გამოირჩევა შემოდგომა და ზამთარი. ვაკე–დაბლობ და გორაკ–ბორცვიან ნაწილებში იშვიათად იქმნება თოვლის მდგარი საფარი. მთებში თოვლის საბურველის სიგრძე ზოგჯერ 5–6 მეტრსაც აღწევს და 6–7 თვის განმავლობაში ჩერდება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხშირია ნისლი.

შიგა წყლები. ქობულეთის მუნიციპალიტეტი მდიდარია მდინარეებითა და წყაროებით. მუნიციპალიტეტის მთავარი მდინარეებია: ჩოლოქი, კინტრიში და ჩაქვისწყალი, რომელთაც გააჩნიათ მრავალი შენაკადი. ზემო და შუა დინებაში მთის ტიპის მდინარეებია. მდინარეებს ახასიათებს ღრმა და ვიწრო, ზოგან კანიონისებრი ხეობები. მდინარეები შერეული საზრდოობისაა და ძირითადად წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლებით საზრდოობენ. გაზაფხულზე და შემოდგომაზე ადგილი აქვს წყალდიდობას, წყალმოვარდნა მოსალოდნელია წლის ნებისმიერ სეზონში. ზღვისპირა დიუნების აღმოსავლეთით გადაჭიმულია ჭაობების ზოლი.

ნიადაგები. ზღვისპირა ვაკე–დაბლობზე ძირითადად გავრცელებულია ალვიური, ეწერი და ჭაობის ტორფიანი ნიადაგები, გორაკ–ბორცვებზე კი წითელმიწები ჭარბობს, ზოგან ჩამოყალიბებულია ყვითელმიწები. ქობულეთ–ჩაქვის ქედის ქვემო ნაწილში გავრცელებულია ტყის ყომრალი ნიადაგები, ზემო ნაწილში – გაეწრებული ტყის ყომრალი ნიადაგი, მაღალმთიან ზონაში – კორდიანი (ალაგ–ალაგ კორდიან–ტორფიანი) მთის მდელოს ნიადაგები. ხევ–ხეობების ციცაბო უბნებზე კი საკმაოდ სუსტად განვითარებული ნიადაგებია.

ფლორა და ფაუნა. ქობულეთის მუნიციპალიტეტში 1600–მდე სახეობის მცენარეა, მ.შ. 20%–ი რელიქტური და ენდემურია. ხელოვნურადაა გაშენებული ფიჭვი. ისპანის ჭაობი კი ტორფის შემქმნელი ხავსებით, ისლით, ჭილით, ლერწმითა და სხვა მცენარეებით არის დაფარული. გორაკ–ბორცვებსა და მთისწინებზე გაბატონებულია მარადმწვანე ქვეტყიანი კოლხური ტყეები, სადაც ჭარბობს მუხა, ცაცხვი, იფანი, ქვეტყეში – შქერი, წყავი, ბზა, მოცვი, იელი, თხილი, ლიანებიდან –სურო, სვია, კატაბალახა, გარეული ვაზი და სხვ. ტყეებში დიდი რაოდენობით იზრდება გარეული ხეხილი – მაჟალო, პანტა, ლეღვი, ზღმარტლი.

600-700მ–დან 1500-1600მ–მდე შერეული ფართოფოთლოვანი ტყის ზონაა, სადაც ძირითადად წიფელნარი ტყეები გვხვდება. აქ იზრდება აგრეთვე რცხილა, წაბლი, ცაცხვი, ბოყვი და ნეკერჩხალი. 1600-1700მ–დან ტყეში წიფელთან ერთად გვხვდება ნაძვი, სოჭი და იშვიათად ფიჭვიც. ტყის ზემო საზღვართან ტანბრეცილა წიფლის, არყისა და ციცრელისაგან შექმნილი სუბალპური ტყეებია. ტყეებს გააჩნიათ ნიადაგდაცვითი, წყალშენახვითი და საკურორტო მნიშვნელობა.

1900-2000მ ზემოთ სუბალპური მდელოებია, სადაც გავრცელებულია: ბასრისპირა, ნემსიწვერა, გერანიუმი, შვრიელა, წივანა, დიყი, დეზურა, შროშანა და სხვ.

ბუჩქოვნებიდან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გავრცელებულია: დეკა, ისელი, მაჯაღვერი. აღსანიშნავია, რომ მდელოებს მუნიციპალიტეტში იყენებენ საზაფხულო საძოვრებად.

მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელია ბარისა და მთის ტყეების აგრეთვე მაღალმთის სუბალპური მდელოების ცხოველები. დღესდღეობით მათი რაოდენობა ადამიანის ზეგავლენით მკვეთრადაა შემცირებული. მაღალმთიან მდელოებზე ბინადრობს კურდღელი, შურთხი, მთის ტოროლა და სხვ. ტყის ზონაში გავრცელებულია ჭანური დათვი, მგელი, მელა, კვერნა, ტყის კატა, შველი და გარეული ღორი; ფრინველებიდან – ქორი, ძერა, ჯაფარა და შაშვი.

ბარში მცირე რაოდენობით არიან: ტურა, მაჩვი, ზღარბი. მდინარეებში ბევრია: წვერა, ღორჯო, კეფალი, კალმახი. ჭაობიანი უბნებისათვის დამახასიათებელია ჭაობის კუ, ბაყაყი, ტრიტონი, ტბორებში – ლიმეა.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში არის სამი დაცული ტერიტორია: მტირალას ეროვნული ტყე–პარკი, კინტრიშისა და ქობულეთი დაცული ტერიტორიები.

მუნიციპალიტეტში თავისი ბიომრავალფეროვნებით გამორჩეულია კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი, თიკერის აღკვეთილი თავისი ფლორითა და ფაუნით, ასევე იშვიათი მცენარეებითაა სავსე ისპაანის ჭაობი.

ძირითადი ლანდშაფტები.1. სანაპირო ქვიშიან–ხრეშიანი დიუნური ზოლი ფსამოფილური მცენარეულობით; 2. ჭაობი ტორფიან ჭაობიანი ნიადაგურ–მცენარეული საფარით; 3. დაჭაობებული ვაკე–დაბლობი უმთავრესად მურყნარებითა და ლამიან ჭაობიანი ნიადაგებით; 4. დახრილი ვაკე–დაბლობი კოლხური მცენარეულობით ალუვიური და ეწერი ნიადაგებით; 5. ბორცვიანი მთისწინეთი კოლხური მცენარეულობით, წითელმიწა და ყვითელმიწა ნიადაგებით; 6. საშუალო მთების წიფლის ტყეებითა და ტყის ყომრალი ნიადაგებით; 7. საშუალო მთები წიფლნარ–მუქწიწვიანი ტყეებით, ტიპური და გაეწრებული ტყის ყომრალი ნიადაგებით.

8 ბუნებრივი რესურსები

8.1 მიწის ფონდი

2004 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით ქობულეთის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო და საცხოვრებელი დანიშნულებით გამოიყენებოდა 21 170 ათასი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი, რაც შეადგენს მთელი მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 29,4%–ს. მიწის გამოყენების დაბალი მაჩვენებლის ძირითადი მიზეზია მუნიციპალიტეტის რელიეფი და მუნიციპალიტეტში არსებული დაცული ტერიტორიები. რელიეფის ძირითადი ნაწილი შეადგენს დაჭაობებულ ტერიტორიებს, ციცაბო მთებისა და ფერდობებს. დაცული ტერიტორიების ფართობი შეადგენს 30252 ჰექტარს ანუ მთელი მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 42%–ს.

ცხრილი № 8.1. მიწის ფონდის გამოყენების მაჩვენებლები 2004 წლის 01 იანვრის მდგომარეობით

№				კერძო საკუთრებაში არსებული მიწები	სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწები მათ შორის:		სულ	ადმინისტრაციული საზღვრის გარეთ სარგებლობაში არსებული მიწები	ადმინისტრაციული საზღვრის შიგნით სხვის სარგებლობაში არსებული მიწები	სულ
					სასოფლო სამეურნეო დანიშნულების	არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების				
1	სასოფლო სამეურნეო სავარგულები მათ შორის:			3629	12082	355	16066	0	3510	19576
	1.1.	სახნავი		244	1920	65	2229			2229
	1.2.	მრავალწლიანი ნარგავები		2953	5392	290	8635	0	0	8635
		1.2.1.	ხეხილის ბაღები	222	11	1	234			234
		1.2.2.	ჩაი		3528		3528			3528
		1.2.3.	ციტრუსები	2198	1367	10	3575			3575
		1.2.4.	ტუნგი		268		268			268
		1.2.5	სხვა	533	218	279	1030			1030
	1.3.	ნასვენი		280	1456		1736			1736
	1.4.	სათიბი		65	237		302			302
	1.5.	საძოვრები		87	3053		3140		3510	6650
	1.6.	მელიორირებული მიწები			24		24			24
2	ტყეები				5490	38546	44036			44036
3	მინდორსაცავი ტყის ზოლები				183	294	477			477
4	ბუჩქნარები			117	2379	46	2542			2542
5	წყლები				338	207	545		2	547
6	ჭაობები				526	238	764			764
7	გზებით დაკავებული ტერიტორიები				789	242	1031		7	1038
8	შენობებით დაკავებული მიწები			261	832	501	1594			1594
9	სხვა დანარჩენი გამოუყენებელი				1016	278	1294		132	1426
სულ				4007	23635	40707	68349	0	3651	72000

წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო;

ახალი მიწის ნაკვეთების ათვისება არამარტო სირთულეებთანაა დაკავშირებული არამდე პრაქტიკულად შეუძლებელიცაა. მუნიციპალიტეტის დანარჩენი ტერიტორია დაკავებულია ტყეების, ბუჩქნარების, ჭაობების და ჯერჯერობით აუთვისებელი ტერიტორიებით.

8.2 წყლის რესურსები

8.2.1 მდინარეები

ქობულეთის მუნიციპალიტეტის, როგორც მთლიანად აჭარის შიგა წყლების და მათ შორის მდინარეების, მინერალურ და თერმული წყლების ხასიათი განპირობებულია რთული გეოლოგიური აგებულებით, რელიეფის და კლიმატის თავისებურებით. ზემოაღნიშნული პირობები გავლენას ახდენს ჩამონადენის სისწრაფეზე, ქიმიურ შემადგენლობაზე და ჩამონადენის მოდულზე.

ქობულეთში, ძირითადად, მთის ტიპის მდინარეები გვხვდება. რელიეფის ძლიერი დანაწევრების გამო მდინარეების სიგრძე მოკლეა და მათ მიერ დაკავებული აუზის ფართობი მცირე. მუნიციპალიტეტის არცერთი მდინარე სათავეს არ იღებს მუდმივი მყინვარის და თოვლის ტერიტორიიდან. მდინარეები, უმეტესად, იკვებებიან მიწისქვეშა წყლების, წვიმის და თოვლის ნადნობი წყლებით, ამიტომაც მათ გაზაფხულსა და შემოდგომაზე წყალდიდობები ახასიათებთ. მდინარეები ხასიათდება დიდი ვარდნით, ჩქარი დინებით, ზოგიერთ მონაკვეთზე ისინი მიედინება ვიწრო და ღრმა ხეობებში, ქმნის ჭორომებს და ჩანჩქერებს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა მნიშვნელოვანი მდინარე წარმოადგენს მდინარე აჭარისწყლის შენაკადს და ჩაედინება შავ ზღვაში (ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მდინარეების შესახებ მოცემულია № 1 დანართში).

8.2.1 ტბები

კინტრიშის ნაკრძალში, ხინოს მთის მიდამოებში, ზღვის დონიდან 2050 მეტრზე განლაგებულია სარბიელის ტბა, მასთან ახლოსაა ასევე ტბიყელისა და სიძერძალის ტბები. ტბიყელის ტბა ზღვის დონიდან 1900-2000 მეტრზე მდებარეობს. ტბას გააჩნია ოვალური ფორმა, მისი მაქსიმალური სიღრმე 18-20 მეტრს აღწევს. ტბიყელის ტბა ატმოსფერული ნალექებით, გამდნარი თოვლითა და მიწისქვეშა წყლებით იკვებება. წყლის ტუტე-მჟავიანობა (pH) 7-ის ტოლია. ტბის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მიწისქვეშა არხის გავლით ტბიდან გამოედინება 4 წყარო და მათგან იქმნება პატარა მდინარე. ტბაში მცირე რაოდენობით არის წყლის ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლები.

სოფელ ხინოში მდებარეობს შავი ტბა, რომლის ფართობი 21 648 კვადრატული მეტრია მაქსიმალური სიღრმე კი 7 მეტრი.

8.2.1 მინერალური და თერმული წყლები

მინერალური და თერმული წყლების ფორმირება დაკავშირებულია ზედაპირული წყლების ღრმად ჩაჟონვასთან ტექნიკური რღვევის ზონებში. სიღრმეში ეს წყლები ცხელდება და მათი ნაწილი ხელშემწყობ გეოლოგიურ ზონებში ზედაპირზე ამოდის.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მინერალური და თერმული წყლების შემადგენლობის, მდებარეობის და მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში № 8.2.

ცხრილი 8.2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მინერალური და თერმული წყლები

№	მინერალური/თერმული წყაროს ადგილმდებარეობა	წყლის ტიპი ქიმიური შემადგენლობის მიხედვით	დებეტი (ლიტრი/დღე-ღამეში)	ტემპერატურა (°C)	pH (ტუტე-მჟავიანობა)	შენიშვნა
1	ხალა	სულფატურ-ჰიდროკარბონატული ნატრიუმიან-კალციუმიანი	2100	12	7.0	
2	შუაღელე	გოგირდწყალბადიანი, ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული ნატრიუმიანი	1500	18	7.4	
3	ლანჩას აბანო (კვირიკე)	გოგირდწყალბადიანი, ჰიდროკარბონატულ- ქლორიდული ნატრიუმიანი	6000	16	7.6	
4	აბანოს ღელე (ხუცუბანი)	გოგირდწყალბადიანი, ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული ნატრიუმიანი	2000	15	7.2	
5	ჩაქვი	გოგირდწყალბადიანი, ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული ნატრიუმიან-კალციუმიანი	12000	14	6.0	

საინფორმაციო წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო;
გურამ ხომერიკი, ტარიელ ტუსკია, აჭარის გეოლოგიური აგებულება და სასარგებლო წიაღისეული, გამომცემლობა „ალიონი“, ბათუმი, 2005.

გარდა ამისა ქობულეთის მუნიციპალიტეტში გამოვლენილია პერსპექტიული თერუმლი წყლების ფართობი სოფელ ციხისძირის მიდამოებში, ჭაბურღილების პროგნოზირებული სიღრმე 3000-3500 მეტრია, წყლის მოსალოდნელი ტემპერატურა კი 80-90 გრადუსია. წყლის გამოყენება შესაძლებელი იქნება როგორც ქალაქის კომუნალური მეურნეობისთვის, ასევე ენერგეტიკასა და სოფლის მეურნეობაში.

8.2.1 წყალაღების, სუფთა წყლის გამოყენების, წყალჩაშვების მდგომარეობა, წყლის დაბინძურების კერები

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ზღვის სანაპირო ზოლისა და მდინარეთა დამაბინძურებას იწვევს მჭიდროდ დასახლებული პუნქტების, საყოფაცხოვრებო და საკანალიზაციო წყლები. გამოყენებული წყლების დადგენილი წესით გაწმენდა არ ხდება, ისინი გაუწმენდავად ჩაედინებიან მდინარეში და აბინძურებენ მას.

არანაკლებ მნიშვნელოვანი დაბინძურების წყაროა მოსახლეობის მიერ მდინარეთა კალაპოტებში მოწყობილი თვითნებური ნაგავსაყრელები.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 3 შედარებით დიდი ზომის წყლის გამწმენდი ნაგებობა, რომელთა საერთო საპროექტო სიმძლავრე 145 $მ^3$–ს შეადგენს.

8.3 სასარგებლო წიაღისეული

ქობულეთის მუნიციპალიტეტში ცნობილია სხვადასხვა სახის სამშენებლო–საყალიბე (ცეცხლგამძლე) თიხების რამდენიმე საბადო.
ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცირე მასშტაბებით, გამოვლენილია ლეღვას, მუხაესტატეს, ოჩხამურის, ცეცხლაურის და ხინოს მიდამოებში ბეტონის თიხები.
მნიშვნელოვანია კირის მარაგებიც, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია მშენებლობაში, რადგანაც მისგან გამომდინარე წარმოება 2,5-ჯერ ენერგოტევადი და ეკონომიურია.
კირის ნედლეული გვხვდება კინტრიშის ხეობაში, სოფელ ხინოსთან.
აღსანიშნავია ლატერიტების[1] გამოვლინება მდინარე ჩაქვისწყლის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროებზე. გასული საუკუნის ოცდათიან წლებში ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ ლატერიტების კირთან და კვარცის ქვიშასთან ნარევი იძლევა მაღალი მექანიკური მდგრადობის ჰიდრავლიკურ ცემენტს, ლატერიტების გამოყენებით ასევე შესაძლებელია წყალგაუმტარი, წყალმდგრადი და სწრაფადმყარებადი ცემენტების მიღება. ქობულეთის მუნიციპალიტეტში არსებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოები და მადანგამოვლინებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია დანართი № 2–ში.

2011 წლის 1 ივნისის მონაცემებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების უწყებრივი სალიცენზიო რეესტრის მონაცემების მიხედვით, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე გაცემული ლიცენზიების შესახებ ინფორმაცია მოცემულია დანართ № 3–ში.

8.4 ტყის რესურსები

ქობულეთის მუნიციპალიტეტში ტყის რესურსების საკმაო რაოდენობისაა და ტყიანობის კოეფიციენტი 65%-ს აღემატება. პრაქტიკულად არ ხდება ტყის განახლება.

[1]ლატერიტი– ნოტიოტროპიკული და სუბტროპიკული ჰავის პირობებში ლატერიტიზაციის შედეგად წარმოქმნილი ალუმინისილიკატების გამოფიტვის ელუვიური პროდუქტი.

ცხრილი № 8.3. ტყის ფართობი და სატყეო უბნების მონაცემები ქობულეთის მუნიციპალიტეტში (2005-2010 წლების პერიოდისათვის)

ტყის ფართობი (ჰა)	სატყეო უბნების რაოდენობა	კვარტლების რაოდენობა სატყეო უბანში
23 790,80	4	130

საინფორმაციო წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო

ცხრილი 8.4 ტყის მერქნული რესურსები ქობულეთის მუნიციპალიტეტში-სახეობები, ფართობები, მარაგი

სახეობა	ფართობი (ჰა)	მარაგი (მ³)	ფართობი (%)	მარაგი (%)
წიწვოვანი:				
სოჭი	622	311900	2,67	5,66
ნაძვი	120	33700	0,52	0,61
ფიჭვი	17	2000	0,07	0,04
კრიპტომერია	116	18700	0,50	0,34
სულ წიწვოვანი	**875**	**366300**	**3,76**	**6,65**
ფოთლოვანი:				
წიფელი	12769	4089400	54,85	74,19
მუხა	3		0,01	0,00
რცხილა, ჯაგრცხილა	1264	127900	5,43	2,32
წაბლი, კაკალი	2350	413700	10,09	7,51
ნეკერჩხალი, იფანი, თელა	29	7600	0,12	0,14
თხმელა	3579	446500	15,37	8,10
ვერხვი, ტირიფი	2	100	0,01	0,00
ხე-ტიტა	35	6600	0,15	0,12
ცაცხვი	98	12900	0,42	0,23
აკაცია, გლეგიჩია	12	1700	0,05	0,03
ბზა, ევკალიპტი	106	11700	0,46	0,21
ბუჩქნარი	2157	27900	9,27	0,51
სულ ფოთლოვანი	**22404**	**5146000**	**96,24**	**93,35**
სულ სახეობები	**23279**	**5512300**	**100,00**	**100,00**

საინფორმაციო წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძირითადად წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყის მასივებია, რომელთაგანაც ყველაზე მეტად გავრცელებულია წიფელი, წაბლი და კაკალი, აღნიშნულ სახეობებს გონივრული გამოყენების შემთხვევში ეკონომიკური სარგებლის მიიღების დიდი პოტენციალი გაჩნიათ.

8.4.1 ტყის რესურსების დაცვის მდგომარეობა:

უნებართოდ მოჭრილი ხეების რაოდენობა, ანალიზურ პერიოდში, რეგრესულ დინამიკაზე მიუთითებს გასულ წლებში მიყენებული ზიანი გარემოზე საკმარისად დიდია და საჭიროებს ახალი ნარგავევების დარგავს, რათა შემცირდეს გარემოზე უარყოფითი გავლენა.

ცხრილი 8.5. უნებართვოდ მოჭრილი ხე ტყის მოცულობა ქობულეთის მუნიციპალიტეტში (2005-2010 წწ.)

წელი	უნებართვოდ მოჭრილი ხე ტყის მოცულობა (მ³)
2005	410
2006	543
2007	389
2008	100,6
2009	202,4
2010	147,3

საინფორმაციო წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო

ცხრილი 8.6. უნებართვო ჭრები ქობულეთის მუნიციპალიტეტში (2009-2010 წწ)

	უნებართვო ჭრების შემთხვევათა რაოდენობა	უნებართვო ჭრები (მ³)			სექვესტრს დაქვემდებარებული ხე-ტყე (მ³)		
წელი		მასალა	შეშა	სულ	მასალა	შეშა	სულ
2009	79	41,4	161	202,4	1	16,5	17,5
2010	34	17,5	129,8	147,3	4,1	7,7	11,8

საინფორმაციო წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო

2009-2010 წლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ნებართვით დაიშვა სპეციალური და მოთხრილ-მოტეხილი ხე-ტყის ჭრები.

ცხრილი 11. სპეციალური და მოთხრილ-მოტეხილი ხე-ტყის ჭრები ქობულეთის მუნიციპალიტეტში (2009-2010 წწ)

	სამმართველოს ნებართვით (მ³)			ათვისებულია ხე-ტყე (მ³)			
წელი	**მასალა**	**შეშა**	**სულ**	**მასალა**	**შეშა**	**სულ**	**შესრულება (%)**
2009	808	13662	14470	781	11739	12520	87
2010	193	17860	18053	167	8824	8991	50

საინფორმაციო წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო

ათვისების არსებული მაჩვენებელი ძირითადად განპირობებულია გამოყოფილ ტყეკაფებში სატყეო-სამეურნეო მნიშვნელობის გზების სიმცირით და არსებულის დაზიანებით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ნაწილი სარგებლობს ბუნებრივი აირით, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს გურიის რეგიონიდან შემოტანილი შეშის მოცულობაც.

8.4.1 ტყეების სანიტარულ-ეკოლოგიური მდგომარეობა

აჭარის ტყის მასივები (როგორც წიწვოვანი, ასევე ფოთლოვანი კორომები), მათ შორის ქობულეთის მუნიციპალიტეტში, დაავადებულია სხვადასხვა მავნებლებით: წაბლის ქერქის კიბო (Criphonectria parasitica), ნაძვის დიდი ლაფანჭამია (Dendroctonus micans), მბეჭდავი ქერქიჭამია (Ips typographus), კენწეროს ქერქიჭამია (Ips acuminatus), სიდამპლის გამომწვევი სოკოები-Phelinnus pini, Armillaria mellea (მანჭკვალა) და სხვა.დაავადებებს გააჩნიათ მრავალი კერა და გამოირჩევიან მაღალი ინტენსივობით.

ცხრილი 12. ტყის დაავადებულიდა მეჩხერი ფართობი ქობულეთის მუნიციპალიტეტში (2010 წ.)

ტყის საერთოფართობი (ჰა)	მათ შორის დაავადებული ტყეებიდან (ჰა)	დაავადებული ტყის ფართობის წილი ტყის საერთო ფართობში (%)	მეჩხერი ტყეებიდან (ჰა)	მეჩხერი ტყის ფართობის წილი ტყის საერთო ფართობში (%)	ფაბლიანნაგვა	ხეების საერთო რაოდენობა დაავადებულებებში (ცალი)	ხე-ტყის მარაგი დაავადებულებებში (მ3)	დაზიანებული მოსაჭრელი მარაგი დაავადებულ უბნებში (მ3)
23 790,80	4 163	17,50	245	1,03	წაბლი, ნაძვი, სოჭი	954 825	574 915	49 563

საინფორმაციო წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო

ქობულეთის მუნიციპალიტეტში არის სამი დაცული ტერიტორია: კინტრიშის დაცული ტერიტორიები, მტირალას ეროვნული ტყე–პარკი და ქობულეთის დაცული ტერიტორიები.

8.5 სტიქიურ-გეოლოგიური მოვლენები

სტიქიურ-გეოლოგიური მოვლენების გააქტიურებაში მოქმედებს რამდენიმე ფაქტორი: კლიმატური, გეოლოგიური და ადამიანის სამეურნეო საქმიანობით გამოწვეული. ტერიტორიები წარმოადგენენ გორაკ-ბორცვიან რელიეფს. ტერიტორიების გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას იღებენ შუა ეოცენის ასაკის ვულკანოგენური ტუფობრექჩიები, ბრექჩიები, ტუფები და სხვადასხვა წარმოშობის ვულკანოგენური წარმონაქმნები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში გადაფარულია მეოთხეული ასაკის დელუვიური ნალექებით, თიხა-თიხნარებით და სხვადასხვა უხეშნატეხოვანი მასალების

ჩანართებით, ხოლო მდინარეთა ხეობებში-ალუვიური ნალექებით. ვულკანოგენური წარმონაქმნები უმეტეს შემთხვევაში ქიმიურად გამოფიტულია და ხასიათდებიან მკვეთრად დაქვეითებული ფიზიკურ-მექანიკური თვისებებით. ეს გარემოება ხელსაყრელ პირობას ქმნის სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარებისათვის. ამ პროცესების განვითარებაში დიდ როლს თამაშობს ასევე რელიეფის მორფოლოგია. გრავიტაციული პროცესები (ჩამოქცევა, მეწყერი, ჩამოშლა) უმეტესად ვითარდება ციცაბო რელიეფის პირობებში, რომლის დახრის კუთხე 25%-ს აღემატება. ფერდობების მდგრადობისა და მეწყრული პროცესების განვითარების უმთავრესი კრიტერიუმი არის ფერდობების ამგები ქანების გაწყლიანება ჭარბი ატმოსფერული ნალექებით. ქანების გაწყლიანება ხდება როგორც ზედაპირული, ასევე გრუნტის წყლებით, რომელთა დონეები მნიშვნელოვნად შეივსო ჩანაჟონი წყლებით. ფერდობების ამგები ქანების გაწყლიანება-გადამძიმებამ გამოიწვია ისედაც სუსტი სტატიკური წონასწორობის დარღვევა და გრავიტაციული პროცესების განვითარება. აღსანიშნავია, რომ დაზიანებული ფართობების უმეტესობა გამოყენებულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად, რაც დიდ ზეგავლენას ახდენს მეწყრული პროცესების აქტივიზაციაზე. სადრენაჟო არხები არ არის გაყვანილი სასოფლო გზების გასწვრივაც, რის გამოც წარმოქმნილი ღვარცოფული ნაკადები მიედინებიან უსისტემოდ და ხელს უწყობენ გეოლოგიური პროცესების აქტივიზაციას.

საშიში ბუნებრივი პროცესების განვითარება, ბოლო პერიოდში, გამოწვეულია ასევე წარსულში ადამიანის მიერ პერსპექტივაში გაუთვალისწინებელი ინტენსიური შეტევით ბუნებაზე. XX საუკუნის 50-იანი წლებიდან სახელმწიფომ და კერძო პირებმა მდინარეთა ხეობებიდან ინტენსიურად დაიწყეს ქვებისა და ხრეშის ამოღება საცხოვრებელი სახლების და სამრეწველო ობიექტების მშენებლობისათვის, აგრეთვე საძირკვლის და გზების მყარი გრუნტის შექმნისათვის. მოსახლეობის მაღალმა ბუნებრივმა მატებამ გამოიწვია დიდი, დახრილობის 25-40^0-იანი ფერდობების ათვისება საკარმიდამო ნაკვეთებისა და საცხოვრებელი სახლების მოწყობისათვის. მთიან პირობებში ტყეების გაჩეხვამ მშენებლობისა და შეშისათვის დიდი უარყოფითი გავლენა მოახდინა ეკოსისტემაზე. აგრეთვე აღსანიშნავია აფეთქებით და მძიმეწონიანი ტრაქტორებით გზების გაყვანა სოფლებში და ალპურ საძოვრებზე, ალპური საძოვრების გადატვირთვა ჭარბი პირუტყვის ძოვებით და სხვა. ჭარბი დასახლების გამო, ხშირად ახალი მოსახლეობა დასახლებას იწყებს წინასწარ შესწავლილ სარისკო მეწყერულ უბნებზე, ადგილებზე, სადაც არის ღვარცოფისა და ზვავის საშიშროება.

ცხრილი№14. ქობულეთის მუნიციპალიტეტში სტიქიურ-გეოლოგიური პროცესების განვითარების ზონები და რისკფაქტორიანი უბნები

სოფელი	**გეოლოგიური პროცესი**	**საშიშროების ხარისხი**	**ობიექტები, რომლებიც შესაძლებელია მოექცნენ საშიშ ზონაში**	**საინჟინრო-გეოლოგიური თვისებები**
ხალა	მეწყერი, ეროზიული მოვლენები	მაღალი	საცხოვრებელი სახლები, საკარმიდამო	იმეწყრება ტუფობრექჩიები, ლატერიტიზირებული
ჩაისუბანი				
სახალვაშო				

			ნაკვეთები და ქობულეთი-ბათუმის გვირაბის მიმდებარე ტერიტორიაზე საავტომობილო გზა	თიხა-თიხნარები, რასაც ხელს უწყობს ჭარბი ატმოსფერული ნალექების მოსვლა
ხუცუბანი	მეწყერი, გვერდითი ეროზია	მაღალი	საცხოვრებელი სახლები და საკარმიდამო ნაკვეთები	რთული გეოლოგიურ-გეომორფოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები, ქანების დაბალი ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლები, იმეწყრება ლატერიტიზირებული თიხა
სოფელი ქობულეთი	მეწყერი, ფართობული ეროზია	მაღალი	საცხოვრებელი სახლები და საკარმიდამო ნაკვეთები	ქანების დაბალი ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლები, იმეწყრება ლატერიტიზირებული თიხა
კვირიკე	მეწყერი	საშუალო	საცხოვრებელი სახლები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და შიდასაუბნო გზები	რთული გეოლოგიურ-გეომორფოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები, ქანების დაბალი ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლები, იმეწყრება ლატერიტიზირებული თიხა
აჭყვისთავი	მეწყერი	საშუალო	საცხოვრებელი სახლები და საკარმიდამო ნაკვეთები	რთული გეომორფოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები განაპირობებს მეწყრული პროცესების გააქტიურებას
საჩინო	მეწყერი	საშუალო	საცხოვრებელი სახლები და საკარმიდამო ნაკვეთები	რთული გეომორფოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები განაპირობებს მეწყრული პროცესების გააქტიურებას
ჩაქვის ციტრუსების მეურნეობა	მეწყერი	მაღალი	საცხოვრებელი სახლები, გზები, საკარმიდამო ნაკვეთები, მდინარეთა ნაპირების გარეცხვა	ქანების დაბალი ფიზიკურ-მექანიკური თვისებები ხელს უწყობს მეწყრული პროცესების განვითარებას
ზედა აჭყვა	მეწყერი	მაღალი	საცხოვრებელი სახლები და საკარმიდამო ნაკვეთები	ფერდობი იმყოფება მაღალი რისკის ზონაში, იმეწყრება შუა ეოცენის ვულკანოგენები,

				გადაფარული მძლავრი ალუვიურ-დელუვიური საფარით
ქვედა აჭყვა	მეწყერი	მაღალი	საცხოვრებელი სახლები და საკარმიდამო ნაკვეთები	იმეწყრება ტუფობრექჩიების გადამფარავი ლატერიტიზირებული გრუნტი

საინფორმაციო წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო;

2010 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ ავტონომიური რესპუბლიკის მასშტაბით მიმდინარეობდა სტიქიის შედეგად დაზიანებული შენობებისა და მიწის ნაკვეთების შესწავლა. მონიტორინგის შედეგად მომზადებული დასკვნების მიხედვით, ქობულეთის მუნიციპალიტეტში ადგილმდებარეობის შეცვლას (უსაფრთხო ადგილზე გადატანას) ექვემდებარება 114 სახლი.

9 დემოგრაფია

9.1 მოსახლეობის ზრდის დინამიკა და გეოგრაფიული სტუქტურა

2010 წლის პირველი იანვრის მონაცემებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნებამ 91,1 ათას კაცი შეადგინა, ხოლო 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებით ეს მაჩვენებელი 88,1 ათას კაცს შეადგენდა. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მოსახლეობის საყოველთაო აღწერა უკანასკნელად 2002 წელს ჩატარდა, ხოლო მას შემდეგ მოსახლეობის რიცხოვნების დადგენა შობადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლების მიხედვით ხდება, რაც საერთო ჯამში იძლევა იდეალურთან მიახლოებული სურათის ხილვის შესაძლებლობას (იხ. დიაგრ. 9.1)

დიაგრამა 9.1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა (ათასი კაცი)



რაც შეეხება ოჯახების რაოდენობას, ბოლო მონაცემებით მუნიციპალიტეტში 20198 ოჯახია. მოსახლეობა ეროვნების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად: მოსახლეობის 96 %–ი ქართველია, 1,1 %–ი – სომხები, 0,9%-ი – რუსები, ხოლო 2 %–ი სხვა ეროვნების (იეზიდი, აფხაზი, ბერძენი, აზერბაიჯამელი, ოსი).

2010 წლის პირველი იანვრის მონაცემების მიხედვით ქობულეთის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.კმ–ზე შეადგენს 126,5 კაცს. რაც შეეხება შინამეურნეობების სიმჭიდროვეს ის შეადგენს 30–ს 1კვ.კმ–ზე.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის სიმჭიდროვე ძალიან მაღალია, სავარგულების ზრდა კი, მისი შეზღუდული რესურსების გამო, პაქტიკულად შეუძლებელი.

9.2 მოსახლეობის განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით

სქესთა ბალანსში ბუნებრივი განაწილება შენარჩუნებულია - მოსახლეობის 50,9% ქალი, ხოლო 49,1 % კაცია. (იხ. ცხრილი № 9.1)

ცხრილი №9.1 ქობულეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა სქესისა და ასაკის მიხედვით (მოსახლეობის 2002 წლის აღწერით)

	ორივე სქესი	კაცი	ქალი	%–ული წილი	
				კაცი	ქალი
სულ	88063	43268	44795	49.1	50.9
0-4	5045	2714	2331	53.8	46.2
5-9	6897	3551	3346	51.5	48.5
10-14	8256	4219	4037	51.1	48.9
15-19	8092	4004	4088	49.5	50.5
20-24	7238	3736	3502	51.6	48.4
25-29	7017	3558	3459	50.7	49.3
30-34	6804	3428	3376	50.4	49.6
35-39	6979	3514	3465	50.4	49.6
40-44	6527	3209	3318	49.2	50.8
45-49	5322	2587	2735	48.6	51.4
50-54	4604	2217	2387	48.2	51.8
55-59	3137	1441	1696	45.9	54.1
60-64	4250	1915	2335	45.1	54.9
65-69	3167	1434	1733	45.3	54.7
70-74	2371	964	1407	40.7	59.3
75-79	1296	489	807	37.7	62.3
80-84	606	169	437	27.9	72.1
85-89	254	78	176	30.7	69.3
90-94	117	29	88	24.8	75.2
95-99	53	8	45	15.1	84.9
100 +	31	4	27	12.9	87.1

ასაკობრივ ჯგუფებს შორის ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი 30 წლამდე ასაკის მოსახლეობაზე მოდის.

დიაგრამა 9.2 მოსახლეობის პროცენტული განაწილება ასაკობრივი ჭრილის მიხედვით



40 წლამდე მამაკაცთა პროცენტული წილი მეტია ქალთა პროცენტულ წილზე, ხოლო 40 წლიდან მთლიან მოსახლეობაში ქალთა პროცენტული წილი საგრძნობლად იზრდება, რაც მეტყველებს ქალთა უფრო მაღალ სიცოცხლის ხანგრძლივობაზე.

9.3 ქობულეთის მუნიციპალიტეტში შრომისუნარიანი მოსახლეობა და პენსიონერთა რაოდენობა

მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული სიტუაციის შესწავლის დროს მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა შრომისუნარიანი მოსახლეობის ანალიზს. ქობულეთის მუნიციპალიტეტში შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის წილი შეადგენს საერთო რაოდენობის 66,3 %-ს. აჭარის ა/რ–ის მიხედვით ეს მაჩვენებელი 59,5%-ია. აღსანიშნავია ის ფატრი, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა უფრო ახალგაზრდაა: შრომისუნარიან ასაკზე უფროსია მოსახლეობის საერთო რაოდენობის 10,7%–ი. ეს გამოხატულებას პოულობს საშუალო და მედიანური ასაკის მაჩვენებლებშიც: მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მიხედვით, ქობულეთის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის საშუალო ასაკი იყო 33,4 წელი, მედიანური ასაკი - 30,9 წელი.

ცხრილი 9.2. შრომისუნარიანი მოსახლეობის მედიანური და საშუალო ასაკი. (2002 წლის მოსახლეობის აღწერა)

მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა	**88063**
შრომის უნარიანზე უმცროსი	20198
შრომისუნარიანი	58410
შრომისუნარიანზე უფროსი	9455
მოსახლეობის საშუალო ასაკი	**33,4**
მოსახლეობის მედიანური ასაკი	**30,9**
შრომისუნარიანთა წილი მთლიან მოსახლეობაში	66,3%
შრომისუნარიანზე უმცროსი	22,9%
შრომისუნარიანზე უფროსი	10,7%

ქობულეთის მუნიციპალიტეტში შესაბამისი ასაკის მოსახლეობა სრულად არის უზრუნველყოფილი პენსიით. 2008-2011 წლებში პენსიონერთა რაოდენობისა და მისი სქესობრივი განაწილების შესახებ მოცემულია ცხრილ №9.3–ში. როგორც ცხრილიდან ჩანს 2011 წელს 2010 წელთან შედარებით პენსიონერთა რაოდენობა შემცირდა 311 პენსიონერით. ქობულეთის მუნიციპალიტეტის პენსიონერთა რაოდენობა აჭარის ა/რ–ის პენსიონერთა საერთო რაოდენობის 23 პროცენტია.

ცხრილები 9.3. პენსიონერთა რაოდენობა ქობულეთის მუნიციპალიტეტში

წელი	სულ	კაცი	ქალი	%–ული წილი	
				კაცი	**ქალი**
2008	14814	5607	9207	37.8	62.2
2009	15116	5714	9402	37.8	62.2
2010	15175	5677	9498	37.4	62.6
2011	14864	5566	9298	37.4	62.6

პენსიონერთა სქესთაშორისი ბალანსი ყოველ წელს თითქმის თანაბარია - 37,6 % კაცი, ხოლო 63,4%–ი ქალია (რასაც მნიშვნელოვნად განაპირობებს ქალთა დაბალი საპენსიო ასაკით).

მოცემული პენსიონერებიდან მხოლოდ 10608 პენსიონერი იღებს პენსიას ასაკის მიხედვით, 3562 პენსიონერი – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია, 591-მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრი და 103 – პოლიტ.რეპრესირებული.

2011 წლის მონაცემებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 16,3%–ი პენსიონერია, რაც თითქმის უტოლდება მთლიანად რეგიონის ანალოგიურ მაჩვენებელს (16,4%).

რაც შეეხება გასაცემი პენსიის ჯამურ თანხას, მისი რაოდენობა საკმაოდ მაღალია და ერთ თვეში 1 369 708 ლარს შეადგენს (რაც აჭარის ა/რ–ში გაცემული საპენსიო თანხის 23,5%–ს შეადგენს).

9.4 ბუნებრივი მატება

მოსახლეობის რაოდენობის ყოველწლიური მაჩვენებლის გაანგარიშებაში მნიშვნელოვანია მოსახლეობის ბუნებრივი მატების მონაცემები (განსხვავება შობადობასა და გარდაცვალებას შორის). ქობულეთის მუნიციპალიტეტში ბუნებრივი მატების კოეფიციენტი საკმაოდ დაბალია და ჩამორჩება სხვა მუნიციპალიტეტების ანალოგიურ მაჩვენებელს. 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბუნებრივი მატების კოეფიციენტი 8,4 პრომილეს შეადგენს. 2010 წლის 1 იანვრის მონაცემებით 2006 წელთან შედარებით შობადობის მაჩვენებელი დაახლოებით 34,8 %–ით გაიზარდა.

დიაგრამა 9.3. მოსახლეობის ბუნებრივი მატება



ბუნებრივ მატებას და შობადობის მაჩვენებლის ზრდა უმთავრესად განაპირობებულია მუნიციპალიტეტში ახალშექმნილი ოჯახების მატებით. აჭარის არ–ში ქორწინებათა რაოდენობით ერთ–ერთ დაწინაურებულ მუნიციპალიტეტს წარმოადგენს ქობულეთის მუნიციპალიტეტი. განქორწინების მაჩვენებელი, როგორც დიაგრამიდან ჩანს ქორწინებების პარალელურად იზრდება და სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით მაღალი მაჩვენებელია.

დიაგრამა №9.4 ქორწინებისა და განქორწინების დინამიკა



9.5 სოციალური მდგომარეობა

2011 წლის სექტემბრის მონაცემებით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 46,2 %–ი (სულ 42064 ადამიანი) თავს მიიჩნევს ღარიბად და დარეგისტრირებულია სოციალური მომსახურების სააგენტოში საარსებო შემწეობის მისაღებად. იგივე მაჩვენებელი მთლიანად აჭარის მასშტაბით კი 43 %-ია.

2011 წლის სექტემბრის თვეში საარსებო შემწეობის მისაღებად დარეგისტრირებული მოსახლეობის მხოლოდ 11,5%–ი იქნა დაკმაყოფილებული საარსებო შემწეობით, რაც მთლიანი მოსახლეობის 5,3%–ს შეადგენს. მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში სულ საარსებო შემწეობა მიიღო 1210 ოჯახმა (4854 კაცი); საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახებზე გადარიცხული თანხის ოდენობა 153078 ლარს შეადგენდა. მოცემული თანხა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ერთ ოჯახზე საშუალოდ 126,5 ლარია. აღნიშნული მაჩვენებელი მთლიანად აჭარის ა/რ–ისათვის მოცემული მაჩვენებელი საშუალოდ 124 ლარია. შესაბამისად საარსებო შემწეობა საშუალოდ ერთ ადამიანზე 31,5 ლარია.

10 ინფრასტრუქტურა

ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპის ერთ–ერთი მახასიათებელს ინფრასტრუქტურა წარმოადგენს. ამ კუთხით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის ანალიზი.
ანალიზი საშუალებას იძლევა შეფასდეს ინფრასტრუქტურის მდგომარეობა და მისი რეაბილიტაციის/მშენებლობის საჭიროება.

10.1 საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა

ქობულეთის მუნიციპალიტეტში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა გაანალიზებულია საავტომობილო და საგზაო ინფრასტრუქტურის სახით.
ქობულეთის მუნიციპალიტეტზე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები.
ქობულეთის მუნიციპალიტეტში გადის საერთაშორისო მნიშვნელობის „სენაკი–ფოთი სარფის“ საავტომობილო გზა. ქობულეთის მუნიციპელიტეტის ტერიტორიაზე მისი სიგრძე შეადგენს 26 კმ. „სენაკი–ფოთი სარფის“ საავტომობილო გზა ა/ბეტონის საფარითაა.
შიდასახელმწიფოებრივი საავტომობილო გზებიდან ქობულეთში გადის:

- „საჯავახო–ჩოხატაური–ოზურგეთი—ქობულეთის“ საავტომობილო გზა (19 კმ);
- „ქობულეთი–ჭახათი–დიდვაკის“ საავტომობილო გზა (გზის სიგრძე 42 კმ).

„საჯავახო–ჩოხატაური–ოზურგეთი—ქობულეთის“ სავტომობილო გზა ასფალტო–ბეტონის საფარითაა. „ქობულეთი–ჭახათი–დიდვაკის“ საავტომობილო გზის 5 კმ (12%) მონაკვეთი არის ასფალტო–ბეტონის საფარის, ხოლო 37 კმ (88%) – ხრეშოვანი საფარის.
საავტომობილო გზების („სენაკი–ფოთი–სარფი“, „საჯავახო–ჩოხატაური–ოზურგეთი“, და „ქობულეთი–ჭახათი–დიდვაკის“) საერთო სიგრძიდან 30% (26კმ) არის საერთაშორისო მნიშვნელობის ხოლო 70% (61 კმ) შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა.
„საჯავახო–ჩოხატაური–ოზურგეთი—ქობულეთის“ 19 კმ სავტომობილო გზაზე განთავსებულია 10 ხიდი, საერთო სიგრძით 109 გ/მ, ხოლო „ქობულეთი–ჭახათი–დიდვაკის“42 კმ საავტომობილო გზაზე განთავსებულია 21 ხიდი საერთო სიგრძით 179 გრძივი მეტრი.

ცხრილი № 10.1 ქობულეთის მუნიციპალიტეტში გამავალი საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები

საავტომობილო გზების დასახელება	*გზის (მონაკვეთის) სიგრძე (კმ)*	*მუნიციპალიტეტში გზის (მონაკვეთის) სიგრძე (კმ)*
საერთაშორისო მნიშვნელობის		
სენაკი–ფოთი–სარფი[2]	*46*	26
შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის		
საჯავახო–ჩოხატაური–ოზურგეთი–ქობულეთი[3]	*19*	19
ქობულეთი–ჭახათი–დიდვაკე[4]	*42*	42
სულ	*107*	*87*

საინფორმაციო წყარო: „საქართველოს ს/გ ზების დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოს აჭარის ა.რ. ს/გ ზების დირექცია“

დიაგრამა № 10.1. მუნიციპალიტეტში გამავალი გზის მონაკვეთის სიგრძე



საგზაო ინფრასტრუქტურის შეკეთება/მშენებლობის პროცესი ძალზედ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის სოციალურ–ეკონომიკური განვითარებისათვის. ამ კუთხით საინტერესოა ქობულეთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დასრულებული პროექტების განხილვა–გაანალიზება.

ცხრილებში №10.2, 10.3 და 10.4 მოცემულია 2006-2010 წ.წ. ჩატარებული საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის და მშენებლობის ნუსხა (მათ შორის გზების, გაბიონების, ბეტონის კედლების, ხის ძელყორების და ხიდების).

2006-2010 წ.წ რეაბილიტაცია ჩაუტარდა 28 გზას (გზის მონაკვეთს). გარემონტებული გზების საერთო სიგრძე შეადგენს 74,1 კმ.

მოეწყო 74 გაბიონი (საერთო სიგრძე 1620 გ/მ), 24 ბეტონის კედელი (საერთო სიგრძე 299 გ/მ) და 2 ხის ძელყორი (საერთო სიგრძე 36 გ/მ).

[2] საერთაშორისო მნიშვნელობის „სენაკი–ფოთი–სარფი“ კმ.64+700 – კმ.96+500; კმ.105+კმ.119
[3] საჯავახო–ჩოხატაური–ოზურგეთი–ქობულეთი კმ.54–400-კმ.73–400
[4] ქობულეთი–ჭახათი–დიდვაკე (მამათა მონასტერი) კმ.0-კმ.42

2006-2010წ.წ რეაბილიტაცია ჩაუტარდა 31 ხიდს და აშენდა 15 ახალი ხიდი. მათ შორის ყველაზე დიდი რაოდენობით ხიდების რეაბილიტაცია იწარმოა 2008 წელს.

ცხრილი № 10.2 2005-2010 წ.წ. გაკეთებული ობიექტები

ობიექტი	2006	2007	2008	2009	2010	სულ
გზების რეაბილიტაცია		5	16	5	2	**28**
გაბიონების მოწყობა	2	7	25	11	29	**74**
ბეტონის კედლების მოწყობა	2	3	2	3	14	**24**
ხის ძელყორების მოწყობა					2	**2**
სულ	**4**	**15**	**43**	**19**	**47**	

ცხრილი № 10.3 2005-2010 წ.წ. გაკეთებული ობიექტები

ობიექტი	2005	2006	2007	2008	2009	2010	სულ
გზების რეაბილიტაცია (კმ)			15,6	38	14	6,5	**74,1**
გაბიონების მოწყობა (გ/მ)		66	216	430	265	643	**1620**
ბეტონის კედლების მოწყობა (გ/მ)		38	35	14	47	165	**299**
ხის ძელყორების მოწყობა (გ/მ)						36	**36**
სულ	**0**	**104**	**266,6**	**482**	**326**	**850,5**	

ცხრილი № 10.4 2005-2010 წ.წ. გაკეთებული ობიექტები

	2006	2007	2008	2009	2010	სულ
რეაბილიტაცია	5		13	6	7	**31**
ახალი			8	6	1	**15**

ქობულეთის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს შპს „ქობულეთის ტრანსრეგულირება“, რომლის ბალანსზე სულ 31 სატრანსპორტო საშუალება ირიცხება. მათ შორის 1 მსუბუქი, 7 სამგზავრო და 23 სატვირთო.

მუნიციპალიტეტში მოქმედებს 45 სამარშრუტო ხაზი, მათ შორის: 2 შიდამუნიციპალური, 10 საქალაქთაშორისო და 33 საგარეუბნო. სამარშრუტო ხაზებს ძირითადად ემსახურება ხელშეკრულებით მომუშავე კერძო ავტოტრანსპორტი, 98 ერთეული. 2010 წლის მონაცემებით წლის განმავლობაში საშუალოდ გადაყვანილი იქნა 1 470 960 მგზავრი.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში მდებარეობს რკინიგზის სამი (ქ. ქობულეთის, დაბა ჩაქვისა და დაბა ოჩხამურის) სადგური თბილისი–მახინჯაურისა და სამტრედია მახინჯაურის სარკინიგზო ხაზზე. არსებული სარკინიგზო ხაზები მთელი წლის განმავლობაში ემსახურება მგზავრთა გადაყვანას. მგზავრთა გადაყვანა ხორციელდება არა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში, არამედ სომხეთის მიმართულებითაც (ყველა ზემოაღნიშნული სარკინიგზო ხაზი ფუნქციონირებს ყოველდღიურად).

10.2 საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა სარგებლობს ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიების შპს „მაგთიკომის“, შპს „ჯეოსელის“ და შპს "მობიტელის“ (იგივე ბილაინის) მომსახურებით[5].

ფიქსირებულ სატელეფონო კავშირს უზრუნველყოფს შპს „სილქნეტი“[6], რომლის სატელეფონო მომსახურება ვრცელდება მუნიციპალიტეტის მთლიან გეოგრაფიულ არეალზე. მოსახლეობის დიდი ნაწილი სარგებლობს შპს „მაგთიკომის“ – „მაგთიფიქსის“ ინტერნეტით. ინტერნეტით სრულად არის უზრუნველყოფილი ქალაქი ქობულეთი.

10.3 ენერგეტიკის ინფრასტრუქტურა

ქობულეთის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც აჭარის ვტონომიური რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე, ელექტროენერგიის მიწოდებას უზრუნველყოფს ს.ს. „ენერგო–პროჯორჯია“. მუნიციპალიტეტში მოქმედებს ელექტროენერგიის მიწოდების 24 საათიანი გრაფიკი.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში სს „ენერგო–პრო ჯორჯიას“ აბონენტთა რაოდენობა (2010 წ. 01 აგვისტოს მდგომარეობით) შეადგენს 23 029 აბონენტს; მათ შორის 21 641 ფიზიკური პირი და 1 388 კორპორატიული. გამრიცხველიანებული აბონენტების რაოდენობა შეადგენს 9 991–ს.

სს „ენერგო–პრო ჯორჯიას“ არსებული გეგმით, ინდივიდუალური გამრიცხველიანება უნდა დასრულდეს 2013 წლის ბოლოსთვის, რაც ხელს შეუწყობს საერთო გამრიცხველიანობასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრას.

ქობულეთის მუნიციპალიტეტს, ისევე როგორც მთლიანად აჭარის რეგიონს, დიდი ჰიდროენერგეტიკული რესურსები გააჩნია. მუნიციპალიტეტში არსებულ მდინარეებსა და მათ შენაკადებზე შესაძლებელია მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტრო სადგურების აშენება. ჰიდროელექტრო სადგურების შესახებ ინფორმაცია მოცემულია № ცხრილში.

ცხრილი № 10.5. ჰიდროელექტრო სადგურები და მათი მონაცემები

ელექტროსადგურის სახელწოდება	ელექტროსადგურის სიმძლავრე კვადრატულ ტონებში	ელექტროენერგიის წარმეობა მილიონ კილოვატ/ტონაში	კუთვნილება
კინკიშა	0.74	2.27	სახელმწიფო
აჭი	1.03	2.14	სახელმწიფო

[5] *წყარო: აჭარის ა.რ. სტრატეგიული განვითარების გეგმის დოკუმენტი*
[6] *საქმიანობის სფერო მთლიანად მოიცავს ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებებით მომსახურებას, როგორიცაა ადგილობრივი სატელეფონო კავშირი, საქალაქთაშორისო, ინტერნეტ მომსახურება, სატელეფონო კავშირი და რადიო–უზრუნველყოფა.*

- **ბუნებრივი აირით უზრუნველყოფა**

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და მათ შორის ქობულეთის მუნიციპალიტეტში გაზსადენების გაყვანას, გაზიფიცირებას, მოსახლეობისა და იურიდიული პირების ბუნებრივი აირით უზრუნველყოფას ახორციელებს ორი კომპანია: შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“ და შპს „აჭარის ბუნებრივი აირი“.

შპს „სოკარ ჯორჯიამ“ გაზიფიკაციის სფეროში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 2008 წლიდან 2010 წლის ჩათვლით განახორციელა 13,525 მლნ. ლარის ინვესტიცია. რაც შეეხება მთლიან საინვესტიციო თანხას, რომლის დაბანდებასაც კომპანია აპირებს ბუნებრივი აირის ქსელის მშენებლობაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, იგი განისაზღვრება 30 მლნ. ლარით. მონაცემები შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ მიერ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განხორციელებული ინვესტიციები 2008-2010 წწ. იხილეთ №4 დანართში.

სულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ მიერ 2008-2010 წლებში აშენდა 123 136 გრძივი მეტრი გაზსადენი (აქედან საშუალო წნევის - 90 442 გრძივი მეტრი და დაბალი წნევის-32 694 მეტრი), აქედან ქობულეთის მუნიციპალიტეტში 41 408 გრძივი მეტრი გაზსადენი (საშუალო წნევის - 22 618 გრძივი მეტრი, დაბალი წნევის - 18 790 გრძივი მეტრი). მონაცემები შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ მიერ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აშენებული გაზსადენების შესახებ იხილეთ №5 დანართში.

2011 წელს შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ მიერ დაგეგმილი იყო ინვესტიციების განხორციელება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 16,9 მლნ. ლარის ოდენობით. ასაშენებელი გაზსადენის საერთო ქობულეთის მუნიციპალიტეტში - 21 782 გრძივი მეტრია (20 084 გრძივი მეტრი საშუალო წნევის და 1 698 მეტრი დაბალი წნევის).

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ გაზიფიცირების ქსელში 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჩართული იყო 2912 აბონენტი, მათ შორის ქობულეთის მუნიციპალიტეტში 674 აბონენტი:

ცხრილი № 10.6. შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ აბონენტების რაოდენობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

№	დასახელება	აბონენტების არსებული რაოდენობა			პოტენციური აბონენტების რაოდენობა
		მოსახლეობა	იურიდიული პირები	სულ	
1	**ქობულეთის მუნიციპალიტეტი**	**667**	**7**	**674**	**10 611**
2	სულ	2 852	60	2 912	59 457

საინფორმაციო წყარო: შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

ქობულეთის მუნიციპალიტეტში გაზსადენებით უზრუნველყოფილია მხოლოდ შემდეგ დასახლებულ პუნქტები: ქ. ქობულეთი, სოფელი ხუცუბანი და სოფელი ბობოყვათის ნაწილი. 2012 წლისათვის დაგეგმილია გაზსადენების მშენებლობა შემდეგი მიმართულებით: დაბა ოჩხამური, სოფლები: ციხისძირი, გვარა და ბობოყვათი.

2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შპს „სოკარ ჯორჯია გაზ“-ში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მთლიანად საწარმოო და სამშენებლო პროცესში დასაქმებული იყო 100-მდე თანამშრომელი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში მოსახლეობისა და იურიდიული პირების ბუნებრივი აირით უზრუნველყოფას ასევე ახდენს შპს „აჭარის ბუნებრივი აირი“. აღნიშნული კომპანია ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 2011 წლის 1 იანვრისათვის ფლობდა 158 770 გრძივ მეტრ გაზსადენს, აქედან ქობულეთის მუნიციპალიტეტში 74 700 გრძივ მეტრს. მონაცემები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შპს „აჭარის ბუნებრივი აირის“ საკუთრებაში არსებული გაზსადენების სიგრძის შესახებ იხილეთ № 6 დანართში.

2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შპს „აჭარის ბუნებრივი აირი“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ბუნებრივ აირს აწვდიდა 8 421 აბონენტს, აქედან ქობულეთის მუნიციპალიტეტში 3 138 აბონენტს. მონაცემები შპს „აჭარის ბუნებრივი აირის“ აბონენტების რაოდენობის შესახებ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით იხილეთ № 7 დანართში.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში შპს „აჭარის ბუნებრივი აირის“ ქსელი მოიცავს მხოლოდ ქალაქ ქობულეთს. შპს „აჭარის ბუნებრივ აირში“ დასაქმებულთა რაოდენობა მთლიანად აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შეადგენს 106 კაცს.

2010 წელს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოხმარებულია 11,79 მლნ. მ^3 გაზი, მათ შორის ქობულეთის მუნიციპალიტეტში 3,12 მლნ. მ^3. მონაცემები 2010 წელს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოხმარებული აირის შესახებ იხილეთ № 8 დანართში.

10.4 წყალმომარაგების, სამელიორაციო და საკანალიზაციო ინფრასტრუქტურა

ქობულეთის მუნიციპალიტეტში სულ 12 დამშრობი ქსელი და არხი ფუნქციონირებს, არხების საერთო სიგრძე შეადგენს 67,23 კმ–ს, ხოლო მასზე ჩამოკიდებული ფართობი 2027,6 ჰა–ს. ქობულეთის დამშრობი არხების შიდა ქსელის საერთო სიგრძე 16,2 კმ, ჩამოკიდებული ფართობი 94,6 ჰა. ქობულეთის მუნიციპალიტეტის დამშრობი ქსელებისა და არხების შესახებ, ასევე ქობულეთის მუნიციპალიტეტის დამშრობი არხების შიდა ქსელების შესახევ ინფორმაცია იხ. №9 და №10 დანართებში.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში არსებული სამელიორაციო სისტემების საერთო სიგრძე შეადგეს 380 385 გ/მ, ხოლო მომსახურების ფართობი 787,11 ჰა.

არხების სიგრძის 85 % (325 130 კმ) არის მუშა მდგომარეობაში, ხოლო 15 % (55 255 კმ) არ მუშაობს. არხებით მომსახურე ფართობის 94 % (743,71 ჰა) ემსახურება მუშა არხები, ხოლო 6 % (43,4 ჰა) არამუშა არხები. ქობულეთის მუნიციპალიტეტში არსებული სამელიორაციო სისტემების შესახებ მონაცემები იხილეთ № 11 დანართში.

დიაგრამა № 10.2





11 ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფერო

2012 წლის პირველი მაისის მდგომარეობით ქობულეთის მუნიციპალიტეტში მოქმედებდა სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული ქობულეთის მუნიციპალური საავადმყოფო, ქობულეთის სამშობიარო სახლი, ქობულეთის ბავშვთა საავადმყოფო, ქობულეთის ფიზიო–პულმონოლოგიური დისპანსერი და ჩაქვის პოლიკლინიკა.

2011 წლის ბოლოს ქობულეთში ექსპლუატაციაში შევიდა სადაზღვევო კომპანიის „იმედი ელ ინტერნეიშენალის“ მიერ აშენებული 60 საწოლიანი, ხოლო დაბა ჩაქვში 25 საწოლიანი თანამედროვე სტანდარტების სტაციონარი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს პირველადი ჯანდაცვის ცენტრები:

1. ლეღვას თემის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი;
2. სოფელ ქობულეთის თემის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი;
3. კვირიკეს თემის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი;
4. ხუცუბნის თემის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი;
5. საჩინოს თემის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი;
6. ქაქუთის თემის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი;
7. ხალას თემის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი;
8. ბობოყვათის თემის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი;
9. ციხისძირის თემის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი;
10. დაბა ოჩხამურის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი;
11. სოფელ ჩაისუბანის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი;
12. მუხაესტატეს თემის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი.

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 26 იანვრის №11 დადგენილების, „ჰოსპიტალური სექტორის განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2008 წელს განხორციელდა პირველადი ჯანდაცვის ცენტრების რეაბილიტაცია. მუნიციპალიტეტის ჰოსპიტალური სექტორი კი - 2011 წელს სამართავად გადაეცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს.

2012 წლის მონაცემებით მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ორი, ქ. ქობულეთისა და დაბა ჩაქვის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგური.

11.1 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ პერმანენტულად ხორციელდება სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამები. კერძოდ:

- 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი დახმარების კომპონენტი;

- ექიმთა გადამზადების და უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამა;
- დამატებითი სამედიცინო მომსახურება;
- თემის სამედიცინო პუნქტების ექიმამდელი დახმარების განვითარების პროგრამა;
- ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური დახმარების პროგრამა;
- მუნიციპალიტეტის ცენტრებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის დამატებითი შრომის ანაზღაურება;
- რესურსტევადი მაღალტექნოლოგიური სამედიცინო (გულის ქირურგიის) მომსახურების კომპონენტი;
- სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების პროგრამა და სხვ.

- **100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი დახმარების კომპონენტი**

პროგრამა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედებს 2002 წლიდან და ითვალისწინებს 100 და მეტი წლის ასაკის მოქალაქეებზე ერთჯერადი დახმარების გამოყოფას.

- **„ექიმთა გადამზადებისა და უწყვეტი სამედიცინო განათლების ხელშეწყობის” პროგრამა**

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა მიმართულების ექიმთა მომზადება და გადამზადება აჭარის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტებისთვის. პროგრამის მიზანია ახალგაზრდა ნიჭიერი სამედიცინო კადრებისთვის ხელმისაწვდომი გახდეს დიპლომისშემდგომი განათლების, რეზიდენტურის ან რეზიდენტურის ალტერნატიული სწავლება. პროგრამის ფარგლებში 2009 წელს დაფინანსდა რეზიდენტურა ოფთალმოლოგიის და ანგიოქირურგიის მიმართულებით თითო სპეციალისტისათვის და საექიმო სპეციალობის მაძიებელისთვის უროლოგიის სპეციალობით, ერთი სპეციალისტისათვის. ხოლო 2010 წელს ანგიოქირურგიის მიმართულება ერთი სპეციალისტისათვის. გარდა ამისა აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს სასწრაფო სამედიცინო სამსახურის ექიმების და საშუალო სამედიცინო პერსონალის გადამზადებას, რათა მათ მოახდინონ თანამედროვე სტანდარტების, ეფექტური სამედიცინო მომსახურების მიწოდება მოსახლეობისათვის.

- **დამატებითი სამედიცინო დახმარების კომპონენტი**

პროგრამა ამოქმედდა 2009 წელს და გრძელდება დღემდე. პროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი ოჯახების ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების 3-15 ასაკისა და მოზრდილი წევრების დაფინანსება. ბენეფიციარებს წარმოადგენენ მხოლოდ ის ოჯახები, რომელთაც მინიჭებული აქვს 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა და არ არიან სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის პოლისით მომხმარებლები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ომის ვეტერანები, ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში მონაწილეები, ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე) მრავალშვილიანი (18 წლამდე სააკის 5 და მეტი შვილი) ოჯახის წევრები, ჩერნობილის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეები, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირები, უსახლკაროები. გარდა

ამისა 2009 და 2010 წლებში დახმარებას ღებულობდა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებს გარეთ დარჩენილი თირკმლის ქრონიკული დაავადების III, IV და V სტადიის მქონე ავადმყოფები.

- **ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური სამედიცინო დახმარების კომპონენტი**

საქართველოში პალიატიური მზრუნველობის სამსახური ჩამოყალიბების პროცესშია, შესაბამისად ინკურაბელური პაციენტები საკუთარი შესაძლებლობების ამარა არიან მიტოვებული. აქედან გამომდინარე ამოქმედდა ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური დახმარების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მათ ჰოსპიტალურ დახმარებას.

- **თემის სამედიცინო პუნქტების ექიმამდელი სამედიცინო დახმარების განვითარების და სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების კომპონენტი**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ხორციელდება მიზნობრივი პროგრამა აჭარის მუნიციპალიტეტების თემებში სამედიცინო პუნქტების რეაბილიტაცია-აღჭურვის მიზნით. ამის აუცილებლობა გამოწვეულია მუნიციპალიტეტის თემების და მათში შემავალი სოფლების გეოგრაფიული მდებარეობით და აქ არსებული კლიმატური პირობებით, რადგანა აღნიშნული პირობები აფერხებენ დროული სამედიცინო დახმარების მიღების შესაძლებლობებს, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი მედდები უზრუნველყოფენ მოსახლეობისათვის უწყვეტი ექიმამდელი სამედიცინო მომსახურების მიწოდებას, რაც პირველადი ჯანდაცვის სისტემის ერთერთი მნიშვნელოვანი ნაწილია.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ პროგრამის ფარგლებში მედდებს ეძლევათ ხელფასის სახით ყოველთვიურად 135 ლარი.

- **მუნიციპალიტეტების ცენტრებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის დამატებითი შრომის ანაზღაურება**

მუნიციპალიტეტის ცენტრებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის შრომის ანაზღაურება, მიმდინარე ეკონომიკური პროცესების გამო, დამოკიდებულია სახელმწიფო დაზღვევის პაკეტის მქონე და დაზღვევის არმქონე პაციენტთა სამედიცინო მომსახურების მოცულობაზე. შესაბამისად მოსალოდნელი შრომის ანაზღაურების შემცირების აღმოფხვრისა და პირველად სამედიცინო დაწესებულებებში ექიმთა და საშუალო სამედიცინო პერსონალის დამაგრების მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ხდება აღნიშნულ პერსონალზე დამატებითი შრომის ანაზღაურების გაცემა.

- **რესურსტევადი მაღალტექნოლოგიური სამედიცინო (გულის ქირურგიის) მომსახურების კომპონენტი**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ ფინანსდება გულსისხლძარღვთა დაავადებების მკურნალობა 50 და მეტი ასაკის მოქალაქეებისათვის. გამონაკლისის სახით ფინანსდება უმცროსი ასაკის მოქალაქეებიც

თანდაყოლილი გულის დაავადებების შემთხვევაში. აღნიშნული პროგრამა მოქმედებს 2006 წლიდან და მისი ამოქმედების მიზეზი იყო ის გარემოება, რომ სიკვდილიანობის სტრუქტურაში გულსისხლძარღვთა დაავადებების შედეგად გარდაცვლილ ადამიანთა რაოდენობას უჭირავს პირველ ადგილი.

- **მოსახლეობისათვის განსაკუთრებულ შემთხვევებში სამედიცინო დახმარების პროგრამა**

პროგრამა ითვალისწინებს განსაკუთრებულ შემთხვევებში – სტიქიური უბედურებები, ეპიდემიები და სხვა – მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდას.

პროგრამების მთლიანი ჩამონათვალის შესახებ იხილეთ ცხრილი №11.1.

ცხრილი № 11.1 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროგრამები (2006-2009 წლებში)

№	დასახელება
	ამბულატორიული დახმარების პროგრამა
1	მოსახლეობისთვის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების პროგრამა
2	მუნიციპალიტეტის ცენტრებში დასაქმებულ სამედიცინო პერსონალის დამატებითი შრომის ანაზღაურების კომპონენტი
3	ამბულატორიული დახმარების პროგრამაში მონაწილე ექიმების დამატებითი შრომის ანაზღაურების კომპონენტი
4	მოსახლეობის დამატებითი გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების კომპონენტი
5	მოსახლეობის პროგრამული დიალიზით უზრუნველყოფის კომპონენტი
6	ალკოჰოლიზმითა და ნარკომანიით დაავადებულთა სამედიცინო დახმარების კომპონენტი
7	გადაუდებელი ამბულატორიული ტრავმატოლოგიური დახმარების კომპონენტი
8	ორსულთა მეთვალყურეობის დამატებითი კომპონენტი
9	ნეირორეაბილიტაციის კომპონენტი
10	მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი
11	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე სტომატოლოგიური მომსახურების კომპონენტი
	სტაციონარული დახმარების პროგრამა
1	უმწეოთა სამედიცინო დახმარების (დაზღვევის) კომპონენტი
2	რესურსტევადი მაღალტექნოლოგიური (გულის ქირურგიის) სამედიცინო მომსახურების კომპონენტი
3	ინკუბარელურ პაციენტთა პალიატიური დახმარების კომპონენტი
4	დამატებითი სამედიცინო დახმარების პროგრამა
5	რესურსტევადი მაღალტექნოლოგიური სამედიცინო მომსახურების კომპონენტი (ენდოპროტეზირება)
6	დამატებითი სტაციონალური დახმარების კომპონენტი
	ექიმთა გადამზადებისა და უწყვეტი სამედიცინო განათლების ხელშეწყობის პროგრამა

1	დასაქმებული სამედიცინო პერსონალის უწყვეტი პროფესიული განათლების ხელშეწყობის კომპონენტი
2	ახალგაზრდა ექიმ-სპეციალისტთა გადამზადების კომპონენტი
3	ექიმთა გადამზადების კომპონენტი
4	გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საკითხებში მომზადების კომპონენტი
	სამედიცინო-პროფილაქტიკური პროგრამები
1	სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების კომპონენტი
2	"სისხლის ბანკის" კომპონენტი
3	სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური და ლაბორატორიული კვლევის კომპონენტი
4	სასამართლო სამედიცინო შემოწმების, გამოკვლევისა და ექსპერტიზის პროგრამა
	სოციალური დაცვის პროგრამები
1	100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი დახმარების კომპონენტი
2	5 და მეტშვილიან მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე და მარტოხელა დედებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი დახმარების კომპონენტი
3	სოფლის ექიმის კერძო პრაქტიკის განვითარების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის თანადაფინასების პროგრამა
4	თემის სამედიცინო პუნქტების ექიმამდელი სამედიცინო დახმარების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა
5	უპოვართა და მზრუნველობა მოკლებულ მოხუცთა მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფის კომპონენტი
6	სმენადაქვეითებულთათვის სმენის აპარატებით უზრუნველყოფი კომპონენტი
7	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე საპროთეზო-ორთოპედიული მომსახურების კომპონენტი
8	ფსიქიკურად დაავადებულ პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის კომპონენტი
9	დევნილ მოსახლეობაზე დახმარების პროგრამა
	აჭარის ა. რ. სარეზერვო ფონდიდან სხვადასხვა მიზნებისათვის გამოყოფილი თანხები
1	ერთჯერადი დახმარების ფონდი სოციალური დახმარების ფონდი აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების-დევნილიების ოჯახების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან საქართველოს სხვა რეგიონებში განსახლებისათვის
2	სოციალური დახმარების ფონდი სხვადასხვა საპრივატიზაციო ობიექტებში შესახლებულ, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებზე კომპესაციისათვის
3	აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოსახლეობის სოციალური დახმარების ფონდი მკურნალობის ხარჯებისათვის
4	სხვადასხვა ობიექტებში კომპაქტურად ჩასახლებული, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის სუბსიდირება
5	სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარების ფონდი
6	სხვადასხვა სოციალური დახმარებები

წყარო: აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინიტრო

ასევე აღსანიშნავია აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამმართველოს მიერ ჯანდაცვის სფეროში განხორციელებული მიზნობრივ პროფილაქტიკური პროგრამები (ცხრილი № 11.2).

ცხრილი № 11.2 აჭარაში საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამმართველოს მიერ ჯანდაცვის სფეროში განხორციელებული მიზნობრივ პროფილაქტიკური პროგრამები (2005-2009 წლები)

№	მიზნობრივი პროფილაქტიკური პროგრამები
	2006 წელი
1	დონორების ხელშეწყობის კომპონენტი
2	გრიპის დაავადების პროფილაქტიკის (ვაქცინაციის) კომპონენტი
	2007 წელი
1	ეპიზედამხედველობის განხორციელებია და ეპიდსიტუაციის მართვის პროგრამა
2	ანტირაბიული ღონისძიების განხორციელების მიზნობრივი პროგრამა
3	მალარიის პროფილაკტიკის მიზნობრივი პროგრამა
4	ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების მიზნობრივი პროგრამა
	2008 წელი
1	ეპიზედამხედველობის განხორციელებია და ეპიდსიტუაციის მართვის პროგრამა
2	ანტირაბიული ღონისძიების განხორციელების მიზნობრივი პროგრამა
3	მალარიის პროფილაკტიკის მიზნობრივი პროგრამა
4	ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების მიზნობრივი პროგრამა
	2009 წელი
1	ეპიზედამხედველობის განხორციელებია და ეპიდსიტუაციის მართვის პროგრამა
2	ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების მიზნობრივი პროგრამა

წყარო: აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინიტრო

11.2 სოციალური დაცვის სააგენტოს მომსახურებები

სოციალური დაცვის სააგენტოს მიერ საქართველოს და მათ შორის ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას მიეწოდება სხვადასხვა სახის მომსახურებები: პენსიები სხვადასხვა კატეგორიის მოსახლეობისთვის, საარსებო შემწეობები, სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის პოლისები, საოჯახო დახმარებები და სხვა.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში პენსიის სახეების მიხედვით გაცემულ პენსიებზე და პენსიონერთა საშუალო წლიური რაოდენობის შესახებ მოცემულია ცხრილში №11.3.

ცხრილი № 11.3 სახელმწიფო პენსიის მიმღებთა რაოდენობა პენსიის სახეების მიხედვით (2008-2011წლები)

პროგრამის დასახელება/განხორციელების წელი	**2008**	**2009**	**2010**	**2011**
ასაკით პენსიონერთა რაოდენობის ცვლილება თვეების მიხედვით	9059	10304	10538	10718

შეზღუდული შესაძლებლობების პენსიონერთა რაოდენობის ცვლილება თვეების მიხედვით	4099	3561	3688	3702
მარჩენალდაკარგული პენსიონერთა რაოდენობის ცვლილება თვეების მიხედვით	967	781	701	630
პოლიტრეპრესირებულ პენსიონერთა რაოდენობის ცვლილება თვეების მიხედვით	552	227	177	143

საინფორმაციო წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო

მუნიციპალიტეტში კერძო სადაზღვევო კომპანიების სამედიცინო დაზღვევის მომსახურების ათვისების მაჩვენებელი ნულთან ახლოს ვარირებს. მოქმედებს მხოლოდ სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევა, რომელიც გაიცემა სოციალური სააგენტოს უმწეო ოჯახების და მოსახლეობის ბაზაში რეგისტრირებულ ოჯახებზე და მოსახლეობაზე (ცხრილი #11.4).

ცხრილი № 11.4 ქედის მუნიციპალიტეტში საელმწიფო სამედიცინო დაზღვევით მოსარგებლე ოჯახები და მოსახლეობა 2008-2011 წლები

	2008	**2009**	**2010**	**2011**
ბენეფიციარი მოსახლეობა	9366	12264	14041	10869
ბენეფიციარი ოჯახი	2262	2830	3304	2561

12 განათლება

განათლების სფეროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება, მოსწავლეთა ვაუჩერიზაციის პრინციპით, უზრუნველყოფს ქობულეთის მუნიციპალიტეტში საშუალო განათლების მიღების თანაბრად ხელმისაწვდომობას შესაბამისი ასაკის მქონე ყველა მოქალაქისათვის.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა საჯარო სკოლა არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში და მათ მოვლ-პატრონობას თავად უზრუნველყოფს.

2010 წლის მონაცემებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე 51 სკოლაა, მათგან – 40 სკოლა საშუალოა[7], ხოლო 11 საბაზო[8]. ძირითად 46 სკოლასთან ერთად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს 5 მიერთებული სკოლა. საჯარო სკოლებთან ერთად მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ოთხი კერძო სკოლაც.

2005-2011 წლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა 31 ძირითად სკოლას. მუნიციპალიტეტში სარეაბილიტაციოდ დარჩენილია 20 სკოლა, მათ შორის 15 ძირითადი და 5 მიერთებული. რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი ბიუჯეტის მოცულობა 2005-2011 წლებში 10 945 717 ლარს[9] შეადგენდა.

2005-2011 წლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლები, განათლების სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში, აღჭურვილი იქნა სასკოლო ინვენტარით, სახელმძღვანელოებითა და სასკოლო ფორმით. სამომავლოდ იგეგმება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების პირველი კლასის მოსწავლეებისათვის სასკოლო ფორმის შეძენის მიზნობრივი პროგრამის გაგრძელება.

მუნიციპალიტეტის ყველა ძირითადი სკოლა უზრუნველყოფილია კომპიუტერებითა და შესაბამისი ინტერნეტ კავშირით, რაც გაზრდის მომავალი თაობის ადაპტაციას თანამედროვე ტექნოლოგიურ და საინფორმაციო სამყაროსთან.

მუნიციპალიტეტის სკოლებში 830 სასკოლო ოთახი, 146 სხვადასხვა კლასის სპეც. კაბინეტი და ლაბორატორია, 54 სამასწავლებლო, 15 სააქტო დარბაზი, 41 სპორტული დარბაზი, 26 სასადილო და 4 სამედიცინო პუნქტია.

სკოლების ბაზაზე ფუნქციონირებს ინტეგრირებული სასკოლო ბიბლიოთეკები, რომელთა კატალოგი საერთო ჯამში მოიცავს 22 7364 სახელმძღვანელოს.

---

[7] I-XII კლასამდე
[8] I-IX კლასამდე
[9] 1 323 176 ლარი დაფინანსება მოხდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში. 9 622 541 ლარი დაფინანსდა განათლების სამინისტროს მიერ.

მუნიციპალიტეტის სკოლების ბაზაზე მოქმედებს სხვადასხვა წრეები და სახელოსნოები, კერძოდ კი: 19 ცეკვისა და სიმღერის, 16 - ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის, 20 - უცხო ენების შემსწავლელი წრე და ერთი ხელგარჯილობის (ჭრა-კერვის) კლუბი.

2011 წელს მუნიციპალიტეტში სულ 34 370 მოსწავლე და 1 479 მასწავლებელი ირიცხებოდა. მუნიციპალიტეტის სკოლების რიგ საგნებში პედაგოგთა დეფიციტია[10]. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 1 479 პედადგოგიდან 161 პედაგოგი საპენსიო ასაკისაა, ხოლო 167 პედაგოგი ასწავლის არასაკუთარი სპეციალობით, რაც საფუძვლიანი განათლების მიღების ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორია.

ზემოხსენებული პრობლემის აღმოფხვრის მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს – „ვასწავლოთ მომავალი წარმატებისათვის“ და „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთან ერთად“.

აღნიშნული პროექტების მიზანია საჯარო სკოლებში არსებული ინგლისური ენის მასწავლებლების დეფიციტის შევსება.[11] „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთან ერთად“ პროგრამის ფარგლებში აჭარაში ჩამოყვანილი იქნა 60 მოხალისე ინგლისური ენის პედაგოგი, რომელთაგანაც 11 მათგანი ქობულეთის მუნიციპალიტეტის სკოლებში იქნა გადანაწილებული, რაც ხელს შეუწყობს მომავალი თაობის კონკურენტუნარიანი განათლების მიღებას. პედაგოგთა დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით პერიოდულად ცხადდება ვაკანსიების სხვადასხვა პროფილის პედაგოგებზე.

დაწყებულია მასწავლებელთა სერთიფიცირების პროცესი, რომელიც ხელს უწყობს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებას. პროგრამის დაფინანსებას ვაუჩერების სახით უზრუნველყოფს სახელმწიფო[12]. 2011 წელს მუნიციპალიტეტის მასშტაბით სერთიფიცირება წარმატებით გაიარა 58 პედაგოგმა[13]. პერიოდულად მიმდინარეობს პედაგოგთა გადამზადება სხვადასხვა სპეციალურ საგნებში და კომპიუტერულ უნარ–ჩვევებში.

უცხო ენებიდან სკოლებში მხოლოდ რუსული, ინგლისური და გერმანული ენები შეისწავლება, მუნიციპალიტეტის არცერთ სკოლაში არ ისწავლება ფრანგული ენა. ბოლო პერიოდში გაიზარდა იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც უცხო ენებიდან ინგლისურს ანიჭებენ უპირატესობას. აღნიშნულ ფაქტორს განაპირობებს ინგლისური ენის სავალდებულო სწავლება I-XII კლასებში.

---

[10] კადრების სიმცირე მკვეთრად ჩანს უცხო ენებისა და ხელოვნების მიმართულებით.
[11] კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ მსურველს, ვისაც აქვს ბაკალავრის/მაგისტრის დიპლომი ინგლისურ ენასა და ლიტერატურაში.
[12] სახელმწიფო დაფინანსების ტრენინგებს მასწავლებლები პროფესიულ უნარებსა და შესაბამის საგანში გაივლიან
[13] სასერთიფიკაციო გამოცდები 2014 წლამდე ნებაყოფლობითია, ხოლო 2014 წლის შემდეგ სავალდებულოა ყველა პედაგოგისათვის.

სკოლებში გენდერული ბალანსი თითქმის თანაბარია, მოსწავლეთა 51% ბიჭი, ხოლო 49% გოგოა. თანაბარია პედაგოგთა განაწილებაც.

2007-2010 წლებში თორმეტი კლასი 5324 მოსწავლემ დაამთავრა, მათგან 36-მა ოქროს მედალზე, ხოლო 180-მა ვერცხლის მედალზე, რაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელია.

უნდა აღინიშნოს, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად იზრდება უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულ აბიტურიენტთა რაოდენობა. 2008-2010 წწ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრში ჯამში 1834 მოსწავლე დარეგისტრირდა. დარეგისტრირებული აბიტურიენტების მხოლოდ 72% (1314 მოსწავლე) ჩაირიცხა საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. მათგან 20-მა აბიტურიენტმა სახელმწიფოსგან 100% –იანი გრანტი მიიღო, 38–მა 70%–იანი, 70–მა 50%–იანი, ხოლო 168–მა კი 30%–იანი.

მოცემული მაჩვენებელი სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით მაღალია, მარგამ არ არის კარგი შედეგი.

2011 წლიდან ქობულეთის პროფესიულმა კოლეჯმა გაიარა ავტორიზაცია, რის შედეგადაც მას მიენიჭა საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსი. კოლეჯში სწავლის გაგრძელება შეუძლია როგორც საბაზო, ასევე საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე პირებს. კოლეჯში მოქმედი ფაკულტეტების შესახებ ინფორმაცია მოცემულია დანართ № 12–ში.

კოლეჯში ფუნქციონირებს, როგორც საბიუჯეტო ასევე არასაბიუჯეტო დაფინანსების მქონე სპეციალობები.

სკოლების (როგორც საჯარო ასევე კერძო) დაფინანსება ხდება მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით, ვაუჩერული სისტემით. სკოლას გარკვეულ ნაწილს აქვს დეფიციტური ბიუჯეტი, და საჭიროებენ დამატებით (ვაუჩერისზემოთა) დაფინანსებას.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში მოქმედებს სამინისტროს ტერიტორიული ორგანო სკოლების რესურსცენტრი, რომელიც ხელს უწყობს სკოლების გამართულ ფუნქციონირებას.

სკოლამდელი აღზრდა

დღევანდელი მონაცემებით ქობულეთის მუნიციპალიტეტში 11 საბავშვო ბაღია. თუმცა აღნიშნული რაოდენობა არ არის საკმარისი მუნიციპალიტეტში არსებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და მოითხოვს დამატებით სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობას.

არსებულ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მომსახურების ტარიფი მინიმალურია და შეადგენს ერთ აღსაზრდელზე 15 ლარს. ბაღების ბიუჯეტის დანარჩენი ნაწილის დაფინანსება კი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხორციელდება. არსებული ტარიფი სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით მაღალია.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღების უმრავლესობა კარგ მდგომარეობაშია და არ საჭიროებს განსაკუთრებულ სარემონტო სამუშაოებს. ყველა საბავშვო ბაღს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები.

აღსანიშნავია რომ 2009 წელთან შედარებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის 4 ბაღის ბიუჯეტი მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2011 წლის მდგომარეობით ბაღების საერთო ბიუჯეტი 762685 ლარს შეადგენს, რომელიც ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტიდან.

დიაგრამა 12.1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ბიუჯეტი:



ქობულეთში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სულ 198 ადამიანია დასაქმებული, აღსაზრდელთა რაოდენობა კი 739-ია (იხილეთ დანართი № 13).

დიაგრამა № 12.2 აღსაზრდელთა რაოდენობის დინამიკა



2009 წელს აჭარის მთავრობამ ავტონომიური რესპუბლიკის მასშტაბით საბავშვო ბაღების რეაბილიტაციისა და ინვენტარის შესაძენად განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ დახარჯა 111 760 ლარი. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბაღების რეაბილიტაციაზე კი გამოყოფილი იქნა 230 000 ლარი, ხოლო ინვენტარის შესაძენად 88 900 ლარი (მთლიანი ღირებულება 341 760 ლარი).

13 დარგობრივი ეკონომიკა

13.1 ეკონომიკის დარგობრივი დინამიკა და ეკონომიკური ზრდა

ქობულეთის მუნიციპალიტეტი აჭარის რეგიონის ერთ-ერთი გამორჩეული მუნიციპალიტეტია თავისი განვითარების მრავალმხრივი პოტენციური შესაძლებლობებით. მრეწველობის სფერო დღეისათვის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში წამყვან როლს ვერ იჭერს. განსაკუთრებით მტკივნეულად აისახება გადამამუშავებელი მრეწველობის განუვითარებლობა, ტრადიციული სტრატეგიული მეციტრუსეობისა და მეჩაიეობის დარგების მდგომარეობაში. მეციტრუსეობის პროდუქციის ნედლეულის, როგორც ხარისხიანი ნაყოფის სასაქონლო სახით დამუშავების ისე არასტანდარტული ნაწილის გადამუშავების გზით გამოყენების მოცულობითი მაჩვენებლები მკვეთრად შემცირებულია და ეს ტენდენცია უახლოეს მომავალში სავარაუდოდ არ შეიცვლება. ქობულეთის მუნიციპალიტეტში სეზონურად მოქმედებს ციტრუსოვანთა ნაყოფის დამფასოებელი საამქროები. ჩაქვში- 3, ბობოყვათში - 1, ხუცუბანში -1, ლეღვაში - 1, ქაქუთში -1. ეს საამქროები მცირე წარმადობისა და ტექნიკური აღჭურვილობის დაბალი დონით გამოირჩევიან. არ მოქმედებს არცერთი საწარმო, რომელიც აწარმოებს ნაყოფის თანამედროვე ტექნოლოგიებით დამუშავებას (პარაფინირება, შეფუთვა და ა.შ.), რაც იწვევს ციტრუსოვანთა ნაყოფის ხარისხის შენარჩუნების ვადების შემცირებას. არ არის სამაცივრო და სასაწყობო მეურნეობები. ახლადშექმნილი ციტრუსების გადამამუშავებელი ქარხანა, ტექნიკური და ტექნოლოგიური აღჭურვილობის თვალსაზრისით პასუხობს თანამედროვე სტანდარტებს, მაგრამ ხსენებული ქარხანა სრულად არ არის საკმარისი ციტრუსის მთლიანად გადამუშავებისათვის. გარდა ამისა ის მუშაობს არასრული დატვირთვით, რაც არასტანდარტული ნაყოფის უმეტესი ნაწილის გამოუყენებლობას იწვევს.

მუნიციპალიტეტში შეიმჩნევა გარკვეული პოზიტიური შედეგები ჩაის გადამამუშავებელი მრეწველობის მიმართულებით, მაგრამ არსებული პოტენციალი მინიმუმამდეც კი არ პასუხობს შესაძლო რესურსების გამოყენების პირობებს. ამჟამად ფუნქციონირებს სხვადასხვა სიმძლავრის ჩაის ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოები, სოფელ კვირიკეში, დაბა ჩაქვში, ქობულეთში. იწარმოება ძირითადში შავი და მწვანე ჩაი, აგურა ჩაი და ა.შ. გარდა ბაზრების მოძიებისა და უცხოურ მომწოდებლებთან კონკურენციისა, ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ჩაის ფოთლის დამზადების სირთულე. ჩაის მეწარმე ფირმებს უმეტესად არ აქვთ საკუთარი ჩაის პლანტაციები და შემთხვევით მომწოდებლებზე არიან ორიენტირებულნი. ჩაის წარმოებაში ინვესტიციები ხორციელდება როგორც ადგილობრივი ისე უცხოური რესურსების გამოყენებით, მაგრამ არასაკმარისი ოდენობით.

მუნიციპალიტეტში გააქტიურებული მშენებლობების ფონზე ვითარდება ინერტული მასალების წარმოების, სამშენებლო ბლოკების დამზადების მოცულობა მუნიციპალიტეტში მშენებლობის მასშტაბებისა და ინტენსიურობიდან გამომდინარე. მრეწველობის ეს დარგი უახლეს მომავალში და გრძელვადიან პერიოდშიც პერსპექტივას

შეინარჩუნებს, იწარმოება ხრეში, სილა, სამშენებლო ქვები, მოსაპირკეთებელი ფილები და ა.შ. ძირითადში ესენი მცირე სიმძლავრის საწარმოებია და ღებულობენ რესურსებს მდინარეთა კალაპოტებიდან ასევე სპეციალური ქვის კარიერებიდან და იყენებენ სამტვრევ დანადგარებს. სამშენებლო მასალების განვითარების სფეროში ჯერჯერობით ძალიან დიდია სხვაობა მოთხოვნასა და მიწოდებას შორის. ამჟამად მოქმედი საწარმოები (კვირიკეში, დაგვაში, ჩაქვში) აკმაყოფილებენ მხოლოდ მცირე სამშენებლო ობიექტების მოთხოვნას. რაც შეეხება მსხვილ სამშენებლო ობიექტებს მშენებარე ფირმები ძირითადად ეწევიან საჭირო მასალების იმპორტს მუნიციპალიტეტის გარედან. ინერტული და სამშენებლო მასალების წარმოებაში არსებული რესურსები საკმარისად არაა ათვისებული. გარდა ამისა ყურადღებას მოითხოვს მდინარეთა კალაპოტებიდან და სხვა კარიერებიდან ნიადაგის ქანების მდგრადობის შენარჩუნებისა და ეკოლოგიური ბალანსის დაცვის საკითხები.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურისტული ინდუსტრიის აქტიური განვითარების, ყოველწლიურად ტურისტული ნაკადების დინამიური ზრდის პირობებში სულ უფრო იზრდება მოთხოვნა უალკოჰოლო სასმელებზე. ამ მხრივ რამდენიმე ლიმონათის მწარმოებელი საამქრო დაიხურა. ხოლო ციტრუსოვანთა ნაყოფისგან და ხილისგან სხვადასხვა წვენების და გამაგრილებელი სასმელების წარმოება არ ვითარდება. ადგილობრივ ბაზარს მთლიანად იპყრობს შემოტანილი საქონელი.

მუნიციპალიტეტში არსებობს სასარგებლო წიაღისეულის მარაგები, რომლის ათვისებაც ხელს შეუწყობს სამრეწველო ინფრასტრუქტურის განვითარებას. ჯერჯერობით ეს რესურსები ათვისებული არ არის.

მუნიციპალიტეტში საკმაოდ კარგადაა განვითარებული პურის საცხობების ქსელი, რომლებიც მთლიანად აკმაყოფილებენ მოსახლეობის მოთხოვნილებას.

მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში მშენებლობის სფეროს მნიშვნელოვანი როლი აკისრია. როგორც რეგიონში ისე ქობულეთშიც შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი სწორედ დასაქმებულია მშენებლობაში. მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ინერტული მასალების ბაზაზე სამშენებლო მასალების წარმოება. ამ შემთხვევაშიც იზრდება მოსახლეობისათვის სამუშაო ადგილების რაოდენობა. იმავდროულად მშენებლობის სფეროში მნიშვნელოვნად უნდა იქნას მიჩნეული ისეთი პრობლემების გადაჭრა როგორიცაა მშენებლობაში ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების გაფართოება, მომზადება-გადამზადების ორგანიზაცია, სამშენებლო მასალების წარმოებაში ინერტული მასალების გამოყენების ზრდა და შემოტანილი სამშენებლო მასალების ადგილობრივი პროდუქციით ჩანაცვლება. ტერიტორიის სივრცობრივი განვითარების პროცესის მართვის ხარისხის ამაღლება და სხვა დანიშნულების სამშენებლო ობიექტების რაციონალური გაადგილება.

ქობულეთის მუნიციპალიტეტი რეგიონში ტურისტული ინდუსტრიის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური პოზიციით ხასიათდება. ტურისტული ნაკადების ყოველწლიურად დინამიურად მზარდი ნაკადების პირობებში მშენებლობის სფერო ერთ-ერთი მთავარი დარგია სასურველი და ადეკვატური ინფრასტრუქტურის შესაქმნელად.

სასტუმროები, კაფე-ბარები, რესტორნები, განთავსებისა და კვების სხვა კატეგორიის ობიექტები, გზები, ტურისტული ზონები, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები და სხვა სახის შენობა-ნაგებობები სამშენებლო ორგანიზაციების საქმიანობის შედეგია. ბოლო წლებში მუნიციპალიტეტში გაუმჯობესდა საცხოვრებელი გარემო, აშენდა სხვადასხვა კატეგორიის შენობები, კეთილმოეწყო ქალაქის ქუჩები და გზები, ზღვის სანაპირო, დასვენების და გართობის ადგილები.

13.2 სოფლის მეურნეობა

ქობულეთი აჭარის უმნიშვნელოვანესი მუნიციპალიტეტია, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო მიმართულებითაც, რომელიც ფლობს აჭარის სასოფლო სამეურნეო სავარგულების 45 %.

ოჯახზე საშუალოდ ორი ჰექტარი დამუშავებაში მყოფი მიწა მოდის, მ.შ. 1,55 ჰექტარი სახნავი სავარგულია.

ცხრილი 13.2.1 ქობულეთის მიწის ფონდის სტრუქტურა

	2006 წელი	2007 წელი	2008 წელი	2009 წელი	2010 წელი	2011 წელი *
სასოფლო სამეურნეო სავარგული, სულ	19 552	19 552	19 552	19 552	19 552	19 552
სახნავი	2 229	2 229	2 229	2 229	2 229	2 229
მრავალწლიანი ნარგავები	8 635	8 635	8 635	8 635	8 635	8 635
სათიბი	302	302	302	302	302	302
საძოვარი	6 650	6 650	6 650	6 650	6 650	6 650
ნასვენი	1 736	1 736	1 736	1 736	1 736	1 736

ციტრუსი. აჭარაში ციტრუსოვნებს 5200 ჰექტარი უკავია. 2009-2010 წლების სეზონზე წარმოებული იქნა 105 000 ტონამდე ციტრუსი, აქედან რეალიზებულია 97 108 ტონა, 590 ტონა არასტანდარტული ციტრუსოვანთა ნაყოფი გადამუშავებული იქნა საკონსერვო ქარხნებში. 2008-2009 წლებთან შედარებით ციტრუსის წარმოება 136%-ით გაიზარდა, რეალიზაცია 186%-ით. საქართველოში წარმოებული ციტრუსის 80 % აჭარაზე მოდის.

ცხრილი 13.2.2. ციტრუსის მოსავლის რეალიზაციის მოცულობა 2008-2010 წლებში, ტონა

	2006-2007 წლები	2007-2008 წლები	2008-2009 წლები	2009-2010 წლები
წარმოებულია	**45 403**	**104 530**	**44 500**	**105 000**
რეალიზებულია სულ:	22 526	89 462	34 394.7	97 698
აქედან: ***ექსპორტზე***	14 518	67 545	23 951.2	84 928
მ.შორის: უკრაინა	8 884	41 348	11 543.40	43 924
ბელორუსია	-	80	401.3	1 439
მოლდავეთი	-	74	72.2	153.4
რუსეთი	-	-	34.0	-
სომხეთი	3 594	18 094	3 578.8	7 029
აზერბაიჯანი	2 040	7 754	8 321.5	31 787
უზბეკეთი	-	175	-	18
ყაზახეთი	-	20	-	334.8
კუვეითი	-	-	-	205
ჩეხეთი	-	-	-	37.4
საქართველოს შიდა ბაზარზე	8 008	21 917	10 443.5	12 770
აქედან: ***სამომხმარებლო ბაზრები***	6 654	10 787	9 938.4	12 180
საკონსერვო დამუშავება	1 354	11 130	505.1	590
მ.შორის: შპს „ხილის კომპანია ნარინჯი“	354		470.1	494
შპს „ციტრო“			35	96
შპს „ქართული პროდუქტი“	1 000	11 130		

მიწის ბალანსით აჭარაში ირიცხება 5700 ჰა ჩაის ფართობი, რომლის ძირითადი ნაწილი დასარევლიანებული და ამორტიზირებულია. 2004-2006 წლებში რეაბილიტირებულია ათას ჰა-მდე ჩაის პლანტაცია. მიზნობრივად პრივატიზებულია ორი ჩაის ფაბრიკა. საქართველოში წარმოებული ჩაის ნედლეულის 9.26 % აჭარაზე მოდის.

ცხრილი 13.2.3 ჩაის ფართობები მუნიციპალიტეტების მიხედვით

(ჰა)

მაჩვენებლები	**წ ლ ე ბ ი**					
	2004	**2005**	**2006**	**2007**	**2008**	**2009**
ჩაი ფართობი სულ (მიწის ბალანსით)	**5616**	**5616**	**5616**	**5616**	**5616**	**5616**
ქობულეთი	3528	3528	3528	3528	3528	3528
ქედან, ფოთოლსაკრეფი	**1713**	**1708**	**1605**	**1100**	**250**	**250**
ქობულეთი	1358	1358	1200	1000	250	250

სხვა სუბტროპიკული კულტურები. 2015 წლამდე აღნიშნული კულტურებიდან შემოსავალი 8-10 მილიონ ლარს გადააჭარბებს. პროდუქციის ძირითადი ნაწილი იქნება ექსპორტირებული, ნაწილი კი გამოყენებული იქნება საკონსერვო წარმოებისთვის. საქართველოში წარმოებული სუბტროპიკული კულტურების (სუბტრ. ხურმა, ფეიჰოა, აქტინიდია, დაფნა) 14 % აჭარაზე მოდის.

ცხრილი 13.2.4 სხვა სუბტროპიკული კულტურების მოსავალი და პროგნოზული მაჩვენებლები

	ფართობი, ჰა			მოსავალი, ტონა		
	2009	2010	2015	2009	2010	2015
სუბტროპიკული ხურმა	403.0	405.0	500.0	2557.0	4500.0	7000.0
მ/შ მოსავლიანი	60.0	60.0	100.0			
ფეიჰოა	2.0	2.5	5.0	125.0	200.0	300.0
აქტინიდია	10.0	12.0	15.0	440.0	600.0	900.0
დაფნა	85.0	90.0	120.0	20.0	25.0	40.0

წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ცხრილი 13.2.4 ხეხილის ფართობის დინამიკა აჭარაში მუნიციპალიტეტების მიხედვით 2004 -2009 წლებში

(ჰა)

	2004 წელი	2005 წელი	2006 წელი	2007 წელი	2008 წელი	2009 წელი
ხეხილის ბაღები სულ (გაფანტული ნარგავების ჩათვლით)	4420	4420	4420	4420	4420	4420
ქობულეთი	1673	1673	1673	1673	1673	1673
აქედან მოსავლიანი	3242	3242	3242	3242	3242	3242
ქობულეთი	1170	1170	1170	1170	1170	1170

ცხრილი 13.2.5 ხილის მოსავალი აჭარაში მუნიციპალიტეტების მიხედვით 2004 -2009 წლებში (ტონა)

	2004 წელი	2005 წელი	2006 წელი	2007 წელი	2008 წელი	2009 წელი
ხილი, სულ	6054	10882	8629	15945	15755	11302
ქობულეთი	1640	2108	3556	5523	5410	3250

წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

მევენახეობა. ქობულეთში ადგილობრივი ვაზის 40-მდე ჯიში ხარობდა. წარმოება წლის განმავლობაში 2 ათას ტონას აჭარბებდა. 2009 წელს აჭარაში ვაზის ნარგავები (გაფანტული

ნარგავების ჩათვლით) მხოლოდ 177 ჰექტარი იყო და ყურძნის წარმოება კი - საშუალოდ 1300 ტონამდე. საქართველოში წარმოებული ყურძნის 0,8 % აჭარაზე მოდის. ვენახის საერთო ფართობი ქობულეთში 32 ჰექტარია.

ცხრილი 13.2.6. ვენახის ფართობის დინამიკა 2004-2009 წლებში (ჰა)

	2004	2005	2006	2007	2008	2009
ვენახის ფართობი სულ (მიწის ბალანსით)	**88**	**88**	**88**	**88**	**88**	**88**
ვენახის ფართობი გაფანტული ნარგავების ჩათვლით, სულ	**133**	**134**	**154**	**170**	**177**	**177**
ქობულეთი	31	31	32	32	32	32

ცხრილი 13.2.7. ყურძნის მოსავალი 2004-2009 წლებში

(ტონა)

	2004	2005	2006	2007	2008	2009
ყურძნის მოსავალი სულ:	435	859	1076	1370	1410	1253
მ/შორის: ქობულეთი	60	65	280	217	223	285

მემარცვლეობა

ცხრილი 13.2.8 მარცვლეული კულტურების წარმოება 2004-2009 წლებში

(ტონა)

დასახელება	**2004**	**2005**	**2006**	**2007**	**2008**	**2009**
მარცვლეული სულ:	**11691**	**12311**	**9464**	**9900**	**12075**	**14869**
მ/შორის: **სიმინდი**	**11401**	**11992**	**9162**	**9558**	**11665**	**14571**
აქედან: ქობულეთი	1837	2870	1473	951	1955	3945
პარკოსანი (ლობიო)	**290**	**319**	**302**	**342**	**410**	**362**
აქედან: ქობულეთი	44	48	75	92	135	180

წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ცხრილი 13.2.9 სიმინდისა და ლობიოს წარმოების მაჩვენებლები 2006-2011 წლებში

სიმინდი		2006	2007	2008	2009	2010	2011*
ნათესი ფართობი	**ჰა**	570	546	950	1 150	977	700
მოსავალი	**ტ**	1 473	951	1 955	3 945	1 860	1 300
მოსავლიანობა	**ც**	26	17	21	34	19	19
ლობიო		2006	2007	2008	2009	2010	2011*

ნათესი ფართობი	ჰა	45	58	70	75	60	40
მოსავალი	ტ	75	92	135	180	155	65
მოსავლიანობა	ც	17	16	19	24	26	16

მებოსტნეობა. ამჟამად ადგილობრივი ბოსტნეულით მოსახლეობის დაკმაყოფილების მაჩვენებელი 10--15%--ის ფარგლებშია. ტურიზმისა და საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარების პირობებში დეფიციტი მინიმუმ ორჯერ გაიზრდება. საქართველოში წარმოებული ბოსტნეულ-ბახჩეული კულტურების 14 %-მდე აჭარაზე მოდის. მათ შორის ქობულეთის წილობრივი მაჩვენებლები კიდევ უფრო მცირედება.

ცხრილი 13.2.10 ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების წარმოების მაჩვენებლები 2006-2011 წლებში

(ტონა)

	2004	2005	2006	2007	2008	2009
ბოსტნეულის წარმოება **სულ:**	**7209**	**6038**	**6500**	**10620**	**13870**	**11754**
აქედან: ქობულეთი	1350	1360	1526	2264	2975	1900
კარტოფილის წარმოება **სულ:**	**24820**	**31747**	**28550**	**35560**	**45560**	**43065**
აქედან: ქობულეთი	400	400	550	645	2940	1000

ცხრილი 13.2.11 სიმინდისა და ლობიოს წარმოების მაჩვენებლები 2006-2011 წლებში

კარტოფილი		2006 წელი	2007	2008	2009	2010	2011*
სულ, აჭარაში	ჰა	2 096	2 087	2 288	2 259	2 260	2 400
ქობულეთი	ჰა	45	40	140	125	125	120
კარტოფილი							
ნათესი ფართობი	ჰა	45	40	140	125	125	120
მოსავალი	ტ	550	645	2940	1000	1030	1 120
მოსავლიანობა	ც	122	161	210	80	82	93
ბოსტნეული							
ნათესი ფართობი	ჰა	193	215	245	245	245	245
მოსავალი	ტ	1526	2264	2975	1900	2200	2270
მოსავლიანობა	ც	79	105	121	78	90	93

მეცხოველეობა. 2009 წლის მონაცემებით რეგიონში 113,5 ათასი სულიმსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ირიცხებოდა. ყოველწლიურად საშუალოდ იწარმოება: 2-5 ათასი

ტონა ხორცი, 48-55 ათასი ტონა რძე და რძის პროდუქტი. საქართველოში წარმოებული მეცხოველეობის პროდუქტების 10% აჭარაზე მოდის.

ცხრილი 13.2.12 პირუტყვის სულადობის მაჩვენებლები 2004-2009 წლებში

(სული)

	2004	2005	2006	2007	2008	2009
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი სულ:	**109029**	**112554**	**110518**	**113765**	**110900**	**113492**
მ/შორის: ქობულეთი	18021	18087	18120	19685	18500	19988
წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი (თხა, ცხვარი) სულ:	**9678**	**13783**	**5893**	**6085**	**4350**	**8404**
მ/შორის: ქობულეთი	914	910	580	1060	1100	1901

ცხრილი 13.2.13 ხორცის წარმოება-გამოზრდა 2004-2009 წლებში

(ცოცხალი წონა, ტონა)

	2004	2005	2006	2007	2008	2009
ხორცის წარმოება- სულ:	**2143**	**1804**	**4277**	**5260**	**5370**	**5213**
მ/შორის: ქობულეთი	470	474	607	800	833	340

წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ცხრილი 13.2.14 რძის წარმოება 2004-2009 წლებში
(ტონა)

	2004	2005	2006	2007	2008	2009
რძის წარმოება სულ	**55699**	**48401**	**48500**	**50528**	**54548**	**53536**
მ/შორის: ქობულეთი	7435	7741	8445	8640	9550	10056

წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ცხრილი 13.2.15 თაფლის წარმოება 2004-2009 წლებში, ტ

	2004	2005	2006	2007	2008	2009
თაფლის წარმოება სულ:	**86**	**86**	**86**	**250**	**306**	**306**
მ/შორის: ქობულეთი	30	30	30	60	172	172

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილი 13.2.16 მეფრინველობა 2004-2009 წლებში

(ათ. ფრთა)

	2004	2005	2006	2007	2008	2009
ფრინველი სულ	**364,3**	**346,2**	**29,8**	**115**	**126**	**107**
მ/შორის: ქობულეთი	209	196	12,5	44	48	44

წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ცხრილი 13.2.17 კვერცხის წარმოება 2004-2009 წლებში (მლნ. ცალი)

დასახელება	2004	2005	2006	2007	2008	2009
კვერცხის წარმოება სულ	**17,4**	**14**	**1,02**	**9,2**	**10,7**	**9,6**
მ/შორის: ქობულეთი	6,2	6,2	0,5	2,2	2,5	3,1

წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ცხრილი 13.2.18 სათევზე მეურნეობები და მათი ძირითადი მაჩვენებლები

მუნიციპალიტეტი	**სათევზე მეურნეობების რაოდენობა (ცალი)**			**მწარმოებლობა (ტონა)**		**დაკავებული მიწის ფართობი (კვ.მ)**			**დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)**	**გამოყენებული საკვები (ტონა)**
	სულ	**მათ შორის**				**სულ**	**მათ შორის**			
		მოქმედი	**უმოქმედო**	**ფაქტიური**	**მაქსიმალური**		**სახ-ფო**	**კერძო**		
ქობულეთი	9	8	1	40.5	105	3 950	2 800	1 150	31	40
სულ, აჭარაში	91	72	19	277.2	678	17 840	10 055	7 785	198	290

წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ცხრილი 13.2.19 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რაოდენობა 2004-2008 წლებში

(ცალი)

დასახელება	2004	2005	2006	2007	2008
ტრაქტორები სულ:	455	550			22
მ/შორის: ქობულეთი	222	222			8
სატვირთო ავტომანქანები სულ:	**618**	**847**			
მ/შორის: ქობულეთი	300	300			

სატრაქტორო გუთნები სულ:	**102**	**67**	
მ/შორის: ქობულეთი	35	30	12

წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

დიაგრამა 13.2. 1აჭარის ა.რ სოფლის მეურნეობის სფეროში მთლიანი დამატებული ღირებულება 2006-2009 წლებში (მლნ.ლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობა

- შპს „ციტრო“:
  საწარმომ 2009-10 წლების სეზონზე გადაამუშავა 100 ტონამდე ციტრუსოვანთა არასტანდარტული ნაყოფი, წარმოებული იქნა მინის ტარაში დაფასოებული ციტრუსის ნატურალური წვენი;
- „შპს ხილის კომპანია ნარინჯი“:
  2009 წელს საწარმოში დასრულდა ციტრუსის კონცენტრატისა და ნატურალური წვენების წარმოების ტექნოლოგიური ხაზების მონტაჟი. განხორციელდა ხაზების საცდელი გაშვება. დაიწყო არასტანდარტული ნაყოფის მიღება. წარმოებული იქნა 45 ტონა ციტრუსის კონცენტრირებული წვენი;

- 2009 წელს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ხუცუბანში შპს „მილენიუმ-ტრანსი”-ს მიერ რეაბილიტირებულ ჩაის პლანტაციებში მოიკრიფა 460 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. ჩაის ფოთლის კრეფაზე დასაქმებული იყო 100-მდე მუშა-ხელი;
- შპს „აგროფირმა ქობულეთში“ წარმოებული იქნა 115 ტონა შავი ბაიხის ჩაის პროდუქცია, რომლის ნაწილი ექსპორტირებული იქნა ჰოლანდიაში, კომპანია „ვან რისის“ მიერ;

- 2009 წელს შპს „აჭარა ინვესტ ჩაის“ მიერ სოფელ მარადიდში დაიწყო ჩაის გადამამუშავებელი მინი ფაბრიკის მშენებლობა, რომელიც ექსპლოატაციაში შევა 2010 წელს. 2010 წლისათვის საწარმო გადაამუშავებს 70-80 ტონამდე ჩაის ხარისხოვან ფოთოლს და წარმოებული იქნება დაფასოებული შავი ბაიხის ჩაი.
- ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში არსებული თხილის შემსყიდველი პუნქტების მიერ 2009 წელს რეალიზებული იქნა 2000 ტონამდე თხილი;
- შპს „სისტა ქართული პროდუქტები“-ს მიერ 2009 წელს წარმოებული იქნა 277 000 კგ არაჟანი, 10 400 კგ ხაჭო, 450 კგ კაიმაღური და 25 740 კგ მაწონი.

დიაგრამა 13.2.2 კვების პროდუქტების ფასების დინამიკა აჭარაში, 2009 წელი



წყარო: აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტრო

დიაგრამა 13.2.3 უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტში (2009წელი)



წყარო: აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტრო

დიაგრამა 13.2.4 უმსხვილესი სასაქონლო პოზიცია აგროსასურსათო იმპორტში(2009 წელი)



წყარო: აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტრო

დიაგრამა 13.2.4 უმსხვილესი სასაქონლო პოზიცია აგროსასურსათო ექსპორტში (2009 წელი)



წყარო: აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტრო

1. **საერთაშორისო და ადგილობრივი დონორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტები**

- ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაქვისთავში ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) კავკასიის ოფისის და პოლონეთის მთავრობის ხელშეწყობით ამოქმედდა სკების წარმოებისა და თაფლის გადამამუშავებელი საამქროები – შოთა გორჯელაძისა და რამაზ კონცელიძის ფერმერული მეურნეობები.

- პროექტი - „მეფუტკრეობის განვითარება მტირალას ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში“ მიმდინარეობს აჭარის მდგრადი განვითარების ასოციაციის (ASDA) ხელმძღვანელობით, პროექტი აერთიანებს 30-მდე მეფუტკრეს, ღირებულება - 48 000 ევრო;

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელდა 14 პროექტი მათ შორის 3 ქობულეთის მუნიციპალიტეტში:

პროექტის განმახორციელებელი	**პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაცია**	**განხორციელების პერიოდი**	**ღირებულება (აშშ დოლარი)**	**პროექტი**
შპს „ქართული მანდარინი“ (ქობულეთი)	AGVANTAG	2006	90 000	ციტრუსის დასახარისხებელი ხაზის შესყიდვა-მონტაჟი
მეციტრუსეთა ასოციაცია (ქობულეთი)	AGVANTAGE	2006	50 000	მეციტრუსე ფერმერთა ასოცოაციის ჩამოყალიბება და ციტრუსის დახარისხების ხაზის გამართვა

მცენარეთა იმუნიტეტის ინსტიტუტი (ქობულეთი)	მეცნიერებისა და ტექნიკის საერთაშორისო ცენტრი (ISTC) გრანტი, პარტნიორი – დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრო	2004-2008	596 000	საკარანტიონო ობიექტების გამოვლენა-შესწავლა, მცენარეთა დაცვის გაუმჯობესება და ახალი ტექნოლოგიებით ლაბორატორიის აღჭურვა
		2009-2011	506 000	მცენარეთა დაცვის გაუმჯობესება
სულ დაფინანსება			1 989 000	

ცხრილი 23. სახელმწიფო პროგრამა „იაფი კრედიტი“ დამტკიცებული სესხები

კომპანიის სახელწოდება	**ექსპორტი**	**სოფლის მეურნეობა, ხალხური რეწვა**	**დასაქმებულთა რაოდენობა**	**პროექტის აღწერა**
შპს „იაგო“	150 000		150	მწვანე აგურა ჩაის რეალიზაცია, ექსპორტი მონღოლეთში, სესხით შეიძენს მანქანა დანადგარებს
სპს „დორუქ ნათ ენდ ფუდ კომპანი	1 955 000		300	თხილის და საკონსერვო წარმოება.აჭარაში მოხდება ციტრუსის, ვაშლის,მსხლის,კივის,ალუბლის,მარწყვის გადამუშავება, კონსერვირება, შეფუთვა. ქარხნის წარმადობა 8 ტონა საათში
ი/მ მირზა ებრალიძე		24 500	15	დაბა ჩაქვი - სოკოს მოსაყვანი ორი სათბურის მოწყობა
შპს „ნეოფარმი“	200 000		200	სამკურნალო და დეკორატიული მცენარეების მოყვანა-გადამუშავება
შპს „დიადემა“	300 000		60	მეფრინველეობის მეურნეობა, აგროსამრეწველო კომპლექსი, სესხით მოხდება შენობა-ნაგებობების კაპიტალური შეკეთება
ი. მ. „ბეგლარ მიქელაძე“	200 000		20	ჟოლოს პლანტაციის გაფართოება, შეისყიდიან სარწყავ სისტემას, ორ ტექნოლოგიურ ხაზს, ჟოლოს „ტელამენის“ ჯიშის ნერგებს
შპს „ციტრო ჩაი აჭარა 2006“		38 500	118	ჩაის გადამუშავება. მწვანე ელიტარული ჩაის წარმოება

შპს „ხილის კომპანია ნარინჯი“	1 000 000	320	ციტრუსის გადამუშავება

წყარო: აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტრო

2004-2009 წლებში განხორციელებული **მიზნობრივი პროგრამები**:

ცხრილი 24. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2004 წელს განხორციელებული მიზნობრივი პროგრამები

პროგრამის დასახელება	**ხარჯი (ლარი)**	**მიღწეული შედეგები**
ამერიკული თეთრი პეპელას საწინააღმდეგო ღონისძიებები	79 442	პროგრამის ფარგლებში წამლობები ჩატარდა, ქ. ბათუმის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის ზღვისპირა ზოლში
ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებები	10 000	პროგრამის ფარგლებში ეროზირებულ ტერიტორიებზე გაშენდა 5000 ძირი კაკლის ნერგი. აქედან ქობულეთში – 1500 ძირი
სულ	89 442	

წყარო: აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ცხრილი 25. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2005 წელს განხორციელებული მიზნობრივი პროგრამები

პროგრამის დასახელება	**ხარჯი (ლარი)**	**მიღწეული შედეგები**
ამერიკული თეთრი პეპელას საწინააღმდეგო ღონისძიებები	49 760	პროგრამის ფარგლებში წამლობები ჩატარდა, ქ. ბათუმის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის ზღვისპირა ზოლში
აჭარის აგროკლიმატურ პირობებში ეკოლოგიურად სუფთა ბიოტექნოლოგიური მეთოდის გამოყენება მარცვლოვანი კულტურების მოსავლიანობისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით	20 000	მარცვლოვანი კულტურების მოსავლიანობისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მოსახლეობას დაურიგდა 37 ლიტრი პრეპარატი „ბიორაგი“. აქედან: ქობულეთში – 18 ლ;

მოსახლეობის უზრუნველყოფა ჯიშობრივად გაუმჯობესებული სხვადასხვა სახის სარგავი მასალით	17 926	მოსახლეობას უსასყიდლოდ დაურიგდა ჯიშობრივად გაუმჯობესებული 42 625 ძირი სხვადსხვა სახის სარგავი მასალა. მათ შორის ქობულეთში – 5000.
ციტრუსოვანთა მავნებელ დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ხელშეწყობა	80 000	მოსახლეობას ციტრუსოვანთა მავნებელი დაავადებების საწინააღმდეგოდ უსასყოდლოდ დაურიგდათ 1590 კგ პრეპარატი „სამმაიტი“. აქედან ქობულეთში – 700 კგ;
ციტრუსოვანთა მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ზეთოვანი ემულსიის დამზადება-მიწოდება	39 680	მოსახლეობას ციტრუსოვანთა მავნებელი დაავადებების საწინააღმდეგოდ უსასყოდლოდ დაურიგდათ 14 040 კგ ზეთოვანი ემულსია. აქედან ქობულეთში – 9040 კგ;
გეოლოგიური კვლევის პროგრამა	63 413	
ციტრუსოვანთა რეაბილიტაციის პროგრამისშემუშავება	5235	
სულ	**306 014**	

წყარო: აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ცხრილი 26. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2006 წელს განხორციელებული მიზნობრივი პროგრამები

პროგრამის დასახელება	**ხარჯი (ლარი)**	**მიღწეული შედეგები**
მოსახლეობის უზრუნველყოფა ჯიშობრივად გაუმჯობესებული სხვადასხვა სახის სარგავი მასალით	80 000	ხუთივე მუნიციპალიტეტის მოსახლეობას უსასყიდლოდ დაურიგდა ჯიშობრივად გაუმჯობესებული 88 750 ძირი სხვადსხვა სახის სარგავი მასალა. მათ შორის ქობულეთში – 12 650;
ციტრუსოვანთა მავნებელ დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლოს ღონისძიებების ხელშეწყობა	148 800	პროგრამის ფარგლებში სულ დარიგებული იქნა 3336 კგ პრეპარატი „სამმაიტი“. აქედან ქობულეთში – 1500 კგ – 500 ჰექტარზე,

ამერიკული თეთრი პეპელას საწინააღმდეგო ღონისძიებები	119 546	პროგრამის ფარგლებში წამლობები ჩატარდა 400 ჰექტარზე, აქედან ქობულეთში – 120 ჰა.
სულ	348 346	

წყარო: აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ცხრილი 27.აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2007 წელს განხორციელებული მიზნობრივი პროგრამები

პროგრამის დასახელება	**ხარჯი (ლარი)**	**მიღწეული შედეგები**
მოსახლეობის უზრუნველყოფა ჯიშობრივად გაუმჯობესებული სხვადასხვა სახის სარგავი მასალით	95 555	ხუთივე მუნიციპალიტეტის მოსახლეობას უსასყიდლოდ დაურიგდა ჯიშობრივად გაუმჯობესებული 111 900 ძირი სხვადსხვა სახის სარგავი მასალა. მათ შორის ქობულეთში – 19 500;
სეტყვის შედეგად დაზიანებული და არასტანდარტული ციტრუსოვანთა ნაყოფის საკონსერვო გადამუშავების სუბვენცირება	556 517,5	მოსახლეობის მიერ საკონსერვო ქარხნებში რეალიზებულ ყოველ ერთ კილოგრამ ციტრუსოვანთა ნაყოფზე დანამატის სახით გაცემული იქნა 5 თეთრის სუბვენცია. სულ გადამუშავებული იქნა 11 130 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი
ციტრუსოვანთა ნაყოფის ექსპორტზე რეალიზაციის ხელშეწყობა	900 000	ციტრუსის ექსპორტიორ ფირმებზე გაცემული იქნა 900 000 ლარის უპროცენ-ტო სესხი, რომლის ფარგლებშიც ექსპორტზე რეალიზებული იქნა 70 000 ტონაზე მეტი ციტრუსოვანთა ნაყოფი
ამერიკული თეთრი პეპელას საწინააღმდეგო ღონისძიებები	169 436	პროგრამის ფარგლებში წამლობები ჩატარდა 320 ჰექტარზე, აქედან ქ. ქობულეთში – 100 ჰა. ასევე მოსახლეობას 744 ჰა ფართობის შესაწამლად დაურიგდა პრაპარატები
სულ	**1 721 508,5**	

წყარო: აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ცხრილი 28. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2008 წელს განხორციელებული მიზნობრივი პროგრამები

პროგრამის დასახელება	**ხარჯი (ლარი)**	**მიღწეული შედეგები**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის უზრუნველყოფა წმინდა ჯიშური ნიშანთვისებების მქონე ვაზის, ხეხილოვანი კულტურების, ციტრუსისა და სხვა სარგავი მასალით	43 800	ფერმერებს უფასოდ დაურიგდათ 35 650 ძირი სხვადასხვა სარგავი მასალა. აქედან: ქობულეთში 3000,
ფერმერთა სწავლება-კონსულტირება და მათი უზრუნველყოფა სახელმძღვანელო-საცნობარო ლიტერატურით	4400	პროგრამის ფარგლებში ხუთივე მუნიციპალიტეტის 200 ფერმერს ჩაუტარდა ტრენინგები, ასევე მოსახლეობას დაურიგდა 1000 ცალი საცნობარო ბროშურა
მცირე მექანიზაციის საშუალებების შეძენა	199 960	შესყიდულია 80 ერთეული მცირე მექანიზაციის საშუალებები.
სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა	939 000	პროგრამის ფარგლებში შესყიდულია 10 ერთეული მუხლუხა, 5 ერთეული საერთო დანიშნულების ტრაქტორი, 10 ერთეული 4 კორპუსიანი და 5 ერთეული 3 კორპუსიანი გუთანი
ამერიკული თეთრი პეპელას საწინააღმდეგო ღონისძიებები	198 937	პროგრამის ფარგლებში წამლობა ჩატარდა 1500 ჰა-ზე, პირველ გენერაციაზე 600 ჰა, მეორეზე 900 ჰა.
სასმელი წყლის ხარისხის კონტროლის მიზნით ლაბორატორიული კვლევა	102 344	პროგრამის ფარგლებში აჭარის მაშტაბით ლაბორატორიული კვლევისათვის აღებულია წყლის 600-მდე ნიმუში..
ცხოველებისა და ადამიანის საერთო სნეულებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებები (აცრები)	146 400	პროგრამის ფარგლებში ორჯერადი აცრები ცოფზე და თურქულზე ჩაუტარდა 300 757 სულ წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვს
სულ	**1 634 841**	

წყარო: აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ცხრილი 29. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2009 წელს განხორციელებელი მიზნობრივი პროგრამები

პროგრამის დასახელება	ხარჯი (ლარი)	მიღწეული შედეგები
მცირე მექანიზაციის საშუალებების შეძენა	195 000	პროგრამის ფარგლებში სულ ფერმერებზე თანადაფინანსების პრინციპით, ღირებულიების 50% გადახდის შემდეგ მიწოდებული იქნა 75 ერთეული მრავალფუნქციური

		მოტობლოკი, აქედან ქობულეთში – 8, ფერმერის მიერ გადასახდელი თანხა შეადგენდა 1300 ლარს.
ერთწლიანი კულტურების ჯიშთ განახლებისათვის ფერმერთა ხელშეწყობა	269 000	პროგრამის ფარგლებში სულ შესყიდული იქნა 120 ტონა კარტოფილის ელიტური სათესლე მასალა. აქედან 25 000 კგ „აგრია“, 35 000 კგ „მარფონა“, 35 000 კგ „ჯელი“ და 25 000 კგ „დეზირე“. სათესლე მასალა თანადაფინანსების პრინციპით, ღირებულების 50 % გადახდის შემდეგ გადაეცათ ხუთივე მუნიციპალიტეტის ფერმერებს
სურსათის ხარისხის კონტროლის მიზნით ლაბორატორიული კვლევის პროგრამა	38 500	პროგრამის ფარგლებში მთლიანად რეგიონის მაშტაბით განხორციელდა მონიტორინგი სურსათის მარეალიზირებელ ობიექტებში, სადაც ხდება ნიმუშის აღება და ქიმიური და ბაქტეროლოგიური კვლევების მიზნით იგზავნება ლაბორატორიაში, სულ აღებული იქნება 220 საანალიზო ნიმუში
ამერიკული თეთრი პეპელას საწინააღმდეგო ღონისძიებები	365 865	პროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმში, ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში სულ წამლობითი ღონისძიებები ჩატარდა 2600 ჰა-ზე
სასმელი წყლის ხარისხის კონტროლის მიზნით ლაბორატორიული კვლევა	109 810	წყლით გადაცემადი ინფექციური დაავადებების შემცირებისა და წყლისმიერი ეპიდაფეთქებების თავიდან აცილების მიზნით პროგრამის ფარგლებში ხდება სასმელი წყლის ლაბორატორიული კვლევები, სულ აღებული იქნება 600 წყლის საანალიზო ნიმუში, რომელიც ქიმიური ბაქტეროლოგიური კვლევისათვის იგზავნება ლაბორატორიაში
ცხოველებისა და ადამიანის საერთო სნეულებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებები (აცრები)	225 600	პროგრამის ფარგლებში 108 ათას სულ მსხვ.ფეს. რქოს. პირუტყვს აცრები ჩაუტარდება „ჯილეხზე“ და „თურქულზე“ , „თურქულზე“ აცრები ჩატარდება ორჯერ. ხოლო 24 400 სულ კატასა და ძაღლს აცრები ჩაუტარდა „ცოფზე“. პირველი ეტაპი

		აცრების დასრულებულია, მიმდინარეობს „თურქულზე“ აცრების მეორე ეტაპი
ფერმერთა სწავლება-კონსულტირება და მათი უზრუნველყოფა სახელმძღვანელო-საცნობარო ლიტერატურით	17 950	პროგრამის ფარგლებში სასოფლო სამეურნეო დარგების მიხედვით ტრენინგები ჩაუტარდა ხუთივე მუნიციპალიტეტის 721 ფერმერს, ასევე ფერმერებს დაურიგდათ 4000 ცალი სახელმძღვანელო-საცნობარო ლიტერატურა
სულ	**1 221 725**	

13.3 ტურიზმი

დღეისათვის საქართველოში ტურიზმის სფეროს განვითარება ერთ–ერთ უმთავრეს სტრატეგიულ მიმართულებად არის აღიარებული. აღსანიშნავია, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტს ტურიზმის განვითარებისათვის გააჩნია მნიშვნელოვანი წინაპირობები ისტორიული ძეგლების, ტრადიციების, კურორტებისა და საკურორტო ადგილების, სხვა რესურსების სახით.

ტურიზმი არის დარგი, რომელიც საშუალებას აძლევს მუნიციპალიტეტს მაქსიმალურად გამოიყენოს არსებული ბუნებრივი, ისტორიული თუ კულტურული რესურსები.

13.3.1 ტურიზმში არსებული მდგომარეობა

- **კურორტების ანალიზი**

ქობულეთის მუნიციპალიტეტს წამყვანი ადგილი უჭირავს აჭარის რეგიონის ტურისტული დარგის განვითარებაში. ქობულეთის მუნიციპალიტეტში, დღესღეობით სამი მოქმედი კურორტი და ხუთი საკურორტო ადგილია. კურორტების ნუსხა იხილეთ №1 ცხრილში.

ცხრილი № 13.1. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კურორტები

№	კურორტის დასახელება	კურორტის ტიპი	სიმაღლე ზღვის დონიდან (მ)	საკურორტო ზონა	სავარაუდო სამედიცინო პროფილი
1	ქობულეთი	კლიმატური	3	I-1-ა	პროფილაქტიკური, კარდიოლოგიური, პულმონოლოგიური
2	ციხისძირი	კლიმატური	70-90	I-1-ა	პროფილაქტიკური, კარდიოლოგიური, პულმონოლოგიური, ნევროლოგიური (ცნს)
3	ჩაქვი	კლიმატური	30	I-1-ა	

აჭარის ზღვის კლიმატური კურორტებისგან განსაკუთრებული მიკროკლიმატით გამოირჩევა ***კურორტი ქობულეთი,*** რომელიც მდებარეობს აჭარა-ახალციხის მთიანეთის სამხრეთ-დასავლეთით, კოლხეთის დაბლობზე, ქ. ბათუმიდან 25 კმ-ის დაშორებით. იგი საქართველოს შავიზღვისპირეთის კურორტებიდან ყველაზე ახლოს მდებარეობს ზღვასთან და ზღვის დონიდან მხოლოდ 3-4 მეტრის სიმაღლეზეა განლაგებული. კურორტის ძირითადი სამკურნალო ფაქტორია შავი ზღვის თბილი და ტენიანი კლიმატი. მაქსიმალური თერაპიული ეფექტის მისაღებად აქ ერთმანეთთანაა შეთავსებული თალასოთერაპია[14] და სხვა სამკურნალო პროცედურები. კურორტი ქობულეთი

[14] ზღვის ჰავითა და ზღვაში ბანაობით მკურნალობა

საქართველოს შავიზღვისპირეთის მნიშვნელოვანი ტურისტული ცენტრია. დამსვენებლებს იზიდავს მისი საყოველთაოდ ცნობილი წვრილქვიშიანი მრავალკილომეტრიანი (12 კმ) სანაპირო ზოლი. კურორტს ამშვენებს ზღვისპირა პარკი, სადაც დამსვენებელს აქვს საშუალება გაერთოს სპორტულ მოედნებზე, საზაფხულო კაფე-ბარებში, ბუნგალოებსა და დისკო-კლუბებში.

კურორტი ციხისძირი მდებარეობს ზღვის დონიდან 60-90 მ-ის სიმაღლეზე ქ. ბათუმის ჩრდილოეთით, მისგან 17 კმ-ის დაშორებით. კურორტი გაშენებულია, ციხისძირის მაღლობზე, რომლის კალთებიც ციცაბოდ ეშვებიან ზღვაში და ქმნიან ციხისძირის კონცხს. ზღვაში შეჭრილი კონცხი სანაპიროს ორ ნაწილად ჰყოფს.

ციხისძირის ჰავის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ ის ზღვისა და მთის ჰაერის ნარევს წარმოადგენს. მისთვის დამახასიათებელია გრილი ზაფხული და თბილი, ზამთარი. ციხისძირის მწვანით შემოსილ ფერდობებზე, მის ბაღებსა და პარკებში, განლაგებულია რესტორნები, კაფე-ბარები და ბუნგალოები. სანაპიროები კეთილმოწყობილია, ფუნქციონირებენ ზღვაზე სასეირნო სატრანსპორტო საშუალებებიც, რომლებიც საკმაოდ დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ დამსვენებლებზე.

კურორტს გააჩნია სამკურნალო დანიშნულებაც, კერძოდ კი პროფილაქტიკური, კარდიოლოგიური, პულმონოლოგიური და ნევროლოგიური.

კურორტი ჩაქვი მდებარეობს ბათუმიდან 13 კმ. დაშორებით. აჭარაში ჩამოსულ დამსვენებლებსა და ტურისტებში დიდი პოპულარობით სარგებლობენ ჩაქვის სანაპირო ზოლზე განლაგებული სასტუმროები, აგარაკები და სააგარაკე სახლები, რომლებშიც საუკეთესო პირობებია შექმნილი შავი ზღვის სანპიროზე დასვენებისათის.

- **დაცული ტერიტორიების ანალიზი**

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს სამი დაცული ტერიტორია: კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი, ქობულეთის დაცული ტერიტორია და მტირალას ეროვნული პარკი.

კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი 2007 წელს დაარსდა. კინტრიშის დაცული ტერიტორიები მდებარეობს მდინარე კინტრიშის ხეობაში და სოფელ ცხემლვანსა და ხინოს მთის შუაა მოქცეული. აღნიშნულ დაცულ ტერიტორიებს საკმაოდ კარგი ტურისტული პოტენციალი გააჩნია. ის სულ რაღაც ოციოდე კილომეტრითაა დაშორებული კურორტ ქობულეთიდან. დაცულ ტერიტორიებზე შესაძლებელია საწყალოსნო, ეთნოლოგიური, ეკოლოგიური და ფრინველებზე დაკვირვების ტურების მოწყობა. დაცულ ტერიტორიაზე არსებობს ტურისტული მარშრუტები რომელიც წარმოადგენს ტურისტთა მოზიდვის დამატებით საშუალებას.

ქობულეთის დაცული ტერიტორია 1999 წელს შეიქმნა და მოიცავს ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალსა (331 ჰა) და ქობულეთის აღკვეთილს (439 ჰა), რომლებიც აჭარის

ავტონომიურ რესპუბლიკაში, შავი ზღვის გასწვრივ, ქალაქ ქობულეთის ჩრდილოეთით მდებარეობს. ქობულეთის დაცული ტერიტორიების მიდამოები ტურიზმის განვითარებისთვის ერთ-ერთ საუკეთესო პირობებს ქმნის – აქ შესაძლებელია საწყალოსნო, ეთნოლოგიური და ეკოლოგიური ტურების ორგანიზება, ფრინველებზე დაკვირვება ქობულეთთან ახლოს მდებარე მთიან დასახლებებში და სხვ. დაცული ტერიტორიის ადმინისტრაცია ტურისტებს სთავაზობს სხვადასხვა სახის დამუშავებულ ტურებს.

მტირალას ეროვნული პარკი შავ ზღვას და აჭარის მთათა სისტემას შორის, ჩაქვისწყლისა და ყორაღისწყლის წყალგასაყარზე მდებარეობს. ეროვნულ პარკს ფრინველზე დაკვირვების და ეკოლოგიური ტურიზმის განვითარებისთვის საკმაოდ კარგი პოტენციალი აქვს. მის სიახლოვეს მდებარე მთიან სოფლებში შესაძლებელია ეთნოგრაფიული ტურიზმის განვითარებაც. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი და პარკის ადმინისტრაცია ტურისტებს სთავაზობს სხვადასხვა სახის ტურ–პაკეტებს. დაცული ტერიტორიების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ № 14, № 15 და № 16 დანართებში.

- **ისტორიული ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობების ანალიზი**

ქობულეთის მუნიციპალიტეტში მდებარეობს 45 ისტორიული ძეგლი და ღირსშესანიშნაობა.

ისტორიული ძეგლების უმეტესი ნაწილი მიეკუთვნება XI-XIII საუკუნეების ძეგლს. ასევე მუნიციპალიტეტში გვხვდება ძვ.წ.აღ. VIII-VII საუკუნეების ისტორიული ძეგლებიც.

ძეგლების უმეტესობა საჭიროებს რესტავრაციას და მიმდებარე ტერიტორიებზე შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობას (მისასვლელი გზები და ბილიკები, მოსაცდელები და საპირფარეშოები, ტურისტული რუკები, საინფორმაციო დაფები, საგზაო ნიშნები და ა.შ.). ძეგლების უმეტესობას დაკარგული აქვს სანახაობრივი მხარე. აუცილებელია სპეციალური პროგრამის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ისტორიული ძეგლების მოვლა–პატრონობას, რესტავრაციას და ვიზუალური მხარის შენარჩუნებას. ქობულეთის მუნიციპალიტეტში არსებული ისტორიული ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობების შესახებ ინფორმაცია იხილეთ № 17 დანართში.

- **ტრადიციული და სახალხო დღესასწაულების ანალიზი**

ქობულეთის მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად 5 ტრადიციული და სახალხო დღესასწაულის ორგანიზება ხდება, რომელთა ძირითადი ინიციატორი და ორგანიზატორი ადგილობრივი თვითმმართველობაა. პრაქტიკულად ნულოვანი ინიციატივაა საკუთრივ თემების მხრიდან როგორც ორგანიზების, ასევე სპონსორების მოძიებაზე მუშაობის მიმართულებით.

აღნიშნული დეღესასწაულების ორგანიზება ხდება ზაფხულსა და ზამთარში, რაც უზრუნველყოფს ტურისტული სეზონის გახანგრძლივებას მთელი წლის განმავლობაში.

საჭიროა სახალხო დღესასწაულების სანახაობრივი მხარის დახვეწა და მათი პოპულარიზაცია. სასურველია მოცემული ღონისძიებების ორგანიზატორი და ინიციატორი იყოს მუნიციპალიტეტის თემები, მნიშვნელოვანია ისტორიული სახალხო დღესასწაულების აღმოჩენა და მათი პოპულარიზაცია.

ცხრილი 13.2. ტრადიციული და სახალხო დღესასწაულები

№	დასახელება	ჩატარების დრო	ორგანიზატორი და მხარდამჭერი
1	კინტრიშის ხეობის ზეიმი	სექტემბერი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა (მხარდამჭერი)
2	ჩაქვისწყლის ხეობის ზეიმი	5 სექტემბერი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა (მხარდამჭერი)
3	მარიამობა (სოფელი დაგვა)	28 აგვისტო	ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა (მხარდამჭერი)
4	„ქობულეთობა“	ნოემბრი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა (მხარდამჭერი)
5	თევზის დღე	4 დეკემბერი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა (მხარდამჭერი)

- **სახალხო რეწვის ოსტატები და ანსამბლები**

ხალხური რეწვის ოსტატები, ინდივიდუალური, გუნდური, საოჯახო ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები მუნიციპალიტეტის განუმეორებელ კულტურულ სახეს ქმნიან, რომელიც ტურიზმის, მით უფრო კულტურული ტურების განვითარებისათვის ანგარიშგასაწევი უპირატესობაა. თუმცა გასათვალისწინებელია, ისიც რომ ეს რესურსი, როგორც საბაზრო პროდუქტი, არ არის ჩამოყალიბებული და საამისოდ მნიშვნელოვანი ხელშეწყობაა საჭირო. ამ კუთხით აღნიშნულ პროდუქტს გამოცდა არ გაუვლია, რადგან არ ჩართულა საბაზრო პროცესებში. მაგალითად, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა–გაყიდვები პრაქტიკულად არ იმართება.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში მრავლადაა სახალხო რეწვის ოსტატები, რომელთა აქტიური წევრები ორივე სქესის წარმომადგენლები არიან, მანდილოსნები დაკავებული არიან რეწვით, ქარგვით და ქსოვით, ხოლო მამაკაცები რეწვითა და ხეზე კვეთით. სახალხო რეწვის ოსტატების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ № 18 დანართში.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბებულია სახვადასხვა მიმართულების ფოლკლორული წრეები და ანსამბლები, რომლებიც წარმატებულად ღებულობენ

მონაწილეობას არამარტო შიდასაქვეყნო არამედ ქვეყნის საზღვრებს გარეთაც გამართულ ფოლკლორულ ღონისძიებებში. მუნიციპალიტეტში მათი არსებობა მნიშვნელოვანია კულტურული ტურიზმის განვითარებისათვის. ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მოქმედი ანსამბლების შესახებ იხილეთ № 19 დანართში.

არსებით სირთულეს წარმოადგენს კულტურის სფეროს მიმართ ინტერესის ნაკლებობა ახალგაზრდებისა და საქმიანი წრეების მხრიდან. პირველ შემთხვევაში განვითარების ადამიანური რესურსი იზღუდება, მეორე შემთხვევაში კი - ფინანსური. შედეგად იზრდება ალბათობა იმისა, რომ მომავალი თაობა სულ უფრო ნაკლებს აითვისებს და გადასცემს.

- **ტურისტული ინფრასტრუქტურა**

ტურისტული ინფრასტრუქტურა მოიცავს ისეთი ორგანიზაციული და მატერიალური ობიექტების ერთობლიობას, რომლებიც ქმნიან ხელსაყრელ გარემოს მუნიციპალიტეტში ტურისტების მოზიდვისათვის, დასვენებისა და გართობის კომფორტული გარემოს ჩამოყალიბებისათვის. ტურისტული ინფრასტრუქტურის შემადგენელი ელემენტებია:

- სასტუმროები და ტურისტების განთავსების სხვა ობიექტები;
- საზოგადოებრივი კვების ობიექტები;
- ტრანსპორტი;
- სანიშნებითა და ბანერებით უზრუნველყოფილი საგზაო ქსელი;
- საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა;
- შემეცნებითი, საქმიანი, გასართობი, გამაჯანსაღებელი, სპორტული და სხვა ანალოგიური ობიექტები;
- ტურისტული სააგენტოები და ოპერატორები;
- გიდების მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციები.

სასტუმროების სფერო:

ქობულეთის მუნიციპალიტეტში სასტუმროსა და სასტუმროს ტიპის სახლების (GUEST HOUSE) რაოდენობა 130 ერთეულია, კერძოდ 14 სასტუმრო და 116 სასტუმროს ტიპის სახლია. სასტუმროს უმრავლესობას 15-დან 18 ნომერი გააჩნიათ, ხოლო ოთხ მათგანს 24 და მეტი ნომერი. ნომრის საშუალო ფასი ტურისტულად აქტიურ სეზონზე შეადგენს საშუალოდ 91 ლარს. (აგვისტოს თვეში, როდესაც ტურისტთა მაქსიმალური ნაკადი ფიქსირდება ნომრის ღირებულება საშუალოდ 118 ლარამდე იზრდება). რაც შეხება სასტუმროს ტიპის სახლებს მათი უმრავლესობაში ნომრების ფასები მერყეობს 10-დან 40 ლარამდე.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში ნაკლებადაა მაღალი კლასის სასტუმროები, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მხოლოდ ერთი ხუთ ვარსკვლავიან სასტუმრო (Georgian palace) ფუნქციონირებს.

მიუხედავად სასტუმროთა საკმაოდ დიდი რაოდენობისა საკონფერენციო დარბაზი მხოლოდ ორ სასტუმროს გააჩნია, რაც საკონფერენციო ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია.

ტურისტთა მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებისათვის მნიშვნელოვან რეფორმად გვევლინება ქობულეთის თავისუფალი ტურისტული ზონის შექმნა.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში არსებობს საკურორტო პოლიკლინიკა, რომელიც ზრუნავს ვიზიტორთა ჯანმრთელობაზე და იღებს პაციენტებს სხვადასხვა ქვეყნებიდან, რომლებიც ჩამოდიან სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნით. როგორც ცნობილია, ქობულეთის სანაპირო გამოირჩევა სამკურნალო თვისებებით განსაკუთრებით ფიჭვნარის ტერიტორიაზე მდებარე სანაპირო ზოლი. საკურორტო პოლიკლინიკა მათ სთავაზობს ტურისტთა დასვენებისათვის ძირითად მომსახურებებს. ზემოთ ხსენებული საკურორტო პოლიკლინიკა ხელს უწყობს სამკურნალო ტურიზმის განვითარებას. ქობულეთის მუნიციპალიტეტში მოქმედი სასტუმროების შესახებ ინფორმაცია იხილეთ № 20 დანართში.

საზოგადებრივი კვების ობიექტები:

ქობულეთის მუნიციპალიტეტში სულ 43 კაფე-ბარია, რომლის ძირითადი ნაწილი თავმოყრილია სანაპიროს მიმდებარე ტერიტორიაზე. მათგან მხოლოდ 18 აქვს სახელწოდება. არსებული უმთავრესად მიუთითებს დანარჩენი ობიექტების ორიენტირებას მხოლოდ ტურისტულად აქტიურ სეზონზე რაც გრძელვადიან პერიოდში მომსახურეობის განვითარების თვალსაზრისით შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში მდებარე სასტუმროებისა და კაფე-ბარების უმრავლესობას არ ჰყავთ მაღალ კვალიფიცირებული პერსონალი. რაც აფერხებს ტურისტების შემოსვლას სხვადასხვა ქვეყნებიდან და აქვეითებს კონკურენტუნარიანობის ხარისხს სხვა შავიზღვისპირა კურორტებთან და ხმელთაშუა ზღვასთან მდებარე კურორტებთან შედარებით, რომლებიც ფლობენ აშკარად საფასო უპირატესობას და კონკურენტუნარიან მომსახურებას.

დეფიციტური კადრების მომზადება გადამზადებას უზრუნველყოფ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული „ქობულეთის პროფესიული კოლეჯი“, რომელიც სხვა სპეციალობების პარალელურად უზრუნველყოფს ტურიზმის სფეროს კადრების მომზადება-გადამზადებას.

საინფორმაციო ცენტრი:

ქობულეთის მუნიციპალიტეტში 2011 წლიდან მოქმედებს ტურისტთა მომსახურების ორი საინფორმაციო ცენტრი: ჩოლოქისა და ისპანის ცენტრები. ისპანის საინფორმაციო ცენტრი ძირითადად ემსახურება ეკო-ტურიზმით დაინტერესებულ ვიზიტორებს, ხოლო ჩოლოქის საინფორმაციო ცენტრი კი ძირითადად ორიენტირებულია საზღვაო ტურიზმზე, აღსანიშნავია რომ აღნიშნული საინფორმაციო ცენტრების სრულყოფილი დატვირთვით ამოქმედება ხელს შეუწყობს მომსახურების ხარისხის ზრდას.

მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს არცერთი ტურისტული კომპანია და არ არის ჩამოყალიბებული ტურისტული მომსახურების მიწოდების (ექსკურსიები და გიდებით მომსახურება) პრაქტიკა. მიუხედავად ამისა აჭარის ა/რ-ისა და ზოგადად საქართველოს ტერიტორიაზე არსებობენ ტურისტული სააგენტოები, რომლებიც ამუშავებენ ქობულეთის ტურისტულ მარშრუტებს ადგილობრივი და უცხოელი ტურისტებისათვის.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ფაქტორად გვევლინება მუნიციპალიტეტში არსებული სარკინიგზო სადგური, რომელიც უზრუნველყოფს საკმაოდ დიდი რაოდენობის მგზავრთა გადაყვანას. ტურისტულად აქტიურ სეზონზე ხორციელდება სამგზავრო ვაგონების რაოდენობის ზრდა. აღსანიშნავია ისიც, რომ სარკინიგზო მიმოსვლა გააჩნია არამარტო საქართველოს ქალაქებთან არამედ სომხეთთანაც.

ტურისტული მარშრუტის მიმზიდველობის შეფასებისას, ხარისხის ფაქტორი საკვანძო კრიტერიუმს წარმოადგენს. ხარისხის განსაზღვრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად განიხილება მუნიციპალიტეტის შიგნით სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. მოუწესრიგებელია ასევე ტურისტულ ძეგლებთან მისასვლელი გზები და ბილიკები. არასტანდარტულია გზებზე არსებული საგზაო ნიშნები, მათი ხარისხი უმეტესწილად ცუდია, წარწერები ხშირად მხოლოდ ქართულ ენაზეა შესრულებული და ა.შ. ისტორიული ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობების მიმანიშნებელი აბრები ან საერთოდ არ არის ან არასრულადაა.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში ტურისტულად აქტიურ სეზონზე ადგილი აქვს საცობების წარმოიქმნას, რომლის ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს აღმოსავლეთთან დაკავშირებული ცენტრალური მაგისტრალი, სადაც გადაადგილდებიან ტურისტთა უმრავლესობა აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით და პირიქით. აღსანიშნავია რომ ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად მიმდინარეობს სამუშაოები. მთავრობის ინიციატივით დაიწყო 58-კმიანი ავტობანის მშენებლობა 2010 წლის შემოდგომაზე, რომელიც უნდა დასრულდეს 2014 წელს, ასევე იგეგმება ფოთი-სარფის ავტოსტრადის მშენებლობა, რომელის ქობულეთის მუნიციპალიტეტისა და ბათუმის 48 კილომეტრზე გადაიჭიმება. რაც ხელს შეუწყობს გზების განტვირთვას ქობულეთის მუნიციპალიტეტში.

ცენტრალური მაგისტრალების გასწვრივ თითქმის არ არის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი ტურისტული და სხვა ზოგადი ინფრასტრუქტურის ობიექტები: ტურისტთა მოსაცდელი ადგილები და საზოგადოებრივი საპირფარეშოები. მსგავსი ინფრასტრუქტურა საერთოდ არ არსებობს ისტორიული და არქიტექტურული ძეგლების და სხვა ტურისტული ღირსშესანიშნაობების გარშემო.

უკანასკნელ წლებში მიმდინარეობს წყალგაყვანილობისა და საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის მიუხედავად, პრობლემა მაინც საჭიროებს სრულ აღმოფხვრას, რის გამოც ტურისტულად აქტიურ სეზონზე ბუნებრივი მოვლენის დროს (წვიმის) დისკომფორტს უქმნის ტურისტებს გზებზე არსებული წყლის გუბები და სასმელი წლის შეზღუდულად მიწოდება.

ქობულეთის მუნიცილიტეტში მოქმედებს წყალზე სამაშველო სამსახური, რომლის განკარგულებაშიც შედის ორი საგუშაგო მაშველთათვის, რომელიც უზრუნველყოფენ ტურისტთა უსაფრთხოებას. ტურისტულად აქტიურ სეზონზე მაშველთა რაოდენობა 30–მდე იზრდება, რაც საკმარისი რაოდენობას წარმოადგენს ვიზიტორთა უსაფრთხოებისთვის, მაგრამ, რაც შეეხება საგუშაგოთა რაოდენობას ის სრულად ვერ უზრუნველყოფს ტურისტთა უსაფრთხოების მეთვალყურეობას სანაპიროს მთელ ტერიტორიაზე, რადგანაც ქობულეთის სანაპირო ზოლის სიგრძე 12 კმ–ია (აუთვისებელი ტერიტორია 5კმ., სანაპირო ზოლი ჯამში ჩვიდმეტ კილომეტრს შეადგენს).

ფიჭური კომუნიკაციის დაფარვის ზონაში მთელი მუნიციპალიტეტია მოქცეული. საკაბელო სატელეფონო ინფრასტრუქტურა კი მნიშვნელოვნად მოშლილია და დაბის გარეთ მისი გამოყენება ფრაგმენტულია.

13.3.2 ვიზიტორთა ანალიზი

ქობულეთის მუნიციპალიტეტში შემოსულ ტურისტთა დინამიკა ბოლო 6 წლის განმავლობაში მზარდი ტენდენციით გამოირჩევა.

2011 წელს ქობულეთის მუნიციპალიტეტში ტურისტთა რაოდენობა 2006 წელთან შედარებით დაახლოებით 311%–ით გაიზარდა. მათ შორის უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა გაიზარდა დაახლოებით 371 %–ით, ხოლო შიდა ვიზიტორთა რაოდენობა–283 %–ით.

დიაგრამა №13.1.ქობულეთში მუნიციპალიტეტში ვიზიტორთა რაოდენობის დინამიკა (2006-2011 წლებში)



საერთო ჯამში ტურისტთა შემოდინების დინამიკა მზარდია თუ არ ჩავთვლით 2008 წელს, როდესაც შეიმჩნევა ვიზიტორთა ნაკადის შემცირება, რაც განპირობებულია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომით.

უცხოელ ვიზიტორთა შემოდინება ქობულეთის მუნიციპალიტეტში აქტიურად ივნისი თვეში ხორციელდება, ხოლო შიდა ტურისტების - მაისში.

დიაგრამა №13.2. ტურისტთა ვიზიტი თვეების მიხედვით



ცხრილი №13.3 აჭარაში და მათ შორის ქობულეთის მუნიციპალიტეტში შემოსულ ვიზიტორთა რაოდენობა:

დასახელება / **წელი**	2006	2007	2008	2009	2010	2011
აჭარა	250000	352085	285000	554150	974563	1181871
ქობულეთი	78577	118942	67430	207850	276880	323789

როგორც ცხრილიდან ჩანს 2011 წელს აჭარაში შემოსული ვიზიტორების 27,3% ქობულეთის მუნიციპალიტეტს ეწვია. რაც წარმოადგენს საშუალო მაჩვენებელს, რომლის პოტენციური ზრდაც შესაძლებელია.

დიაგრამა №13.3. 2011 წლის მონაცემებით ქობულეთში შემოსულ ვიზიტორთა ხვედრითი წილი მთლიან რაოდენობასთან:



2005-2007 წლეებში ვიზიტორთა შემოდინება ძირითადად ივნის-აგვისტოს თვეებში ხდებოდა. ამ მხრივ სიტუაცია შეიცვალა 2008 წლიდან და ფიქსირდება ტურისტების ნაკადი მთელი წლის განმავლობაში.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში 2006–2011 წლებში ტურისტების დიდი რაოდენობით ვიზიტი აღინიშნება ივლისს–სექტემბრში.

- **ვიზიტორთა განთავსების ანალიზი ქობულეთის მუნიციპალიტეტში**

ქობულეთის მუნიციპალიტეტში ტურისტთა განთავსება შესაძლებელია შემდეგ ობიექტებში:

- სასტუმრო;
- სასტუმროს ტიპის სახლები;
- კერძო ბინები;

ცხრილი №13.4 ტურისტების ღამის თევის ანალიზი განთავსების ობიექტების მიხედვით:

2006						2007						2008						2009						2010					
სასტუმრო, სასტუმრო სახლი		კერძო ბინა		სულ		სასტუმრო, სასტუმრო		კერძო ბინა		სულ		სასტუმრო, სასტუმრო		კერძო ბინა		სულ		სასტუმრო, სასტუმრო		კერძო ბინა		სულ		სასტუმრო, სასტუმრო		კერძო ბინა		სულ	
კაცი						კაცი						კაცი						კაცი						კაცი					
რაოდენობრივი	ღამის თევით	რაოდენობრივი	ღამის თევით	რაოდენობრივი	ღამის თევით	რაოდენობრივი	ღამის თევით	რაოდენობრივი	ღამის თევით	რაოდენობრივი	ღამის თევით	რაოდენობრივი	ღამის თევით	რაოდენობრივი	ღამის თევით	რაოდენობრივი	ღამის თევით	რაოდენობრივი	ღამის თევით	რაოდენობრივი	ღამის თევით	რაოდენობრივი	ღამის თევით	რაოდენობრივი	ღამის თევით	რაოდენობრივი	ღამის თევით	რაოდენობრივი	ღამის თევით
9160	39403	69417	329118	78577	368521	8150	34650	110792	430677	118942	465327	7661	39581	59769	385079	67430	424660	68098	228474	139179	688908	207277	917382	59318	292835	217562	1557295	276880	1850130

მოცემული ცხრილი გვიჩვენებს თუ ტურისტების რამდენმა ნაწილმა მიმართა სასტუმროს და სასტუმროს ტიპის სახლს ღამისთევისთვის და რამდენმა კერძო ბინას. მოცემული ცხრილი ასევე საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ საშუალოდ რამდენ ხანს ჩერდება ერთი ტურისტი სასტუმროსა და კერძო ბინაში.

თუ მოვახდენთ 2010 წლის მონაცემების ანალიზს ნათლად დავინახავთ, რომ ტურისტები საშუალოდ 6-7 დღიან ტურებს ირჩევენ.

დიაგრამა 13.4. ვიზიტორთა განთავსების ხანგრძლივობა განთავსების ადგილების მიხედვით



როგორც დიაგრამაზე ჩანს ტურისტთა რაოდენობის ზრდამ საგრძნობლად ვერ იმოქმედდა ვიზიტის ხანგრძლივობის ზრდაზე.

მუნიციპალიტეტში შემოსულ ვიზიტორთა ის ნაწილი, რომლებიც სასტუმროებში ისვენებენ, უფრო დიდი ხნით ყოვნდებიან, ვიდრე ტურისტთა ის ნაწილი, რომლებიც დასასვენებლად კერძო ბინებს ირჩევენ.

როგორც ვხედავთ 2007 წელს შეიმჩნევა იმ ტურისტთა რაოდენობის ზრდა, რომლებიც უპირატესობას სასტუმროს ანიჭებენ.

დიაგრამა 13.5. განთავსების ობიექტების ხვედრითი წილი



როგორც № 13.18 დიაგრამიდან ჩანს, სასტუმროში განთავსების ხვედრითი წილი მზარდია და თუ 2005 წელს მისი ხვედრითი წილი 15%–ი იყო, 2010 წლისათვის ეს მაჩვენებელი 21%–მდე გაიზარდა. არსებული ფაქტორი განპირობებულია ახალი

სასტუმროების მშენებლობით, თუმცა არსებული მაჩვენებელი არ არის მაღალი და საჭიროა დამატებითი სასტუმროების მშენებლობა.

- **საკურორტო ადგილები**

ქობულეთის მუნიციპალიტეტში მდებარეობს ხუთი საკურორტო ადგილი. მათი მდებარეობა და მოკლე დახასიათება მოცემულია № ცხრილში.

ცხრილი 13.5. ქობულეთის მუნიციპალიტეტში არსებული საკურორტო ადგილები

№	საკურორტო ადგილის დასახელება	საკურორტო ადგილის ტიპი	სიმაღლე ზღვის დონიდან	საკურორტო ზონა	სავარაუდო სამედიცინო პროფილი
1	ბობოყვათი	კლიმატური	7	I-1-ა	პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური, ნევროლოგიური (ცნს)
2	კინტრიში	კლიმატური	700	II-1-ა	პროფილაქტიკური, კარდიოლოგიური
3	სკურდას მთა	კლიმატური	1200		პროფილაქტიკური
4	ფიჭვნარი	კლიმატური	10	I-1-ა	პროფილაქტიკური, კარდიოლოგიური, პულმონოლოგიური, ნევროლოგიური (ცნს)
5	ხინოს მთა	კლიმატური	1850	IV-ა	ართროლოგიური, ნევროლოგიური (პნს), გინეკოლოგიური

საკურორტო ადგილი ***ბობოყვათი*** ქობულეთის მუნიციპალიტეტში სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს, მისი სიმაღლე ზღვის დონიდან შეადგენს 7მ-ია. ბობოყვათის საკურორტო ზონა მიეკუთვნება 1-ა ზონას. მოცემული ადგილის, როგორც საკურორტო ადგილის განვითარება შესაძლებელია თავისი უნიკალური კლიმატით რომელსაც გააჩნია სამედიცინო დანიშნულება, სადაც ვიზიტორებს შეუძლიათ ჩაიტარონ როგორც პროფილაქტიკური ასევე პულმონოლოგიური და ნევროლოგიური სეანსი.

კინტრიში მიეკუთვნება კლიმატური საკურორტო ადგილის ტიპს, ის ზღვის დონიდან 700მ მდებარეობს, მისი განვითარება შესაძლებელია სამედიცინო დანიშნულების კურორტად, კინტრიშის უნიკალური ბუნება იძლევა იმის საშუალებას რომ გახდეს ერთერთი კონკურენტუნარიანი საკურორტო ადგილი ამ ტიპის კურორტებს შორის. მოცემულ კურორტში გულის დაავადებების მქონე ვიზიტორებს შეუძლიათ იმკურნალონ და ასევე ჩაიტარონ პროფილაქტიკური სეანსი; კინტრიშის ხეობის ბუნება შეუდარებელ სარეკრეაციო ადგილს წარმოადგენს.

სკუდრას მთა მდებარეობს ზღვის დონიდან 1200 მ-ზე, მოცემული კურორტი გამოირჩევა უნიკალური ჰავით, რომელიც სხვადასხვა სახის სენის მქონე ადამიანებს საშუალებას აძლევს ჩაიტარონ პროფილაქტიკურ-გამაჯანსაღებელი თერაპია.

საკურორტო ადგილი ***ფიჭვნარი*** მდებარეობს ჩრდილო-აღმოსავლეთით, ზღვის დონიდან 10 მ-ზე. ქალაქ ქობულეთთან სიახლოვე ხელს უწყობს მოცემულ საკურორტო ადგილის ტურისტული პოტენციალის ზრდას. ფიჭვნარი სამედიცინო პროფილის კურორტს მიეკუთვნება, სხვადასხვა სენით შეპყრობილ ადამიანებს შეუძლიათ ჩაიტარონ პროფილაქტიკური თერაპია და დაისვენონ ყველაზე ეკოლოგიურად სუფთა ზღვაზე აქტიური დასვენებით,

საკურორტო ადგილი ***ხინოს მთა*** მდებარეობს ზღვის დონიდან 1850 მ-ზე. ხოლო ხინოს მთის მწვერვალი 2599 მ-ს შეადგენს, რომელიც ქობულეთის მუნიციპალიტეტში ყველაზე მაღალი მწვერვალია, ეს საკურორტო ადგილი IV-ა საკურორტო ზონა მიეკუთვნება. ხინოს მთის უნიკალური ჰავა საშუალებას იძლევა აქ მოსული ვიზიტორები განიკურნონ სხვადასხვა დაავადებისგან, აღსანიშნავია რომ ხინოს მთა ერთადერთი საკურორტო ადგილია სადაც ვიზიტორებს შეუძლიათ განიკურნონ გინეკოლოგიური დაავადებისგან. მისი პოტენციალი ასამაღლებლად აუცილებელია სახელმწიფომ მოაწყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

- **კანონი თავისუფალი ტურისტული ზონის შესახებ**

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2010 წლის 26 ოქტომბრის პრეზიდენტის ბრძანებულებით ძალაში შევიდა კანონი ქობულეთის თავისუფალი ტურისტული ზონის შესახებ, რომლის თანახმად ქობულეთის მუნიციპალიტეტში შეიქმნა თავისუფალი ტურისტული ზონა, სადაც განსაკუთრებული პირობები ექნებათ ინვესტორებს, კერძოდ კი: ინვესტორები 15 წლის განმავლობაში თავისუფალი იქნებიან ქონების მოსაკრებლისგან და სიმბოლურ 1 ლარად გადაეცემათ არაუმეტეს 0,2 ჰა ფართობი მიწის ნაკვეთი. სადაც უნდა მოახდინონ არანაკლებ 1 მლნ ლარის ინვესტიცია და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში უნდა დასრულდეს სასტუმროს მშენებლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ჩამოერთმევათ არსებული მიწის ნაკვეთი.

აღნიშნული მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის გაზრდასა და განვითარებას, მოხდება ბაზარზე ახალი სასტუმროების გამოჩენა და კონკურენციის გაზრდა, რაც თავისთავად ხელს შეუწობს და გაზრდის მომსახურეობის ხარისხს, აღნიშნული კი საბოლოო ჯამში მიგვიყვანს ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდამდე.

მაგრამ აღნიშნული პროექტი მიმდინარეობს შეფერხებით, კერძოდ კი: დაგეგმილი 40 სასტუმროს ნაცვლად მხოლოდ 3 სასტუმროს მშენებლობა მიმდინარეობს. სახელმწიფომ ინვესტორების მოსაზიდად უნდა გააქტიუროს თავისი პოლიტიკა და უნდა გაზარდოს ინფორმირების ხარისხი რეკლამებისა და სხვა ღონისძიებების საშუალებით.

მთლიანობაში ქობულეთის მუნიციპალიტეტს, არსებული რესურსების გათვალისწინებით, გააჩნია შემდეგი სახის ტურიზმის განვითარების პერსპექტივები:

- შემეცნებითი ტურიზმი
- ეკოტურიზმი:
- სასოფლო და აგრარული ტურიზმი:
- სამთო ტურიზმი:
- საცხენოსნო ტურიზმი:
- სამკურნალო ტურიზმი:
- ფრინველებზე დაკვირვება – ბორდვოჩინგი.

ტურისტული მარშუტები. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული და მომზადებულია შვიდი ტურის შესაბამისი ტურისტული რუკები და მარშრუტების აღწერილობა ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რომლის გამოყენებაც შეუძლიათ როგორც ადგილობრივ, ისე სრულიად საქართველოს ტურისტულ სააგენტოებს. ამასთან აღსანიშნავია, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ტურიზმის ორი საინფორმაციო ცენტრი. შვიდი ტურისტული მარშრუტიდან სამი მიეკუთვნება დაცული ტერიტორიებს.

მოქმედი ტურისტული მარშრუტი მოიცავს: ისტორიულ, სამთო–სათხილამურო და რელიგიური მარშრუტებს (იხ. დანართი №22).

14 უსაფრთხოება

ქობულეთის მუნიციპალურ სამმართველოებში დღესდღეობით არის შემდეგი პოლიციის განყოფილებები: ჩაქვის, მუხაესტატესა და ხუცუბნის პოლიციის განყოფილებები.

2010 წლის მონაცემებით ქობულეთის მუნიციპალურ სამმართველოების პოლიციის განყოფილებებში სულ 57 ადამიანია დასაქმებული.

2006-2010 წლებში ქობულეთის მუნიციპალურ სამმართველოში რეგისტრირებული და გახსნილი დანაშაულების სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

დიაგრამა № 14.1. რეგისტრირებულ და გახსნილ დანაშაულთა დინამიკა



2010 წელს 2006 წელთან შედარებით დარეგისტრირებულ დანაშაულთა რაოდენობა 34 %–ით შემცირდა. ხოლო თუ 2006 წელს გახსნილ დანაშაულთა რაოდენობა 43%–ი იყო 2010 წელს დანაშაულთა გახსნის მაჩვენებელი 33%–მდე შემცირდა.

რეგისტრირებული დანაშაულების მიხედვით ყველაზე დიდი მაჩვენებელი ფიქსირდება ქობულეთის მუნიციპალიტეტში და მისი ხვედრითი წილი ხუთი მუნიციპალიტეტის რეგიონის ჯამურ რეგისტრირებულ დანაშაულთა რაოდენობაში 0,54–ს შეადგენს.

ისევე როგორც რეგისტრირებულ დანაშაულთა მაღალი ხვედრითი წილი, არასახარბიელო მდგომარეობაა გახსნილ დანაშაულთა რაოდენობასთან მიმართებაში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით ყველაზე დაბალი პროცენტული მაჩვეენებლი ფიქსირდება ქობულეთის მუნიციპალიტეტში – 33%–ი. ყოველ 1000 კაცზე რეგისტრირებულ დანაშაულთა კოეფიციენტი 4,95 პრომილეა. დანაშაულთა დიდი ნაწილი რეგისტრირდება ტურისტულ სეზონზე.

მუნიციპალიტეტში მოქმედებს წყალზე სამაშველო და ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურები.

15 საჯარო ფინანსები

15.1 ბიუჯეტის შემოსულობების აღრიცხვა და ანგარიშგება

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები სტაბილურად მზარდი დინამიკისაა და 2011 წლის ფაქტი 11 893 584 ლარია. გამონაკლისს წარმოადგენს 2009 წლის ბიუჯეტი. შემოსავლების კლება ამ წელს განპირობებულია ეკონომიკის ომისშემდგომი კრიზისით. 2011 წლის ბიუჯეტის გეგმა ითვალისწინებს შემოსავლების ზრდას 13 419 084 ლარამდე. ბიუჯეტის ზრდის საშუალო ტემპი 23%-ია.

ცხრილი 15.1. ბიუჯეტის შემოსავლები 2008-2011 წლების მიხედვით

	2008 წლის ფაქტი	2009 წლის ფაქტი	2010 წლის ფაქტი	2011 წლის გეგმა
შემოსავლები	9 828 562	6 140 252	11 893 584	13 419 084
გადასახადები	1 332 862	955 780	1 857 248	907 300
გრანტები	7 883 500	4 507 509	9 201 875	11 662 057
სხვა შემოსავლები	612 200	676 963	834 461	849 727

დიაგრამა 15.1. ბიუჯეტის შემოსავლები 2008-2011 წლების მიხედვით



საგადასახო შემოსავლების წილი მთლიან შემოსავლებში ძალიან დაბალია. 2008-2010 წლების ფატების მიხედვით ჯამური მაჩვენებელი 5 053 190 ლარს შეადგენს. მათ შორის, ყველაზე მსხვილ საგადამხდელო ბაზას ქმნიან საწარმოები, რომლებიც ფლობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონებას (გარდა მიწისა). მზარდია შემოსავლები არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზეც. 2010 წელს შემოსავალი ამ კატეგორიიდან 525 043 ლარს გაუტოლდა.

ცხრილი 15.2. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურა 2008-2011 წლების მიხედვით

	2008 წლის ფაქტი	2009 წლის ფაქტი	2010 წლის ფაქტი	2011 წლის გეგმა
ქონების გადასახადი	**1 332 862**	**955 780**	**1 857 248**	**907 300**
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	857 803	484 639	1 254 540	448 800
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	55 731	23 381	48 686	40 500
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1 069	16 595	26 235	18 000
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	413 770	429 198	525 043	400 000
სხვა არაკლასიფიცირებული ადგილობრივი გადასახადი	4 489	1 967	2 744	

დიაგრამა 15.2. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურა 2008-2011 წლების მიხედვით



საგრანტო შემოსავლები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის უმთავრესი მდგენელია. სხვადასხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტების მოცულობა 2008-2010 წლებში 21 592 884 ლარია. 2011 წლის დაგეგმილი მოცულობა კი - 11 662 057 ლარს შეადგენს. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტების მოცულობა 2009 წელს იყო 48 100 ლარი. სხვა წლებში (ანალიზურ პერიოდში) მუნიციპალიტეტს შემოსავლები პირდაპირი საერთაშორისო არხებით არ მიუღია.

ცხრილი 15.3. ბიუჯეტის საგრანტო შემოსავლების სტრუქტურა 2008-2011 წლების მიხედვით

	2008 წლის ფაქტი	2009 წლის ფაქტი	2010 წლის ფაქტი	2011 წლის გეგმა
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები		48 100		
სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	***7 883 480***	***4 459 409***	***9 201 875***	***11 662 057***
საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერი	2 433 000	3 371 400	3 933 400	5 649 300
სპეციალური ტრანსფერი	5 450 480	1 088 009	5 268 475	6 012 757

დიაგრამა 15.3. ბიუჯეტის საგრანტო შემოსავლების სტრუქტურაში გათანაბრებითი ტრანსფერისა და სპეციალური ტრანსფერის თანაფარდობა 2008-2011 წლების მიხედვით



სხვა შემოსავლების კატეგორიაში აღირიცხება შემოსავლები საკუთრებიდან, საკუთრებისა და მომსახურების რეალიზაციიდან, სანქციების განხორციელებიდან და შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურეობებიდან მიღებული შემოსავლები. 2008-2010 წლებში ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი 147 686 ლარს შეადგენს, ხოლო ანალოგიურ პერიოდში მიწის იჯარიდან მიღებულია 170 573 ლარი, მშენებლობის ნებართვაზე მოსაკრებლით - 46 196 ლარი, სატენდერო მოსაკრებლით - 18 350 ლარი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლით - 364 469 ლარი და სანდასუფთავების მოსაკრებლით - 213 936 ლარი. მთლიანობაში სამი წლის განმავლობაში სხვა შემოსავლების სტრუქტურაში მოსაკრებლებით მიღებულმა შემოსავალმა 642 950 ლარი შეადგინა, რაც საგრანტო შემოსავლების გარეთ მყოფი შემოსავლების 10,26%-ია.

ცხრილი 15.4. ბიუჯეტის სხვა შემოსავლების სტრუქტურა 2008-2011 წლების მიხედვით

	2008 წლის ფაქტი	2009 წლის ფაქტი	2010 წლის ფაქტი	2011 წლის გეგმა
შემოსავლები საკუთრებიდან	***149 151***	***108 946***	***114 049***	***110 000***
პროცენტები	53 887	61 484	38 618	60 000
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	47 584	61 484	38 618	60 000
შემოსავლები მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან	47 680	47 462	75 431	50 000
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	***192 982***	***247 122***	***366 268***	***330 000***
მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე	15 017	13 827	17 352	14 000
სხვა არაკლასიფიცირებული სახელმწიფო ბაჟი	463	399		
სატენდერო მოსაკრებელი	5 600	2 400	10 350	
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	143 447	87 088	133 934	140 000
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	16 859	78 761	118 315	130 000
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	11 596	8 327	15 619	10 000
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	***221 434***	***230 956***	***291 147***	***200 000***
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	***48 633***	***15 275***	***7 016***	***112 897***

დიაგრამა 15.4. ბიუჯეტის სხვა შემოსავლების სტრუქტურა 2008-2011 წლების მიხედვით



ცხრილი 15.5 ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურა 2008-2011 წლების მიხედვით, ლარი

	2008 წლის ფაქტი	*წილი მთლიან შემოსავლებში, %*	2009 წლის ფაქტი	*წილი მთლიან შემოსავლებში, %*	2010 წლის ფაქტი	*წილი მთლიან შემოსავლებში, %*	2011 წლის გეგმა	*წილი მთლიან შემოსავლებში, %*
საგადასახადო შემოსავლები	**1 332 862**	*13,56*	**955 780**	*15,57*	**1 857 248**	*15,62*	**907 300**	*6,76*
ქონების გადასახადი	***1 332 862***	*13,56*	***955 780***	*15,57*	***1 857 248***	*15,62*	***907 300***	*6,76*
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	857 803	*8,73*	484 639	*7,89*	1 254 540	*10,55*	448 800	*3,34*
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	55 731	*0,57*	23 381	*0,38*	48 686	*0,41*	40 500	*0,30*
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1 069	*0,01*	16 595	*0,27*	26 235	*0,22*	18 000	*0,13*
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	413 770	*4,21*	429 198	*6,99*	525 043	*4,41*	400 000	*2,98*
სხვა არაკლასიფიცირებული ადგილობრივი გადასახადი	4 489	*0,05*	1 967	*0,03*	2744	*0,02*		*0,00*
საგრანტო შემოსავლები	**7 883 500**	*80,21*	**4 507 509**	*73,41*	**9 201 875**	*77,37*	**11 662 057**	*86,91*
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები		*0,00*	48 100	*0,78*		*0,00*		*0,00*
სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	**7 883 480**	*80,21*	**4 459 409**	*72,63*	**9 201 875**	*77,37*	**11 662 057**	*86,91*
საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერი	2 433 000	*24,75*	3 371 400	*54,91*	3 933 400	*33,07*	5 649 300	*42,10*
სპეციალური ტრანსფერი	5 450 480	*55,46*	1 088 009	*17,72*	5 268 475	*44,30*	6 012 757	*44,81*

სხვა შემოსავლები	**612 200**	*6,23*	**676 963**	*11,03*	**834 461**	*7,02*	**849 727**	*6,33*
შემოსავლები საკუთრებიდან	***149 151***	***1,52***	***108 946***	***1,77***	***114 049***	***0,96***	***110 000***	***0,82***
პროცენტები	53 887	*0,55*	61 484	*1,00*	38 618	*0,32*	60 000	*0,45*
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით	47 584	*0,48*	61 484	*1,00*	38 618	*0,32*	60 000	*0,45*
სარგებლობისათვის შემოსავლები მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან	47 680	*0,49*	47 462	*0,77*	75 431	*0,63*	50 000	*0,37*
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	***192 982***	***1,96***	***247 122***	***4,02***	***366 268***	***3,08***	***330 000***	***2,46***
მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე	15 017	*0,15*	13 827	*0,23*	17 352	*0,15*	14 000	*0,10*
სხვა არაკლასიფიცირებული სახელმწიფო ბაჟი	463	*0,00*	399	*0,01*		*0,00*		*0,00*
სატენდერო მოსაკრებელი	5 600	*0,06*	2 400	*0,04*	10 350	*0,09*		*0,00*
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	143 447	*1,46*	87 088	*1,42*	133 934	*1,13*	140 000	*1,04*
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	16 859	*0,17*	78 761	*1,28*	118 315	*0,99*	130 000	*0,97*
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	11 596	*0,12*	8 327	*0,14*	15 619	*0,13*	10 000	*0,07*
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	***221 434***	***2,25***	***230 956***	***3,76***	***291 147***	***2,45***	***200 000***	***1,49***
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	***48 633***	***0,49***	***15 275***	***0,25***	***7 016***	***0,06***	***112 897***	***0,84***

ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი საგრანტო შემოსავლებზე მოდის - საშუალოდ 79,47%. საგრანტო შემოსავლებში ყველაზე მოცულობით წილს სპეციალური ტრანსფერი იჭერს - 69%.

საშუალო მაჩვენებლის მიხედვით საგადასახადო შემოსავლების წილი 12,88%-ია და 2011 წლის გეგმის მიხედვით კლებით ხასიათდება. საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურა მთლიანად ქონების გადასახადებითაა აგებული და ძირითადი ნაწილი საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) მოდის. ეს მაჩვენებელი 2008-2010 წლების ფაქტის მიხედვით 9%-ს აჭარბებს.

სხვა შემოსავლები მთლიან შემოსულობებში საშუალოდ 8% შეადგინა 2008-2010 წლებში. ყველაზე მნიშვნელოვან მოცულობას ამ კატეგორიაში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი და სანქციები ადგენს. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელმა 2008-2010 წლებში 364 469 ლარი შეადგინა ხოლო, 2011 წლის გეგმის მიხედვით 140 ათასი ლარის შემოსავალია ბიუჯეტში გათვალისწინებული. ჯარიმებისა და საურავების პროცენტული წილი მთლიან საბიუჯეტო შემოსავლებში 2.82%-ია და 2008-2010 წლებში ჯამში 743 537 ლარი შეადგინა.

15.2 ბიუჯეტის გადასახდელები

1. საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება

საერთო დანიშნულების მომსახურეობაზე გაწეული ხარჯები ანალიზურ პერიოდში მზარდია. 2011-2-12 წლებში ვალთან დაკავშირებული ოპერაციების დასაფინანსებლად გეგმით გათვალისწინებული ხარჯების მოცულობა 412 192 ლარია. ოპერაციების შედეგად გათვალისწინებულია დაბა ოჩხამური-ჯიხანჯურის წყალსადენის რეაბილიტაცია (123 504 ლარი), ქობულეთის წყალარინების პროექტის თანადაფინანსება (98 600 ლარი) და კანალიზაციის სარეაბილიტაციო სატუმბი სადგურის პროექტის ქვეპროექტის (91 488 ლარი) დაფინანსება.

მაჟორიტარი დეპუტატის მომსახურების ხარჯებმა 2010 წელს 11 785 ლარი შეადგინა. ამ ტიპის ხარჯი ანალიზური პერიოდის ყველა წლის ბიუჯეტის გეგმაში 12 000 ლარითაა დაფიქსირებული.

ცხრილი 15.6. საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე გაწეული ხარჯების სტრუქტურა და დინამიკა 2008-2012 წლების მიხედვით

	2008 წლის ფაქტი	2009 წლის ფაქტი	2010 წლის ფაქტი	2011 წლის გეგმა	2012 წლის გეგმა
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	**1 203 941**	**1 131 246**	**1 325 047**	**2 280 929**	**2 103 301**
აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1 091 901	1 059 888	1 184 973	1 699 755	1 628 760
ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	70 500	71 358	79 244	224 300	220 020

საერთო დანიშნულების მომსახურება	16 210	24 064	22 691	0	0
ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0	0	0	199 671	212 521
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების მომსახურებაში	25 330	4 999	38 139	157 203	42 000

დიაგრამა 15.5. საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე გაწეული ხარჯების დინამიკა 2008-2012 წლების მიხედვით, ათასი ლარი



2. თავდაცვა

თავდაცვაზე გაწეული ხარჯები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, ჩვეულებრივ სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურზე მოდის.

დიაგრამა 15.6. თავდაცვაზე გაწეული ხარჯების დინამიკა 2008-2012 წლების მიხედვით, ათასი ლარი



3. საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებაზე მიმდინარე ხარჯები პოლიციის რაიონულ განყოფილებასა და სახანძრო დაცვას ემსახურება. ხანძარსაწინააღმდეგო დაცვაზე გაწეული ხარჯები სტაბილური დინამიკისაა. პოლიციის რაიონული განყოფილების ხარჯების თითქმის ას პროცენტიანი ზრდაა ნავარაუდევი 2011-2012 წლებში.

დიაგრამა 15.7 საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებაზე გაწეული ხარჯების დინამიკა 2008-2012 წლების მიხედვით, ათასი ლარი



4. ეკონომიკური საქმიანობა

ეკონომიკურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯების საერთო მოცულობა 2008-2012 წლებში 11 058 730 ლარია. აქედან სოფლის მეურნეობაზე მიემართა ხარჯების მხოლოდ 1% - 112 475 ლარი. თანხა გამოყენებულ იქნა პრეპარატ იოზეფისა (2008-2010 წლები) და ამონიუმის გვარჯილას (2009 წელი) შესაძენად. 2008 წელს ბიოგაზის დანადგარის დამონტაჟებაზე 3 698 ლარი გამოიყო, მიწის ნაკვეთების აზომვითი ნახაზების მომზადებაზე 54 405 ლარი, სასოფლო-სამეურნეო ტრაქტორის აღჭურვილობაზე 12 500 ლარი, სამუშაოების შესრულებისას სურსათის შესაძენად 5 176 ლარი და მრავალწლიანი ნარგავების შეძენაზე 2 000 ლარი.

ამ მუხლში გატარებული საბიუჯეტო სახსრების 94% მიმართულია საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაზე. მათ შორის, 2008 წელს ადგილობრივი მნიშვნელობის სასოფლო გზების ექსპლოატაციაზე დაიხარჯა 528 165 ლარი, ნაპირსამაგრ სამუშაოებზე 2 000 ლარი, ხიდების შეკეთებაზე 54 890 ლარი. აღმაშენებლის ქუჩის რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსებაზე 2011 წლის ბიუჯეტში გამოყოფილი თანხის მოცულობამ შეადგინა 1 159 800 ლარი.

ეკონომიკურ საქმიანობაზე გამოყოფილი თანხების 5% არაკლასიფიცირებულ ეკონომიკური საქმიანობებს მოხმარდა.

ცხრილი 15.7 ეკონომიკურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯების დინამიკა 2008-2012 წლების მიხედვით

	2008 წლის ფაქტი	2009 წლის ფაქტი	2010 წლის ფაქტი	2011 წლის გეგმა	2012 წლის გეგმა
ეკონომიკური საქმიანობა	1 706 451	208 999	151 533	6 105 816	2 885 931
სოფლის მეურნეობა	**94 782**	**13 943**	**3 750**	**0**	**0**
პრეპარატ იოზეფის შეძენა			3 750	0	0
ამონიუმის გვარჯილას შეძენა		13 943	0	0	0
საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	**1 553 989**	**93 528**	**19 882**	**5 968 726**	**2 758 691**
ქუჩებს შორისი გადასასვლელის მოწყობა		93 528	19 882	4 756 126	2 758 691
საპროექტოების შესყიდვა				52 800	0
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	**57 680**	**101 528**	**127 901**	**137 090**	**127 240**
ინფრასტრუქტურის სამსახური		45 051	57 390	71 250	70 180
ეკონომიკური განვითარების სამსახური (ქონების მართვა)		56 477	70 511	65 840	57 060

დიაგრამა 15.8 ეკონომიკურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯების დინამიკა 2008-2012 წლების მიხედვით, ათასი ლარი



5. გარემოს დაცვა

გარემოს დაცვაზე გამოყოფილი სახსრები 2008-2012 წლებში ჯამში 8 225 209 ლარია. ამ თანხის 64% სანიტარულ დასუფთავებაზე იხარჯება.

ცხრილი 15.8. გარემოს დაცვაზე გაწეული ხარჯების დინამიკა 2008-2012 წლების მიხედვით

	2008 წლის ფაქტი	2009 წლის ფაქტი	2010 წლის ფაქტი	2011 წლის გეგმა	2012 წლის გეგმა
გარემოს დაცვა	**821 082**	**844 396**	**1 562 272**	**3 447 459**	**1 550 000**
სანიტარული დასუფთავება	740 302	809 381	1 073 797	1 250 000	1 400 000
ჩამდინარე წყლების მართვა	38 937	35 015	488 475	2 197 459	150 000

დიაგრამა 15.9. გარემოს დაცვაზე გაწეული ხარჯების დინამიკა 2008-2012 წლების მიხედვით



6. საბინაო-კომუნალური მეურნეობა

გარემოს დაცვაზე 2008-2012 წლებში გაწეული ხარჯების ჯამური მოცულობა 26 320 674 ლარია. ხარჯების 34% კომუნალური მეურნეობის განვითარებაზეა ორიენტირებული. სხვადასხვა დანიშნულების ადმინისტრაციული შენობების რემონტზე, ფასადების კეთილმოწყობაზე, დეკორატიული სკამების შეძენაზე, ლიფტების მონტაჟსა და სხვა საქმიანობებზე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 9 მილიონ ლარზე მეტის ფინანსური რესურსი იქნა მობილიზებული.

მუნიციპალიტეტის გარე განათება ბიუჯეტს ყოველ წლიურად საშუალოდ 964 000 ლარი უჯდება.

ზედამხედველობისა და მშენებლობების სივრცითი მოწყობის სამსახურების ხარჯი ანალიზურ პერიოდში 543 875 ლარია.

ცხრილი 15.9. გარემოს დაცვაზე გაწეული ხარჯების დინამიკა 2008-2012 წლების მიხედვით

	2008 წლის ფაქტი	2009 წლის ფაქტი	2010 წლის ფაქტი	2011 წლის გეგმა	2012 წლის გეგმა	სულ
საბინაო-კომუნალური მეურნეობის განვითარება	4 076 641	2 339 089	4 400 658	6 744 959	8 759 327	26 320 674
კომუნალური მეურნეობის განვითარება	1 287 550	64 540	1 076 318	964 435	5 651 637	9 044 480
წყალმომარაგება	2 098 360	829 781	638 663	3 080 149	704 880	7 351 833
გარე განათება	575 178	503 312	505 948	666 249	641 050	2 891 737
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	115 553	941 456	2 179 729	2 034 126	1 761 760	7 032 624

7. ჯანმრთელობის დაცვა

ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების საერთო მოცულობა ანალიზურ პერიოდში 792 897 ლარია. წელიწადში საშუალოდ 158 579 ლარის ოდენობითა და კლებადი დინამიკით.

დიაგრამა 15.10 ჯანმრთელობის დაცვაზე გაწეული ხარჯების დინამიკა 2008-2012 წლების მიხედვით



8. დასვენება, კულტურა, რელიგია

ანალიზურ პერიოდში დასვენების, კულტურისა და რელიგიის ხარჯები 4 036 495 ლარს უტოლდება. ხარჯების ძირითადი ნაწილი კულტურის სფეროზე მოდის - 68%. საშუალოდ წლიურად 380 422 ლარი უჯდება ბიუჯეტს ა(ა)იპ კულტურის სახლის შენახვა.

ქობულეთში კინოს სახლის რეაბილიტაციისათვის 2009-2010 წლების ბიუჯეტებიდან 87 600 ლარი დაიხარჯა. 286 814 ლარი გამოიყო ბიუჯეტიდან ანალიზური პერიოდის განმავლობაში კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

ცხრილი 15.10. დასვენებაზე, კულტურასა და რელიგიაზე გაწეული ხარჯების დინამიკა 2008-2012 წლების მიხედვით

	2008 წლის ფაქტი	2009 წლის ფაქტი	2010 წლის ფაქტი	2011 წლის გეგმა	2012 წლის გეგმა	სულ
დასვენება, კულტურა, რელიგია	**1 216 586**	**463 117**	**674 742**	**839 170**	**842 880**	**4 036 495**
მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	535 296	37 809	96 021	141 653	110 000	**920 779**
მომსახურება კულტურის სფეროში	648 589	346 567	421 062	652 157	660 100	**2 728 475**
რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	7 500	3 000	700	500	4 500	**16 200**
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა კულტურისა და რელიგიის სფეროში	25 201	75 741	156 959	44 860	68 280	**371 041**

9. განათლება

ძირითადი ხარჯები განათლების სფეროში ბაღების გაერთიანებაზე მოდის და ამ ხარჯის წილი ამ მუხლში გამოტანილ ხარჯებთან არის 71%. ზოგად განათლებაზე გაწეული ხარჯები არასისტემური ხასიათისაა და მეტწილად სახელოვნებო და სასპორტო სკოლებს ეთმობა.

ცხრილი 15.11. განათლებაზე გაწეული ხარჯების დინამიკა 2008-2012 წლების მიხედვით

	2008 წლის ფაქტი	2009 წლის ფაქტი	2010 წლის ფაქტი	2011 წლის გეგმა	2012 წლის გეგმა	სულ
განათლება	**511 502**	**923 611**	**1 907 048**	**1 283 690**	**1 889 700**	**6 004 049**
სკოლამდელი აღზრდა	376 945	533 611	1 499 768	833 290	1 368 900	**4 235 569**
ზოგადი განათლება	**52 751**	**0**	**9 280**	**16 000**	**9 000**	**87 031**
საშუალო ზოგადი განათლება	52 751	0	9 280	16 000	9 000	**87 031**
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	81 806	390 000	398 000	434 400	511 800	**1 816 006**



10. სოციალური დაცვა

სოციალურ დაცვაზე გაწეული ხარჯები ანალიზური პერიოდის განმავლობაში 1 258 049 ლარია. ამ თანხის 50%-ზე მეტი მუნიციპალური სასადილოს შენახვის ხარჯებს წარმოადგენს. ამ მუხლის ხარჯების სტრუქტურას მთლიანად ავსებს პროგრამული სოციალური პაკეტები. მ.შ. სტიქიის შედეგად დამეწყრილ ოჯახებს 2009-2010 წლებში გაეწიათ 200 568 ლარის დახმარება, ხოლო 2011-2012 წლების ბიუჯეტების გეგმის მიხედვით კვლავ გამოიყოფა ანალოგიური მიზნებით 35 000 ლარი.

ცხრილი 15.12. სოციალურ დაცვაზე გაწეული ხარჯების დინამიკა 2008-2012 წლების მიხედვით

	2008 წლის ფაქტი	2009 წლის ფაქტი	2010 წლის ფაქტი	2011 წლის გეგმა	2012 წლის გეგმა	სულ
სოციალური დაცვა	**466 069**	**199 430**	**423 519**	**318 600**	**316 500**	**1 258 049**
მუნიციპალური უფასო სასადილოს პროგრამა	120 472	120 614	128156	153000	153000	**554 770**
სტიქიის შედეგად დამეწყრილი ოჯახების დახმარების პროგრამა		3 678	196 890	5 000	30 000	**235 568**
ომის მონაწილეებზე და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე დახმარების პროგრამა	20 747	9 438	7 850	17 900	10300	**66 235**
ყოველ მესამე და მომდევნო შვილზე ერთჯერადი დახმარების პროგრამა	25 650	25 250	29 300	45 700	45 700	**171 600**
ხუთ და მეტ ბავშვთა ოჯახებზე დახმარების პროგრამა	25 000	24 000	21 000	40 500	24 000	**134 500**

დედ-მამით ობოლ ბავშვებზე ყოველთვიური მატერიალური დახმარება	11 400	11 950	11 200	15 000	12 000	61 550
უმწეო გარდაცვლილის ოჯახებზე დახმარების პროგრამა	52 500		21 750	41 500	41 500	157 250

ჯამური ხარჯვის მიხედვით ყველაზე მეტი ხარჯები საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებასა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის განვითარებას ეთმობა.

ცხრილი 15.13. გაწეული ხარჯების დინამიკა და წილი მთლიან ხარჯებში 2008-2012 წლების მიხედვით

	2008 წლის ფაქტი	2009 წლის ფაქტი	2010 წლის ფაქტი	2011 წლის გეგმა	2012 წლის გეგმა	სულ	%
საბინაო-კომუნალური მეურნეობის განვითარება	4 076 641	2 339 089	4 400 658	6 744 959	8 759 327	26 320 674	25%
ეკონომიკური საქმიანობა	1 706 451	208 999	151 533	6 105 816	2 885 931	11 058 730	11%
საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	5 783 092	2 548 088	4 552 191	12 850 775	11 645 258	37 379 404	36%
გარემოს დაცვა	821 082	844 396	1 562 272	3 447 459	1 550 000	8 225 209	8%
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1 203 941	1 131 246	1 325 047	2 280 929	2 103 301	8 044 464	8%
განათლება	511 502	923 611	1 907 048	1 283 690	1 889 700	6 515 551	6%
დასვენება, კულტურა, რელიგია	1 216 586	463 117	674 742	839 170	842 880	4 036 495	4%
სოციალური დაცვა	466 069	199 430	423 519	318 600	316 500	1 724 118	2%
ჯანმრთელობის დაცვა	170 211	138 030	174 473	157 503	152 680	792 897	1%
თავდაცვა	75 181	75 587	92 619	115 306	106 900	465 593	0%
ჯამი	**16 030 756**	**8 871 593**	**15 264 102**	**34 144 207**	**30 252 477**	**104 563 135**	**100%**

16 სოციოლოგიური კვლევის შედეგები

2010 წლის სექტემბერ–ოქტომბერში, პროექტის ფარგლებში, ჩატარდა მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკითხვა. კვლევის მიზანი იყო, როგორც არსებული სიტუაციის შესწავლა, ასევე მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიერ პრობლემებისადმი მიდგომის ფსიქო-სოციალური ასპექტების სიღრმის გამოვლენა და მომავალი მუშაობისათვის მიმართულებების განსაზღვრა.

მოსახლეობის გამოკითხვა ჩატარდა ანკეტირების წესით.

16.1.1 მეთოდოლოგია

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, გამოყენებული იყო როგორც თვისობრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, საბოლოო ანგარიში კი რაოდენობრივი კვლევის შედეგების სტატისტიკური ანალიზისა და თვისობრივი კვლევის შედეგებთან მათი შეჯერების საფუძველზე მომზადდა.

ანკეტირების პირველი ნაწილი განხორციელდა რაოდენობრივი (დესკრიპტული) კვლევის მეთოდით. ეს მეთოდი ატარებს საკვლევი ინდიკატორების სტატისტიკური გაზომვის და ანალიზის განხორციელების შესაძლებლობას (ცვლადები, პარამეტრები, კავშირები, კორელაციები).

გამოკითხვა მიმდინარეობდა სპეციალური, სტრუქტურირებული კითხვარების მეშვეობით, რომლის შესავსებად საჭირო იყო დაახლოებით 15-20 წუთი. კითხვარები ძირითადად შედგებოდა დახურული ტიპის კითხვებისგან, თუმცა ასევე მოიცავდა ღია კითხვებსაც.

კვლევის დაწყებამდე ჩატარდა ე.წ. პრე-ტესტი ანუ საპილოტე კვლევა, კითხვართან დაკავშირებული შენიშვნების საფუძველზე მოხდა ანკეტის საბოლოო ვერსიის შემუშავება.

გამოკითხვისას რესპონდენტების შერჩევა მოხდა ორდონიანი მიზნობრივი სეგმენტის შერჩევითა და მესამე დონის შემთხვევითი ამორჩევის საფუძველზე. ასეთი მიდგომა გულისხმობს საწყის ეტაპზე პოტენციური რესპონდენტების მსხვილი კატეგორიით გამოყოფას. ჩვენს შემთხვევაში პირველ ეტაპზე ტერიტორიული ნიშნით გამოიყო სამიზნე ჯგუფი. მეორე ეტაპზე საორიენტაციო კატეგორიები შეირჩა საქმიანობის, შემოსავლების, განათლების სავარაუდო მონაცემების საფუძველზე, რათა შედეგად მიგვეღო რეზულტატი რომლითაც მაქსიმალურად სრულფასოვნად აღიწერებოდა რეალურად არსებული სოციალური სურათი. ბოლო ეტაპზე სრულიად შემთხვევითი პრინციპით ამორჩეულ რესპონდენტებს მიეწოდათ კითხვარები.

16.1.2 მიზნები და ამოცანები

კვლევის უშუალო მიზანი იყო არსებული სოციალურ-ეკონომიკური შინაარსის პრობლემების მიმართ დამოკიდებულებისა და გამოსავლის მათეულ ხედვათა გამოკვეთა და ანალიზი სხვადასხვა დემოგრაფიულ ცვლადებთან კორელაციაში.

კვლევის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი კი ფოკუსირებული პრობლემების ირგვლივ მოსახლეობაში დაგროვილი ცოდნის შესწავლა, მისი პრაქტიკული განხორციელების ფორმებისა და მასშტაბის ანალიზი იყო.

კვლევა მიზნად ისახავდა რიგი კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტას:

- მუნიციპალიტეტის საქმიანობის გრძელვადიანი კოორდინაციისათვის სტრატეგიული დოკუმენტის შექმნისადმი საზოგადოებრივი პოზიციის შემოწმება;
- მოსახლეობისათვის ყველაზე აქტუალური პრობლემების გამოვლენა და ერთგვარი აქტუალობის მწკრივის შედგენა;
- პრობლემების სიმწვავისა და სიღრმის შეფასება;
- რესპონდენტთათვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემების დაძლევის გზების რესპონდენტისეული ხედვის გაზიარება;
- პრობლემათა აღქმის ადეკვატურობის შეფასება.

სოციალურ-ეკონიმიკური კვლევები მნიშვნელოვანია იმ დამოკიდებულებების შესწავლისათვის, რომელიც არსებობს საზოგადოების ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტებს შორის.

პროექტის ფარგლებში მოხდა რამდენიმე საკითხის შესწავლა:

- ზოგადი სოციალური ფონი;
- მწვავე სოციალური პრობლემები;
- ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული გარემო.

16.1.3 კვლევის გეოგრაფიული არეალი და სამიზნე ჯგუფი

კვლევის არეალი სრულად მოიცავდა პროექტის გახორციელების გეოგრაფიულ არეალს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოკითხული იქნა მოსახლეობის დაახლოებით 3%. ანკეტების ამოღების კოეფიციენტი 0.94-ია. მახასიათებლის ეს სიდიდე ანალოგიური ტიპის კვლევებისათვის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

კვლევაში შესწავლილია მხოლოდ კონკრეტული მუნიციპალიტეტების მოსახლეობა. კვლევის გეოგრაფიული არეალი განიფინა მუნიციპალიტეტის ყველა თემის საშუალო და დიდ სოფლებზე, სადაც თავმოყრილია მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, რამაც შესაძლებლობა მოგვცა, აღნიშნული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნა სოციალურ-ეკონომიკური აქტივობის ყველა სფეროში არსებული ძირითადი ტენდენციების შესახებ ზოგადად მუნიციპალურ კონტექსტში.

კვლევის პროცესის საბოლოო მიზანი მდგომარეობს სოციალური მდგომარეობისათვის დამახასიათებელი პრობლემების მოგვარებისა და საჭირო გადაწყვეტილებების მისაღებად ახალი ცოდნის დაგროვებაში.

16.2 მოსახლეობის გამოკითხვა

კვლევის შედეგები

ქობულეთში სულ 1500 რესპონდენტი გამოიკითხა. ანკეტების ამოღების მაჩვენებელი 86 პროცენტია. კვლევამ მოიცვა მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციული ერთეული პროპორციულად. მომზადდა კვლევის რამდენიმე ჭრილი _ ასაკობრივი, სქესობრივი, სოციალური სტატუსის, განათლების.

მუნიციპალური განვითარების სტრატეგიული გეგმები

პროექტის მიზნებიდან გამომდინარე, დავინტერესდით რესპონდენტთა დამოკიდებულებით

მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმებთან დაკავშირებით. კითხვაზე _ მიაჩნიათ თუ არა მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმის არსებობა საჭიროდ, რესპონდენტთა 86 პროცენტმა დადებითად უპასუხა, 13%-მა კი პასუხისაგან თავი შეიკავა. დადებით ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მოსახლეობა უფრო და უფრო აცნობიერებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების მნიშვნელობას. გამოკითხული რესპონდენტები მუნიციპალიტეტის პრობლემათა შორის ერთ-ერთ მთავარ ადგილს სწორედ აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტის არქონას მიაკუთვნებენ.

აქტუალური პრობლემები

რესპონდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა, გამოევლინათ მათთვის ყველაზე აქტუალური პრობლემები. ისინი აფასებდნენ საკითხებს წინასწარ შედგენილი ნუსხიდან სიმწვავის მიხედვით. ნუსხაში მათთვის საინტერესო საკითხის არარსებობის შემთხვევაში კი შეეძლოთ სიის განვრცობა.

ჩვენ განვაზოგადეთ ცალკეული რესპონდენტის აქტუალობის მწკრივები, რათა დაგვენახა ზოგადი მუნიციპალური სურათი, თუ როგორ აღიქვამენ მუნიციპალიტეტის წევრები მათსავე სოციალურ-ეკონომიკურ გარემოს.

საშუალოზე მაღალი სტატისტიკური სიმწვავით შემდეგი პრობლემები გამოიკვეთა: მოსახლეობის დასაქმება, გზების მდგომარეობა, ბიზნესის ხელშეწყობა, სამომხმარებლო კრედიტებისა და სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა, წყლისა და კანალიზაციის სისტემის გაუმართაობა, მეცხოველეობის, მებოსტნეობის ხელშეწყობა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მდგომარეობა, სკოლამდელი დაწესებულებების

არარსებობა. როგორც მოსალოდნელი იყო, პირველობა არ დაუთმია დასაქმების პრობლემას. სიღარიბეში მოხვედრის რისკი ყველაზე მაღალია უმუშევრებსა და ეკონომიკურად არააქტიურ მოსახლეობას შორის, ხოლო ყველაზე დაბალია დამქირავებლებსა და დაქირავებით მომუშავეებში. ეს ურთიერთკავშირი გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის დაუსაქმებლობა სიღარიბის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია. უმუშევრობის პრობლემას სამეწარმეო სექტორში არსებულ მთელ რიგ მიზეზებთან ერთად სპეციალისტების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით გასატარებელი ქმედებებიც ამწვავებს. სამეწარმეო საქმიანობა, როგორც წესი, სწორად ფორმულირებული მუნიციპალური განვითარების პოლიტიკის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია და მას განსაკუთრებული მხარდაჭერა ესაჭიროება. სასიამოვნოა, რომ აქეთკენ მიმართული მზაობა მოსახლეობაში არსებობს. თუმცა გარემოებების გათვალისწინებით, ხშირად აუცილებელია სახელმწიფოს სწორი ინტერვენცია სამეწარმეო საქმიანობის წარმართვის ეფექტიანობის ასამაღლებლად.

სამწუხაროდ, ხშირად საბაზრო ეკონომიკა ეკონომიკური ეფექტიანობის ანგარიშით ვერ ახერხებს სოციალური კმაყოფილების უზრუნველყოფას. კერძო ბიზნესინიციატივა, ობიექტური მიზეზების გამო, ბევრ შემთხვევაში, არ ეხმიანება საზოგადოებრივ დაკვეთას, თუ ეს საზოგადოება საკმარისად დიდ ბაზარს ვერ ქმნის. სოფლის მეურნეობის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოების არარსებობის ერთ-ერთ მიზეზად სწორედ ბიზნესის ეს მიდგომა შეიძლება იქნას მიჩნეული. მიუხედავად მაღალი სოციალური მოთხოვნისა, ბიზნესის განვითარება ამ მიმართულებით სასტარტო პოზიციებს ვერ გასცდა. სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების კუთხით არსებული პოლიტიკა არ ემსახურება სასათბურე პირობების შექმნას და პირდაპირი სუბსიდიების განხორციელებას. ამავე დროს, მთავრობის მხრიდან ხორციელდება სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც მიმართულია ცალკეული დარგებისა ან/და ფერმერების უშუალო დახმარებაზე.

ინოვაციური განვითარების ერთ-ერთ ძირითად წინააღმდეგობად რჩება მრეწველობის მხრივ ინოვაციებსა და ახალ ტექნოლოგიებზე მოთხოვნის არსებობა და ამ მოთხოვნის დაფინანსების არარსებობა.

ამ ეტაპზე არც ქართული საბანკო სექტორია მზად იმისათვის, რომ ქვეყანაში ინოვაციებზე ორიენტირებული მეწარმეობის და მცირე ბიზნესის განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანოს; დღეს შექმნილ კრიზისულ პერიოდში, ჩვენი საბანკო სისტემის ძირითადი მიზანი მოკლევადიანი ეფექტების მიღებაა.

ბიზნესის ხელშეწყობა რესპონდენტების მიერ დანახულ აქტუალურ საკითხთა შორის ერთ-ერთი ყველაზე მწვავეა. ბიზნესის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიდან გამომდინარე, პრობლემის დაძლევა ბევრი სხვა მტკივნეული საკითხის წარმატებით მოგვარებასაც გულისხმობს.

ამდენად ბიზნესის ხელშეწყობა რესპონდენტებმა გამოყვეს არამხოლოდ პრობლემის, არამედ გამოსავლის სახითაც. პრობლემები გზების, წყლისა და კანალიზაციის სისტემის

მოუწესრიგებლობასთან დაკავშირებით ასევე წამყვანი აქტუალობის მატარებელი საკითხებია.

გზების პრობლემა მოსახლეობის წინაშე დგას არა მხოლოდ სატრანსპორტო მიმოსვლისათვის განკუთვნილი ნაწილის გაუმართაობის გამო. არანაკლებ მნიშვნელოვანია სამთო და შიდა სასოფლო მიმოსვლისათვის განკუთვნილი გზები.

წყლისა და კანალიზაციის საკითხები, ბუნებრივია ძალიან მწვავედ შეფასდა რესპონდენტთა მიერ. რიგ სოფლებს არამარტო სარწყავი, არამედ სასმელი წყლის პრობლემაც გადაუჭრელი აქვს. საჭირო ინფრასტრუქტურის გამართვას საკუთარი ძალებით ვერ ახერხებენ და არც საბიუჯეტო სახსრების მომართვა ხდება ამ მიმართულებით. კანალიზაციის პრობლემა, ქალაქისა და დაბის მცხოვრებლებს აწუხებთ. პრობლემაა არა მხოლოდ ფეკალური ნარჩენების დასახლებული ტერიტორიიდან გამართული საკანალიზაციო სისტემით გატანა, არამედ მათი შემდგომი უტილიზაციაც. საუბარია ნარჩენების ზღვაში სათანადო დამუშავების გარეშე ჩაშვებაზე. მოგეხსენებათ, ეს ძალიან სამწუხარო რეალობაა, მით უფრო, ტურისტული სექტორის განვითარებით დაინტერესებული რესპონდენტებისათვის. წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სექტორში მომსახურების გაწევისას იკვეთება სამი ძირითადი პრობლემა:

ა)მომსახურება არ მიეწოდება ყველა მომხმარებელს;

ბ) მიწოდებული მომსახურება არ არის ეფექტური, ვინაიდან იგი ვერ აკმაყოფილებს მომხმარებელთა მოთხოვნებს და

გ) მიწოდებული მომსახურება არ არის მდგრადი.

საბანკო სექტორის განვითარების მზარდი ტენდენციის მიუხედავად, კრედიტების ხელმისაწვდომობა მოსახლეობისათვის ჯერ კიდევ წამყვან პრობლემას წარმოადგენს. ამ მიმართულებით სიტუაციის კიდევ უფრო გამწვავებას ხელი ეკონომიკურმა კრიზისმაც შეუწყო. კრედიტის მისაწვდომობაში იგულისხმება, როგორც მათი ფასი, ისე სესხის დამტკიცების სირთულე. შესამჩნევად მაღალია დაბალპროცენტიანი სესხის მიღების მოთხოვნა.

სამედიცინო მომსახურება რესპონდენტთა შეფასებით მათი შესაძლებლობების მიღმა არსებული სოციალური საჭიროებაა. საკითხი მხოლოდ სამედიცინო სერვისის ღირებულების მის მიმღებთა შემოსავლებზე გაცილებით მაღალი ფასის გამო არ აღმოჩნდა მტკივნეული. მუნიციპალიტეტის ცენტრს მოშორებული თემების მცხოვრებთათვის ელემენტარული ინფრასტრუქტურის არარსებობაც შემაწუხებელია. სათანადოდ გაუმართავია ან სულაც არ არსებობს სამედიცინო ამბულატორიები, სასწრაფო დახმარების მანქანებს ცუდი გზებისა და გამშვები სადგურიდან სოფლების მნიშვნელოვანი ტერიტორიული დაშორების გამო უჭირთ პაციენტთან დროულად მისვლა.

რესპონდენტებმა წუხილი გამოთქვეს მცირე თემებში და მით უმეტეს, სოფლებში სტომატოლოგიური მომსახურების არარსებობის გამო. დაბალი ეკონომიკური

ეფექტიანობიდან გამომდინარე, არც შესაბამისი კლინიკების გახსნა იძლევა პრობლემის მოგვარების მოლოდინს.

სოფლის მეურნეობა გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობისათვის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ყველაზე პრიორიტეტული სფეროა. მეციტრუსეობა და მეჩაიეობა ამ სფეროში, მუნიციპალიტეტის კლიმატურ-გეოგრაფიული მახასიათებლებიდან გამომდინარე, წამყვან პოზიციებს იჭერს. ბევრი პრობლემის მწვავე შეფასება სწორედ ამ დარგთან მისი მიბმის ხარისხითაა ნაკარნახევი. სოფლის მეურნეობის შხამ-ქიმიკატებითა და სამეურნეო სამუშაოებისათვის სათანადო ტექნიკით მომარაგების საკითხი, ქობულეთშიც, სხვა ჩვენ მიერ გამოკვლეული მუნიციპალიტეტების მსგავსად, არ კარგავს აქტუალობას. გამოიკვეთა სოფლის მეურნეობის ახალი კულტურული ჯიშებით გამდიდრებისადმი მოსახლეობის პოზიტიური დამოკიდებულების ტენდენცია. თუმცა ამ მიმართულებით დასახელებული სხვა ტენდეციები განზოგადების საშუალებას არ იძლევიან.

სოფლის მეურნეობა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე უფრო პერსპექტიული კონკურენტუნარიანი სფერო მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში, სწორედ ახლა საჭიროებს თანამედროვე კლასტერული განვითარების ინსტრუმენტის და ინოვაციური ეკონომიკის ბერკეტის გამოყენებას სტრატეგიულ დაგეგმვაში.

საგანმანათლებლო დაწესებულებების მდგომარეობა რესპონდენტთა უმრავლესობისათვის არადამაკმაყოფილებელია. ეს ეხება როგორც სკოლამდელი აღზრდის, ასევე ზოგადსაგანმანათლებლო ობიექტებს. უკმაყოფილების მიზეზი აქაც არაერთგვაროვანია:

შესაბამისი შენობების საერთოდ არარსებობიდან და არსებულის არასახარბიელო მდგომარეობიდან მათში მიმდინარე სასწავლო და აღმზრდელობით პროცესებამდე. საყვედურის მიზეზი ბევრ შემთხვევაში მასწავლებელთა კვალიფიკაციაცაა.

რესპონდენტთა სოციალური სტრუქტურა - სქესობრივი ჭრილი

რესპონდენტთა 45% მამაკაცია და 51% _ ქალი, ხოლო 4%-მა არ დაასახელა საკუთარი სქესი. სქესობრივ ჭრილში ძირითადი პრიორიტეტები თანაზიარი აღმოჩნდა. თუმცა მაინც გამოიკვეთა მცირე რიგი პრობლემებისა, რომლებშიც გაიმიჯნა სქესთა შორის დამოკიდებულებები.

კავშირგაბმულობის, ინტერნეტის არარსებობა, დამნაშავეობის არსებული დონე, ტრანსპორტით უზრუნველყოფა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მდგომარეობა, როგორც სკოლამდელი, ასევე შემდგომი განათლების მიმართულებით მეტად მტკივნეულია ქალებისათვის. სქესობრივი ნიშნით ერთადერთი პრიორიტეტი, რომელიც მამრობით სქესში მკვეთრად მაღალი იყო, სამომხმარებლო კრედიტების ხელმისაწვდომობის პრობლემაა. რაც ალბათ მათი სოციალური ფუნქციიდან გამომდინარეობს.

ასაკობრივი ჭრილი

ასაკობრივი ნიშნით მუნიციპალური ჭრილიც მეტნაკლებად განსხვავებული იყო. ამ შემთხვევაშიც ძირითადი პრიორიტეტები ყველა ასაკობრივი ჯგუფისათვის თანაზიარი იყო, თუმცა იყო საინტერესო აზრთა სხვადასხვაობაც. კავშირგაბმულობისა და ინტერნეტის არარსებობა 20-29 წლის რესპონდენტებისათვის ყველაზე აქტუალური საკითხი აღმოჩნდა, თუმცა ზოგადად პრობლემა საერთო შეფასებით აქტუალურობის მწკრივის მაღალ დონეზე ვერ განთავსდა. მიზეზი შესაძლოა არა ზოგადად საკითხის არსებული მდგომარეობის დამაკმაყოფილებლობა იყოს, არამედ ერთგვარი გულგრილობა, რომელიც უფროსი ასაკი თაობის გარკვეულ მახასიათებლად იქნა მიჩნეული. ამ ასაკობრივი ჯგუფის ინტერესებში გამოიკვეთა სპეციალისტების პროფესიული გადამზადებისა და კულტურულ-გასართობი ობიექტების სიმცირის მიმართულებით საზოგადოებრივი მოთხოვნის გააქტიურება.

მაღალი ასაკობრივი ჯგუფებისათვის ინტერესთა გადაწონვა სოფლის მეურნეობის მიმართულებით აშკარა ტენდენციაა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ტურიზმი ქობულეთის მოსახლეობისათვის მხოლოდ რიგით მე-13-ა პრიორიტეტებს შორის.

განათლების ჭრილი

სოციალურად გაცილებით მაღალაქტიურია მდედრობითი სქესი. დასაქმების მიხედვით სქესთაშორისი შეფარდება 64% 36%-ზეა. ქალები ძირითადად განათლების კულტურისა და ჯანდაცვის კატეგორიაში (46%) აქტიურობენ. სადაც მთლიანობაში გამოკითხული რესპონდენტების 32%-ა დასაქმებული და ამ მაჩვენებლით დასაქმების ეს სფერო ყველაზე ტევადია (კატეგორიაში -სულ- მონაცემები დათვლილია მთლიანი გენერალური ერთობლიობის მიხედვით). ქალების ხვედრითი წონა ასევე, საკმაოდ, მაღალია სახელმწიფო სექტორში (22%).

სოფლის მეურნეობაში მამაკაცთა 35% მოღვაწეობს. თუმცა მათგან მხოლოდ 12% მიიჩნევს, რომ მათი აქტიურობა პასუხობს სტატუსს: „დასაქმებული“. რესპონდენტთაგან 51-მა პროცენტმა თავი დასაქმებულად მიიჩნია, 35% კი თვლის, რომ უმუშევარია. გამოკითხულთა 14% პასუხის გაცემისაგან თავს იკავებს.

რესპონდენტთა მიერ დასახელებული პრობლემები

ტურიზმი

ტურიზმი მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე დიდი დარგია, გეოგრაფიული არეალების მიხედვით კი _ ყველაზე ფართო. თუ მეცნიერთა პროგნოზებს დავუჯერებთ _ ის კიდევ უფრო გაიზრდება და გაფართოვდება. ქობულეთში ამ დარგს ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი პერსპექტივები უკავშირდება, კერძოდ: მატერიალური შემოსავლების ზრდა, ახალი საქმიანობების და დასაქმების ახალი ადგილების გაჩენა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ახალი ბაზრების ათვისება და საერთოდ, სწრაფი ცვლილებები ჩვენს ცხოვრებაში.

სწორად წარმართვის შემთხვევაში ეს საქმიანობა სტაბილური და სწრაფი მოგების შესაძლებლობას იძლევა. თუმცა, მეორე მხრივ, ეს დარგი განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს მასში მონაწილეებს. კვლევის დროს რესპონდენტებს შევთავაზეთ სპონტანურად დაესახელებინათ გამოსავალი, რომლითაც მათ წინაშე მდგომი პრობლემების გადაწყვეტა ყველაზე მოხერხებული იქნებოდა. ამ მეთოდით შევეცადეთ გამოგვერკვია მათი ურთიერთმიმართება დასმულ პრობლემებსა და სპონტანურად დანახულ გამოსავალს შორის. აღმოჩნდა, რომ ტურიზმის განვითარება არის მათ მიერ დანახული საშუალება არსებული პრობლემების დაძლევისათვის, თუმცა მისი განვითარების დონე საკმაოდ დაბალი პრიორიტეტით გაიწერა პრობლემათა ნუსხაში. რაც, შესაძლოა, განპირობებული იყოს სხვადასხვა გარემოებით: არ იზიარებენ რეგიონში ტურიზმის პერსპექტივის შესახებ სამთავრობო განწყობას (რესპონდენტების შერჩევა მთლიანად ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოხდა გაბნევის მაღალი ხარისხით, შესაბამისად შემცირებულია საკუთრივ საზღვაო ზოლის მიმდებარე ტერიტორიის მცხოვრებთა წილი) ან სფეროში ამჟამად არსებული განვითარების დონე არ იწვევს უკმაყოფილების განცდას. ეს უკანასკნელი არსებული რეალობის გათვალისწინებით გაცილებით ნაკლებსავარაუდოა. თუმცა ის გარემოება, რომ გამოკითხული რესპონდენტები არ შერჩეულან საქმიანობის სფეროს მიხედვით და ამდენად, აქცენტიც მათ მიერვე საოჯახო ტურიზმის განვითარებაზეა გაკეთებული, იწვევს ეჭვს, რომ ნაკლებ პრეტენზიული დამოკიდებულება ტურიზმის განვითარების ხარისხის მიმართ გარკვეულწილად არასათანადო ინფორმირებულობის შედეგიცაა. ჩვენი ვარაუდით, გამოკითხულთა დიდი ნაწილი ტურიზმით დაინტერესებულთაგან წარმოადგენს საბაზრო ტონის პასიურ მიმღებებს და ინოვაციური მიდგომისათვის მზაობას არ გამოხატავს.

ტურიზმი სპეციფიკური ბიზნესი და მომსახურების მრავლისმომცველი სფეროა საკუთარი სუბიექტებით, ობიექტებით, სახეებით, ნაირსახეობებითა და ურთიერთობების თავისებურებებით. ამ ინდუსტრიის სრულფასოვნად ასათვისებლად მონაწილეთა ინფორმირებულობის ზრდის კვალად კადრების სპეციალიზაცია ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. საგულისხმოა, რომ ამ გარემოებას ახალგაზრდა რესპონდენტთა უმეტესობა კარგად აცნობიერებს.

ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში მოგზაურობა, როგორც ტურიზმის ერთგვარი წინასახე, შეძლებული ფენების ცხოვრების წესად იქცა. რომაელმა მწერალმა და ფილოსოფოსმა სენეკამ მოგზაურობის უმნიშვნელოვანესი პრინციპები ჩამოაყალიბა, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა. მოგზაურობის რაციონალურ პრინციპად სენეკა იმას მიიჩნევდა, რომ სამოგზაურო ადგილები ჯანსაღი და სასარგებლო უნდა იყოს როგორც სხეულისთვის, ისე ზნეობისთვისაც, რაშიც ცოდნას და სულიერ ფასეულობებს გულისხმობდა.

მას შემდეგ ტურიზმი ბევრი ახალი მიმართულებით შეივსო და განვითარდა, თუმცა პრინციპი „ტურისტის კმაყოფილებისა“ შენარჩუნდა. მიუხედავად ტურისტული ინფრასტრუქტურისა და მომსახურების განვითარების საკმაოდ მაღალი ტემპისა, შედეგი ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს.

შეთავაზებულ პრობლემათა ნუსხაში რესპონდენტთა სათანადო აქცენტის გარეშე დარჩა ბევრი ისეთი საკითხი, რომელიც ტურიზმის სექტორის მნიშვნელოვანი კომპონენტია. მათ შორის კულტურულ გასართობი და შემეცნებითი ობიექტები, სახალხო რეწვის დარგების აღდგენა-განვითარება და სხვა.

გაუმართავი ინფრასტრუქტურა

ინფრასტრუქტურის სექტორის რეაბილიტაცია-განვითარება რესპონდენტთა მიერ ცალსახად გამოკვეთილი პრიორიტეტია. ელექტროენერგიის, გზების, ბუნებრივი აირის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის მნიშვნელოვანი რესურსებია საჭირო, რომელთა მობილიზაცია უბრალო მოსახლეობის დონეზე შეუძლებელია.

მოსახლეობის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამორტიზირებული ქსელების აღდგენას _ იქნება ეს ელექტროენერგიის ბოძებისა და სადენების აღდგენა-განახლება თუ საგზაო ქსელის გამართვა. სოფლად არსებული ინფრასტრუქტურის ცუდი მდგომარეობა სოფლის მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს იწვევს. მაგ.: სოფლის გზების 2/3-ს საფარი არ აქვს, ხოლო საფარიანი გზების დაახლოებით 50% ცუდ ან ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, რის გამოც ამ გზებით მოსარგებლე მოსახლეობის ხარჯები იზრდება მაშინაც კი, თუ ამ გზებით სარგებლობა შეიძლება.

სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგად, სხვადასხვა თემის უმრავლესობა პრიორიტეტულ სფეროებად ელექტრომომარაგებას, წყალმომარაგებას და გზებს/ტრანსპორტს მიიჩნევს. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მოსახლეობა მისთვის პრიორიტეტული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად გარკვეული თანხების გადახდის სურვილსაც კი გამოხატავს. ამ სფეროში არსებული პრობლემებიდან ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის მდგრადი სისტემების განუვითარებლობა, რაც განაპირობებს იმას, რომ არსებული ინფრასტრუქტურის მუშაობა ხშირად არაეფექტურია და მალე ხდება მისი ამორტიზება, მწყობრიდან გამოსვლა. სარეაბილიტაციო ობიექტების შერჩევა არ მიმდინარეობს ინსტიტუციურად ჩამოყალიბებული კრიტერიუმებისა და სქემის მიხედვით, რაც ხშირად სუბიექტურ მოსაზრებებს ეფუძნება.

რეგიონების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს წარმოადგენს სოფლად სიღარიბის დაძლევაში, რადგან იგი თანაბარი განვითარების ერთ-ერთი საფუძველია. გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ ინფრასტრუქტურას დადებითი ზეგავლენა აქვს სოფლის ეკონომიკის ზრდაზე შემდეგი მექანიზმების მეშვეობით: ის იზიდავს სექტორში კერძო ინვესტიციებს; აფართოებს გასაღების ბაზრებს; ხელს უწყობს ტრადიციული სექტორის (ფერმერული საქმიანობა) პროდუქტიულობის ზრდას, გადაჰყავს ის არსებობისთვის აუცილებელი სოფლის მეურნეობიდან მაღალ პროდუქტიულ ფერმერულ საქმიანობაზე რესპონდენტებმა რამდენიმე მიმართულებით გამოყვეს საკითხები, რომლებიც მათ უკმაყოფილებას იწვევს.

არაკვალიფიციური საჯარო მომსახურება

როგორც კვლევისას გამოიკვეთა, ისინი ხშირ შემთხვევაში მუნიციპალური სერვისების სარგებლობისას მიღებული (ან სულაც ვერ მიღებული) მომსახურებით უკმაყოფილონი არიან. მიზეზად სახელდება როგორც მოხელის არასაკმარისი კვალიფიკაცია და გულგრილობა, ასევე ზოგადად სისტემის გაუმართაობა გარკვეული ნაწილის დამოკიდებულებით.

მუნიციპალიტეტის საჯარო სამსახურებში თანამშრომლებს უფლებამოვალეობანი არ აქვთ მკაფიოდ გამიჯნული. ამდენად, ბუნდოვანი ბიუროკრატიული რიგი სამართლიანად ხდება ქობულეთელების უკმაყოფილების მიზეზი.

თვითმმართველ ერთეულებში სამსახურების ფუნქციები, მოხელეების სამუშაო დავალებები არ არის მკაფიოდ განსაზღვრული და გაწერილი. გადაწყვეტილებების მიღება და მართვა არ ხდება წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით

მოთხოვნა ინოვაციებზე

რესპონდენტთა გამოკითხვის ანალიზისას აშკარა გახდა, რომ მაღალია საზოგადოებრივი დაკვეთა ინოვაციების დანერგვაზე და ეს პროცესი მნიშვნელოვან კორელაციაში იმყოფება ტურიზმთან, თუმცა ამ მიმართულებით უამრავი სირთულე არსებობს.

საერთოდ, ჩვენს ქვეყანაში არ წარმოებს რეგიონული საინოვაციო პოლიტიკის სპეციალური ბენჩმარკინგი (სხვა ქვეყნებში ან ორგანიზაციებში არსებული საუკეთესო პრაქტიკების შესწავლისა და ადაპტირების პროცესი). ვერ ხერხდება ფლობა და შესაბამისად, მუნიციპალიტეტში საინოვაციო საქმიანობისა და ინიციატივების შესახებ სათანადოდ დამუშავებული ინფორმაციის გამოყენებაც. ამ დროისათვის არ არსებობს ზუსტი სტატისტიკა მუნიციპალიტეტში შესული უცხოური ინვესტიციების შესახებ, საინოვაციო განვითარების შეფასების ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტის, როგორიცაა კვლევა-განვითარებისთვის გათვალისწინებული ხარჯები შესაბამის სამეწარმეო სუბიექტებში.

ყოველი ზემოაღნიშნული პრობლემა და გამოწვევა, ცალ-ცალკე და ერთობლიობაში, დაბრკოლებებს უქმნის საინოვაციო სისტემებისა და რეგიონების კონკურენტული უპირატესობების გამოყენებით სტიმულირებულ ეკონომიკურ ზრდას, სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებას, ადგილობრივ ეკონომიკაში უფრო მაღალი უკუგების, მდგრადი და გრძელვადიანი ეფექტების გენერირებას.

არსებული გამოწვევების ფონზე განსაკუთრებით აქტუალურია იმის გაცნობიერება, რომ რეგიონული საინოვაციო სისტემა შესაძლოა იქცეს ქვეყნის დაბალანსებული და დაჩქარებული ეკონომიკური განვითარების ახალ ინსტრუმენტად.

საქართველოს ეკონომიკის დინამიური ზრდისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია წარმოების ტრადიციული ფაქტორების კვალდაკვალ, ინოვაციებზე ორიენტირებული, ეკონომიკური ინიციატივების წახალისება და ამისათვის ქვეყნის შედარებითი უპირატესობების ოპტიმალური გამოყენება. აღნიშნული გულისხმობს, როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ისე სუბსიდიურობის პრინციპებზე დაფუძნებული

ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების სათანადო პოლიტიკის შემუშავებას, შესაბამისად გაწერილი სტრატეგიის თანმიმდევრულ და კოორდინირებულ განხორციელებას.

ეკონომიკური განვითარების თანამედროვე პარადიგმები ცხადყოფს, რომ არამარტო ბუნებრივი რესურსები და/ან კაპიტალი წარმოადგენენ გადამწყვეტ ფაქტორებს ქვეყნის და მისი რეგიონების ეკონომიკური განვითარებისთვის, არამედ იმ ტიპის ინოვაციური მიდგომების შექმნა და ათვისება, რაც შესაძლებელს ხდის კონკურენტული უპირატესობების ეფექტურ გამოყენებას და მდგრადი განვითარების სტიმულირებას. ეს არის უდიდესი გამოწვევა ქართული საზოგადოების და ეკონომიკის ახალი საუკუნის წინაშე, განსაკუთრებით, პოსტკონფლიქტური რეალიების ფონზე. ამ გამოწვევაზე სუსტი პასუხი და მიზნის მიუღწევლობა არის მაღალი რისკის მატარებელი, ვინაიდან საქართველო დარჩებოდა პერიფერიულ ქვეყანად მაღალი ტექნოლოგიების და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის ეპოქაში.

საზოგადოებრივი ინფორმირებულობის დაბალი დონე

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც არაპირდაპირ გამოიკვეთა კვლევის შედეგების ანალიზისას, სწორედ სამოქალაქო ცნობიერების დაბალ დონეს უსვამ ხაზს. რესპონდენტთა შორის მაღალი სიხშირით გამოიკვეთა ისეთი პრობლემები, როგორიცაა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არამიზნობრივი და არაეფექტური გადანაწილება, შედეგად პრობლემებზე არასწორი აქცენტები და მოსახლეობის რეალური საჭიროებების გაუთვალისწინებლობა. მათი წვდომა საჯარო ინფორმაციის მიღებაზე საკმაოდ დაბალია. მოქალაქეები არ იყენებენ მათთვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებებს, მაგალითად, არ მონაწილეობენ ბიუჯეტის განხილვის პროცესში, არადა, მათ ამის უფლებაც აქვთ და სამოქალაქო პასუხისმგებლობაც.

როგორც ჩანს, შეხვედრები საინიციატივო ჯგუფებთან, არსებითად, ფორმალურ ხასიათს ატარებს. ადგილობრივი მართვისა და განვითარების პროცესებში მოსახლეობის, სამოქალაქო სექტორის ჩართულობა დაბალია და შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღებისა და მართვის პროცესის გამჭვირვალობაც არადამაკმაყოფილებელია. რაც ხელს ნამდვილად არ უწყობს თვითმმართველობასთან მოსახლეობის თანამშრომლობის პროცესს.

მოსახლეობის ჩართულობის გაზრდის მიზნით, ცალკეული მცდელობები კონკრეტული პროექტების სახით, ძირითადად, არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციების მიერ ხორციელდება. მათ შორის, ამ მიმართულებით რამდენიმე პროექტი ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ მიერ იქნა განხორციელებული.

თვითმმართველ ერთეულებში სამოქალაქო საზოგადოების პასიურობა, სამოქალაქო კონტროლის სიმწირე ადგილობრივი თვითმმართველობის ჯეროვანი განხორციელების შეფერხების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია.

16.3 ბიზნესმენთა გამოკითხვა

ქობულეთის მუნიციპალიტეტში ბიზნესის კვლევა ჩატარდა და კვლევის დიზაინი გაითვალა სამიზნე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედ ბიზნესებზე.

კვლევის მიზანი გახლდათ ბიზნეს სექტორში მოღვაწეთა პოზიციის შეჯერება და შეფასება მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხების ირგვლივ.

კვლევის დროს მაქსიმალურად იყო დაცული სექტორული მოცვის პრინციპი. პრაქტიკულად გამოიკითხა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა ტიპის ბიზნესი.

კვლევა თვისობრივი პრინციპით აიგო და მონაცემებიც ამ ჭრილში დამუშავდა. შექმნილ დიზაინში მცირე დოზით ასევე იყო გამოყენებული დაუხლი და ნაწილობრივ დახურული კითხვები.

კვლევის ანალიზი თვისობრივი ხასიათისაა და მონაცემთა მხოლოდ 5-10 პროცენტი დამუშავდა რაოდენობრივად. თვისობრივი ანალიზის მექანიზმი იყო არჩეული იმ მოტივით, რომ იდეურ–კონცეპტუალური ფაბულის ჩამოსაყალიბებლად ბიზნესმენს სიტყვებით აზრის ვარირების მეტი შესაძლებლობა მისცემოდა ვიდრე ამის განხორციელება რაოდენობრივი პრინციპის დაცვისას არის შესაძლებელი.

ზოგადი ტენდენცია - სიფრთხილე. ყველა მუნიციპალიტეტისათვის, მათ შორის ქობულეთისთვისაც, საერთო აღმოჩნდა აზრის თავისუფალი გამოხატვის სიფრთხილისკენ მიმართული ტენდენცია. იდენტიფიცირებულ რესპონდენტებს, იმ შემთხვევაშიც კი აღმოაჩნდათ თავისუფალი აზრის შეზღუდვისა და შენიღბვის მცდელობა, როცა გვთანხმდებოდნენ კვლევაში მონაწილეობაზე. ძირითადად კრიტიკული აზრის დაფიქსირებისაგან იკავებდნენ თავს. გამოიკვეთა მცდელობა პრობლემური გარემოებების მისტიფიცირებისაკენ.

ბიზნესმენებმა თავშეკავებული დამოკიდებულება გამოხატეს ზოგადად გარემოებების ანალიზის გაკეთებისასაც. მათი შემფასებლური აზრი განსაკუთრებული თავშეკავებულობით გამოირჩეოდა სახელმწიფო ინსტიტუტების მისამართით.

მათთან მუშაობისას, კითხვარის სტრუქტურის მიხედვით, განირჩა რამდენიმე ტენდენცია - გარკვეული ტიპის კითხვებზე პასუხისაგან თავშეკავების, აცდენილი პასუხის მორგების მცდელობისა და რეალური ფაქტებისათვის არააქტუალობის სარჩულის მორგების. ამასთან, საკმაოდ ხშირი იყო პოზიტივების უტრირების შემთხვევებიც.

მთლიანობაში რესპონდენტების იდენტიფიცირება ძალიან გართულდა რამდენიმე მიზეზით: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბიზნესები რეალურად არ მოღვაწეობენ რეგისტრირებულ მისამართზე, ან სულაც მუნიციპალიტეტის გარეთ ახორციელებენ თავიანთ აქტივობას. რეგისტრაციისას მითითებული საკონტაქტო

ინფორმაცია ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამებოდა რეალობას. გარდა ამისა, არსებობდა ცალკეული შემთხვევები, როდესაც მუნიციპალიტეტში ეწეოდა საქმიანობას მის ფარგლებს გარეთ რეგისტრირებული ბიზნეს-ორგანიზაცია.

ანკეტის მიხედვით, რესპონდენტებს საკუთარი საქმიანობის გარეთ უნდა შეეფასებინათ რეგიონში არსებული სოციალურ-ეკონომიკური გარემო და ერთგვარი SWOT-ანალიზი უნდა დაედოთ, ბუნებრივია შემცირებული და რამდენადმე შეზღუდული ფორმით.

აღმოჩნდა, რომ ბიზნესმენთა უმრავლესობა არ ფლობს ბიზნეს-გარემოს შესახებ კომპეტენტურად განზოგადებულ ინფორმაციას და მეტწილად სხვადასხვა წყაროდან გავრცელებული ინფორმაციის მექანიკური მომხმარებელია.

ანკეტების საშუალებით, ბიზნესმენთა თვალით ბიზნეს-გარემოს სკანირებისას, გამოიკვეთა რამდენიმე საინტერესო მახასიათებელი თანამედროვე ბიზნეს-საქმიანობაში. მიუხედავად იმისა, რომ იდენტიფიცირებულთაგან მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილთან მოხერხდა კვლევითი შინაარსის ურთიერთობის დამყარება, დადებული შედეგები საინტერესო აღმოჩნდა და გარკვეულწილად ადეკვატური რეალობის სხვა, ალტერნატიული წყაროდან მიღებული ანალიზისა.

პერსპექტიული დარგები. პრაქტიკულად არ განირჩა ალტერნატივები არცერთ გამოკითხულ მუნიციპალიტეტში ამ მიმართულებით, მათ შორის არც ქობულეთის მუნიციპალიტეტში. ყველაზე პერსპექტიული დარგის პოზიციებს სოფლის მეურნეობა და ტურიზმი ინაწილებენ. ალტერნატიული აზრი პრაქტიკულად არ დაფიქსირებულა.

ტურიზმის სფეროში შედარებით კონკრეტული აქცენტები გაკეთდა სწრაფი კვების ქსელის გამართვასა და ტურისტებისათვის იაფი ტურისტული სასადილოს არსებობაზე.

სოფლის მეურნეობაში გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება კვლავაც აქტუალურ საკითხად იქნა დასახელებული გამოკითხულთა მიერ. მნიშვნელოვანი აქცენტები იქნა გაკეთებული ჩაის ძველი პლანტაციების აღდგენაზე, კივის, ფეიხოას და ხურმის წარმოების დანერგვაზე.

გთავაზობთ სრულ ჩამონათვალს იმ აქცენტებისა რომლებიც დასახელებულ იქნა ბიზნესმენთა მიერ:

- სატრანსპორტო სფეროს განვითარება;
- სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავება;
- სასტუმრო ქსელის მშენებლობა;
- ჩაის მეურნეობის აღდგენა, კივის, ფეიხოას, ხურმის ბაღების გაშენება და მეორადი გადამუშავების უზრუნველყოფა;
- მემცენარეობის, მებოსტნეობის, მეხილეობის განვითარება.

კითხვაზე, თუ რას თვლიან მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური სირთულეების დაძლევისაკენ მიმართულ ღონისძიებად პასუხები ძირითადად შინაარსობრივად მიება

არსებული პრობლემების გადაჭრით სახელდებულ ღონისძიებებს. სიღრმისეულად გააზრებული გამოსავალი არ გამოკვეთილა.

ტენდენცია, რომლისკენაც ბიზნესმენთა შეხედულება იყო შედარებით ცალსახა და კონკრეტული იაფი კრედიტები და ზოგადად იაფი ფინანსური რესურსის ხელმისაწვდომობას გულისხმობდა. პრობლემად დასახელდა გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი ინვესტიციების უქონლობაც. ყურადღება გამახვილდა ბიზნეს-ინფრასტრუქტურის გაუმართაობაზეც.

ბიზნესის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები. ბიზნესის შემაფერხებელ ფაქტორებს შორის ერთ-ერთი არსებითი კვლავ მოსახლეობის შემოსავლების სიმცირე, ფინანსური რესურსის სიმწირე, მასთან წვდომის დეფიციტი და რეალიზაციის ბაზრების არარსებობაა.

ფინანსურ პრობლემებთან ერთად არსებითია ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით არსებული ხარვეზებიც. ეს ეხება, როგორც შიდამუნიციპალური გზების გაუმართაობას, ასევე, წყალმომარაგებასა და ელექტრო-ენერგიით უწყვეტ მომარაგებას. მისი არსებული მდგომარეობა შეფასდა საშუალოდ. ქობულეთში კავშირგაბმულობის, ინტერნეტისა და ელექტროენერგიით მომარაგების დონე დამაკმაყოფილებლად შეაფასდა რესპოდენტთა მიერ. თუმცა ხაზგასმით აღინიშნა, რომ ყველა აღნიშნული სერვისის ფასი ნაკლებ სახარბიელოა.

დიაგრამა №4. ბიზნესის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები



ბიზნესმენთა შეხედულებისამებრ, მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგმელი მუნიციპალიტეტის სწორი მარკეტინგული სტრატეგიის შერჩევისათვის.

ინვესტიციების მომზიდავი ფაქტორები. გამოკითხული ბიზნესმენების შეხედულებით, არსებობს ცხადი ეკონომიკური მოცემულობა რეალური სიტუაციის სახით, როგორიცაა დაბალი და შესაბამისად ინვესტორისათვის მიმზიდველი შრომის ფასი. იაფი მუშახელი იწვევს ცდუნებას უცხოური კაპიტალის შემოდინებისათვის, თუმცა, ამ მუშახელის კვალიფიკაციის შესაბამისობა კაპიტალის მოთხოვნებთან ფრიად საკამათოა. მით უფრო, რომ არაერთგზის შეიქმნა პრეცენდენტი ადგილობრივი არაკვალიფიციური მუშახელის უცხოელი სპეციალისტებით ჩანაცვლებისა.

რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტს ძლიერ მხარედ, მისი განვითარების ერთ-ერთ მთავარ ეკონომეტრად მისი გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი რესურსების მარაგი წარმოადგენს, რაზეც უმთავრესად მიბმულია ტურიზმის სფერო, რომლის განვითარების საკმაოდ მაღალი პოტენციალი გააჩნია ქობულეთის მუნიციპალიტეტს.

დიაგრამა № 5. ინვესტიციების მოდინების განმსაზღვრელი ფაქტორები



ტურიზმი. აჭარის რეგიონში ტურიზმი, როგორც მთავარი პრიორიტეტული დარგი ჩვენს მიერ შერჩეულ ყველა ფოკუს-ჯგუფში დომინირებს.

რესპოდენტთა მიერ აქცენტი ძირითადად საოჯახო ტურიზმის განვითარებაზე გაკეთდა. რაც თავისთავად სერვისის მიწოდების ფორმის გამრავალფეროვნება უფროა, ვიდრე თავად სერვისისა. სამთო ტურიზმის შესაძლებლობების გაფართოებაც დაასახელა რამდენიმე რესპონდენტმა.

ძირითადი აქცენტი რესპოდენტების მიერ გაკეთებული იქნა საზღვაო ტურიზმზე, რომელიც წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ეკონომიკის განვითარების ერთგვარ

ლოკომოტივს. ტურებიდან ყველაზე საინტერესოდ დაცული ტერიტორიების ტურები იქნა დასახელებული. რესპოდენტთა გარკვეული ნაწილის მიერ დასახელდა ტურიზმის ახალი სახეობის, „ფრინველებზე დაკვირვების“ ტურიზმის განვითარების შესაძლებლობა.

მოლოდინები და პერსპექტივები. რესპონდენტებმა სამომავლო პერსპექტივის საგნად აუთვისებელი რესურსების გამოყენებაზე მიანიშნეს.

ამ მხრივ აზრთა მნიშვნელოვანი სხვადასხვაობა არ ყოფილა, თუმცა, საინტერესო იყო ის რამდენიმე ერთეული მიმართულება, რომელზეც ბიზნესმენებმა ყურადღება გაამახვილეს.

რესპოდენტთა უმრავლესობის მიერ აუთვისებელი ჰიდრორესურსები და ტყის რესურსები დასახელდა.

ტყის კორომები განსაკუთრებული ყურადღების საგანი ჯანმრთელობის რეკრეაციისათვის აუცილებლობის ნიშნით გახდა.

სამკურნალო აბანოების სიმრავლით გამოირჩევა მუნიციპალიტეტი. ამდენად საგულისხმოც იყო აქცენტი ამ მიმართულებით.

გამოიკვეთა საერთო ოპტიმისტური ემოციური ფონი. რესპონდენტებს ცალსახად პოზიტიური მოლოდინები აღმოაჩნდათ მუნიციპალიტეტის მომავალთან დაკავშირებით. რაც ძალიან საინტერესო მახასიათებელია იმ ფონზე როცა მათ მიერ შეფასებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ნამდვილად არ იყო პოზიტივისტური.

ემოციური თვალსაზრისით ეს ოპტიმიზმი მისასალმებელია, თუმცა ის გარემოება რომ არცერთ მათგანს არ უცდია ოპტიმიზმის ლოგიკური დასაბუთება და სამომავლო შედეგების ერთგვარი პროგნოზი არ ეყრდნობოდა არგუმენტირებულ აზრობრივ წიაღსვლებს, ტოვებს საფუძველს ეჭვისათვის, რომ ეს იმედიანი დამოკიდებულება მომავლისადმი თვითდარწმუნების ერთერთი ხერხია უბრალოდ. თუმცა კიდევ ერთ ეჭვს ეძლევა ლოგიკურად არსებობის უფლება: არაა გამორიცხული რომ ეს მსუბუქი იმედიანობა ლოგიკური სარჩულის გარეშე, ირეკლავდეს საერთო საზოგადოებრივ ნიჰილისტურ განწყობას გამსხვილებული სოციომეტრული არეალების მიმართ.

16.4 სპეციალისტების გამოკითხვა

ნდობა საჯარო ინსტიტუტებისადმი. მოსახლეობისა ნდობის ყველაზე მაღალი მანდატით, სპეციალისტთა აზრით, სარგებლობს პოლიცია. ასევე მაღალი ავტორიტეტი აქვს პრეზიდენტს. მას მოსდევს ეკლესია და ადგილობრივი თვითმმართველობა.

სპეციალისტთა შეფასებით ყველაზე დაბალია ნდობა მედიის, სასამართლოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ.

დიაგრამა № 16.4 საჯარო ინსტიტუტებისადმი მოსახლეობის ნდობა



დარგობრივი პრიორიტეტები. სპეციალისტთა შეხედულებით, სოფლის მეურნეობა წამყვან პრიორიტეტად მოიაზრება. თუმცა, მის ახლოს მდგომ წამყვან პრიორიტეტად ჯანდაცვის სექტორი გამოიკვეთა, რაც თავის მხრივ გამოძახილია მძიმე სოციალური ფონისა. ამ უკანასკნელს, ასევე სოციალური შინაარსის საკითხი – განათლების სისტემის სახით მოსდევს. ინფრასტრუქტურა და მრეწველობა, მიუხედავად მათი აქტუალობისა, მაინც მნიშვნელოვნად ჩამორჩა შეფასების თვალსაზრისით.

თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მაღალი რანგის დარგობრივ კატეგორიაში ნაკლებად მოიაზრეს ტურიზმის სექტორი. რაოდენობრივ მაჩვენებლებს შორის მისი შედარებით დაბალი წონა კი განპირობებული იყო იმ მიდგომით, მოცემულ სფეროში განხორციელებული პროექტების ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად მაღალია.

ყველაზე დაბალი აღმოჩნდა რესპონდენტთა ლაბილობა სამართლებრივი საკითხების, მ.შ. საკუთრების უფლების დაცვის მიმართ. მკვეთრად დაბალი აღმოჩნდა კულტურის სფეროს აქტუალობაც.

დიაგრამა 16.5 დარგობრივი პრიორიტეტები მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის



ყველაზე მწვავე შიდა სფეროებრივი პრობლემები. რესპონდენტებს უნდა დაესახელებინათ ყველაზე მწვავე პრობლემები, რომლებთანაც სამსახურეობრივი მდგომარეობის გამო უშუალოდ უწევთ ყველაზე ინტენსიურად შეხება. ამასთან უნდა ემსჯელათ მიზეზებზე რომლებიც პრობლემის პროვოცირებას ახდენს და შეეფასებინათ გავლენის ხარისხიც.

ცხრილი 16.1 გამგეობის სამსახურებისა და საკრებულოს კომისიების წარმომადგენლების მიერ გამოყოფილი პრობლემური საკითხების სრული სია

პრობლემები	მიზეზები	გავლენის ხარისხი
• საქმის წარმოების არაელექტრონული მეთოდოლოგია	• მატერიალურ-ტექნიკური პირობები	• არარსებითია
• სოციალური პრობლემა	• ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა	• ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა

• პროდუქციის რეალიზაცია	• ბაზრის მოუწესრიგებლობა	• ცუდს
• პრობლემები ყველა სფეროშია	• მოძველებული ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტის სიმცირე	• ვერ ხდება ყველა პროგრამებისა და იდეების განხორციელება
• მევენახეობის პოტენციალის მიზერული რეალიზაცია	• უყურადღებობა სოფლის მეურნეობისადმი	• სოციალური ფონის დამძიმება
• მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე	• სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების მდგომარეობა და საშუალოდ მძიმე სოციალური ფონი	• შედეგად ძნელდება ხელისუფლებისაგან აუცილებელ პროექტებზე ლობირება
• სოციალური დაცვის ქვეშ არმყოფთ ჯანმრთელობაზე ზრუნვა, როცა პოლისი არააქვთ და ძალიან უჭირთ	• სოციალური დაცვის სააგენტოების პროექტირება	• იკარგება ნდობა ამ ადამიანებსა და მუნიციპალიტეტს შორის
• ჯანმრთელობის დაცვა	• მოსახლეობის გადახდისუნარიანობა	• უარყოფითს
• სოფლის მეურნეობა, ინფრასტრუქტურა	• ყველა სოფელს აუცილებლად უნდა ყავდეს სახნავ-საკუულტივაციო ტრაქტორი გზების საწმენდ ტრაქტორებთნ ერთად	• უარყოფითს
• განათლება, სოფლის მეურნეობა	• სოფლის მეურნეობის განვითარება	• დაბალი შემოსავლები
• არცერთი	• ასეთი მიზეზი არ არსებობს	• არანაირს
• იშვიათად, მაგრამ გვიწევს უნებართვო მშენებლობებთნ სამართლებრივი რეაგირება	• ძირითდი პრობლემა ეკონომიკური მდგომარეობაა, რომლის გამოც მოსახლეობა თვს არიდებს საჭიირო საპროექტო დოკუმენტაციის მოგვარებას	• არანაირს, რადგან ჩვენი სამსახური ნებისმიერ ასეთ უკანონობაზე ახდენს სამართლებრივ რეაგირებას რათა მოექცეს სამართლებრივ ჩარჩოებში სიტუაცია
• ფინანსების უკმარობა	• ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა	• არ ხორციელდება ყველა სასურველი ქმედება

სამოქმედო გეგმა. სპეციალისტთა 70 %-მა კითხვაზე, "გაქვთ თუ არა რაიმე ტიპის სამოქმედო გეგმა მუნიციპალიტეტის პრობლემების დასაძლევად?" უპასუხა დადებითად, თუმცა არცერთ მათგანს კონკრეტული გეგმა არ დაუსახელებია.

მათ კი, ვინც გეგმის არარსებობა აღიარა, მიზეზად გულგრილობა, პოლიტიკური ნების არარსებობა და ფინანსური სახსრების დეფიციტურობა გამოყვეს.

თვითმმართველობის მუშაობის შემაფერხებელი ფაქტორები. ყველაზე მტკივნეულ რუბიკონად სპეციალისტები ფინასური რესურსების სიმწირე მოიაზრებენ. საკადრო რესურსის პრობლემაც საკმაოდ წინ იქნა წამოწეული და მე-5 პოზიციაზე განთავსდა. არ მოხერხდა ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემების წყების იდენტიფიცირება, რადგან მათ თავი მოიყარეს ბუნდოვანი კატეგორიის ქვეშ - სხვა ფაქტორები.

სამაგიეროდ პარადოქსულად მწირი გავლენით შემოიფარგლა თვითმმართველობის უფლებამოსილებასთან დაკავშირებული საკითხები.

დიაგრამა 16.6 თვითმმართველობის მუშაობის შემაფერხებელი ფაქტორების შეფასება



უახლოესი პერსპექტივები. სპეციალისტებმა უახლოესი პერსპექტივის საგნად პირველ რიგში საკადრო რესურსის გაუმჯობესება მიიჩნიეს. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ასევე დაასახელეს ახლო მომავლის მსჯელობის საგნად. ასევე საკმაოდ მაღალი იყო მატერიალურ-ტექნიკური საკითხის მოწესრიგების მოლოდინი.

შედარებით ფრთხილი იყვნენ ფინასური რესურსების უახლოეს მომავალში გაუმჯობესების მოლოდინებთან თუმცა მაინც საკმაოდ აქტიური აღმოჩნდა ეს პოზიცია.

უფლებამოსილების და ნორმატიული აქტების მოწესრიგების საკითხი ახლო მომავალში გადასაჭრელი პრობლემების რიგს მიუერთდა მაგრამ მისდამი ინტერესი რესპონდენტთა ძალიან მცირე ნაწილმა გამოხატა.

ყველაზე საჭირო პერსპექტივა. ამ ნაწილში პრაქტიკულად გამეორდა შეხედულებები, რომლებიც უახლოესი პერსპექტივის საგნად გამოყვეს სპეციალისტებმა. მსგავსი თანხვედრა სავარაუდოდ მიანიშნებს სპეციალისტების მხრიდან პერსპექტივებისა და საჭიროებების ურთიერთ შეთანწყობის მცდელობას, რაც შესაძლოა სავსებით ეფექტიანი აღმოჩნდეს შედეგის თვალსაზრისით, მით უფრო თუ ეს სიმბიოზი სწორად შედგება.

ინფრასტრუქტურის განვითარება არამარტო ახლო მომავლის ზრუნვის საგნად, არამედ ყველაზე მწვავე პრობლემადაც იქნა გააზრებული.

რესპონდენტთა 60%-მა თქვა, რომ გააჩნია საკუთარი განსხვავებული ხედვა მუნიციპალიტეტის განვითარების შესახებ. მხოლოდ რამდენიმე მათგანი დაკონკრეტდა ხედვის არსზე:

- ყველა საკითხის გადაჭრისას გამგეობა და საკრებულო უნდა მოქმედებდნენ შეთანხმებულად;
- საჭიროა კადრების გადამზადების, ტრენინგებისა და სემინარების ორგანიზება როგორც ხელისუფლების, ისე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ;
- დეპუტატების მეტი ჩართულობა მუნიციპალიტეტის საქმიანობაში.

სამსახურების ეფექტიანობის თვითშეფასება. საკუთარი სამსახურის მიერ შესრულებული სამუშაოს ეფექტიანობა სპეციალისტებმა ათ ბალიანი სისტემიდან საშუალოდ 8,26 ბალით შეაფასეს.

სრული ეფექტიანობის ვერ მიღწევის მიზეზებად სხვადასხვა ფაქტორი იქნა დასახელებული:

- მოსახლეობასთან შეხვედრების უკმარისობა, რაც გამოწვეულია ტრანსპორტისა და თანხების უკმარისობით, თუმცა წარმოადგენს აუცილებლობას;
- შეფერხებები არ გვაქვს;
- ტექნიკისა და ტექნოლოგიების უქონლობა;
- ზოგადად გარდამავალი ქვეყნისათვის დამახასიათებელი პრობლემები;
- არაკომპაქტური დასახლების გამო მოსახლეობასთან ხშირი შეხვედრა და ბუნებრივი გარემო პირობები;
- კვალიფიციური საკადრო რესურსები;
- კონკრეტული არაფერი;
- კადრების კვალიფიციურობა.

- SWOT

თვითმმართველობის სპეციალისტებმა გამოკითხვის ფარგლებში ააგეს საკუთარი მუნიციპალიტეტის ერთგვარი მინი SWOT–ი, სადაც გამოყვეს მათ დაქვემდებარებაში მყოფი მუნიციპალიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეები. ხაზი გაუსვეს არსებულ რისკებს და კონკრეტულ შესაძლებლობებს.

ცხრილი 16.2 ქობულეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის წევრთა მიერ შედგენილი SWOT

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
• დამოუკიდებლობა; • მოსახლეობის ნდობა; • მოსახლეობის მაღალი ჩართულობა; • სტრუქტურული სიახლოვე თემის და სოფლის რწმუნებულებთან, ხალხთან ახლო ურთიერთობა; • საზოგადოებასთან კომბინირებული მუშაობა; • ბუნებრივი რესურსები; • მინერალური წყლები; • ბუნება; • კვალიფიციური საკადრო რესურსები; • საკითხების გადაწყვეტაში ხალხის მასების ჩართულობა.	• ადგილობრივი შემოსავლების ნაკლებობა; • სატყეოს საქმეებში ჩარევის უფლების არქონა; • სოციალური სააგენტოს საქმიანობაში ჩარევის უფლების არქონა; • არასახარბიელო საინვესტიციო ფონი; • მწირი ნიადაგი; • დამოკიდებულება სოფლის მეურნეობის დარგებისადმი; • მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
• თანამშრომელთა გადამზადება; • ეკოტურიზმის განვითარება; • კვალიფიციური კადრების მოზიდვა; • მევენახეობის პოტენციალის ათვისება.	• სტიქიის შედეგად დაზარალება; • სახელმწიფო პრიორიტეტების ცვლილება; • არამდგრადი კლიმატი.

საკითხები, რომლებზეც ხელისუფლების მიერ სასურველია ყურადღების გამახვილება მუნიციპალიტეტთან მიმართებაში:

- ხეხილის გადამუშავება, ხორცის წარმოება, გარეული ტყის მოცვის წარმოება;
- ხილის გადამამუშავებელი საამქროების უქონლობა;
- ბუნებრივი წიაღისეული, რომელსაც ჭირდება კარგი მენეჯმენტი- ძვირფასი სამშენებლო ქვები, მინერალური წყლები და სამკურნალო მცენარეები;

- მინერალური წყლების ჩამოსხმა-რეალიზაცია;
- მცირე მეწარმეებისათვის გრძელვადიანი კრედიტების გაცემა, სოფლის მიწებსა და ნაგებობებს ბანკები უზრუნველყოფაში არ იღებენ;
- თამბაქოსა და ხილის გადამამუშავებელი ქარხანა;
- სოფლის მეურნეობის დარგები;
- ხაბელაშვილების ქვის საბადო, ბრილის თიხის საბადო, მინერალური წყლები.

რესპონდენტთა 35%–მა საკუთარი ინფორმირებულობა საკითხებზე რომლებზე დააფიქსირა საკუთარი პოზიცია, შეაფასა უმაღლესი მაჩვენებლით და მიუთითა, რომ თავს სრულიად ინფორმირებულად თვლის. ხოლო 40%-მა საკუთარი თავი მეტ-ნაკლებად ინფორმირებულად მიიჩნია. 25%-მა თავი შეიკავა საკუთარი კომპეტენციის შეფასებისაგან.

17 ქობულეთის მუნიციპალიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი (SWOT)

ფაქტორები	ფაქტორის გავლენა მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე	
	პოზიტიური (ძლიერი მხარეები)	ნეგატიური (სუსტი მხარეები)
1. ცხოვრების დონე		
1.1 მატერიალური უზრუნველყოფის დონე		
მოსახლეობის შემოსავლები	მოსახლეობის შემოსავლების მიხედვით შესამჩნევი მზარდი დინამიკა.	შემოსავლების სტრუქტურიდან გამომდინარე აღრიცხვა გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული და მუნიციპალური ჭრილის ზუსტად დასმა ვერ ხერხდება; შემოსავლების ზრდის ტემპი ჩამორჩება ინფლაციისა და ფასთა ზრდის მაჩვენებელს.
საცხოვრებელი მინიმუმი	მოსახლეობის უმრავლესობის შემოსავლების რაოდენობა აღემატება საარსებო მინიმუმს; სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა სრულად იღებს ფინანსურ დახმარებას ცენტრალური ბიუჯეტიდან სოციალური მომსახურების სააგენტოს მეშვეობით.	სოციალური დახმარებების მონეტარიზაციამ შეამცირა მოსახლეობის აქტივობა. სოციალური დახმარებების მიმღების უმეტესი ნაწილი არ ცდილობს თავი დააღწიოს არსებულ მდგომარეობას და კმაყოფილდება გარანტირებული დახმარებით.
მოსახლეობის განაწილება შემოსავლების მიხედვით	ქალაქის მოსახლეობის ფულად შემოსავლებსა და ტრანსფერებში, 51,2% უკავია დაქირავებული შრომიდან მიღებულ შემოსავლებს, მაშინ როდესაც, ამ ტიპის შემოსავლების პროცენტული წილი სოფლის მოსახლეობაში 27,5%-ს შეადგენს. სოფლის მოსახლეობის ფულად შემოსავლებსა და ტრანსფერებში მნიშვნელოვანი წილი უკავია პენსიებს, სტიპენდიებსა და	მთლიანობაში მუნიციპალიტეტში არსებული შემოსავლების მოცულობა იმდენად მცირეა, რომ სოციუმი შემოსავლების გადანაწილების საზოგადო გაგებით მცირე უთანაბრობასაც, მწვავედ იღებს.

	დახმარებებს (25,8%), სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებს (19,9%) და საჩუქრად მიღებულ ფულს (14,1%) სიღარიბის სიმწვავე საკმაოდ დაბალია და მას შემცირების ტენდენცია აქვს რამდენიმე წლიანი დინამიკის ფარგლებში.	
1.2 საცხოვრებელი, კომუნალური და კულტურული დონე		
საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფა	მოსახლეობის არსებითი ნაწილი საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილებულია.	ოჯახებში ხშირად რამდენიმე კომლი ცხოვრობს, იმ მიზეზით, რომ მათი უზრუნველყოფა ცალკე საცხოვრებელი ფართით ვერ ხერხდება; არ არსებობს დაზუსტებული და განზოგადებული მონაცემები საცხოვრებელი ფართების მდგომარეობის შესახებ. თუმცა კეთილმოწყობილი ნაწილი მკვეთრად მცირდება პერიფერიებისაკენ და მითუფრო მის სიღრმეში.
მოსახლეობის უზრუნველყოფა კომუნალური მომსახურების და საყოფაცხოვრებო მომსახურების პირობებით	მოსახლეობა მთლიანად არის უზრუნველყოფილი ელექტროენერგიით და სასმელი წყლით; მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის სრული გაზიფიკაციის პროცესი; სოციალური მომსახურები ობიექტებით მხოლოდ დაბის და მისი მიმდებარე ტერიტორიაა უზრუნველყოფილი.	თემებში არსებული ელექტროგადამცემი ქსელები და სატრანსფორმატორო ქვესადგურები ამორტიზებულია. მიუხედავად იმისა, რომ ქსელების რეაბილიტაცია დაწყებულია, პროცესი მოითხოვს დაჩქარებას. ხშირია ელ. ენერგიის გამორთვის ფაქტები. მაღალია ელ. ენერგიის ღირებულება. გაზიფიცირების პროცესის გაჭიანურება.
მოსახლეობის უზრუნველყოფა კულტურისა და ხელოვნების ობიექტებით	კულტურის ობიექტებით უზრუნველყოფის ხარისხი ქალაქის ტერიტორიაზე გარკვეული თავლსაზრისით შესაძლოა ნორმალურად შეფასდეს, მაგრამ ამ მხრივ პერიფერიებისკენ საკმაოდ	ქალაქის გარეთ არსებული კულტურული ობიექტების უდიდესი ნაწილი საჭიროებს რესტავრაციას და ყველა თანამედროვე ინვენტარით აღჭურვას.

	მოკრძალებული სიტუაციაა. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს პეტრას ციხის მუზეუმ- ნაკრძალი, კინოთეატრი, კულტურის სახლებისა და სასოფლო კლუბების რაოდენობა არის 19, მაგრამ მათი დიდი ნაწილი სარემონტოა.20 სპორტული ნაგებობა, კომპლექსური 1 სასპორტო სკოლა.	
1.3 სოციალური უზრუნველყოფის დონე		
პენსიებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი	შესაბამისი ასაკის მოსახლეობა სრულად არის უზრუნველყოფილი პენსიებით. მუნიციპალიტეტში 15099 პენსიონერია, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია(17,2%). 2010 წლის გასაშუალოებული მაჩვენებლის მიხედვით საპენსიო უზრუნველყოფის მოცულობა 1 160 248 ლარია.	საპენსიო თანხა ჩამორჩება საარსებო მინიმუმს დღეისათვის არსებული ფასების გათვალისწინებით.
სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი	სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა იღებს სოციალური შემწეობას და უზრუნველყოფილია სამედიცინო დაზღვევით. საარსებო შემწეობის მიმღებთ რაოდენობა ბოლო მონაცემებით 13 687 კაცს შეადგენს და მათზე ჯამში 1 160 248 ლარი შეადგინა გამოყოფილმა საბიუჯეტო სახსრებმა.	სოციალური დახმარების მოცულობა ჩამორჩება საარსებო მინიმუმს.
1.4 განათლების დონე		
მოსახლეობის განათლების ხარისხი	ზრდასრული მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას მიღებული აქვს საშუალო განათლება, მოსახლეობის დაახლოებით 30 % უმაღლესგანათლებულია, ხოლო 25%-ს მიღებული აქვს პროფესიულ-ტექნიკური განათლება.	სპეციალისტთა კვალიფიკაცია არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს.
1.5 ჯანდაცვა		

შობადობის მაჩვენებელი	შობადობის მაჩვენებელი 14,8 პრომილეა, მთლიანობაში ბუნებრივი მატება 8,4 პრომილეს შეადგენს.	შეიმჩნევა შობადობის სქესობრივი ბალანსის ბუნებრივი პროცესიდან გადახრა მამრობითი სქესის უპირატესობით, სავარაუდო მიზეზად კი სელექციური აბორტები მოიაზრება.
ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი	ბავშვთა სიკვდილიანობა შემცირების ტენდენციით ხასიათდება და 8,9 პრომილეა. ხოლო მკვდრადშობადობა 6,7 პრომილე.	
მედპერსონალით უზრუნველყოფის მაჩვენებლები	მუნიციპალიტეტში არსებობს სააფთიაქო ქსელი. ახალი კანონმდებლობის გათვალისწინებით მედიკამენტების გარკვეული სახეობების გაყიდვა არასააფთიაქო სივრცეშიცაა შესაძლებელი, რამაც თემებში ადგილობრივი სავაჭრო წერტილების საშუალებითაც ხელმისაწვდომი გახადა მედიკამენტების შეძენა;	აფთიაქები კონცენტრირებულია ძირითადად ქალაქსა და დაბებში; მიუხედავად ამისა ასორტიმენტი შედარებით მწირია; ფასი კი პერიფერიებისკენ შედარებით მაღალი.
ექიმები	მუნიციპალიტეტის სამედიცინო დაწესებულებებში სულ 107 ექიმია.	სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაცია მთლიანობაში იწვევს მოსახლეობაში უნდობლობას. გარდა ამისა აქტუალური ხდება რიგი პროფილური სამედიცინო პერსონალით ჯანდაცვის ობიექტების უზრუნველყოფის საკითხი; სპეციალისტების გარკვეული ნაწილი არაა ადგილობრივი და მოწვეულია; ყველა მიმართულება/სფერო არაა უზრუნველყოფილი სპეციალისტებით.
საშუალო სამედიცინო პერსონალი	საშუალო სამედიცინო პერსონალის რაოდენობა კი 268 კაცს შეადგენს. მუნიციპალიტეტს ემსახურება 7 სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა.	
საწოლების რაოდენობა	ქობულეთის მუნიციპალური საავადმყოფოში 36 საწოლია,	საავადმყოფოს ინფრასტრუქტურა

საავადმყოფოებში	ბავშვთა საავადმყოფო - 30, სამშობიარო სახლი - 13.	ამორტიზებულია.
1.6 უსაფრთხოება		
დანაშაულთა რაოდენობა 10 000 მოსახლეზე.	დანაშაულის უმნიშვნელო მაჩვენებელი, ყოველ 1 000 კაცზე ქედის მუნიციპალიტეტში მოდის 4,95 დარეგისტრირებული დანაშაული.	
გახსნილ დანაშაულთა რაოდენობა 10 000 მოსახლეზე.		დანაშაულთ გახსნის მაჩვენებელი აჭარის მუნიციპალიტეტებს შორის ყველაზე დაბალია და 33%-ს აღწევს მხოლოდ (143).
1.7 ეკოლოგიური უსაფრთხოება		
მავნე ნივთიერებების გაფრქვევა ჰაერში	შეიმჩნევა მავნე ნივთიერებების ჰაერში გაფრქვევის მაჩვენებლების მკვეთრი შემცირება. საერთო ჯამში გარემო ეკოლოგიურად სუფთაა. 2009 წელს 11 ტ მავნე ნივთიერების გაფრქვევა დაფიქსირდა, მაშინ როცა 2006 წელს ეს მაჩვენებელი 49 ტ იყო.	ეკოლოგიური ფონის გაუმჯობესება ძირითადად გარკვეული საწარმოების დახურვის ხარჯზე მიმდინარეობს და ამ პროცესში გარემოს დამცავი აქტივობების როლი მიზერულია.
საყოფაცხოვრებო ნაგვის გატანის მდგომარეობა	საყოფაცხოვრებო ნაგვის გატანა ქალაქისა და დაბის ტერიტორიებიდან სანდასუფთვების სამსახურის მიერ ხორციელდება.	თემებში არ არსებობს ნაგავსაყრელები და სპონტანურად ხდება ნაგვის შეგროვება გარკვეულ ადგილებში. მრავლადაა მცირე ზომის უკანონო ნაგავსაყრელები.
2. ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა		
გეოგრაფიული მდებარეობა	მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჩრდილოეთ ნაწილში. ჩრდილოეთით მას ესაზღვრება ოზურგეთის, სამხრეთით ხელვაჩაურის, სამხრეთ-აღმოსავლეთით ქედის და	

	აღმოსავლეთით შუახევის მუნიციპალიტეტი. მისი ზღვისპირა ზოლი შეადგენს 24 კმ-ს. მუნიციპალიტეტის ცენტრი, ქალაქი ქობულეთი, განფენილია უშუალოდ შავი ზღვის სანაპიროზე.	
დიდ ქალაქებთან და სატრანსპორტო კვანძებთან სიახლოვე (საზღვაო, სარკინიგზო, საჰაერო)	დიდ ქალაქებთან და სატრანსპორტო კვანძებთან სიახლოვე (საზღვაო, სარკინიგზო, საჰაერო); ქობულეთი ტერიტორიულად ძალიან ახლოსაა ქ. ბათუმთან, და ყველა მსხვილ სატრანსპორტო კვანძთან, რაც მისთვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული უპირატესობაა.	
გასაღებისა და მომარაგების ბაზრებთან სიახლოვე	ბათუმი ერთერთი ყველაზე ფართო ბაზარია ქობულეთისთვის, თუმცა საკუთრივ ქალაქი ქობულეთი მზარდი ტურისტული ნაკადების ხარჯზე მნიშვნელოვანი მომხმარებელია. მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია საექსპორტო ბაზრებიც (ძირითადად უკრაინა).	არ არსებობს პროდუქციის მიწოდების გამართული სისტემა და ადგილობრივი გლეხები/ფერმერები მოკლებულნი არიან გამართული მარკეტინგული სტრატეგიით ბაზარზე საკუთარი ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობებს.
3. ისტორიული და ბუნებრივი პოტენციალი		
მუნიციპალიტეტის ისტორია, მათ შორის ეკონომიკური	საუკეთესო ბუნებრივი და საცხოვრებელი პირობები ხელს უწყობდა აქ ადამიანის უძველესი პერიოდიდან დასახლებას. საერთოდ, აჭარაში, მოსახლეობის უძველესი კვალი ძველი ქვის ხანის, გვიანი მეზოლითის და ნეოლითის ხანიდან არის დადასტურებული. ძეგლთა უმრავლესობა აჭარის ბარის ზონასა და მთისწინეთშია (გორა-ნამოსახლარები) აღმოჩენილი. ქობულეთის მუნიციპალიტეტში ამ ტიპის ნამოსახლარებია ჯიხანჯურის, ჩოლოქის, ხუცუბნის, ჩაისუბნის, სახალვაშოს, კოხის, კვირიკეს,	ძველი სავაჭრო გზის მოშლასთან ერთად მოიშალა სავაჭრო ურთიერთობები.

	სოფელ ქობულეთის უძველესი დასახლებანი.	
ისტორიული ადგილები და ტურისტული მარშრუტები, დასვენების ადგილები	45 ისტორიული ღირსშესანიშნაობაა ქობულეთის ტერიტორიაზე. ამასთან რეგინში ყველაზე მდიდარია საკურორტო ადგილებით და ტურისტული მარშრუტებით. სამი დაცული ტერიტორია.	ისტორიული ძეგლების ძირითადი ნაწილი შემონახულია მხოლოდ ნანგრევების სახით და არ აქვს სანახაობრივი მხარე. ძირითად შემთხვევებში არაა გამართული ტურისტული მარშრუტები. რეალურ პოტენციალთან შედარებით, მცირეა მათი მრავალფეროვნებაც.
ბუნებრივი რესურსები	ქობულეთის მუნიციპალიტეტი მდიდარია თიხის, ტუფობრექჩის, ოქროსა და ტორფის საბადოებით.	სამწუხაროდ საბადოთა მარაგები საბოლოოდ არაა შესწავლილი და მათი ზუსტი მადანგამოვლინებების შესახებ განახლებული ინფორმაცია ცნობილი არაა.
სახალხო რეწვა	მუნიციპალიტეტში არის სპეციალისტების გარკვეული რაოდენობა რომელთაც შეუძლიათ ამ დარგში ცოდნის და გამოცდილების გაზიარება და მომავალი თაობებისთვის გადაცემა.	მოსახლეობის ძალიან მცირე რაოდენობაა დაინტერესებული ამ დარგით და ბიზნესის ინტერესის საგანს არ წარმოადგენს ამ ეტაპზე. დარგში მოღვაწე სპეციალისტებისათვის კი სამუშაო პროცესმა ეკონომიკური თავისებურებების გავლენით დაკარგა შემოქმედებითი მუხტი და ხელობის ფორმით შემოინახა.
მიწის რესურსები	მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელია ნიადაგების მრავალფეროვნება: ზღვისპირა დაბლობში ტორფ-ჭაობიანი ნიადაგებია, ხეობებში ალპური ქანები, გორაკ-ბორცვებიან ზოლში გავრცელებულია წითელმიწა ნიადაგები, ხოლო უფრო მაღალ ადგილებში გაეწრებული ნიადაგებია, სადაც კარგად ხარობს სუბტროპიკული კულტურები. ამასთან მუნიციპალიტეტს გააჩნია თავისუფალი მიწის რესურსები რაც მას განვითარებისათვის მეტ პერსპექტიულ შესაძლებლობას	ნიადაგების ნაწილი ეროზირებულია, რომლის ჩაბრუნება სასოფლო-სამეურნეო პროცესში შეუძლებელია.

	აძლევს.	
რეკრეაციული რესურსები	ქობულეთი მდიდარია მდინარეებით, რომელთა შორის აღსანიშნავია კინტრიში, ჩაქვისწყალი, აჭისწყალი, ოჩხამური, აჭყვა, დეხვა და სხვა. მდინარეები საზრდოობენ წვიმის, მიწისქვეშა და თოვლის წყლით. წყალდიდობა გაზაფხულსა და შემოდგომაზეა. მდინარეთა სანაპიროების ტურისტული პოტენციალი მხოლოდ უმნიშვნელოდაა ათვისებული; თუმცა სანაპიროების დიდი ნაწილი კლდოვანია და მათი ათვისება შეუძლებელიცაა; მდინარეებისათვის წლის უმეტეს პერიოდებში დამახასიათებელია წყალმარჩხობა.	მდინარეთა სანაპიროების ტურისტული პოტენციალი მხოლოდ უმნიშვნელოდაა ათვისებული.
4. მოსახლეობა და სამუშაო ძალა	ქობულეთის მოსახლეობა 88 063 კაცია. მოსახლეობის სიმჭიდროვე 126,5 კაცი/1 კვ.კმ-ზე	ტერიტორიის დიდი ნაწილი დაფარულია ტყითა და ჭაობებით. შესაბამისად, მოსახლეობა მკვეთრად არათანაბარი სიმჭიდროვითაა გადანაწილებული და დასახლებულ უბნებში სიმჭიდროვის მაჩვენებელი გაცილებით მაღალია.
მოსახლეობის სტრუქტურა ასაკის მიხედვით	მედიანური ასაკი - 30,9 წელი.	მოსახლეობის საშუალო ასაკი 33,4 წელია.
მოსახლეობის სტრუქტურა სქესის მიხედვით	გენდერული ბალანსი თითქმის თანაბარია: ქალი - 44795 (50,8%), კაცი - 43268 (49,2%);	
მოსახლეობის სტრუქტურა განათლებისა და კვალიფიკაციის მიხედვით	მოსახლეობის 30-35% საშუალოდ უმაღლესი ან პროფესიული განათლების მქონეა. შრომისუნარიან მოსახლეობას შორის ძირითადად საშუალო განათლება აქვს პრაქტიკულად ყველას. წერა-კითხვის არ მცოდნეთა რაოდენობა მუნიციპალიტეტში არ აღირიცხება.	

მოსახლეობის დასაქმების მაჩვენებელი	თვითდასაქმების მაღალი მაჩვენებელი (არსებული მკვეთრად გამოიკვეთება სოფლად).	მოსახლეობის დასაქმების დონე ძალიან დაბალია; თვითდასაქმებულთა ძალიან დიდი უმრავლესობა თავს დასაქმებულად საერთოდ არ მიიჩნევს და დასაქმების არსებული ფორმა ხელსაყრელი ალტერნატივების არ ქონითაა განპირობებული.
უმუშევრობის დონე და სტრუქტურა	უმუშევრობის დონე მცირედით შემცირებულია ძირითადად სამშენებლო სექტორში ქალაქის მიმართულებით მიგრაციითა და სოფლის მეურნეობის სექტორში ქვეყნის გარეთ შრომითი მიგრაციის ხარჯზე.	უმუშევრობის დონე ძალიან მაღალია, დასაქმების ძირითად წყაროს საჯარო სექტორი წარმოადგენს. უმუშევრობის დონე სასოფლო თვითდასაქმების გარეთ ძალიან მაღალია, თუმცა კონკრეტული ციფრის დასახელება შრომის აღურიცხაობის გამო არ ხერხდება.
სამუშაო ძალის პოტენციალი	შრომისუნარიანი მოსახლეობის წილი საერთო რაოდენობაში 66,3 %-ია (58410); პროფესიული ნიშნით მოსახლეობის დივერსიფიკაციის დონე მაღალია, თუმცა კვალიფიკაციის დონე მიგრაციული პროცესების აქტიურობის პროპორციულად ეცემა.	თანამდეროვე პროფესიების მფლობელი სამუშაო ძალის დეფიციტი (უცხო ენისა, აგროსფეროს, კომპიუტერის სპეციალისტების დეფიციტი საინჟინრო სფეროს, ენერგეტიკის).
5. ეკონომიკური პოტენციალი		
5.1 საწარმოო პოტენციალი		
სამრეწველო სფერო	ხელმისაწვდომია იაფი მუშახელი. ამასთან რამდენიმე დარგში ფუნქციონირებს საწარმოები, მთლიანობაში დარგი მნიშვნელოვნად განვითარებული არაა, თუმცა საერთო რეგიონულ კონტექსტში შედარებით წინმსწრები პოზიცია უჭირავს.	ადეკვატურ სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შემთხვევაში აუცილებელია პერსონალის გადამზადების სისტემის ამოქმედება; საწარმოებს უჭირთ დამატებითი კაპიტალის მობილიზება და შესაბამისად გაფართოება.
სამშენებლო სფერო	ხელმისაწვდომია იაფი სამუშაო ძალა გარკვეული კვალიფიკაციითა და	სამშენებლო სექტორი მუნიციპალიტეტში სუსტადაა გამოხატული; ადგილზე

	გამოცდილებით.	რეგისტრირებული სამშენებლო კომპანიები ძირითადად მუნიციპალიტეტის გარეთ საქმიანობენ. კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე მოთხოვნა გარკვეული დოზით საჭიროებს შევსებას ან უნდა დაექვემდებაროს გადამზადებას.
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავება	მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ხილ-ბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმო; იაფი სამუშაო ძალის ხელმისაწვდომობა, ტრადიციული გამოცდილებითი უნარებით.	
5.2 სასოფლო-სამეურნეო პოტენციალი		
ფერმერთა მატერიალური ბაზა	ფერმერები ნაწილობრივ უზრუნველყოფილნი არიან მცირე მექანიზაციის საშუალებებით. ამასთან, ხელმისაწვდომია მათთვის მსხვილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა (ტრაქტორები, გუთნები).	სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რაოდენობა არასაკმარისია; რელიეფი ძირითადად მთისწინეთის ტიპისაა, რაც ზღუდავს ფართო მექანიზაციის ინტენსიურ გამოყენებას.
ნიადაგების ნაყოფიერება და მდგომარეობა	სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ძირითადი ნაწილი ხელსაყრელია ბოსტნეული კულტურების მოსაყვანად და მევენახეობის განვითარებისათვის.	არ ხდება ნიადაგების ლაბორატორიული შემოწმება გამოკვლევის მიზნით და ნიადაგების გამდიდრება ხდება ნიტრატებით მხოლოდ; არ ხდება კულტურების მონაცვლეობა და ეცემა საშუალო მოსავლიანობა.
მიწების საკუთრება	მიწების ძირითადი ნაწილი კერძო საკუთრებაშია.	მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვის გამო ნაკვეთების დანაწევრების ხარისხი მაღალია; მცირეკონტურიან ნიადაგებზე მექანიზაციის ინტენსიფიკაციის პროცესი ძნელადგანხორციელებადი და არაეკონომიკურია; მიწის საკუთრებაში აღიარების პროცესი არაა დასრულებული

		და იურიდიული თვალსაზრისით. მესაკუთრეობის საკითხი კვლავ ხშირადაა დავის საგანი, განსაკუთრებით იმ კატეგორიის მიწებზე სადაც შენობა-ნაგებობები არაა განთავსებული.
სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების პრიორიტეტები	მუნიციპალიტეტს გააჩნია ციტრუსის, თხილის, ჩაის, ბოსტნეულის, ხილისა და მარცვლეული კულტურების მოყვანის დიდი ტრადიციები; პრიორიტეტულ მიმართულებად გვევლინება მეთევზეობა და მეფუტკრეობა; ასევე მეცხოველეობა და კენკროვანი კულტურების წარმოება.	მოყვანილ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას არ ეძლევა სასაქონლო სახე; მაღალია არასტანდარტული ნაყოფის წილი წარმოებულ პროდუქციაში. მუნიციპალიტეტში (გარდა მეფუტკრეობისა) არ არსებობს ფერმერული ტიპის გაერთიანებები.
სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზარი	მზარდი ბაზარი ქალაქ ბათუმისა და ქობულეთის ტურისტული პოტენციალის ზრდის ხარჯზე.	პროდუქციის მაღალი თვითღირებულება და საფასო კონკურენციის ხარჯზე რეალიზაციის დაქვეითება; პროდუქციის სტანდარტების შესაბამისად ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სირთულეები.
მეცხოველეობა	მეცხოველეობის პროდუქციაზე შინამეურნეობების ინდივიდუალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საჭირო პირუტყვი ჰყავს ოჯახების უმრავლესობას. მოსახლეობის მცირე ნაწილი ქმნის ნამეტ პროდუქციას.	სუსტად განვითარებული დარგია, რელიეფის შეზღუდულობა და საძოვრების სიმცირე არ იძლევა დარგის განვითარების საშუალებას.
მემცენარეობა	მუნიციპალიტეტში განვითარებულია მემცენარეობა, ძირითადად, რამდენიმე ბოსტნეული კულტურის ხარჯზე (კიტრი, პომიდორი, ბულგარული წიწაკა, მწვანილი); საკმაოდ კარგადაა განვითარებული მარწყვის კულტურის მოყვანა და სეზონზე მარწყვის ერთერთი მნიშვნელოვანი მიმწოდებელია რეგიონისათვის;	არ ხდება ჯიშთგანახლება, ახალი პერსპექტიული და ჰიბრიდული ჯიშებისა დანერგვა; არ არსებობს მიზნობრივი პროგრამები, ახალი სასოფლო-სამეურნეო ჯიშების დანერგვის, წარმოების ინტენსიფიკაციისა და სამეცნიერო კვლევების განსახორციელებლად.

	კარგადაა განვითარებული მესიმინდეობა;	
მიწის პოტენციალი	თავისუფალი მიწების ათვისების ხარჯზე შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო ფართობების ზრდა. სასოფლო-სამეურნეო მიწის საერთო ფართობი შეადგენს 19 576 ჰექტარს. (ერთ ჰექტარ სახნავ სავარგულზე საშუალოდ 4,56 კაცი ნაწილდება და ამ მაჩვენებლით ის ერთ-ერთ სახარბიელო სიტუაციაშია რეგიონში).	ბუნებრივი ფაქტორების გავლენით შეუძლებელი სასოფლო-სამეურნეო ფართობების ზრდა.
5.3 სამეცნიერო და საგანმანათლებლო პოტენციალი		
საინფორმაციო-საკონსულტაციო საქმიანობა	საჯარო სკოლები სრულადაა უზრუნველყოფილი ინტერნეტით; ინტერნეტით უზრუნველყოფილია ქ. ქობულეთი.	სკოლის გარეთ მოსახლეობის უმეტესი ნაწილისათვის ინტერნეტი ნაკლებადაა ხელმისაწვდომი მაღლი ფასის გამო; მუნიციპალიტეტში არ არსებობს საკონსულტაციო მომსახურების პრაქტიკა.
სპეციალისტთა მომზადება/გადამზადება	საჯარო სექტორში დასაქმებული მოსამსახურეებისათვის (თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომლები, პედაგოგები) პერმანენტულად წარმოებს კვალიფიკაციის ასამაღლებელი რიგი ღონისძიებები (ტრენინგები, კურსები, სემინარები).	კადრების გადამზადების პროცესს არა აქვს რეგულარული და სტაბილური ხასიათი. არ არსებობს სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე მოთხოვნილებების შესწავლას.
მმართველობითი კადრების მომზადება	პერმანენტულად წარმოებს კვალიფიკაციის ასამაღლებელი რიგი ღონისძიებები (ტრენინგები, კურსები, სემინარები).	კადრების გადამზადება მმართველობითი საქმიანობისათვის ხდება მცირე მოცულობის ტრენინგებით და არარეგულარულად. არ არსებობს სისტემა რომელიც უზრუნველყოფს გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე მოთხოვნილებების შესწავლას.
5.4 სავაჭრო პოტენციალი	მუნიციპალიტეტში მრავალფუნქციური სავაჭრო ცენტრი არაა, მაგრამ საკმაოდ	

	მსხვილი სავაჭრო დაწესებულებები რამდენადმე ფართო სპექტრით ქალაქ ქობულეთის ტერიტორიაზე არიან კონცენტრირებულნი.	
5.5 მშენებლობა		
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა		არ წარმოებს.
საგზაო მშენებლობა	ცენტრალური გზა სრულად რეაბილიტირებულია; თემებთან დამაკავშირებელი გზების რეაბილიტაცია ეტაპობრივად მიმდინარეობს.	შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციის ტემპი დაბალია.
სამრეწველო საწარმოების მშენებლობა		არ მიმდინარეობს
6. საინვესტიციო პოტენციალი		
საინვესტიციო პროექტების არსებობა და მიმართულება	ევროკავშირის მიერ დაფინანსებული, ქედის მუნიციპალიტეტისა და ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ ერთობლივი პროექტის „თვითმმართველობის ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისათვის აჭრის რეგიონში“ ფარგლებში მუშავდება ქედის მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პასპორტი და მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა.	არაა შემუშავებული საინვესტიციო პოლიტიკა მუნიციპალიტეტისათვის. არ არსებობს საინვესტიციო პროექტები.
მოსახლეობის მზაობა სიახლეებისა და გარდაქმნებისათვის	მოსახლეობის ფსიქოლოგიური მზაობა ინვესტიციების მისაღებად და პოტენციური ინვესტორების მიმართ განწყობა დადებითია.	მოსახლეობის კონსერვატიზმი და მეტისმეტად ფრთხილი დამოკიდებულება ინოვაციური ცვლილებებისადმი.
7. საინჟინრო, სატრანსპორტო და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა		
სასმელი წყლის	ყველა სოფელს და უბანს გააჩნია	მუნიციპალურ ბალანსზე

მიმწოდებელი ქსელები	სასმელი წყლის მიწოდების ავტონომიური ქსელები.	არარიცხულ წყალსადენებზე არ ხდება სასმელი წყლის ქიმიური და ბაქტეოროლოგიური დამუშავება და ხარისხის კონტროლი; გაძნელებულია წყლის მაგისტრალების სანიტარული მოვლა-პატრონობა მათი სიმრავლის გამო.
სარწყავი წყლის მიმწოდებელი ქსელები	სოფლები და ზოგ შემთხვევაში საკუთრივ თემები, სარგებლობენ საკუთრი ავტონომიური სარწყავი არხებით; არსებობს ორი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მყოფი არხი.	საირიგაციო სისტემა ძირითადად კუსტარულია და გარემო პირობების ცვლილებაზე ძალიანაა დამოკიდებული; ზოგიერთი სოფელი განიცდის სარწყავი არხების პრობლემას.
საკანალიზაციო ქსელები	საკანალიზაციო სისტემით უზრუნველყოფილია ქალაქისა და დაბის ტერიტორიები.	სოფლად არსებულ საკანალიზაციო მექანიზმს კუსტარული ხასიათი აქვს; მუნიციპალიტეტის თემებში არ არსებობს საკანალიზაციო სისტემა.
გამწმენდი ნაგებობები	დაბაში არსებობს მარტივი ტიპის სალექარი.	მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ფეკალური მასების ჩადინება ზღვაში ხდება სრული გაწმენდის გარეშე;
გაზგამანაწილებელი ქსელები	მოსახლეობა სარგებლობს თხევადი აირით; ბუნებრივი აირის მიწოდებით უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მცირე ნაწილი; ბუნებრივი აირით მუნიციპალიტეტის სრული მომარაგების პროცესი მიმდინარეობს;	
ელექტრო გამანაწილებელი ქსელები	მუნიციპალიტეტი მთლიანად არის დაფარული ელექტროგამანაწილებელი ქსელებით.	ქსელების ნაწილი და სატრანსფორმატორო სადგურები საჭიროებს რეაბილიტაციას.
სატრანსპორტო არტერიები	მუნიციპალიტეტის ყველა თემსა და სოფელში არსებობს სამანქანე გზა.	შიდასასოფლო გზები არა ასფალტირებულია და ხშირად ზიანდება ბუნებრივი, სტიქიური

		მოვლენების გავლენით.
სამგზავრო ტრანსპორტი	მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებული პუნქტი უზრუნველყოფილია სამგზავრო მიმოსვლით.	მუნიციპალიტეტში სამგზავრო ტრანსპორტი წარმოადგენს დაბალი ტევადობის მიკრო ავტობუსებს; არ ხდება განრიგის დაცვა.
კავშირგაბმულობა და ტელეკომუნიკაცია	მუნიციპალიტეტში არსებობს კავშირგაბმულობის საწარმო, ფუნქციონირებს საფოსტო კავშირი; მუნიციპალიტეტის ტერიტორია სრულადაა დაფარული ფიჭური კავშირგაბმულობით (სამი მობილური ოპერატორი). მუნიციპალიტეტის ტერიტორია მთლიანადაა დაფარული სატელევიზიო სიგნალით, რითიც მათ მიეწოდებათ სამი ნაციონალური და ერთი რეგიონალური არხის მაუწყებლობა;	კავშირგაბმულობის საწარმოს მიერ შეთავაზებული სერვისები ვრცელდება მხოლოდ დაბაზე და მომსახურების სპექტრი ვიწროა.
8. საბიუჯეტო პოტენციალი	მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფილია მინიმალური ბიუჯეტით, გათანაბრებითი ტრანსფერის ხარჯზე.	ბიუჯეტის ადგილობრივი შემოსულობების სიმცირე; საგადასახადო ბაზისის არარსებობა მუნიციპალიტეტში (საწარმოები, ბიზნესის ობიექტები); არ ხდება გადასახადების სრული ადმინისტრირება.

9. სოციალური ინფრასტრუქტურა	მუნიციპალიტეტში მოქმედებს 27 ჯანდაცვის ცენტრი (ამბულატორია), ერთი მუნიციპალური საავადმყოფო და პოლიკლინიკა, სამშობიარო სახლი. მუნიციპალიტეტში 19-მდე სასოფლო კლუბი და კულტურის სახლია; 13 - სპორტული მოედანი; ასევე მოქმედებს სპორტული სკოლები. პროფესიული სასწავლებელი, სახელოვნებო სკოლები და კლუბები ყველა თემში; მუნიციპალიტეტში მოქმედებს საჯარო სკოლა და 11 საბავშვო ბაღი.	საბავშვო ბაღების რაოდენობა არასაკმარისია; კულტურული დაწესებულებების უმეტესობა საჭიროებს რემონტს.
10. საქმიანი ინფრასტრუქტურა	მუნიციპალიტეტში მოქმედებს აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მომსახურების საინფორმაციო ცენტრი ფუნქციონირებს სასტუმროები და რესტორნები; მუნიციპალიტეტში მცირე ზომისაა თავისუფალი ფართები კომერციული მიზნების რეალიზებისათვის;	არ ფუნქციონირებს ტურისტული სააგენტოები;
10.1 ბანკები და საფინანსო ინსტიტუტები	მუნიციპალიტეტში მოქმედებს ორი ბანკის წარმომადგენლობა, რითაც სრულადაა დაკმაყოფილებული მუნიციპალიტეტის მოთხოვნა საბანკო მომსახურებაზე;	ბანკომატების რაოდენობა მკვეთრად შეზღუდულია; არ არსებობს მცირე ზომის საკრედიტო კავშირები, რომლებიც ორიენტირებულნი იქნებიან ფერმერთა დაკრედიტებაზე;
10.2 იურიდიული, სადაზღვევო, სარეკლამო, მარკეტინგული, კონსალტინგური, უძრავი ქონების სააგენტოები	მუნიციპალიტეტში მოქმედებს სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიები „ირაო“, „ჯიპიაი ჰოლდინგი“ , „ალდაგი ბისიაი“, რომლებიც ახორციელებენ საჯარო მოხელეების და სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დაზღვევას;	მუნიციპალიტეტში არ არიან წარმოდგენილნი იურიდიული, სარეკლამო, მარკეტინგული და უძრავი ქონების სააგენტოები;
10.3 დეველოპერული, არქიტექტორული, სამშენებლო კომპანიები		არ არიან წარმოდგენილნი

10.4 ტურისტული სააგენტოები და სასტუმროები	მუნიციპალიტეტში დაწყებულია საოჯახო სასტუმროების და საოჯახო ტურიზმის განვითარების პროცესი;	პროცესი ინიცირებულია საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ და ერთჯერადი ხასიათისაა;
10.5 მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი ინფრასტრუქტურა	დაბალია საიჯარო გადასახადები მიწაზე და კომერციულ ფართებზე	არ ხორციელდება მიზნობრივი პროგრამები, რომლებიც მიმართული იქნება მცირე ბიზნესის განვითარებაზე;
11 მუნიციპალური საკუთრება		
11.1 მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფონდები (მიწა, შენობა, საწარმო)	მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გააჩნია სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობა;	არსებული შენობა-ნაგებობების უმეტესი ნაწილი ამორტიზირებულია;
11.2 მუნიციპალიტეტის ხარჯები ძირითადი ფონდების შენახვაზე, მიღებული მოგება ან სუბსიდიები	ხარჯები მიზერულია; მიღებული შემოსავლები უფრო მაღალია, ვიდრე მათ შენახვაზე გაწეული ხარჯები;	ობიექტების შენახვაზე ხარჯების სიმცირე იწვევს დაჩქარებულ ამორტიზაციას;
11.3 ძირითადი ფონდების მფლობელობიდან გამოსვლის სტრატეგია	შესაძლებელია მფლობელობიდან გამოსვლა მუნიციპალური საკუთრების გაყიდვის საშუალებით;	მოთხოვნა აღნიშნული საკუთრების შეძენაზე დაბალია;
12. სოციალ-ეკონომიკური განვითარების პროცესის მონაწილე ძირითადი ინსტიტუციები		
12.1 სავაჭრო სამრეწველო პალატა		არ არსებობს;
12.2. დარგობრივი სავაჭრო პალატები		არ არსებობს;
12.3 მეწარმეთა ასოციაციები		არ არსებობს;
12.4 ტურიზმის განვითარების სფეროში მომუშავე ორგანიზაციები		არ არსებობს;
12.5 ინოვაციათა ცენტრები		არ არსებობს;
12.6 კერძო კონსალტინგური კომპანიები		არ არსებობს;

12.7 არასამთვრობო ორგანიზაციები	აიპ „დემოკრატიის ინსტიტუტის“ სასწავლო ცენტრი;	არასამთვრობო ორგანიზაციების და სათემო კავშირების სიმცირე და მათი დაბალი ინსტიტუციონალური შესაძლებლობები.
13. მმართველობა	ხელსაყრელი საკანონმდებლო გარემო	ინოვაციური იდეების სიმცირე; ადგილობრივი ინიციატივების დაბალი ხარისხი; რეგიონალურ და ცენტრალურ ხელისუფლებაზე დამოკიდებულების მაღალი ხარისხი;

გარე ფაქტორების გავლენა მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე

შესაძლებლობები	**საფრთხეები**
პოლიტიკური სტაბილურობა	კლიმატური ცვლილებები
შედეგზე ორიენტირებული მართვის სისტემის შექმნა	ეროზიული მოვლენები
საბიუჯეტო ტრანსფერები	მეწყრული საფრთხეები
საერთაშორისო ურთიერთობების გაძლიერება;	საერთაშორისო იმიჯის რყევა
საკონსულტაციო ჯგუფების ჩამოყალიბება თვითმმართველობაში	სახელმწიფო პრიორიტეტების ცვლილება
მუნიციპალიტეტის ეკონომიკური ინტეგრაცია ბათუმთან;	ენერგომატარებლების გაძვირება
მინერალური და სამკურნალო წყლის რესურსების ათვისება;	გარე კონკურენცია სხვა მუნიციპალიტეტებისა და სახელმწიფოების მხრიდან
სასათბურე მეურნეობის განვითრების შესაძლებლობა;	ისტორიული ძეგლების ნგრევის პროცესის გაგრძელება
მეფუტკრეობის, მეფრინველეობისა და მეცხოველეობის დარგების გაფართოება და განვითარება;	ძეგლების რეაბილიტაცია-რესტავრაციისა და შენახვისათვის საჭირო ადგილობრივი სპეციალისტების არარსებობა
საკურორტო და დასასვენებელი ადგილების იდენტიფიცირება, ზონირება და შესაბამისი	ცხოველთა და მცენარეთა დაავადებების

ინფრასტრუქტურის მოწყობა;	საფრთხეები;
ტურისტული მარშრუტების შემუშავება და არსებულის გამრავალფეროვნება;	კრიმინოგენული სიტუაციის გაზრდა;
სახალხო დღესასწაულების სანახაობრივი მხარის დახვეწა და მათი პოპულარიზაცია; ამ ღონისძიებებზე ტურისტების მოზიდვის საშუალებების დანერგვა;	მუნიციპალიტეტის ტერიტორიული საზღვრების შემცირება;
კულტურული, სპორტული ღონისძიებების რეგულარული კალენდრების შემუშავება და მათი პოპულარიზაცია;	პოლიტიკური არასტაბილურობა;
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან ზოგადი და ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა;	ინფრასტრუქტურული პროექტების გახანგრძლივება.
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რესტავრაციისა და კონსერვაციის გეგმის შემუშავება;	
ადგილობრივი, რეგიონალური, ქვეყნის და საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების ორგანიზება და მათში მონაწილეობა;	
ფოლკლორული ჯგუფების ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა და მათი შემოქმედების პოპულარიზაცია;	
ფოლკლორის ადგილობრივი რესურსის ჩართვა ტურისტულ ინფრასტრუქტურაში;	
მიზნობრივი პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება ფერმერთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად;	
სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება;	
მუნიციპალიტეტის და მასში წარმოებული პროდუქციის მარკეტინგული შეფუთვა;	
საერთაშორისო ურთიერთობების გაძლიერება, არასამთავრობო სექტორთან და დონორებთან ურთიერთობა.	

18 ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ–ეკონომიკური განვითარების სავარაუდო სცენარი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოციალური-ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავებისა და რეალიზაციის ამოცანა, როგორც თეორიული საფუძვლების, ასევე პრაქტიკული აქტივობების მჭიდრო თანხვედრას გულისხმობს. თანამედროვე პრაქტიკაში ცალკეული ტერიტორიებისა თუ მუნიციპალიტეტების ოპტიმალური განვითარების პროექტების შედგენაში დიდ მნიშვნელობას იძენს ეკონომიკური თეორიის თანამედროვე კატეგორიების, მიდგომების ფორმებისა და მეთოდების გამოყენება. მათ შორის სტრატეგიული განვითარების სცენარების მეთოდი.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოციალური-ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესში ჩატარებული ანალიზური კვლევების სხვადასხვა წყაროების გათვალისწინებით, შესაძლებელია სტრატეგიული განვითარების ორი სცენარის წარმოდგენა:

- **ინერციული სცენარი.** სცენარის თანახმად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შენარჩუნებული იქნება წარმოების, მომსახურებისა და მოხმარების ისტორიულად ჩამოყალიბებული ტენდენციები. ისტორიული, კულტურული, საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ტრადიციები. იმავდროულად გააქტიურდება ძალისხმევა საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების სრულყოფილად დამკვიდრებისა და ეკონომიკური პოტენციალის ამაღლებისათვის, დარგობრივი სტრუქტურის ოპტიმიზაციისათვის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.
- **ინოვაციური სცენარი.** ინოვაციური სცენარის განხორციელების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება დარგობრივი, სივრცობრივი, სოციალური, დემოგრაფიული, საწარმოო, მომსახურების, ტურიზმის, ბუნებრივი რესურსების და სხვა მიმართულებების მეცნიერული კვლევების ფართო გამოყენებით. მეცნიერული დასკვნების რეკომენდაციებისა და მმართველობითი გადაწყვეტილებების ინოვაციურ პროექტებად ტრანსფორმაციის, სხვადასხვა სახის და მასშტაბების საინვესტიციო აქტივობების გაზრდით. ამ სცენარის განხორციელებისათვის აქტიურ მონაწილე სუბიექტთა შორის განხილული უნდა იქნას მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ცენტრი, ქვეყნის სხვა სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობები, მათი ინტელექტუალური პოტენციალი და რესურსები.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის წინამდებარე სოციალური-ეკონომიკური განვითარების გეგმაში მოცემული რესურსული ანალიზი ცხადყოფს ქვეყნის ეკონომიკაში მუნიციპალიტეტის მონაწილეობის რამდენიმე საკვანძო ასპექტს: ქობულეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ხვედრითი წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში ცალსახად მცირეა. მცირეა ექსპორტსა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში მუნიციპალიტეტის ჩართულობის დონეც. მუნიციპალიტეტი გამოირჩევა კლიმატური

პირობებისა და რესურსების ანგარიშგასაწევი მრავალფეროვნებით. ამასთან აქვს სამი უნიკალური ბუნებრივი დაცული ლანდშაფტი. ეს გარემოება ხელსაყრელ პირობებს უქმნის ეკონომიკის სხვადასხვა დარგს, პირველ რიგში კი სოფლის მეურნეობას. ქობულეთის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის კუთხით ძნელად ასათვისებელი და მაღალ რისკიანი ტერიტორიების წილი მაღალია, თუმცა რეგიონში ამ მხრივ მნიშვნელოვან კონკურენტულ უპირატესობას ფლობს. ბუნებრივ-კლიმატური პირობების მრავალფეროვნება მუნიციპალიტეტს ტურიზმის განვითარებისთვისაც ხელშესახებ პერსპექტივას უქმნის. მუნიციპალიტეტის ბუნებრივ რესურსებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მინერალურ რესურსს, მაგრამ მათი მარაგები არცთუ მაღალია. მაღალი ეკონომიკური პერსპექტივით გამოირჩევა ჰიდროენერგო რესურსები და მინერალური წყლები.

ქობულეთის კონკურენტული უპირატესობის ერთ-ერთი ანგარიშგასაწევი მდგენელია მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, რაც ქვეყნის სტრატეგიულ პროექტებში აქტიურად ჩართვის შესაძლებლობას აძლევს. საკითხი რამდენიმე მასშტაბურ ტურისტულ, ენერგეტიკულ და სატრანსპორტო - საკომუნიკაციო პროექტს ეხება.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური ინტეგრაცია, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესებთან ერთად, ეკონომიკის პერსპექტიული განვითარების ლოგიკას განსაზღვრავს. ეკონომიკური განვითარების მოდელირების პროცესში იქმნება ერთგვარი დაპირისპირება/შეჯიბრი საზოგადოებაში ტრადიციულად მოქმედ ეკონომიკურ პრაქტიკებს, ღირებულებით ნორმებსა და ახლებურად მოაზროვნე სტრუქტურებს/ინსტიტუციებს შორის. და ეს წინააღმდეგობა განსაკუთრებით მწვავეა უშუალოდ ერთგვარი რეფორმატორული პოლიტიკის გატარების შემდგომ პერიოდში, როცა სტრუქტურები ჯერ კიდევ ახალია, „ნედლია“ და წინააღმდეგობაში მოდის „ძველ“ სამეურნეო ჩვევებთან. ამ წინააღმდეგობის შედეგად მიიღება სამეურნეო-ეკონომიკური პრაქტიკების ახალი ლოკალური სახესხვაობა, რომელიც ერთგვარი კომპრომისია „ახალ“ და „ძველ“ კულტურას შორის, რომელიც სულაც არ არის რაღაც ერთხელ და საბოლოოდ ჩამოყალიბებული „ადგილობრივი ხასიათი“. ის სხვა არაფერია, თუ არა კომპრომისი, რომელიც ინსტიტუციურ-ეკონომიკური ცვლილებების გატარების წინა ჯერზე ჩამოყალიბდა.

რა პარადიგმის საფუძველზეა შესაძლებელი ამ ამოცანების გადაჭრა? აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ მუნიციპალიტეტის ეკონომიკის აქტიურობა, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, ხორციელდებოდა განვითარების ინერციული მოდელის ჩარჩოებში. იგი ემყარებოდა ძველი დროიდან შემორჩენილ კავშირებსა და პოტენციალს. ამასთან ერთად, მუნიციპალიტეტის ეკონომიკა, ისევე როგორც მთლიანად ქვეყნის, დოტაციაზე ორიენტირებული სისტემაა, რაც არ გამოირჩევა მაღალი ეფექტიანობით. ეფექტის შემცირების კიდევ ერთი მიზეზი ამ შემოსავლების არადამოუკიდებელი შინაარსია.

ტენდენციის შესაცვლელად, პირველ რიგში უნდა იყოს მისაწვდომი აუცილებელი ინსტიტუციონალური გარემო, რომელზეც დღეისათვის მუნიციპალიტეტის გავლენა და მისი რისკებისადმი წინაღობაც ასევე მიზერულია. ეკონომიკის ინოვაციური განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია სოლიდური ინვესტიციების განხორციელება ინფრასტრუქტურასა და იმ თანამედროვე მაღალ ტექნოლოგიებში, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ამგვარი ეკონომიკის არსებობა. ასეთი ინვესტიციები თავის მხრივ მოიაზრებს როგორც უცხოური კაპიტალის მოზიდვას, ასევე სამამულო კაპიტალის მობილიზაციას. ეს უკანასკნელი, ჩვენს შემთხვევაში, მკაფიოდ ზღვრულია, უცხოური კაპიტალის ინტერესი კი შეუმჩნეველი.

ქობულეთის მუნიციპალიტეტს, არსებული რესურსებისა და მოზიდვადი რესურსების საფუძველზე არჩევანის გაკეთების ფუფუნება ნოვაციურ და ინერციულ ეკონომიკურ განვითარებას შორის ნაკლებად აქვს.
მუნიციპალიტეტი, დგას მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია: ქვეყნის მასშტაბით კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება და გასაღების ახალი ბაზრების მოძიება, ეკონომიკის ამოძრავება შრომატევადიდან ტექნოლოგიატევადი წარმოების გავლით ინტელექტტევადი წარმოების განვითარებისაკენ, გარე უარყოფითი ფაქტორების მიმართ ეკონომიკური მდგრადობის ზრდა.
საყოველთაოდ ცნობილია, რომ მაღალტექნოლოგიური, მაღალმეცნიერული წარმოების მთავარი რესურსები განათლება და მეცნიერებაა. სასიცოცხლოდ აუცილებელია ადგილობრივი ეკონომიკისათვის დაგროვილი პოზიტიური გამოცდილებისა და ინტეგრაციის პროცესში ნაკარნახევი ნოვაციების სიმბიოზი და ამის საფუძველზე - შრომის ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი მუშახელის მომზადება.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, უახლოეს პერსპექტივაში ინერციული განვითარება შესაძლოა იყოს განვითარების ის ოპტიმალური სცენარი, რომელიც დააბალანსებს ერთის მხრივ მუნიციპალიტეტის ფინანსურ დამოკიდებულებასა და წარმოების საშუალებათა შეზღუდულობას და მეორე მხრივ, სტიმულს მისცემს მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ აგენტებს სტრატეგიული აზროვნება დააფუძნონ გარემოებების ცვლილებების ინტენსიურ დაკვირვებებსა და დასკვნებზე, მაღალი გამოყენება მიეცეს საშუალო ვადიანი პროგნოზების მეშვეობით მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის ლავირების შესაძლებლობას გარე ეკონომიკური ინსტრუმენტების ქცევის ვარიაციებზე.

ქობულეთის მუნიციპალიტეტს, მის სივრცეში თავმოყრილი რესურსების მნიშვნელობისა და რეგიონის სხვა ტერიტორიებთან კონკურენტული უპირატესობების ხარჯზე შესაძლოა გამოინახოს ოქროს კვეთა ინოვაციური და ინერციული განვითარების სცენარების გარკვეულ კომპონენტთა სინერგიის ხარჯზე. სინერგიული სცენარის ამოქმედება სტრატეგიული გეგმის რეალიზაციის მეორე ეტაპიდან გახდება შესაძლებელი. მას შემდეგ, როცა საზოგადოებრივი და ეკონომიკური ინსტიტუციები მოახერხებენ ეფექტურ ფუნქციონირებას, ეკონომიკური განვითარების მოდელში ინერციული სცენარის კომპონენტების ჩართვა უზრუნველყოფს რეგიონულ არეალში კონკურენტუნარიანობის ნიშაზე თამასის აწევას.

19 მისია

ქობულეთის ბუნებრივი ლანდშაფტის სახესხვაობა და რესურსული უზრუნველყოფა მრავალფუნქციური განვითარების პრივილეგიას ანიჭებს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კონცენტრირებული კულტურული და უნიკალური ბუნებრივ-გეოგრაფიული ღირებულებები აძლევს მრავალვექტორიანი ტურისტული სექტორის განვითარების შესაძლებლობას, ისე რომ იგივე სივრცეში ტურიზმის მომსახურე სხვა დარგების განვითარებისათვის გაფართოვდეს რეალიზაციის შიდა ბაზარი და მასშტაბური წარმოების პოტენციალის ხარჯზე გახდეს მნიშვნელოვანი ექსპორტიორი კვების, მანუფაქტურისა და სამშენებლო მასალების მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ბუნებრივი რესურსების პროდუქტებით. აქვს რა მრავალკომპონენტიანი სატრანსპორტო კვანძები, მაღალი სტანდარტების შესაბამისად აფუნქციონირებით ქობულეთს გახდება არამხოლოდ რეგიონის, არამედ, ქვეყნის მნიშვნელოვანი ეკონომიკური არტერია და ჩამოყალიბდეს მცირე ზომის ტურისტულ და სამრეწველო კლასტერად.

20 მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მიმართულებების შემუშავებისა და განხორციელების ძირითადი პრინციპები და ასპექტები

მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების საფუძველია წინასწარი კვლევების ანალიტიკური მასალების ბაზა, რომელშიც პრიორიტეტულად მიჩნეულია იმ პრობლემების გამოვლენა და გადაჭრა, რომლებიც საშუალო და გრძელვადიანი პერიოდებისთვის შეუნარჩუნებენ არსებობის გარემოსა და მათ გადაჭრაზე მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული ეროვნული ეკონომიკისა და შესაბამისად მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების მთლიანი ციკლი პირობითად შემდეგი ლოგიკური სქემით შეიძლება იქნას წარმოდგენილი:

- პროგრამის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა;
- საჭირო ანალიზური კვლევების, მასალების შეგროვება, გადამუშავება და სისტემატიზაცია;
- ცალკეული დარგებისა და სფეროების, ტერიტორიული ერთეულების მიხედვით მნიშვნელოვანი და გადაუდებელი გადაჭრის მნიშვნელობის მქონე პრობლემების განსაზღვრის კრიტერიუმების შემუშავება და გამოყენება;
- ძირითადი სტრატეგიებისა და ქვესტრატეგიების შემუშავება (მიზნების, ამოცანების, მოსალოდნელი შედეგების, რისკ-ფაქტორების, შესრულების ვადების და სხვა მაჩვენებლების მიხედვით);
- შემუშავებული სტრატეგიების რეალიზაციის უზრუნველმყოფი საქმიანობები (სამუშაოთა შესრულების ორგანიზაცია);
- სტრატეგიების შესაბამისი პროექტების, რუკების შედგენა.

მუნიციპალიტეტისთვის შემუშავებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის ფარგლებში გათვალისიწინებულია სოციალურ-ეკონომიკური პროცესების სახელმწიფო და საზოგადოებრივი მართვისა და რეგულირების ფორმების სრულყოფა, სტრატეგიული მართვის გაძლიერება.

სტრატეგიული მართვა მმართველობითი საქმიანობის განსაკუთრებული სახეა და გულისხმობს პერსპექტივაზე ორიენტირებული მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავებას, ისეთი მიზნებისა და სტრატეგიების, ღონისძიებებისა და პროექტების წინა პლანზე წამოწევას, რომელთა რეალიზაცია უზრუნველყოფს ტერიტორიის განვითარების ეფექტურობას.

შემუშავებული გეგმა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის დონეზე მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიც ემყარება ინსტიტუციონალურ, სისტემურ და სხვა მეთოდების გამოყენებას. ამ მეთოდების გამოყენებით ხორციელდება

მუნიციპალიტეტში სამეწარმეო საქმიანობის, გარემოს შექმნის წინაპირობების დადგენა, პრობლემათა გამოკვლევა, ცალკეული დარგების განვითარებაზე ზემოქმედი ფაქტორების განსაზღვრა, ბიზნესის, ხელისუფლებისა და მოსახლეობის ურთიერთქმედების შეფასება, მდგრადი განვითარების პრინციპების დადგენა და ა.შ. შერჩეული სტრატეგიები და პროექტები ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნას ისე, რომ დაცული იქნეს ბიზნესის, სახელმწიფოსა და მოსახლეობის ინტერესები, განვითარების პროცესი არ გამოვიდეს მართვის ჩარჩოებიდან. აქედან გამომდინარე, პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში სტრატეგიული მართვის განხორციელებას, რომელიც რეალურად წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განვითარების დასაბუთებული მიზნობრივი სტრატეგიული მიმართულებების ერთობლიობას.

სტრატეგიული მიზნები მათი რეალიზაციის ეტაპების შესაბამისად პირობითად შეიძლება ასე დაჯგუფდეს:

- მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფების კონსოლიდაცია მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების შეთანხმებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
- საჯარო რესურსების მოზიდვის მექანიზმების შემუშავება, მუნიციპალიტეტის მიმზიდველი იმიჯისა და საინვესტიციო კლიმატის ხელშემწყობი გარემოს შესაქმნელად.
- მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის ამაღლება, ბიზნეს სტრუქტურების გაძლიერება, ადგილობრივი ბიზნესის გატანა რეგიონულ და რეგიონთაშორის ბაზრებზე.
- ადგილობრივი თვითმმართველობის, როგორც ხალხის ინტერესების გამომხატველისა და დამცველის როლის ამაღლება, სანდოობის გავრცელება.
- სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტურობის ამაღლება, ტურისტული რესურსების ათვისება, ადგილობრივი რესურსების შესატყვისი მრეწველობის დარგის განვითარება, როგორც ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები.
- ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური სფეროებისათვის შეთანხმებული და კომპლექსური განვითარების მექანიზმების საფუძვლების ფორმირება (ეკონომიკა, მართვა, განათლება კულტურა, ჯანდაცვა და ა.შ.)
- ადგილობრივი თვითმმართველობის მოქმედების მიმართ საზოგადოებრივი კონტროლისა და გამჭვირვალობის გრძელვადიანი საფუძვლების შექმნა.
- სტრატეგიის რეალიზაციის მექანიზმი ორ ძირითად ეტაპად განიხილება:
- სტრატეგიის შემუშავების სამუშაო პროცესის ორგანიზაცია;
- ყველაზე აქტუალური, მწვავე პრობლემების გადაჭრასთან დაკავშირებული გადაუდებელი ღონისძიებების გადაჭრის რეალიზაცია.

მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა შემდეგ ძირითად დარგებსა და სფეროებს მოიცავს:

- სოფლის მეურნეობა
- მრეწველობა

- ინფრასტრუქტურა
- განათლება
- ჯანდაცვა
- კულტურა
- კომუნიკაციები
- გარემო პირობები და ბუნებრივი რესურსები
- ტურიზმი
- მცირე და საშუალო ბიზნესი

მოკვლეული მასალის საფუძველზე ცალკეული დარგებისა და სფეროების მიხედვით ძირითადი, მნიშვნელოვანი სტატუსის მქონე სტრატეგიათა ნუსხა არსებული მდგომარეობის შეფასებებიდან გამომდინარე არის შემდეგი:

13. სოფლის მეურნეობა

- ნიადაგის შემსწავლელი კვლევისა და მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება;
- ნიადაგის ანალიზური და კადასტრული რუკების გამოყენების სისტემის ჩამოყალიბება;
- ფერმერთა საკონსულტაციო სისტემის ჩამოყალიბება;
- ახალი კულტურული ჯიშების შემოტანა და ჯიშთგანახლების პროცესის ამოქმედება;
- სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიების უზრუნველყოფა;
- აგრარული სექტორის სრული მექანიზაცია;
- მეფრინველეობის დარგის განვითარება;
- ფერმერული გაერთიანებების შექმნის ხელშეწყობა;
- სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარება.

14. მრეწველობა

- სამრეწველო გადამამუშავებელი წარმოების სტიმულირება და განვითარება;
- მრეწველობის დარგის შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ბუნებრივი რესურსების სამრეწველო დანიშნულებით გამოყენება;
- სამრეწველო ენერგეტიკული პოტენციალის ზრდა-განვითარება.

15. ინფრასტრუქტურა

- საგზაო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სრული რეაბილიტაცია;
- მუნიციპალიტეტის უზრუნველყოფა გამართული წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემით;
- უწყვეტი და ხარისხიანი ელექტროფიკაციის უზრუნველყოფა;
- მოსახლეობის ცხოვრების უსაფრთხოებისა და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება;
- სავაჭრო-საყოფაცხოვრებო და სხვა სფეროების განვითარება.

16. განათლება

- განათლების და სოციალიზაციის ხარისხის გაუმჯობესება.

17. კულტურა

- კულტურის სფეროს ინფრასტრუქტურის განვითარება.

18. კომუნიკაცია

- საკომუნიკაციო სისტემის განვითარება და მისი ინტეგრაცია საერთაშორისო ქსელებში.

19. ჯანდაცვა

- სამედიცინო ინფრასტრუქტურისა და სამედიცინო მომსახურების მიწოდების განვითარების ხელშეწყობა.

20. ბუნებრივი გარემო და რესურსები

- ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება და კვლავწარმოება;
- სტიქიური უბედურებებისაგან გარემოს დაცვითი ღონისძიებების გაფართოება.

21. ტურიზმი

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტურისტული რესურსების ინვენტარიზაცია და მონაცემთა ბაზის ფორმირება;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტურისტული რესურსების გამოყენების ხელშემწყობი ღონისძიებების შემუშავება;
- ტურიზმის ცალკეული სახეობების განვითარება;
- ტურისტული ნაკადების განთავსება და კვებით უზრუნველყოფა.

22. მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა

- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ადმინისტრაციული მხარდაჭერა;
- საინფორმაციო- საკონსულტაციო და აუდიტური გარემო.

სტრატეგიების შეფასება და ანალიზი სამი პუნქტისაგან შედგება:

1. არსებული საბაზო სიტუაციის ანალიზი - უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცალკეული დარგების, სფეროების, განვითარების, ადგილობრივი რესურსების გამოყენების და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ნაკლოვანებებისა და პრობლემების წარმოჩენას. არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება პრიორიტეტები სიტუაციის შესაბამისი სტრატეგიის არჩევითობისა. ანალიტიკური მასალების ამომწურაობა, მასიურობა, სანდოობა, დამუშავების ხარისხი, კომპეტენტური შეფასებითი დასკვნების მომზადება იძლევა გარანტიას განისაზღვროს ის ძირითადი პრინციპები და ღონისძიებები, რომლებიც აუცილებელია ცალკეული კონკრეტული სტრატეგიების შემუშავებისა და მათი განხორციელების პროცესების ეფექტური მართვისათვის. უპირველეს ყოვლისა სწორედ რეალური სიტუაციის გამოკვლევა გასცემს პასუხს კითხვებზე როგორი სტრატეგია შევარჩიოთ, რა პერიოდში უნდა განხორციელდეს, რომელი სუბიექტების იქნებიან შემსრულებლები და როგორ განაწილდება პასუხისმგებლობა მათ შორის
2. სტრატეგიის რეალიზაციის ინსტიტუტები და მექანიზმები - სტრატეგიის წარმატებით შესრულების პირობა სახელმწიფო და კერძო პარტნიორობაზე დაფუძნებული სახელმწიფოს, ბიზნესისა და საზოგადოების კომპლექსური, სისტემური და სინქრონული ურთიერთმოქმედება, პრიორიტეტული საინვესტიციო პროექტების განხორციელებაში.

სტრატეგიის რეალიზაციის მექანიზმებს მიეკუთვნება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები, რეგიონული და მუნიციპალური პროგრამები, ასევე მსხვილი კომპანიების პროგრამები, რომლებიც მიმართული იქნება მუნიციპალიტეტის კომპლექსური განვითარებისაკენ. სტრატეგიის რეალიზაციის მექანიზმებს ასევე შეიძლება მიეკუთვნოს მსხვილი საინვესტიციო პროექტები, როგორც ქვეყნის ისე საერთაშორისო დონის რესურსების გამოყენებით. მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამით გათვალისწინებული სტრატეგიების განხორციელების ინსტრუმენტებად მიჩნეულ უნდა იქნას ადგილობრივი რესურსების პოტენციალი და სახელმწიფო პოლიტიკის ის სტრატეგიული ამოცანები, რომელთა განხორციელება განსაზღვრულია საშუალო და გრძელვადიანი პერიოდებისათვის, როგორც ტერიტორიული, დარგობრივი ისე სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებით.

3. სტრატეგიების რეალიზაციის პროცესში მუნიციპალიტეტის მასტიმულირებელი მოქმედება - უნდა ითვალისწინებდეს ცალკეული დარგების, ბიზნესის სუბიექტების, მოსახლეობის ინტერესების დაცვას განვითარების თვალსაზრისით და მიმართული უნდა იყოს კონკურენტუნარიანობის უპირატესობის რაციონალურ გამოყენებაზე, სამეცნიერო-ტექნიკური, ფულად-საკრედიტო, საგადასახადო-საბიუჯეტო, სამრეწველო, აგრარული, სოციალური და სხვა მიმართულებების პოლიტიკის გატარებაზე. მუნიციპალიტეტის მიერ სტრატეგიული მართვის განხორციელების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა ქმედებების ისეთი ორგანიზაციული სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც საშუალებას მისცემს უზრუნველყოს საბაზრო ეკონომიკის პრინციპების შეთანხმებების რაციონალური მექანიზმებისა და ფორმების გამოყენება ქვეყნის, რეგიონის და მუნიციპალიტეტის დონეზე ინტერესთა თანხვედრისათვის, სხვადასხვა სუბიექტების მუნიციპალური პროექტების განხორციელებაში ჩართვის მოტივაციებისა და სტიმულირების საფუძვლების განმტკიცებას.

21 ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის ძირითადი სტრატეგიები და ქვე-სტრატეგიები

N	მთავარი სტრატეგიები	ქვე-სტრატეგიები	სტრატეგიული მიზნები	პროექტები
1	სოფლის მეურნეობა	ნიადაგის შემსწავლელი კვლევისა და მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება	- მიწის ნაყოფიერების გამოვლენა და მიწათსარგებლობის მეცნიერულ კვლევებზე დაყრდნობილი მოდელის ჩამოყალიბება - სასუქების, ბიოპრეპარატებისა და სხვა საშუალებების დოზირებული გამოყენებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების საერთო მოცულობისა და საშუალო საჰექტარო მოსავლიანობის ამაღლების ხელშეწყობის პირობების შექმნა.	- სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებებისა და სხვა ნიადაგის შემსწავლელი პროფილის ორგანიზაციების მონაწილეობით ნიადაგის ანალიზის ჩატარება; - ცალკეული ტერიტორიების, მიწის, ნაკვეთების მიხედვით რეკომენდაციათა მონაცემთა ბაზის შექმნა; - ნიადაგის ანალიზის ჩატარების უზრუნველყოფის სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელიც იმუშავებს პრინციპით დაკვეთა-შესრულება.
		ნიადაგის ანალიზური და კადასტრული რუკების გამოყენების სისტემის ჩამოყალიბება	- მუნიციპალიტეტის ტერიტორიის მიზნობრივი გამოყენების სქემის შემუშავება; - მუნიციპალიტეტში არსებული მიწის რესურსების გამოყენების პოტენციური მაჩვენებლის დადგენა; - კადასტრული მონაცემების საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების დარაიონების ეფექტურობის ზრდა	- მიწის კადასტრული მონაცემთა ბაზის შექმნა და მის საფუძველზე საინვესტიციო პროგრამების შემუშავება; - მუნიციპალიტეტის მიწის ფონდის გამოყენების მართვა სხვადასხვა დანიშნულებით - გამოყენების დაბალი პოტენციალის მქონე მიწის ნაკვეთების ათვისება ; - მიწის ფონდის ექსტენსიური და ინტენსიური გამოყენების მეცნიერულად დასაბუთებული თანაფარდობის დადგენა
		ფერმერთა საკონსულტაციო მომსახურების სისტემის ჩამოყალიბება	- სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებული სუბიექტების ფერმერული და ოჯახური მეურნეობებისათვის სასწავლო-საკონსულტაციო მომსახურების სისტემის შექმნა; - აგრობიზნესში მეწარმეთა ცოდნის ამაღლება, თანამედროვე აგროტექნოლოგიების სასოფლო-	- სასწავლო-საკონსულტაციო მუნიციპალური ცენტრის შექმნა და მომსახურების ორგანიზაცია; - სასწავლო-სარეკომენდაციო და სამახსოვრო მასალების მონაცემთა ბაზის მომზადებისა და მიწოდების

			სამეურნეო ნედლეულის გადამუშავების და შენახვის ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით; - შრომის ნაყოფიერების ამაღლება, მიწის რესურსების აქტიური გამოყენება, მარკეტინგული ინსტრუმენტებისა და მექანიზმების გამოყენება სასოფლო-სამეურნეო წარმოების რენტაბელობისა და კონკურენტუნარიანობის მიღწევის საქმეში	სისტემის შექმნა; - რეგიონში მოქმედი სამეცნიერო კვლევითი საგანმანათლებლო დაწესებულებების, სახელმწიფო ორგანოების, სპეციალისტი-პრაქტიკოსების თანამშრომლობის ორგანიზაცია მუნიციპალიტეტში სასწავლო-საკონსულტაციო სისტემის ფუნქციონირებაში;
		ახალი კულტურული ჯიშების შემოტანა და ჯიშთგანახლების პროცესის ამოქმედება	- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდა და ხარისხის გაუმჯობესება; - გადამამუშავებელი მრეწველობისათვის სანედლეულო ბაზის გაფართოება; - ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების გაფართოება; - ჯიშობრივი სიწმინდის დაცვა, ადგილობრივი ისტორიულად ტრადიციული ჯიშების უნიკალური თვისებების გამოყენება გადაშენებისგან დაცვა; - ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტირების შესაძლებლობათა გამოვლენა და გამოყენება; - ადგილობრივ, ქვეყნის და მსოფლიო ბაზრებზე ეროვნული პროდუქციის დივერსიფიკაციის პრეცენდენტების შექმნა და მოსახლეობის მოხმარებაში იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლების გაფართოება ადგილობრივი წარმოების პროდუქციით;	- მემცენარეობის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების შერჩევისა და გავრცელების შესაძლო ზონების დადგენა; - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ისტორიულად ჩამოყალიბებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშობრივი სტრუქტურის ანალიზი და მათი გამოყენების პერსპექტიულობის დასაბუთება; - სასოფლო სამეურნეო კულტურების ნერგების, კალმების, საძირე და გამრავლების სხვა მასალების შემოტანა და გამოცდა; - მუნიციპალიტეტის ტყის მასივებში ველური ჯიშის ნაყოფის მომცემი და სხვა მცენარეული ნედლეულის სახეობების გამოკვლევა და გამოყენების შესაძლებლობათა დადგენა; - საკოლექციო ნაკვეთების და სასათბურე მეურნეობების ობიექტების შექმნა; - ოჯახურ და ფერმერულ მეურნეობებში ახალი და გაუმჯობესებული კულტურების გაშენების ხელშემწყობის გარემოს შექმნა; - ახალი ნედლეულის გადამუშავების

				ტექნოლოგიების შემუშავება და აპრობაცია, მცირე საწარმოთა შექმნა; - საადრეო კარტოფილის წარმოება; - კეთროვნების სამრეწველო პოტენციალის გამოვლენა და სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენება; - დეკორატიული მცენარეების გაშენება.
		მებოსტნეობა	- მუნიციპალიტეტის ბუნებრივ კლიმატური პირობებიდან, მეურნეობრიობის ჩამოყალიბებული ტრადიციებიდან და საბაზრო მოთხოვნებიდან გამომდინარე მებოსტნეობის დარგის განვითარება არსებული რესურსების სრული გამოყენებით; - მებოსტნეობის დარგის განვითარებაში თანამედროვე ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვით მიწის ინტენსიური გამოყენების უზრუნველყოფა წარმოებული პროდუქციის ეკოლოგიური სისუფთავის, არსებული დონის შენარჩუნებითა და გაუმჯობესებით; - კიტრის, პომიდორის და სხვა ბოსტნეული კულტურების ადგილობრივ პირობებთან ადაპტირებული მაღალ-მოსავლიანი გამორჩეული გემური თვისებების მქონე ნაყოფის მომცემი ჯიშების მასიურად დანერგვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა, ჯიშობრივი სიწმინდის დაცვა და მონიტორინგი; - ოჯახურ და ფერმერულ მეურნეობებზე საჭირო ნერგების მიწოდების ორგანიზაციით, ნიადაგის განაყოფიერებისა და მცენარეთა დაცვის წესების მოთხოვნათა დანერგვით დარგის განვითარების უზრუნველყოფა; - ბოსტნეულის გადამამუშავებელი რესურსების მოცულობის შესაბამისი სიმძლავრის ობიექტების ამოქმედება, მიღებული მოსავლის ადგილზე მიღებისა და საბითუმო ქსელით ბაზრებზე მიწოდების ორგანიზაცია;	- მებოსტნეობის განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნა; - საშემოდგომო ბოსტნეული კულტურების წარმოება;

			- საკოლექციო ნაკვეთების მოწყობა და მეცნიერული კვლევების განხორციელება სათანადო კომპეტენტური ორგანიზაციების ჩათვლით;	
		მეციტრუსეობა	- მუნიციპალიტეტში მეციტრუსეობის დარგის რეაბილიტაცია-განვითარების პროცესის დაჩქარება; - მუნიციპალიტეტში ოჯახურ და ფერმერულ მეურნეობებში გაშენებული ციტრუსოვანთა ნარგავების შენარჩუნება, მეჩხერიანობის შემცირება, მოსავლიანობის სტაბილიზება და ნაყოფის ხარისხის ამაღლება; - მეციტრუსეობაში მსოფლიოში გამოცდილი თანამედროვე აგროტექნოლოგიების დანერგვა, დარგის რენტაბელობის ამაღლება; - მეციტრუსეობისათვის მაღალეფექტური მიწის ნაკვეთებისა და ზონების დადგენა და ნარგავების ფართის ოპტიმიზაცია; - ახალი, პერსპექტიული უმეტესად მაღალ მოსავლიანი და საადრეო ჯიშების დანერგვა; - საკოლექციო და სანერგე მეურნეობების შექმნა და მოსახლეობის მომარაგება ციტრუსოვანთა კულტურების ნერგებით; - ციტრუსოვანთა ნაყოფის გადამამუშავებელი საწარმოების უზრუნველყოფა ხარისხიანი ნედლეულით; - ციტრუსოვანთა ნაყოფების გადამუშავების ტექნოლოგიების გამოყენებით შენახვისა და რეალიზაციის პროცესის გახანგრძლივება; - მოსახლეობის დასაქმების გაფართოება და მათი შემოსავლების ზრდა;	- მეციტრუსეობის განვითარება

		მეჩაიეობა	- მეჩაიეობის დარგის რეაბილიტაცია-განვითარების პროცესის დაჩქარება სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული სტრატეგიული კურსის შესაბამისად; - მუნიციპალიტეტში პრივატიზებული და არაპრივატიზებული მიწების რაციონალური დაგეგმარების განხორციელებით ჩაის წარმოების მოცულობის ოპტიმიზაცია; - მეჩაიეობის დარგში დასაქმებული მეწარმე სუბიექტების მიერ ჩაის პლანტაციებისა და გადამამუშავებელი საწარმოო სიმძლავრეების დაბალანსებული თანაფარდობის ჩამოყალიბება; - ნედლეულის წარმოებისა და გადამუშავების ერთიანი ციკლის ჩამოყალიბების მიზნით ჩაის პლანტაციების შეძენა-გაშენებაში მეწარმეების ხელშეწყობა; - ჩაის ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიების სრულყოფა და გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტისა და ნომენკლატურის გაფართოება; - ბაზარზე ორიენტირებული საწარმოო პროგრამის ჩამოყალიბება; - სოფლად შრომის უნარიანი მოსახლეობის დასაქმების დონის ამაღლება და ოჯახური ბიუჯეტების გაუმჯობესება; - მუნიციპალიტეტის აგრო ბიზნესში მეჩაიეობის წამყვან დარგად გადაქცევა;	- მეჩაიეობის რეაბილიტაცია და განვითარება
		სუბტროპიკული კულტურები	- მეციტრუსეობისა და მეჩაიეობის კულტურების ნარგავების ქვეშ მოქცეული დეგრადირებული და რეაბილიტაცია-აღდგენას დაუქვემდებარებელი მიწის ნაკვეთების რაციონალური გამოყენების გზების დადგენა; - რელიეფური, ზონალური, ნიადაგობრივი შემადგენლობის და სხვა პარამეტრების შესწავლის გზით მეწარმე სუბიექტების მიერ კუთვნილი მიწების გამოყენებისადმი მეცნიერული რეკომენდაციებისადმი სანდოობის ამაღლება; - ოჯახური და ფერმერული მეურნეობის საკუთრებაში მყოფ მიწებზე ბაზარზე მოთხოვნადი და მაღალ კონკურენტუნარიანი ნედლეულისა და	- გამოთავისუფლებული და აუთვისებელი მიწების გამოყენება

			გადამამუშავებელი მრეწველობისათვის პროდუქციის წარმოების სტიმულირების მიღწევა; - მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ვარგისი მიწის რესურსების სხვადასხვა ალტერნატიული და პერსპექტიული კულტურებით დარაიონების მოდელის ჩამოყალიბება უმეტეს წილად რეგიონში გავრცელებული სხვადასხვა სუბტროპიკული კულტურების გაშენების გათვალისწინებით; - მიწათსარგებლობის გაუმჯობესება და დასაქმების გაზრდა, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება; - სასოფლო-სამეურნეო და არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გამოყენების ეფექტური გზების დადგენა;	
		მევენახეობა- მეღვინეობის განვითარების პოტენციალის გამოყენება	- ადგილობრივი აბორიგენული და ინტროდიცირებული ყურძნის ჯიშების მეცნიერული შესწავლით მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების გააქტიურება და მასშტაბების დადგენა; - საღვინე ყურძნის ჯიშების ცალკეული სახეობების გავრცელება დარაიონების სქემების შემუშავება ცალკეული ზონების პირობებში მოწეული ყურძნის ქიმიურ- ბიოლოგიური შემადგენლობის და მოსავლიანობის, ნედლეულის გამოყენებით მიღებული ღვინო-პროდუქციის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლების დადგენა; - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ღვინის პროდუქციის მწარმოებელი ობიექტების ამოქმედების პროექტების შემუშავებისა და განხორციელების მიმართულებით მხარდამჭერი და ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება, ადრე არსებული მსგავსი პროფილის საწარმოთა ფუნქციონირების ეკონომიკური ასპექტების შეფასებით; - მოსახლეობაში ოჯახური ტექნოლოგიებით ღვინის დამზადების კულტურის ამაღლება, სწავლება-კონსულტირების, ტექნიკური საშუალებების გამოყენების გაფართოებით დამხმარე საშუალებების	- მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები და მასშტაბები

			მიწოდებით და სხვა გზებით; - ოჯახური, საგვარეულო და სახელობითი ღვინოების დამზადების ტრადიციების დამკვიდრება, ღვინის ტურიზმის განვითარება; - ყურძნის სასუფრე ჯიშების მოშენების ხელშეწყობა; - სანერგე მეურნეობების მოწყობის პროექტების განხორციელების ხელშეწყობა და მოსახლეობაზე ნერგების მიწოდების ხელმისაწვდომობის მიღწევა;	
		სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიური უზრუნველყოფა	- ახალი სახის ფუნქციონალური დანიშნულების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიების შემუშავება; - საერთო და პროფილაქტიკური დანიშნულების ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიების შემუშავება; - მუნიციპალიტეტში არსებული ნედლეულიდან ახალი სახის კვების პროდუქტების ტექნოლოგიების შემუშავება; - მცენარეული ნედლეულის ბაზაზე ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების და ბუნებრივი დამატკბობლების მიღების ტექნოლოგიების შემუშავება; - აჭარაში გავრცელებული აბორიგენული და ინტროდიცირებული ვაზის ჯიშების გამოკვლევა და მისგან ახალი სახის პროდუქციის შექმნის ტექნოლოგიების შემუშავება; - სუფრის ჯიშის ყურძნის წარმოების ტექნოლოგიების შემუშავება; - ბოსტნეულისა და ბაღჩეულის ნედლეულის წარმოების აგროტექნოლოგიების შემუშავება;	- მემცენარეობის პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიების მეცნიერულად დასაბუთებული ვარიანტების გამოყენება; - კვების პროდუქტების დამზადების ოჯახური ტექნოლოგიების შესწავლა და მათი სამრეწველო ობიექტებში გამოყენების შესაძლებლობების დადგენა;
		აგრარული სექტორის სრული მექანიზაცია	- სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესში ხელით შრომის ხვედრითი წილის შემცირება; - მანქანა ტრაქტორების და სხვა ტექნიკური საშუალებების კოლექტიური გამოყენებისა და მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების მოსახლეობაზე მიწოდების უზრუნველყოფა მისაწვდომ ფასებში (ლიზინგის გამოყენება); - სხვადასხვა სახის სერვისული მომსახურების გაფართოება	- სოფლის მეურნეობაში მექანიზაციის დანერგვის პრიორიტეტული მიმართულებები; - აგრო სფეროს ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა და სერვისული მომსახურება; - მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების შერჩევის შეძენისა და გამოყენების საცნობარო- სარეკლამო

				და საშუამავლო მომსახურება
		მეცხოველეობის დარგის განვითარება	- მუნიციპალიტეტში მეცხოველეობის დარგის პოტენციალის ათვისების ხელშემწყობი გარემოს შექმნა; - მეცხოველეობის დარგში ადგილობრივ გარემო-პირობებთან ადაპტაციის უნარის მქონე ჯიშების შემოყვანის და გავრცელების, ადგილობრივი ცხოველთა ჯიშების თანამედროვე მეთოდებით გაუმჯობესების მიღწევა; - მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდა ერთ სულ მოსახლეზე; - აჭარის რეგიონში მეცხოველეობის პროდუქტებზე მოთხოვნის მაქსიმალური დაკმაყოფილება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქციით; - მეცხოველეობის სულადობის ზრდა, ჯოგის ხარისხობრივი გაუმჯობესება, ჯიშობრივი სრულყოფა, ამ სფეროში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის გაფართოება; - მეცხოველეობის პროდუქციის გადამუშავების მცირე საწარმოთა მასტიმულირებელი გარემოს შექმნა	- მეცხოველეობის განვითარებისა და პროდუქციის წარმოების ოპტიმალური საწარმოო პროგრამის შემუშავება; - მეცხოველეობის დარგის თანამედროვე ტექნოლოგიებით, ტექნიკური საშუალებებით და საკვები ბაზით უზრუნველყოფა; - ზოოტექნია. სასწავლო-საკონსულტაციო და მომსახურების სერვისული სისტემის ჩამოყალიბება; - მეცხოველეობაში საჭირო კადრების მომზადება, გადამზადება და დასაქმება, დარგის მარკეტინგი;
		წყლის რესურსები და თევზის სატბორე მეურნეობები	- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყლის აუზების, დიდი და პატარა მდინარეების, ნაკადულების რესურსების ათვისებით თევზის წარმოების მოცულობის მნიშვნელოვანი გაფართოება; - თევზის სატბორე მეურნეობის განვითარებისადმი მეწარმეთა ინტერესის მუდმივად მზარდი გარემოს პირობებში ბიზნესის ამ სახეობის მიმართ სახელმწიფო მხარდაჭერის გაფართოება და შესაძლო დახმარების გაწევის ღონისძიებების შემუშავება; - ქვეყნის ბაზარზე სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი თევზი პროდუქციისადმი კონკურენტუნარიანობის ამაღლება და მოსახლეობის ახალი, ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა; - თევზის პროდუქციის წარმოების ზრდის	- თევზის წარმოების ბიზნეს გარემოს შექმნა;

			პერსპექტივებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარკვეული პროფილის გადამამუშავებელი საწარმოს შექმნა(შებოლვა, დაკონსერვება და ა.შ.); - სატბორე მეურნეობის მიმდებარე ტერიტორიებზე ტურისტული მარშრუტების განთავსებისა და კვების ობიექტების მოწყობა, ადგილობრივი ლანდშაფტის მრავალფეროვნების გამოყენებით;	
		მეფუტკრეობა	- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტყის მცენარეული საფარის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მრავალფეროვნების ზონალურ-კლიმატური პირობების და სხვა ხელშემწყობი გარემოს გათვალისწინებით მეფუტკრეობის დარგის განვითარების ხელშეწყობა; - მეფუტკრეობის განვითარების საქმეში სასწავლო-საკონსულტაციო და სერვისული მომსახურების თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების დანერგვით პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდა და ხარისხის ამაღლება, ფუტკრის ოჯახების შენარჩუნება და გამრავლების უზრუნველყოფა; - თაფლის გადამუშავების და ფუტკრის ოჯახების სიცოცხლის უნარიანობის და აქტიურობის შენარჩუნების, სკების დამზადების ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფის პროგრამების და პროექტების მომზადება; - თაფლის პროდუქციის შეგროვებისა და რეალიზაციის, ფუტკრის ოჯახების ყვავილის სეზონურობასთან დაკავშირებით სხვადასხვა ადგილას გადაყვანის ორგანიზების ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება;	- მეფუტკრეობის განვითარების რესურსები და პოტენციალი;
		ფერმერული გაერთიანებების შექმნის ხელშეწყობა	- დაქსაქსული ოჯახური, სუსტი ან თითქმის არარსებული ფერმერული მეურნეობების წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრის რესურსების მართვის გაძლიერება; - საკრედიტო კავშირების, მსოფლიოში აპრობირებული, გაერთიანებების, კოოპერატივების და სხვა ფორმების დანერგვა და მის საფუძველზე აგრარული სექტორის სასურველ დონეზე	- ფერმერული მეურნეობების შექმნის ორგანიზაციულ- სამართლებრივი საფუძვლების შემუშავება; - მოსახლეობის კოოპერატიულ გაერთიანებებში ჩართვის მზადყოფნის დადგენა და განხორციელების ინსტრუმენტების და მექანიზმების განსაზღვრა;

			განვითარების შესაძლებლობათა გაზრდა; - აგრარულ სფეროში დასაქმებული მოსახლეობის საკუთრებაში არსებული ფულადი, მატერიალური და შრომითი რესურსების მიმართვა სასოფლო სამეურნეო პროდუქციის, წარმოების გადამუშავების და რეალიზაციის პროცესში - ტექნოლოგიებისა და ტექნიკური საშუალებების, მიწის დამუშავების, სასუქების, შხამქიმიკატების და სხვა რესურსების გამოყენების ორგანიზაციული სისტემის ჩამოყალიბება; - სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის მიღწევა და სიახლეების დანერგვის მისაწვდომობის გაზრდა. მოსახლობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, სოფლებისა და დაბების, სხვა დასახლებული პუნქტების საცხოვრებელი გარემოს, ინფრასტრუქტურის განვითარება;	- საცდელ-საჩვენებელი მოდელის დებულებით გაერთიანებების ჩამოყალიბება და ფუნქციონირების მონიტორინგი, შემდგომ მთლიანად მუნიციპალიტეტში გავრცელების მიზნით; - მუნიციპალიტეტის მხარდამჭერი პოლიტიკა კოოპერატიული გაერთიანებების შექმნის შესახებ;
1	**მრეწველობა**	სამრეწველო გადამამუშავებელი წარმოების სტიმულირება და განვითარება	- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნედლეულის, ტყის მცენარეული რესურსების, სასმელი და მინერალური წყლების, ინერტული მასალების, ხე-ტყის რესურსების, ბუნებრივი წიაღისეულის ბაზაზე სხვადასხვა წარმადობის და პროფილის სამრეწველო ობიექტების ქსელი ჩამოყალიბება; - არსებული სამრეწველო ობიექტების პროფილის მიხედვით გაფართოება, მოდერნიზაცია, ტექნიკური გადაიარაღება და ახალი კონკურენტუნარიანი ასორტიმენტისა და ნომენკლატურის პროდუქციის ათვისება; - პროდუქციის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება - უნარჩენო ტექნოლოგიების დანერგვა, - სამრეწველო ობიექტების რაციონალური გაადგილება, სანედლეულო ბაზასთან მიახლოება და შრომის რესურსების აქტიური გამოყენება. - მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში მრეწველობის დარგის მნიშვნელობის ამაღლება	- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოვლენილი წიაღისეული რესურსების სახელმწიფო მნიშვნელობის საბადოების ათვისებაში მონაწილეობა; - სამრეწველო ინფრასტრუქტურის განვითარების მუნიციპალური მხარდაჭერა; - მრეწველობის პრიორიტეტული დარგები და ბიზნეს გარემო; - ბოსტნეულის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება; - ინერტული მასალების გამოყენების გაფართოება; - ეთერზეთების წარმოება.

		მრეწველობის დარგის შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება	- სამრეწველო ობიექტების გაადგილების რაციონალური სქემის შემუშავება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის სივრცობრივი განვითარების სპეციფიურობის გათვალისწინებით; - სამრეწველო ობიექტებისათვის მიწის ფართის გამოყოფის, დაგეგმარების, საწარმოო შენობა-ნაგებობების არქიტექტურისა და დიზაინის შერჩევა; - სამრეწველო საწარმოებისათვის წყალმომარაგების, ენერგომომარაგების, საკომუნიკაციო ქსელებით უზრუნველყოფის, საკანალიზაციო სისტემით აღჭურვის, წარმოებაში გარემოს დაბინძურების შეზღუდვის სისტემების გამოყენების დაგეგმარება;	- სამრეწველო ობიექტების გაადგილება და საჭირო რესურსებით უზრუნველყოფა
		ბუნებრივი რესურსების სამრეწველო დანიშნულებით გამოყენება	- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბუნებრივ რესურსული ბაზის სრული აღრიცხვის გზით ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცების შესაძლებლობათა გაფართოება; - ბუნებრივი რესურსებისადმი, როგორც არაგანახლებადი რესურსებისადმი რაციონალური გამოყენების პრინციპით მიდგომა ისეთი მახასიათებლების გათვალისწინებით როგორიცაა გამოფიტვა, კვლავწარმოებადობა და მოცულობითი შეზღუდვები; - ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების ათვისება-გამოყენების რაციონალური კონცეფციების და პროგრამების შემუშავება, საშუალო და გრძელვადიანი პერიოდებისათვის; - სუბსიდირების და სოლიდარობის პრინციპების გათვალისწინებით ბუნებრივი რესურსების ათვისების მიმართულებებისა და გზების განსაზღვრა, ქვეყნის, რეგიონისა და მუნიციპალიტეტის რეგლამენტირებული ფუნქციების ურთიერთშემავსებლობის გათვალისწინებით; - მუნიციპალიტეტის მხრიდან ინიციატივა და ბრძოლა არსებული რესურსების გამოყენების დაჩქარებისათვის და სახელმწიფოს მხარდაჭერის გააქტიურებისათვის; - სხვადასხვა დონის სახელმწიფო ორგანოების	- ხე-ტყის სასარგებლო წიაღისეულის პოტენციალი და გამოყენება; - თერმული და მინერალური წყლების და ტყის რესურსების გამოყენება;

			კონსოლიდირებული ძალისხმევის მიღწევა რესურსების ათვისებაზე სინერგიული და კუმულატორული ეფექტის მისაღებად; - ბუნებრივი რესურსების ინვენტარიზაცია და დაჯგუფება ადგილობრივი და ქვეყნის მასშტაბით გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების, ინვესტიციათა საჭირო მოცულობის, მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტისა და სხვა ნიშნების მიხედვით; - ბუნებრივი რესურსების გამოყენებით მუნიციპალიტეტის ეკონომიკური უსაფრთხოების, მდგრადობის და კონკურენტუნარიანობის ამაღლება;	
		სამრეწველო ენერგეტიკული პოტენციალის ზრდა-განვითარება	- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამრეწველო საწარმოების, საბინაო კომუნალური მეურნეობის, სხვა ობიექტების ენერგო მომსახურების ხარისხის ამაღლება; - ენერგეტიკული მეურნეობის ეკონომიკური მექანიზმების სრულყოფა; - ეკონომიკური ინფრასტრუქტურის მდგრადი მომსახურება და უსაფრთხოება; - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჰიდროენერგეტიკული რესურსების ათვისების შესაძლებლობათა გამოყენება; - ენერგო დამზოგავი ტექნოლოგიების გამოყენების გაფართოება; - ენერგო უზრუნველყოფის სფეროში ინვესტიციების მოზიდვის ღონისძიებების გატარება;	- მუნიციპალიტეტის ენერგეტიკული უზრუნველყოფა; - მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურისა და ენერგიის მოხმარების პასპორტების შედგენა და მონაცემთა ბაზის გაფართოება; - ჰიდრო-ენერგეტიკული რესურსები და ობიექტები; - იალაღების, ტურიზმის ობიექტების დასასვენებელი ადგილების ელექტროფიკაცია;
3	**ინფრასტრუქტურა**	საგზაო- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სრული რეაბილიტაცია	- მყარსაფარიანი გზების საერთო სიგრძის ზრდა; - დასახლებულ პუნქტებში, მთის საძოვრებზე, საკურორტო ადგილებზე მისასვლელი გზების ტექნოლოგიურად დაშვებული ნორმების მიხედვით მოწესრიგება; - ყველა კატეგორიის გზებზე მეწყერული საშიშროების, ხიდების დაშლის, ნიაღვრით ჩარეცხვის და სხვა ზემოქმედი ფაქტორების განვითარების აღმკვეთი ღონისძიებების შემუშავება; - აქტიური მიმოსვლის გზის მონაკვეთებზე განათების სისტემის მოწყობა, მაჩვენებელი და მარეგულირებელი ნიშნების და ტექნიკური	- საგზაო ქსელის სტრუქტურის გაუმჯობესება; - გზების საექსპლუატაციო მდგომარეობის შენარჩუნება; - მუნიციპალური და კერძო ტრანსპორტით მომსახურების გაუმჯობესება;

			საშუალებების დაყენება; - მგზავრთა გადაყვანისა და სატვირთო გადაზიდვების ოპტიმალური მარშრუტებისა და ღირებულებების შემამცირებელი პროექტების შემუშავება - მუნიციპალური და კერძო სექტორის სატრანსპორტო მომსახურების დაბალანსებული განვითარება;	
		მუნიციპალიტეტის უზრუნველყოფა გამართული წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემით;	- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის სასმელი წყლით, საწარმოო და მომსახურების სფეროს ტექნიკური წყლით მომარაგების სრულმასშტაბიანი, ყოვლისმომცველი სისტემის შექმნა; - მოქმედი წყალმომარაგების სისტემის რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია, დანაკარგების შემცირება. სასმელი წყლის ხარისხის ნორმების დაცვით მიწოდება; - საკანალიზაციო სისტემის ქსელით უზრუნველყოფა მთლიანად ყველა დასახლებულ პუნქტში, კურორტებზე და იალაღებზე სასმელი წყლით მომარაგების უზრუნველყოფა; - სასმელი წყლის გაუვნებელყოფისა და გაწმენდის ღონისძიებების დადგენილი რეგლამენტით შესრულება; - ინდივიდუალური სარგებლობის წყალსადენებსა და ჭებში წყლის ხარისხისა და ვარგისიანობის მონიტორინგის განხორციელება;	- სასმელი და ტექნოლოგიური წყლით მომარაგება; - საკანალიზაციო სისტემის ჩამოყალიბება; წყლის გამოყენების აღრიცხვა; - წყალმომარაგების ტერიტორიული პასპორტების შექმნა;
		უწყვეტი და ხარისხიანი ელექტროფიკაციის უზრუნველყოფა;	- მოსახლეობისა და სხვა დარგობრივი ინფრასტრუქტურის მდგრადი ელექტრო მომსახურების უზრუნველყოფა; - ელექტრო მომარაგების მეურნეობის გამართული მუშაობის უზრუნველმყოფი სახაზო და რეგულირების ტექნიკური საშუალებების თანამედროვე მოწყობილობების გამოყენება; - მოხმარებული ელექტროენერგიის აღრიცხვისა და საფასურის გადახდის სრულყოფა; - ელექტრო ენერგიის მომარაგების სისტემის ფუნქციონირების მონიტორინგი;	- ელექტროფიკაციის სისტემის მომხმარებელზე ორიენტაცია; - ელექტრო მომარაგების ინფრასტრუქტურა და ეკონომიკური ასპექტები;
		მოსახლეობის ცხოვრების უსაფრთხოება და საცხოვრებელი	- ტექნოლოგიური საშიშროებების პოტენციის მქონე ობიექტების ფუნქციონირებით გამოწვეული	- მუნიციპალიტეტის სივრცობრივი განვითარება;

		გარემოს გაუმჯობესება;	ნეგატიური ზემოქმედებისა და ექსტრემალური ფაქტორების მდგომარეობის შემცირება; - გარემოს დაცვისა და საგანგებო სიტუაციების პროფილაქტიკის ღონისძიებებზე დანახარჯებისა და სიტუაციის გაჯანსაღების დინამიკის დადებითი ტენდენციის მიღწევა; - საგანგებო სიტუაციების რაოდენობისა და ნეგატიური შედეგების შემცირება; - დარეგისტრირებულ დანაშაულთა რიცხვის შემცირება, კრიმინოგენური სიტუაციის გაჯანსაღება; - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობ სიმჭიდროვის რეგულირება და მიგრაციის ტენდენციის შემცირება; - სამეურნეო გამოყენებაში მყოფი ტერიტორიების ნეგატიური ზემოქმედების დონის შემცირება საცხოვრებელ გარემოზე; - ტყე-პარკების, დასვენების და გასართობი ზონების შემქნა; - მუნიციპალიტეტის სივრცობრივი განვითარების რესურსების რაციონალური გამოყენებით ჯანსაღი გარემოს შექმნა; - საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიღწევა და კეთილმოწყობის დონის ამაღლება; - მოსახლეობის შემოსავლებისა და კომუნალური გადასახადების თანაფარდობის სასურველი დონის მიღწევა;	- მოსახლეობის საბინაო პირობების გაუმჯობესება; - სხვადასხვა დანიშნულების სამეურნეო ობიექტებისაგან ტექნოლოგიური საშიშროების საფრთხეების აცილება; - შეშის და სხვა საწვავის ალტერნატიული რესურსების გამოყენება, გაზიფიკაციის განხორციელება;
		სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და სხვა სფეროების განვითარება	- პირველადი მოხმარების სამეურნეო საქონლის, კვების პროდუქტების და სხვა საქონლის მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომ და სტაბილურ ფასებში მიწოდების უზრუნველმყოფი ჯანსაღი კონკურენციული გარემოს შექმნა გადახდის უნარიანობის გათვალისწინებით; - სავაჭრო ობიექტების მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის სიმჭიდროვის, დასახლების ტიპის, მოთხოვნის სახეობების მიხედვით განთავსება და მომსახურების კულტურის ამაღლება; - მომსახურების ობიექტების დასახლებულ	- საბითუმო და საცალო ვაჭრობა; - საყოფაცხოვრებო მომსახურება; - ეკონომიკური დივერსიფიკაციის გაძლიერება;

			ტერიტორიებზე რაციონალურად განლაგება, მომსახურების მისაწვდომობა და მაღალი კულტურა;	
	მშენებლობა	სამშენებლო პროცესებში მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ჩართულობა;	- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალაქთმშენებლობისა და არქიტექტურის თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით სივრცობრივი განვითარების გაუმჯობესება; - მშენებლობის სფეროს განვითარების მიმდინარე მდგომარეობისა და პერსპექტიული პროგნოზული შეფასებების საფუძველზე ადგილობრივი წარმოების ფაქტორების რესურსების ოპტიმალური გამოყენების მიღწევა; - მუნიციპალიტეტში ადგილობრივი და სხვა სამშენებლო ფირმებისა და ორგანიზაციების მიერ სამუშაოების შესრულებაში ხელშეწყობა; - მუნიციპალიტეტში ტურისტული ინდუსტრიის განვითარებასთან დაკავშირებული მომიჯნავე დარგების განვითარების აუცილებლობიდან გამომდინარე დარგთაშორისი ინფრასტრუქტურის მოდელის ჩამოყალიბება და ამ გზით ეკონომიკური დივერსიფიკაციის მიღწევა; - სამშენებლო სამუშაოების გაფართოების ხარჯზე მუნიციპალიტეტში ჯანსაღი საცხოვრებელი გარემოს შექმნის ხელშეწყობა; - მოსახლეობის დასაქმების გაფართოება და მშენებლობის სფეროს კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაზე ხელშეწყობა;	- სამშენებლო ობიექტებზე ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება; - სამშენებლო ობიექტების ადგილობრივი სამშენებლო მასალებით უზრუნველყოფა; - მშენებლობის პროცესის მართვა; - მშენებლობის დარგის სპეციალისტების მომზადება-გადამზადება. - ბამბუკის სამრეწველო დანიშნულებით გამოყენება;
4	**განათლება**	განათლების ხარისხის გაუმჯობესება	- საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ განსაზღვრული რეფორმების გატარებით მასწავლებელთა სერთიფიცირება- გადამზადების და პროფესიული საქმიანობის განხორციელების ხელშემწყობი გარემოს შექმნა; - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყველა კატეგორიის სკოლების მატერიალურ ტექნიკური ბაზის თანამედროვე დონეზე მოწყობა; - სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვა, უმაღლესი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთა კონტინგენტის ზრდა;	- უმაღლესი და საშუალო პროფესიული განათლება; - სკოლამდელი ობიექტებით აღზრდის უზრუნველყოფა, სკოლების სასკოლო ობიექტების მატერიალურ ტექნიკური ბაზა და საკადრო უზრუნველყოფა;

			- უმაღლეს და საშუალო სპეციალური განათლების მიღების ინტერესის სტიმულირება და ჩარიცხულთა რაოდენობის ზრდა; - მუნიციპალური ბიუჯეტის სოციალური დატვირთვის გაძლიერება განათლების სფეროს მიმართულებით; - ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ გამაჯანსაღებელი ობიექტებით უზრუნველყოფის დონის ამაღლება; - სკოლებში ერთ ცვლიან სასწავლო რეჟიმში მოსწავლეთა ადგილებით უზრუნველყოფა; - სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელთა უზრუნველყოფა ბაგა-ბაღებით;	
	კულტურა	კულტურის სფეროს ინფრასტრუქტურის განვითარება	- მუნიციპალიტეტში ისტორიულად ტრადიციული ხალხური შემოქმედების გაფართოება; - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კინო დარბაზების კულტურის სახლების, თეატრების, თანამედროვე არქიტექტურისა და დიზაინის მოთხოვნების შესაბამისად ახლის აშენება და არსებულის მოწესრიგება. მათში დასაჯდომი ადგილების საჭირო რაოდენობის შექმნა; - მუზეუმების ბიბლიოთეკების ქსელის განვითარება; - მუნიციპალიტეტში ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენა. დამთვალიერებელთა და მკითხველთა მოზიდვა; - ქორეოგრაფიული და სიმღერის ანსამბლების და შემოქმედებითი კოლექტივების ჩამოყალიბება და ფუნქციონირებაში ხელშეწყობა; - ისტორიულ-ეთნოგრაფიული და სამეწარმეო საქმიანობის ტრადიციების წარმოჩენა და ტურიზმის რესურსებად გამოყენება;	- მუნიციპალიტეტში კულტურის სფეროს განვითარება; - ხალხური შემოქმედების ხელშეწყობა; - კულტურის სფეროს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და საკადრო უზრუნველყოფა; - კულტურა და ტურიზმი
5	**კომუნიკაცია**	საკომუნიკაციო სისტემის განვითარება და მისი ინტეგრაცია საერთაშორისო ქსელებში;	- სატელეფონო- სახაზო და მობილური კავშირების სისტემის ქსელებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაფარვა და მომსახურების არჩევითობის შესაძლებლობების გაფართოება, მისაღები ტარიფები და ხარისხი; - ინტერნეტისა და სატელევიზიო მომსახურების სხვადასხვა ქსელების და არხების მოქმედების გავრცელება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.	- სატელეფონო კავშირები - ინტერნეტი და ტელე-მაუწყებლობა

			- მოსახლეობის გადახდისუნარიანობის შესაბამისი ტარიფებით;	
6	**ჯანდაცვა**	სამედიცინო ინფრასტრუქტურის და მომსახურების მიწოდების განვითარების ხელშეწყობა;	- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯანდაცვის სისტემის თანამედროვე დონეზე განვითარების, განლაგებისა და მასში მაღალკვალიფიციური მომსახურების უზრუნველყოფა; - მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურების ადგილზე მიღების ხვედრითი წილის ამაღლება, ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ სამკურნალოდ წამსვლელთა ხვედრითი წილის შემცირება; - დაფინანსების ყველა შესაძლო წყაროებიდან ერთ მცხოვრებზე საბიუჯეტო დანახარჯების გაფართოება მუნიციპალიტეტის დონეზე; - მრავალშვილიანობის ხელშეწყობა და დაბადებულთა ჯანმრთელობის შენარჩუნება, მოსახლეობაში სიკვდილიანობის შემცირება, საშუალო ასაკის გახანგრძლივება; - მოსახლეობის ჯანსაღი ნაწილის რიცხოვნობის ზრდა; - კვალიფიციური კადრების მოზიდვა და დამაგრებ; - სამედიცინო ობიექტების ტექნიკური აღჭურვილობის დონის ამაღლება;	- სამედიცინო მედპერსონალი, მაღალკვალიფიციური მომსახურება; - ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
		მოსახლეობის უფლებების დაცვა	- მსოფლიოში აღიარებული ნორმებისა და საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით ადამიანთა უფლებების დაცვის გაფართოება; - ჯანდაცვის პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელების პროცესში ადამიანთა უფლებების მხარდაჭერა; - საქართველოს კანონის „პაციენტთა უფლებების შესახებ“ მოთხოვნათა სრულად განხორციელება	- სამედიცინო უფლებების დაცვის გარანტიები და მონიტორინგი;
7	**ბუნებრივი გარემო და რესურსები**	ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება და კვლავ წარმოება;	- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცენარეული წიაღისეულის მიწის, წყლის და სხვა რესურსების რაციონალური გამოყენების სქემების შემუშავება; - ყველა სახის რესურსების ბუნებრივი და ხელოვნური კვლავ წარმოების პროცესებზე ხელშეწყობა მეცნიერული მიდგომების გამოყენებით;	- რესურსების, გამოყენება, კვლავ წარმოება;

		თერმული და მინერალური წყლების გამოყენება	- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თერმული და მინერალური წყლების ქიმიური შემადგენლობის, ტემპერატურის, დებეტის, გამოყენების სასარგებლო თვისებების და სხვა მაჩვენებლების შესახებ მეცნიერული შესწავლის საფუძველზე საინფორმაციო მონაცემთა ბაზის შექმნა, არსებული წყაროების სრული ინვენტარიზაცია; - მინერალური და თერმული წყლების გამოყენების სრული პოტენციალის განსაზღვრის მიზნით ჯანდაცვის, ტურიზმის, სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულებების, ბიზნესის სუბიექტების ჩართვა ათვისების პროექტებისა და პროგრამების მომზადების პროცესში; - დასვენების და სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნით ტურისტთა და მოსახლეობის მოზიდვისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითრების პროგრამებისა და პროექტების შემუშავება და განხორციელება ცალკეული წყლის რესურსების სპეციფიურობის გათვალისწინებით; - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ისტორიულად ტრადიციული სახალხო მედიცინის დონეზე სამკურნალო წყლების (ე.წ. აბანოების) აღწერა, გამოვლენა და გამოყენების შესაძლო მიმართულებების დადგენა; - სხვადასხვა მინერალური წყლების წყაროების შესწავლა და გამოყენების მიმართულებების დადგენა როგორც სამკურნალო პროფილაქტიკური დანიშნულებით ასევე სასმელად, “კოკოტარურის“ წყლის უნიკალური და სასარგებლო თვისებების ფართოდ რეკლამირება;	- თერმული და მინერალური წყლების რესურსების ათვისება;
		სტიქიური უბედურებებისაგან გარემოს დაცვითი ღონისძიებების გაფართოება	- ბუნებრივ-სტიქიური მოვლენების განვითარების პოტენციური მდგომარეობის მონიტორინგის გზით გამომწვევი ფაქტორების გამოვლენა და საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა; - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების შესაძლო განვითარების რუკების შედგენა, მოსახლეობის საშიში ზონებიდან უსაფრთხო ტერიტორიებზე განსახლება და საჭირო	- უსაფრთხო საცხოვრებელი გარემო და საგანგებო სიტუაციების შემცირება;

			საცხოვრებელი გარემოს შექმნა; - სტიქიური უბედურებების თავიდან აცილების პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით მუნიციპალიტეტის, რეგიონული და ცენტრალური სახელმწიფო ბიუჯეტების, საერთაშორისო დახმარებების რესურსების ეფექტური გამოყენება; - ბუნებრივ სტიქიური მოვლენების შემცირების ტენდენციების მიღწევა;	
8	**ტურიზმი**	ქობულეთის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება და ტურისტული პროდუქტების ფორმირება	- ტურისტული რესურსების რეალური პოტენციალის გამოვლენა; - ტურისტული პროდუქტებისა და ტურისტული მარშრუტების შემუშავების საფუძვლების მომზადება; - მუნიციპალიტეტის ტურისტული რესურსების ათვისებისათვის დაინტერესება ინვესტორთა მხრიდან და კონკრეტული პროექტებისა და პროგრამების განხორციელების გაფართოების დაჩქარება; - ტურისტული რესურსებისადმი ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ ინფორმაციის მიწოდების გაფართოება;	- მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების საკითხებზე მომუშავე სტრუქტურის ჩამოყალიბება; - ტურიზმის პერსპექტიული მიმართულებების იდენტიფიკაცია და მათი განვითარების პროგრამების შემუშავება; - ტურისტული ობიექტების რეაბილიტაცია-კონსერვაციის გეგმის შემუშავება-განხორციელება;
		ტურისტული ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება	- ტურისტული რესურსების ადგილმდებარეობის, ისტორიული-კულტურული ღირებულებების და სხვა მახასიათებლების მიხედვით ტურისტულ მარშრუტებში ჩართვის ასპექტების დადგენა; - რესურსების ტურისტულ ინდუსტრიაში გამოყენებისათვის წინასწარ მოსამზადებელი სამუშაოების დაგეგმვა; - თითოეული ტურისტული ობიექტის გამტარუნარიანობის, დაცვის, გამოყენების რეგლამენტირებული რეჟიმების დადგენა;	-მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურისტული ნაკადების გადაადგილების მარშრუტების კეთილმოწყობა სათანადო ობიექტებითა და საშუალებებით; - ტურისტთა განთავსების, კვების და მომსახურების სხვა სახეობების ობიექტებით უზრუნველყოფა. - ტურისტული ზონების შექმნა;
		კვალიფიციური კადრების ფორმირება ტურისტულ სექტორისათვის	- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურიზმის ცალკეული სახეობების შესაძლო გამოყენების მქონე რესურსების გამოკვლევა და ათვისების მიზანშეწონილობის განსაზღვრა; - რეკრეაციული, საქმიანი, სპორტული, ექსტრემალური, მიზნობრივი, ლანდშაფტის და სხვა ჯგუფის ტურიზმის ცალკეული სახეობების	-მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა სასოფლო ტურიზმის განვითარებისა და ტურისტების მომსახურების საკითხებთან დაკავშირებით; - ტურისტული დარგის სხვადასხვა პროფესიის მაღალკვალიფიციური

			განვითარების რეალური მასშტაბების შესაბამისი მაჩვენებლების დადგენა;	სპეციალისტების მომზადება.
		ტურისტული პოტენციალის პრომოუშენი და სარეკლამო-საინფორმაციო საქმიანობის სამოქმედო გეგმის შემუშავება	- სასტუმრო მეურნეობის ქსელის განვითარების მასშტაბების, ტერიტორიაზე განლაგების სტრატეგიული სქემების შემუშავება; - ტურისტული ნაკადების გადახდისუნარიანი კატეგორიების მიხედვით სასტუმროთა და განთავსების სხვა სუბიექტების მშენებლობის მუნიციპალური პოლიტიკის განხორციელების რესურსული უზრუნველყოფა; - ტურიზმის განვითარების შესაძლო მასშტაბების შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების, გადამუშავებისა და მიწოდების მოცულობითი მაჩვენებლების დაბალანსება; - ტურისტული ნაკადების მოთხოვნების დაკმაყოფილება ეკოლოგიურად სუფთა ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო პროდუქციით; - აგრო-ბიზნესის განვითარება, წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტისა და ნომენკლატურის ორიენტაცია ტურისტთა მოთხოვნაზე, ეროვნული პროდუქტების ხვედრითი წილის უპირატესობა საერთო მოხმარებაში;	- სარეკლამო/PR სტრატეგიის წარმოება
		თანამშრომლობა სტეიქჰოლდერებთან		- სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა
9	**მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა**	მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ადმინისტრაციული მხარდაჭერა	- მუნიციპალიტეტის დონეზე მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა; - მუნიციპალიტეტში სათათბირო საკონსულტაციო ჯგუფების შექმნა ბიზნეს სფეროსთან ურთიერთობების პრობლემებზე მუშაობისათვის; - საკუთრების უფლებების დაცვისა და ქონების გამოყენების, საინვესტიციო რისკების დამზღვევი მექანიზმების ამოქმედება; - პროექტების განხორციელებაში საკრედიტო რესურსების მოძიებისა და მუნიციპალური საკუთრების პრივატიზაციის შეღავათიანი პოლიტიკის გატარება; - მუნიციპალური შესყიდვების გაფართოება მცირე და	- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დარგობრივი სტრუქტურის უზრუნველმყოფი რესურსები; - მუნიციპალიტეტის სტრატეგია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში;

			საშუალო ბიზნესის სუბიექტებიდან;~ - საჭირო საკანონმდებლო ნორმატიული აქტების დაჩქარებული წესით მიღება და ბიუროკრატიული ბარიერების მინიმუმამდე დაყვანა;	
		საინფორმაციო- საკონსულტაციო და აუდიტური გარემო	- სწავლებისა და კონსულტირების გააქტიურება და ინფორმაციული მხარდაჭერა; - ცალკეული დარგების საინვესტიციო მიმზიდველობის გამოვლენა; - წარმოების ფაქტორების საჭირო მოცულობით გამოყენების გარემოს გაუმჯობესება; - მეწარმეთა უფლებების დაცვის მონიტორინგი; - პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება; - მარკეტინგული პოლიტიკის განხორციელება;	- კონსულტაცია-სწავლება აუდიტი; - საგრანტო და სატენდერო ფონდის შექმნა, საბანკო ვაჭრობა;

21.1 სტრატეგიები

21.1.1 სივრცითი დაგეგმარება

- ტერიტორიათა სივრცითი ტერიტორიული მოწყობის დაგეგმარება და ეკონომიკური მოდელირება

მიზანი: მუნიციპალიტეტების სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების შედეგად ეკონომიკური ეფექტიანობის ოპტიმიზება და განვითარების სტრატეგიული გეგმების რეალიზაციის რისკების შემცირება.

პრობლემის აღწერა: წარმოდგენები მუნიციპალიტეტების ბუნებრივი პირობებისა და ეკონომიკური პოტენციალის შესახებ ხშირ შემთხვევაში დანაწევრებული და აცდენილია. დანაწევრებულ წარმოდგენებში მოიაზრება ინფორმაციის კორელირების საკმაოდ დაბალი ხარისხი და ურთიერთკავშირის შეზღუდული შესაძლებლობები. რაც არსებითი გარემოებაა იმ ფონზე, როდესაც მიმდინარეობს მუშაობა მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებზე, როგორც დარგთაშორისი და შიდადარგობრივი ვერტიკალის ფარგლებში, ისე მუნიციპალიტეტთაშორისი თანამშრომლობის გაღრმავების მიმართულებით. სიტუაციის დამატებით ხარვეზს ხშირ შემთხვევაში თავმოყრილი ინფორმაციის აცდენილი შინაარსი და უზუსტობაც წარმოადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დგება საჭიროება ტერიტორიების სივრცითი დაგეგმარების მიმართულებით კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელებისა. ტერიტორიათა ამგვარი კოდირებული ოპტიმიზება სტრატეგიულ ღონისძიებათა ნუსხაში გაადვილებს ეკონომიკური მოდელირების მეთოდების ოპტიმიზაციის პროცესს და არასწორი პროგნოზირებისაგან ერთგვარი მზღვეველი რგოლიც იქნება არაპირდაპირი ფუნქციით.

ხედვა: სივრცით-ტერიტორიულ სქემაში მუნიციპალიტეტის მაღალვალიდური განთავსება და გლობალურ ქსელში მისი მხარდაჭერა არსებითად გაზრდის სწორ წარმოდგენებს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოტენციალის და შესაბამისად მოსალოდნელი საქმიანი აქტიურობის შესახებ. ტერიტორიის შესახებ გაზრდილი საქმიანი ცნობადობა და სტრატეგიული ინფორმაციის კომპლექსურობა საქმიანი ნაკადების მხოლოდ მიზანმიმართულ მოძრაობას უზრუნველყოფს, რაც მნიშვნელოვანი დროითი და საიმიჯო დანახარჯი იქნება მუნიციპალიტეტისათვის და ეკონომიკური სტიმული კაპიტალის მფლობელთათვის.

საქმიანობები სტრატეგიის რეალიზაციისთვის:

- ადგილობრივი ორგანიზაციების (სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის) ურთიერთთანამშრომლობისათვის კოალიციის შექმნა;
- რეალიზაციის გეგმის შემუშავება, დროის გრაფიკისა და ბიუჯეტის ნაწილის ჩართვით;
- კოალიციის წევრებისათვის ფუნქცია-მოვალეობების დელეგირება;

- შიდაკოალიციური სამუშაო პროცესისათვის ანალიტიკური კომუნიკაციის სივრცის უზრუნველყოფა;
- არსებული სტატისტიკური ინფორმაციის ვალიდობის გადამოწმება არსებით ნაწილში;
- სოციალური და ეკონომიკური შინაარსის ინფორმაციის კლასიფიკაცია-კოდირება;
- სოციოლოგიური კვლევების დაგეგმვა-განხორციელება სტატისტიკური ინფორმაციის დეფიციტის გარკვეულწილად შესავსებად;
- ოპტიმიზაციის პროცესის განვრცობა აკადემიურ სივრცეში;
- შედეგების მათემატიკურ-კომპიუტერული მოდელირება;
- სივრცით-არქიტექტორული გეგმის ოპტიმიზებული ელექტრონული და ბეჭდური რუკების/ატლასების შექმნა;
- ინფორმაციის განთავსება საიტებზე;
- სოციალური მედიით გვერდების შექმნა/მენეჯმენტი;
- სტეიქჰოლდერებს შორის ინფორმაციის გავრცელება;
- პოტენციურ აუდიტორიასთან წვდომის მექანიზმების დამუშავება;
- უკუკავშირის მექანიზმის ამოქმედება და ადგილობრივი სტრუქტურული დანაყოფების მომზადება კომუნიკაციისათვის.

მოსალოდნელი შედეგები:

- ინფორმაციული ხარვეზების ზუსტი იდენტიფიცირება;
- თავმოყრილი ინფორმაციის სანდოობის სწორი შეფასება;
- რესურსების სრული პოტენციალის კუმულაცია კომპიუტერული დამუშავებისათვის ხელმისაწვდომად;
- სივრცით-ტერიტორიული მოდელირების ეკონომიკური პროგნოზირებისათვის ელექტრონული მეთოდების გამოყენება და შედეგად გაზრდილი სანდოობა;
- პროგნოზირებისა და შეფასებისათვის მოქნილი ციფრული და ბეჭდური რუკების/ატლასების არსებობა;
- ტერიტორიათა საერთაშორისო ცნობადობის გაზრდა და ალტერნატიული ხერხებით ინტერესის გაჩენის შემთხვევაში ელექტრონულად მათი იდენტიფიკაციის შესაძლებლობა საქმიანი აუდიტორიისათვის;
- საქმიანი ნაკადების დახარისხება უფრო კონკრეტული ინტერესებით;
- საქმიანი იმიჯის ფორმირება/გაღრმავება;
- სამომავლო ეკონომიკური და სოციალური ორიენტირებისათვის არსებული აქტივობისა და შესაძლებელის შესადარისობის ეფექტურად ფლობა ანალიზისათვის;
- კვალიფიკაციის დაგროვება სტრატეგიული მიმართულებით ეკონომიკურ და სივრცით-არქიტექტორულ მოდელირებაში, რაც მნიშვნელოვანი დეფიციტური რესურსია ყველა მუნიციპალიტეტში.

21.1.2 სოფლის მეურნეობის განვითარება

- ქობულეთის მუნიციპალიტეტში ნიადაგების კვლევით-შემსწავლელი სისტემის ჩამოყალიბება

მიზანი: მიწის რენტაბელობის გაზრდა და სამეურნეო-საწარმოო პროცესის ეფექტური დაგეგმარებისათვის ინფორმაციულად მოქნილი სივრცის უზრუნველყოფა.

პრობლემის აღწერა: ქობულეთის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარება ძირითადად ექსტენსიური ხასიათისაა. ნიადაგის საკვები ნივთიერებებით გამდიდრების პროცესი არ ეფუძნება კვალიფიციურ აგრო-სამეცნიერო ცოდნას, რის ხარჯზეც ნიადაგის კვების პროცესი იქნებოდა მიმართული მოსავლიანობის გაზრდისა და საკუთრივ ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისაკენ. არასრულყოფილი სამეურნეო ქცევა კი კიდევ უფრო აღრმავებს ეროზიული ნიადაგების გადახრას და დაბალნაყოფიერი მიწების გადაზრდას დეგრადირებულ კატეგორიაში.

ერთ-ერთი არსებითი მიზეზი, რომელიც დაბალმოსავლიანობას განაპირობებს, სწორედ, ნიადაგის კვებითი ღირებულებების ბალანსის არასწორი შევსება და მართვაა. ნიადაგის არასწორი მოვლა არსებით გავლენას ახდენს მოსავლის სასაქონლო თვისებებზე და უკიდურეს შემთხვევაში ირღვევა ეკოლოგიური მდგრადობაც. სამეურნეო აქტივობების სანდოობის წინასწარი შეფასება კი მაღალრისკიანი მეურნეობების პირობებში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. ამგვარად, შინამეურნეობები ფინანსურად მეტად დასტაბილურდებიან. ამ წინაპირობის გამართული ქმედუნარიანობის პირობებში ნელ-ნელა აქტიურად ჩაირთვება საბაზრო აგენტების პროგნოზირების ელემენტები, რაც კონკურენტული დარგობრივი განვითარებისათვის მეტად აუცილებელი ეკონომიკური მდგომარეობაა.

ხედვა: ნიადაგების სამეურნეო და ბიო-ქიმიურ მახასიათებლებზე სრულფასოვანი ინფორმაციის ფლობა გაზრდის სამეურნეო პროცესის დაგეგმარებაზე წარმოდგენების რეალურობას და ხელს შეუწყობს როგორც წარმოების მოცულობის გაზრდას, ისე სამეურნეო ინოვაციების დანერგვას. რისი არაპირდაპირი შედეგიც იქნება შინამეურნეობების შემოსავლების ზრდა ფერმერებში სამეურნეო კულტურის ჩამოყალიბების პარალელურად და ბაზარზე ადგილობრივი წარმოების პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

საქმიანობები სტრატეგიის რეალიზაციისათვის:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნიადაგის ანალიზის ლაბორატორიის ჩამოყალიბება და აღჭურვა;
- ლაბორატორიისათვის კვალიფიციური პერსონალის მომზადება-გადამზადება;
- გლეხებისათვის ნიადაგის ანალიზისა და კვლევების საჭიროებების შესახებ სწორი საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის წარმოება;
- გლეხების გადახდისუნარიანობის ამაღლებისა და ლაბორატორიული ანალიზის ჩატარების გამარტივების მიზნით, მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მხრიდან გარკვეულ ეტაპამდე ერთგვარი მაკავშირებელი რგოლის ფუნქციის შესრულება ხარჯების დაფარვაზე საშეღავათო პერიოდების დაწესების მეშვეობით;

- ანალიზის შედეგებთან ერთად ადეკვატური კონსულტაციების მიწოდების უზრუნველმყოფი მექანიზმის ჩამოყალიბება და გამართვა;
- გლეხების/ფერმერების ორიენტირება შესატყვის ჯიშებსა და კულტურებზე სამეურნეო გადაწყვეტილებების ეფექტურობის ხელშესაწყობად;
- საინფორმაციო აქტივობებისათვის, მ.შ. ტრენინგებისათვის ტრენერ-პერსონალის მომზადება/გადამზადება.

მოსალოდნელი შედეგები:

- ლაბორატორიის შექმნა ხელს შეუწყობს ნიადაგების ანალიზის ხელმისაწვდომობის ზრდას და სამეურნეო პროცესში არსებული სტაგნაციის შეჩერებას;
- ამაღლდება გლეხის ინფორმირებულობის ხარისხი საკუთარი შინამეურნეობების პოტენციალის ოპტიმალური ათვისების მიმართულებით;
- გაიზრდება სამეურნეო პროცესის დაგეგმარების ეკონომიკური ეფექტიანობა;
- შენარჩუნდება და ამაღლდება ნიადაგების ნაყოფიერება და სტრუქტურა;
- ამაღლდება ნიადაგის ეკოლოგიური დაცვის ხარისხი;
- გაიზრდება კულტურათა მოსავლიანობა;
- ხელი შეეწყობა ნიადაგის დაცვის მსოფლიოში ადაპტირებული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის დანერგვას;
- სტრატეგიის რეალიზება ერთ-ერთი არსებითი ნაბიჯია საერთაშორისო აგრარული სტანდარტების ადგილობრივ მეურნეობებში გადმოტანის მიმართულებით;
- გრძელვადიან პერიოდში შესაძლებელი იქნება მეცნიერებატევადი სერვისების მიწოდების პრაქტიკის დანერგვა.

- ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის ნიადაგური ანალიზური რუკების შექმნა

მიზანი: ადგილობრივი მიწათმოქმედების ეფექტიანობის და სარგებლის გაზრდის მიზნით ნიადაგის თემატური რუკების შექმნა გეო-ეკოლოგიურად მგრძნობიარე ტერიტორიების დასადგენად (ნიადაგის - ნიადაგური რუკა, მ.შ. ბონიტეტის ქულებით, ნიადაგის ეროზირებული რუკა; რელიეფი - ფერდობის დახრილობისა და ექსპოზიციის კლასების რუკები; კლიმატური, მცენარეული საფარის და საინტერპრეტაციო რუკები - მაღალი მგრძნობელობის განსაზღვრის, წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის, მჟავე ნიადაგების, საკვები ნივთიერებების სიღარიბისა და დამლაშებისაკენ მიდრეკილებისათვის).

პრობლემის აღწერა: სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებებისათვის აუცილებელია კაპიტალის მნიშვნელოვანი რაოდენობა, განსაკუთრებით ფინანსური რესურსის, რომელიც მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი ყველაზე დეფიციტურია და რომლის აკუმულაციის პროცესიც ბევრად გართულებულია. სწორედ ამიტომ, ძირეულ ცვლილებებზე აქცენტირებისას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ფინანსური რესურსის მუნიციპალიტეტის გარე წყაროებიდან მოზიდვა. ასეთ სიტუაციაში, კაპიტალის მიზნობრივი

მოძრაობის დასაწყებად, აუცილებელია შესაბამისი ინტერესის ფოკუსირებისათვის საინფორმაციო სივრცის მომზადება. ინტერესის მსგავსი ფოკუსი, არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე და ზოგადად სოფლის მეურნეობის დარგობრივი სპეციფიკის გათვალისწინებითაც, პრიორიტეტულად მიწის რესურსზე მოდის.

აუცილებელია მუნიციპალიტეტში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების და განსაკუთრებით სახნავ-სათესი ფართობების შესახებ თემატურად დახარისხებული ნიადაგური ჭრილების აღწერა და მათი კარტოგრაფიული ჩანაწერების გაკეთება ეფექტიანობისა და სარგებლის ოპტიმიზაციის თვალსაზრისით. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ჭრილები აღებული იქნეს მცირე მასშტაბით (ვიდრე ეს გაკეთდა საბჭოთა კავშირის პერიოდში 1:500000). აგრეთვე უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამ ინფორმაციაზე დაინტერესებული პირებისათვის მაღალი ხელმისაწვდომობა.

ხედვა: ნიადაგური ანალიზის რუკების შედგენა ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ნიადაგების შემდგომში უფრო დეტალურ ანალიზს. მოხდება სპონტანური მეურნეობების აღმოფხვრა. დაინტერესებული პირებისათვის დამაბრკოლებელი ფაქტორების შემცირება.

საქმიანობები სტრატეგიის რეალიზაციისათვის:

- სამუშაოების განხორციელების პროექტის შემუშავება;
- პროექტის ფინანსური უზრუნველყოფა დონორ ორგანიზაციებთან და სახელმწიფო ბიუჯეტთან ურთიერთობით;
- მეზობელ მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის გეგმის შემუშავება;
- შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების მოძიება;
- რუკების ელექტრონული ბაზების შექმნა;
- მიწის ღირებულების დადგენა (რომელშიც უნდა აისახოს მიწის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების პერსპექტივა).

მოსალოდნელი შედეგები:

- გაადვილდება ნიადაგის სელექცია, როგორც პოტენციური ინვესტორისათვის, ასევე ცენტრალური თუ მუნიციპალური დარგობრივი პრიორიტეტების განსაზღვრისათვის;
- სრულფასოვანი ინფორმაცია აუთვისებელ ნიადაგებზე გახდება ხელმისაწვდომი;
- დაჩქარდება მიწის პრივატიზების პროცესი და ხელი შეეწყობა მიწის ბაზარის ჩამოყალიბებას;
- მოხდება მიწების დიდი ნაკვეთის კონსოლიდირება კონკრეტული მიწის მესაკუთრეების ხელში, რაც საბოლოო ჯამში, განაპირობებს აგრარული წარმოების ზრდას და ხარჯების შემცირებას;
- მისცემს ბიძგს ბაზრის მოქცევას ნიადაგის კაპიტალიზაციის მიმართულებით.

- ფერმერთა საკონსულტაციო მომსახურების სისტემის ჩამოყალიბება

მიზანი: აგრო-სამეცნიერო ცოდნის მიწოდება მოსახლეობისათვის საკუთრებაში არსებული მეურნეობების მართვის ეფექტურობის ამაღლებისათვის.

პრობლემის აწერა: ქობულეთში სამეურნეო სამუშაოები მეტწილად კვალიფიციური ცოდნის დაბალი გამოყენებით ხასიათდება და ძირითადად არასრულ გამოცდილებას და არასრულფასოვნად შემონახულ სამეურნეო ტრადიციებს ეფუძნება. სასოფლო-სამეურნეო დარგის თითქმის არც-ერთი მიმართულებით არ მომხდარა ჯიშთგანახლება და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ასევე არასწორმა სამეურნეო საქმიანობამ არსებული ჯიშების დაკნინებაც გამოიწვია. აგრეთვე ძალიან დაბალია ფერმერთა ცოდნა შხამ-ქიმიკატებთან და ცხოველთა მოვლა-პატრონობასთან მიმართებაშიც.

ხედვა: აგრო-სამეცნიერო ცოდნის ფართომასშტაბიანი გამოყენება მეურნეობაში ბიძგს მისცემს შრომის მწარმოებლურობის და მოსავლიანობის ზრდას, დაინერგება თანამედროვე ტექნოლოგიები და ინოვაციები, შეიქმნება შიდამუნიციპალური კონკურენცია და ადგილობრივი წარმოების პროდუქცია უფრო კონკურენტუნარიანი გახდება იმპორტთან მიმართებაში.

საქმიანობები სტრატეგიის რეალიზაციისათვის:

- მუნიციპალიტეტში ფერმერთა მომსახურების ცენტრის შექმნა და ფერმერებისათვის უფასო კონსულტაციების გაწევა;
- რამდენიმე პერსპექტიული მიმართულებით აგროტექნოლოგიებთან დაკავშირებული ტრეინინგ კურსების მომზადება;
- ინტენსიური სასწავლო პრაქტიკული კურსის მომზადდება აგრობიზნესის მიმართულებით;
- სკოლებთან თანამშრომლობა სასწავლო კლუბების ჩამოყალიბების ფარგლებში მოსწავლეთა ჩართულობის გასაზრდელად და სამეურნეო ცოდნის ასამაღლებლად;
- ფერმერთა გაცვლითი პროგრამების ამოქმედება/შემუშავება გამოცდილების გაზიარების მიზნით; (როგორც რეგიონის შიგნით ასევე მის ფარგლებს გარეთ);
- მცენარეთა და ცხოველთა დაცვის სპეციალისტების მომზადება (აგრონომი, ვეტექიმი, ენტომოლოგი და სხვა);
- ფერმერებისათვის შხამ-ქიმიკატების შესახებ სწორი ინფორმაციის მიწოდება;
- საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთების შექმნა კულტურათა ადაპტირებისათვის და შემდგომი გავრცელებისათვის;
- სოფლის მეურნეობის დარგში არსებულის სიახლეების მოძიება და მათი მიწოდება ფერმერებზე;
- საინფორმაციო ინტერნეტბანკის შექმნა, საინფორმაციო ბუკლეტების, ბროშურების მომზადება და გავრცელება, აგროსამეცნიერო ლიტერატურის პოპულარიზაცია და მისაწვდომობის ზრდა.

მოსალოდნელი შედეგები:

- სამეურნეო პროცესებში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა;
- ფერმერთა ცოდნის და ინფორმირებულობის დონის ამაღლება უზრუნველყოფს მათ ხელთ არსებული რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენებას;
- საოჯახო მეურნეობებს მიეცემათ ბიზნესის სახე;
- მუნიციპალიტეტში შემცირდება საკადრო დეფიციტი;
- ამაღლდება სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიებით ახალი თაობის დაინტერესების ხარისხი;
- შემხვედრი დამოკიდებულება ინოვაციებისადმი, გამოცდილების გაზიარება და საკუთარ შინამეურნეობებში გადმოტანა/დანერგვა;
- საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთებში ახალი ჯიშებისა და ჩითილების გამოყვანა და მათი გავრცელება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;
- ხელი შეეწყობა ერთი მხრივ გადამდები დაავადებების პრევენციას, ხოლო მეორეს მხრივ, მოსავლის მისაღებად შხამ-ქიმიკატების სწორ გამოყენებას;
- ჩამოყალიბდება აგრონომთა და ვეტერინართა გადამზადების სისტემა, გაიზრდება მათი ხელმისაწვდომობის ხარისხი თანამედროვე სპეციალიზირებულ საინფორმაციო მასალებთან;
- ამაღლდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ეფექტურობა და მოსავლიანობა.

- ### ახალი კულტურული ჯიშების შემოტანა და ჯიშთგანახლების პროცესის ამოქმედება

მიზანი: ახალი ჯიშებისა და კულტურების შემოტანა და ადგილობრივი ჯიშების ჯიშური სიწმინდის აღდგენა.

პრობლემის აღწერა: დარგში კვალიფიციური აგრო-სამეცნიერო ცოდნის გამოყენების თითქმის 20-25 წლიანმა წყვეტამ განაპირობა კულტურათა მოვლა-შენახვის არასწორი ტრადიციების ჩამოყალიბება. შედეგად სახეზე გვაქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი აგრარული პრობლემა, რომელიც ყალიბდება ნიადაგის არასწორი კულტივაციიდან –მოსავლის და განსაკუთრებით თესლის აღებასა და შენახვამდე სრული ციკლის მანძილზე. ამ პროცესის ერთ-ერთი გამოვლინება ენდოგენური ჯიშური თვისებებისა და სიწმინდის დაქვეითებაა. შედეგად, პროვოცირდება მოსავლიანობის შემცირებისა და სასაქონლო სახის დაქვეითების პროცესები.

ხეხილოვნებთან მიმართებაში აქტიურად დგას ჯიშური თვისებების დაკნინების, მარცვლოვნებთან და ბოსტნეულთან მიმართებაში კი ჯიშური სიწმინდის დაქვეითების საკითხები.

სათესლე მასალა გახდა დეფიციტური და უხარისხო. გლეხი აღარ აწარმოებს სათესლე მასალას და იგი დამოკიდებულია იმპორტირებულ გენმოდიფიცირებულ და უხარისხო თესლზე. აღნიშნულმა პოლიტიკამ გამოიწვია ადგილობრივი აბორიგენული ჯიშების გადაგვარება.

შეცვლილი კლიმატურ-გეოგრაფიული პირობები, საბაზრო მოთხოვნებთან ერთად, წარმოქმნის არათუ ჯიშების აღდგენა-გაუმჯობესების მოთხოვნას, არამედ მოთხოვნას ახალი ჯიშებისა და კულტურების შემოტანის საჭიროების მიმართულებით.

ხედვა: არსებული მცირემიწიანობის პირობებში სწორი ჯიშური სელექციის ხარჯზე მაღალი მოსავლიანობის მიღწევა (ოპტიმალურ საჰექტარო მოსავლიანობასთან ახლოს) ხარისხისა და ბიოლოგიური სანდოობის შენარჩუნებით.

საქმიანობები სტრატეგიის რეალიზაციისათვის:

- ადგილობრივი კლიმატურ-ლანდშაფტური თავისებურებების შესწავლა კულტურათა გავრცელებულ ჯიშებთან მიმართებაში;
- სამეურნეო ტრადიციების ანალიზი (არსებული კულტურული ჯიშების მოვლა-მოყვანის ტრადიციების შესწავლა/ანალიზი);
- ნიადაგების საჭიროებების კვლევა;
- შესარჩევი კრიტერიუმების ჩამოყალიბება (კლასიფიცირება);
- სათანადო ჯიშების იდენტიფიცირება;
- საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთების შექმნა;
- ჯიშების საცდელ მეურნეობაში შეტანა;
- მუნიციპალიტეტის გავრცელებულ ჯიშებზე პერმანენტული მონიტორინგის წარმოება;
- მეთესლეობის პროგრამის განხორციელება;
- შედეგების ანალიზი და გადაწყვეტილება;
- შერჩეული ჯიშის პოპულარიზაცია გავრცელება/შემოტანა;
- საინფორმაციო კამპანიის წარმოება მოსახლეობისათვის;
- ფერმერებისათვის კვალიფიციური აგრო-სამეცნიერო ცოდნის მიწოდება.

მოსალოდნელი შედეგები:

- საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთებში ახალი ჯიშებისა და ჩითილების გამოყვანა, მათი გავრცელება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;
- ახალი ჯიშებისა და კულტურების დანერგვის შედეგად მოსავლიანობისა ზრდა;
- კულტურათა პროფილის გაფართოება და ახალი მოთხოვნების წახალისება;
- ფერმერთა ცნობიერების ტრანსფორმირება ახალ კულტურებთან მიმართებაში;
- სასოფლო სამეურნეო პროდუქციის საბაზრო მოთხოვნების ადექვატური მიწოდება.

- **აგრარული სექტორის სრული მექანიზაცია**

მიზანი: აგროსექტორის მექანიზაცია. ფერმერული მეურნეობების მოთხოვნების სრული დაკმაყოფილება გეოგრაფიულ-კლიმატური პირობების ადექვატური სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით.

პრობლემის აღწერა: რელიეფისა და ლანდშაფტის თავისებურება მნიშვნელოვნად განაპირობებს შრომის პირობების სიმძიმეს, რაც მეტწილად განსაზღვრავს შრომის დაბალ მწარმოებლურობასა და აგრარული სფეროს ავტორიტეტის სულ უფრო შემცირებას. შრომის მაღალი წილი პროდუქციის ღირებულებაში ბაზარზე არამომგებიან ფასისმიერ კონკურენციაში აყენებს ადგილობრივ წარმოებას. შედეგად, ადგილობრივი წარმოების პროდუქციას კიდევ უფრო უჭირს ბაზარზე არათუ დამკვიდრება, არამედ მოპოვებული პოზიციის შენარჩუნებაც კი. ამ ფონზე აგრარული სექტორის განვითარება მეურნეობრიობის მრავალფეროვნებისა და საბაზრო ურთიერთობების პირობებში იმ დონეზე, რომ იგი აწარმოებდეს კონკურენტუნარიან პროდუქციას, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის სამანქანო ტექნოლოგიისა და კომპლექსური მექანიზაციის მანქანათა სპეციფიკაციების სწორ შერჩევაზე, მუნიციპალიტეტის თავისებურებებისა და ბუნებრივ კლიმატური პირობების გათვალისწინებით.

ხედვა: მექანიზაციის პროცესი საშუალებას მისცემს აგროსექტორში დასაქმებულ მოსახლეობას შეამცირონ შრომითი და დროის დანახარჯები, რაც საბოლოო ჯამში უფრო რენტაბელურს გახდის წარმოების პროცესს და ფერმერებს ბაზარზე კონკურენციულ ბრძოლაში უპირატესობის მოპოვების საშუალება მისცემს.

ამაღლდება ნიადაგის დამუშავების ეფექტიანობა, რისი ინდიკატორიც, თავის მხრივ, უნდა იყოს მოსავლის ზრდა და ოპტიმალური ჯიშური თვისებების შენარჩუნება ყოველი სამეურნეო წლის განმავლობაში. მექანიზაციის პროცესის მნიშვნელოვანი ეფექტი იქნება აგრარული შრომის ავტორიტეტის ამაღლება და კვალიფიციური შრომის წილის ზრდა.

საქმიანობები სტრატეგიის რეალიზაციისათვის:

- მუნიციპალიტეტში გავრცელებული ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების მოვლა-მოყვანის სამანქანო ტექნოლოგიების დამუშავება, საჭირო მანქანა-მოწყობილობების რაოდენობის, მათი სპეციფიკაციის, მანქანა ტრაქტორების და მცირე მექანიზაციის საშუალებების ოპტიმალური თანაფარდობის განსაზღვრა;
- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ნომენკლატურისა და პარამეტრების განსაზღვრა ადგილობრივი ზონალური პირობების გათვალისწინებით;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა საინფორმაციო უზრუნველყოფა, კონსულტაციების გაწევა და ტრეინინგების ჩატარება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების საკითხებზე;

- მექანიზაციის საშუალებების შესყიდვის დროს მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობის გაზრდა და შესყიდვების პირობების გამარტივება ფერმერებისათვის (მისაღები საგარანტიო პირობები);
- მექანიზაციის საშუალებების შესყიდვის ფარგლებში დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- მუნიციპალიტეტის მიერ საკუთარი მექანიზაციის საშუალებების შესყიდვა და ფერმერებისათვის ხელმისაწვდომ ფასებში მათი იჯარით გაცემის პრაქტიკის დანერგვა (არსებული ითვალისწინებს მხოლოდ იმ ხარჯების ანაზღაურებას, რომელიც დაკავშირებულია მექანიზაციის საშუალებების შენახვასა და მოვლა-პატრონობასთან);
- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მუნიციპალური პარკის შექმნა;
- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე სერვისული მომსახურების უზრუნველყოფა (რემონტი, მარაგი ნაწილებით უზრუნველყოფა).

მოსალოდნელი შედეგები:

- სასოფლო-სამეურნეო საწარმოო დანახარჯების შემცირება საშუალო და გრძელვადიან პერიოდში;
- არსებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლება;
- შრომით დანახარჯებში ფიზიკური შრომის ხვედრითი წილის შემცირება;
- ნიადაგის მექანიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და ნიადაგების მოსავლიანობის ზრდა;
- სასოფლო-სამეურნეო დარგის იმიჯის ზრდა და შესაბამისად, მიგრაციული პროცესის შენელება;
- ლიზინგური ბაზრის ჩამოყალიბება.

- სასათბურე მეურნეობების განვითარება

მიზანი – ბოსტნეული კულტურების წარმოების სეზონურობის გაფართოება;

სტრატეგიის საჭიროების დასაბუთება: ბოსტნეული კულტურები აგრარული სექტორის განსაკუთრებული დარგია, რომლის განვითარებაც გარკვეულ გეოგრაფიულ-კლიმატურ პირობებზეა დამოკიდებული. არახელსაყრელი კლიმატური პირობების გამო, მოცემული დარგი გამოირჩევა კლებადი მწარმოებლურობით, რის პარალელურადაც შეიმჩნევა მასზე ფასის ზრდაც. ფერმერი არ არის დაინტერესებული აწარმოოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, შესაბამისად, ის არ ცდილობს გაზარდოს დანახარჯები იმ ტექნიკური თუ არატექნიკური საშუალებების შეძენაზე, რაც მას დაეხმარებოდა შრომის მწარმოებლურობის მატებაში.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში აგრო სექტორში არსებული პრობლემების აღმოფხვრის, მისი განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის გაძლიერების მიზნით საჭიროა და აუცილებელია მუნიციპალიტეტში სასათბურე მეურნეობის განვითარება.

საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს ბოსტნეული კულტურების დაავადებების გავრცელება, ახალი ტექნოლოგიების სასათბურე მეურნეობა კი მაქსიმალურად იცავს ბოსტნეულს სხვადასხვა დაავადებისგან მთელი წლის განმავლობაში.

სტრატეგიული ხედვა - ბაზარზე ბოსტნეულ კულტურებზე დეფიციტის აღმოფხვრა და იმპორტირებული პროდუქციის ადგილობრივით ჩანაცვლება.

საქმიანობები სტრატეგიის რეალიზაციისათვის:

- თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საცდელ–სადემონსტრაციო სათბურების მშენებლობა;
- სასათბურე კულტურების შემოტანა და აპრობირება;
- სასწავლო–საკონსულტაციო და ტრეინინგ–სემინარების მომზადება და ჩატარება ფერმერებისათვის;
- პროდუქციის შენახვა–დასაწყობებისათვის ინფრასტრუქტურის შექმნა;
- დამხმარე ინფრასტრუქტურის სრულფასოვანი ფუნქციონირების მიღწევა (სატრანსპორტო საშუალებები, საგზაო ინფრასტრუქტურა, პერსონალი);
- მარკეტინგული არხების სწორი, თანმიმდევრული ათვისება;
- აგრო დაზღვევის პაკეტების დივერსიფიცირებისა და ასორტიმენტის გაფართოების თვალსაზრისით სადაზღვევო სექტორთან მუშაობა/თანამშრომლობა;
- საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება სასათბურე მეურნეობების განვითარებისათვის ფინანსური რესურსების მოზიდვისათვის.

მოსალოდნელი შედეგები:

- ბოსტნეული კულტურების მოსავლის ზრდა და სეზონური გაფართოება;
- მცენარეთა მავნებლებთან და რიგ დაავადებებთან საბრძოლველად სასათბურე გარემოს მოსახერხებლობით განპირობებული ეფექტის ათვისება;
- სარისკო მიწათმოქმედებითი ბუნებრივი გარემოს წინაღობის შემცირება;
- იმპორტჩამანაცვლებელი საწარმოო რესურსი გაზრდა და ხარისხობრივი უპირატესობის საბაზრო ნიშის გამყარება;
- სენსიტიური აგრო საბაზრო ფასის მცირე მასშტაბიანი სტაბილიზაციის მეტი შესაძლებლობა დასაწყობების შესაძლო ეფექტის ფარგლებში;
- ფერმერების დაზღვევა-დაკრედიტების რისკების შემცირება და სადაზღვეო სექტორის გააქტიურება აგრარულ ბაზარზე;

- ფერმერული გაერთიანებების ჩამოყალიბებისა და განვითარების ხელშეწყობა

მიზანი - მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის ფერმერული გაერთიანებების შექმნა და ფერმერთა შორის კომუნიკაციის კულტურის ჩამოყალიბება

პრობლემის აღწერა: აგრარული სექტორის შედარებით მაღალრისკიანობის გამო, აჭარაში და ზოგადად საქართველოში, გართულებულია საბანკო კრედიტების გამოყოფა და სადაზღვევო სისტემის მოცემული დარგით დაინტერესება. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აჭარის ა/რ-ში მწვავედ დგას მცირემიწიანობის პრობლემა. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა ფერმერული გაერთიანებების შექმნა, რაც არსებულ რისკებს მინიმუმამდე შეამცირებს და გაზრდის დაფინანსების მოძიების შესაძლებლობას როგორც საბანკო სექტორიდან, ასევე სხვა დონორი ორგანიზაციებისაგან. ცალკეული ფერმერის წარმოების დანახარჯები საკმაოდ დიდია, ასევე ცალკეული მეურნე ბაზრისათვის არ წარმოადგენს მნიშვნელოვან მიმწოდებელს, რაც მათ ხელს უშლით ბაზარზე დამკვიდრებაში.

ხედვა: ფერმერულმა გაერთიანებებმა უნდა უზრუნველყოს წვრილი გლეხური მეურნეობების პირობებში საწარმოო ხარჯების შემცირება და საბაზრო ინსტრუმენტების გამოყენებისათვის არსებული პოტენციალის კონსოლიდირება, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და სწორი საბაზრო ქცევის უზრუნველსაყოფად.

საქმიანობების სტრატეგიის რეალიზაციისათვის:

- ფერმერული გაერთიანებების ჩამოყალიბებისა და მათი განვითარების მხარდამჭერი მუნიციპალური პროგრამების შემუშავება;
- ფერმერებისათვის კოოპერატივების, მათი საქმიანობის ფორმებისა და სარგებლიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება (ნეგატიური წინასწარგანწყობის თავიდან აცილების მიზნით ზუსტად და ლაკონურად უნდა გამოიკვეთოს და მოსახლეობას უნდა მიეწოდოს ფერმერულ გაერთიანებებსა და კოლმეურნეობებს შორის არსებული არსებითი განსხვავებების შესახებ ინფორმაცია);
- უფასო იურიდიული კონსულტაციების გაწევა ფერმერებისათვის ამხანაგობების შექმნის პროცესში.

მოსალოდნელი შედეგები:

- წარმოების დანახარჯების მნიშვნელოვანი შემცირება;
- ბაზარზე მსხვილ მიმწოდებლად გასვლა;
- საკუთარი ბრენდის შექმნა და ბაზარზე საკუთარი სასაქონლო ნიშნით გასვლა;
- ბანკებისა და სადაზღვევო სექტორის ინტერესის გაზრდა სოფლის მეურნეობის დარგით;
- მცირე ნაკვეთების გამსხვილება ფერმერული გაერთიანებების მიერ, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს აგრარული წარმოების ზრდას და ხარჯების შემცირებას.

- სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება

მიზანი: ქობულეთს მუნიციპალიტეტში სასოფლო–სამეურნეო ინფრასტრუქტურის გამართვა და სოფლის მეურნეობის დარგის რენტაბელობის გაზრდა.

პრობლემის აღწერა: სოფლის მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით ირიგაციის მნიშვნელობა საკმაოდ მაღალია. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტში საუბრობენ საირიგაციო სისტემების დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაზე, არსებული საირიგაციო სისტემები რეალურად მაინც საჭიროებენ რეაბილიტაციას და მოდერნიზაციას, ისევე როგორც მართვის სისტემის გაუმჯობესებას.

სარწყავი სისტემები არ მოიცავენ მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიას, რიგ შემთხვევებში კი ადგილი აქვს მათ მწყობრიდან გამოსვლასა და მოშლას.

არასახარბიელო მდგომარეობაა, როგორც სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან მისასვლელ, ასევე სამთო იალაღების საგზაო ინფრასტრუქტურასთან მიმართებაში. რიგ შემთხვევებში, მეწყრული პროცესებისა და დიდი ხნის მოუვლელობის გამო, სახეზე გვაქვს გზების მნიშვნელოვანი დეგრადირება, რის გამოც სავარგულებთან მისვლა განსაკუთრებით მაღალი გამავლობის ტექნიკის გარეშე რთულია. რაც იწვევს, როგორც შრომითი - ასევე ფინანსური დანახარჯების მნიშვნელოვან ზრდას.

ხედვა: სარწყავი სისტემებით მოცული ფართობების მატება გამოიწვევს პირველადი სასოფლო-სამეურნეო საქონლის პროდუქტიულობისა და რაოდენობის ზრდას. საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ხელს შეუწყობს ტრანსპორტირების და ზედნადები ხარჯების მნიშვნელოვან შემცირებას, თანხების სოფლის მეურნეობის სფეროში რეინვესტირებას და დამატებითი ინვესტიციების მოზიდვას.

საქმიანობები სტრატეგიის რეალიზაციისათვის:

- სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია;
- საზაფხულო იალაღებზე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;
- ნიადაგისა და წყლის ხარისხობრივი მონაცემების შესწავლა და შესაბამისი სარწყავი სისტემების დამონტაჟების რეკომენდაციების გაწევა ფერმერებისათვის;
- სპეციალური საშტატო ერთეულის შექმნა რომელიც უზრუნველყოფს საირიგაციო სისტემის პერმანენტულ მონიტორინგს;
- საერთაშორისო გამოცდილებისა და ცოდნის გაცნობა და სპეციალური სახელმძღვანელო ბროშურების შექმნა (სარწყავი სისტემების სახეობების, მისი თავისებურებებისა და გამოყენების შესახებ).

მოსალოდნელი შედეგები:

- გაიზრდება სამთო იალაღების მისაწვდომობა, რაც ხელს შეუწყობს მეცხოველეობისა და მებოსტნეობის დარგის განვითარება;
- გაიზრდება საირიგაციო სისტემის გამოყენების კოეფიციენტი და ირიგირებული ფართობების რაოდენობა;
- ამაღლდება ნიადაგის ნაყოფიერება;
- სარწყავი მიწის მატების შედეგად გაიზრდება პირველადი სასოფლო სამეურნეო საქონლის პროდუქტიულობა;
- დამატებით ათვისებული იქნება ახალი სახნავი და სათესი ფართობები.

- მეფრინველეობისა და მეცხოველეობის დარგების განვითარება

მიზანი: მეფრინველეობისა და მეცხოველეობის დარგების მწარმოებლურობის ამაღლება, პროდუქციის ხარისხისა და სასაქონლო სახის სრულყოფა და დივერსიფიცირება.

პრობლემის აღწერა: მეფრინველეობა და მეცხოველეობა ქობულეთის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი ძირითადი და ტრადიციული დარგია. არსებული დარგების მიმართ ადგილობრივთა ტრადიციული დამოკიდებულება მისი შენარჩუნების არცთუ მცირე რესურსია, თუმცა ეს არ არის საკმარისი დარგის რენტაბელობის ამაღლებისათვის. არსებულ ხარვეზს ბევრი კომპონენტი განაპირობებს. კერძოდ კი ჯიშთა გამოცდისა და სელექციის არ არსებობა, საკვები ბაზის შემცირება, ფრინველთა და ცხოველთა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური საშუალებების არქონა, გასაღების ბაზრის სტრუქტურის ცვლილება/რღვევა და კვალიფიციური ცოდნის სტაგნაცია შინამეურნეობებში. მეფრინველეობისა და მეცხოველეობის დარგებისადმი ტრადიციული მიდგომისა და საკმაოდ მაღალი რენტაბელობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია დარგის სტაბილური განვითარების უზრუნველყოფა და სტიმულირება.

ხედვა: მოხდება მეფრინველეობისა და მეცხოველეობის დარგთა განვითარება და მუნიციპალიტეტის შესაბამის კლიმატურ-გეოგრაფიულ პირობებზე მორგებული სელექციური ჯიშების გამოყვანა. მეფრინველეობისა და მეცხოველეობის დარგის პროდუქტიული თვისებების ამაღლება.

საქმიანობები სტრატეგიის რეალიზაციისათვის:

- ფრინველთა ჯიშების სელექცია;
- ცხოველთა ჯიშების სელექცია;
- ფურების ხელოვნური დათესლვის გზით განაყოფიერების სისტემის დანერგვა;
- საზაფხულო იალაღებზე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;
- საკვები ბაზის გაფართოვება;

- ვეტ–სფეროში კვალიფიციური კადრების მომზადება;
- ბიოპრეპარატების შესყიდვისა და მათი სარეზერვო ფონდის შექმნის მიზნით პერმანენტული პროგრამირების განხორციელება;
- ფრინველთა და ცხოველთა პერიოდული ვაქცინაციისა და დიაგნოსტიკური გამოკვლევების წარმოება, მუნიციპალური ბიუჯეტის დაფინანსებით;
- მარკეტინგული არხების დამუშავება ბაზარზე მყარი სასაქონლო ნიშის ასათვისებლად.

მოსალოდნელი შედეგები:

- შინამეურნეობების შემოსავლების სტრუქტურაში მეფრინველეობისა და მეცხოველეობის დარგობრივი წილის ზრდა;
- მომზადდება კვალიფიციური კადრები, რომლებიც უზრუნველყოფენ ფრინველთა და ცხოველთა დაავადებების დროულად აღმოჩენასა და აღმოფხვრის საკითხებზე;
- ჩამოყალიბდება ვეტერინარული გამოკვლევების კულტურა, რაც უზრუნველყოფს ეპიდემიების და მასობრივი დაავადებების თავიდან აცილებას;
- დარგში ინოვაციებზე მოთხოვნის შექმნა და დაკმაყოფილება;
- წარმოებული პროდუქციის დივერსიფიკაცია, დამატებითი საბაზრო სეგმენტების ათვისება;
- მეფრინველეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ზრდა და დარგის გაფართოება.

21.1.3 ტურისტული პოტენციალის ათვისება და განვითარება

ტურიზმის განვითარების სტრატეგია წარმოადგენს კონცეპტუალურ ხედვას გარკვეული ხასიათის აქტივობების განსახორციელებლად, რომელთა რეალიზაცია აუცილებელია ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ეფექტური გამოყენებისა და ტურიზმის სხვადასხვა სახეობების განვითარებისთვის.

მდგრადი ტურიზმი ხელს უწყობს ტურიზმის პოზიტიურ ზემოქმედებას ბუნებაზე, კულტურასა და სოციალურ სფეროზე. ტურიზმი ქმნის სამუშაო ადგილებს, როგორც ადგილობრივ ტურიზმის სექტორში, ისე მომიჯნავე სექტორებშიც. ტურიზმის სფეროს განვითარების სტრატეგიების შემუშავება ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის განხორციელდა მდგრადი განვითარების სამი ძირითადი პრინციპის გათვალისწინებით:

1. **ეკოლოგიური მდგრადობა** - უზრუნველყოფს საბაზო ეკოლოგიური პროცესების, ბიომრავალფეროვნების და ბიოლოგიური რესურსების ერთობლივ განვითარებას. სწორი დაგეგმვისა და ეკოლოგიური საკითხების გათვალისწინების შემთხვევაში, დადებითად იმოქმედებს ეკოლოგიურ გარემოზე. ეკოლოგიური გარემო უკეთესად იზიდავს ტურისტებს და შესაბამისი საინფორმაციო კამპანიის და სათანადო აქტივობების/პროგრამების განხორციელების შემთხვევაში პერიოდულად მოხდება

ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ეკოლოგიური თვითშეგნების ამაღლება.

2. **სოციალური და კულტურული მდგრადობა** - უზრუნველყოფს ისეთ მდგრადობას, რომლის დროსაც ადამიანების ცხოვრება, მათი ერთობლივი კულტურა, ღირებულებები ყოველმხრივ დაცულია და კულტურული თვითმყოფადობა კიდევ უფრო მტკიცდება. ამ მხრივ ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის დადებითი შედეგი იქნება ადგილობრივი კულტურისა და ტრადიციების შენარჩუნების, ისტორიული ძეგლების რესტავრირების და დაცვის ხელშეწყობა. შეიქმნება რეკრეაციული ობიექტები, რომლებითაც სარგებლობის საშუალება ექნებათ არა მარტო ტურისტებს, არამედ ადგილობრივ მოსახლეობასაც.
3. **ეკონომიკური მდგრადობა** - ტურიზმის განვითარება უზრუნველყოფს პოზიტიურ ეკონომიკურ შედეგებს მუნიციპალიტეტისათვის. ეს კი თავის მხრივ ზრდის რესურსების ეფექტური გამოყენების და ამ რესურსების მომავალი თაობებისათვის შენარჩუნების გარანტიას, რადგანაც ეკონომიკური შემოსავლები რესურსების შენარჩუნება /განვითარებაზეა დამოკიდებული.

ზემოთაღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით, ტურიზმის განვითარება ხელს შეუწყობს შემდეგ პოზიტიურ შედეგების მიღწევას ქობულეთის მუნიციპალიტეტში:

- შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები, რაც შეამცირებს უმუშევრობას, ხელს შეუწყობს შრომისუნარიანი მოსახლეობის ადგილზე დამაგრებას;
- ხელს შეუწყობს მცირე ბიზნესის განვითარებას - განვითარდება ადგილობრივი მეურნეობა (სასტუმროები, რესტორნები, სატრანსპორტო სისტემა, სუვენირების წარმოება და ხალხური რეწვა, გიდების მომსახურება და სხვა);
- განაპირობებს ადგილობრივი საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას;
- ტურიზმის სწორად განვითარებისას შესაძლებელია მთიანმა რეგიონმა შესძლოს თვითდაფინანსება და შეინარჩუნოს ბუნებრივი რესურსები;
- გაიზრდება მოთხოვნა სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე;
- ხელი შეეწყობა იმ მიწების პროდუქტიულად ათვისებას, რომლებიც ნაკლებ ვარგისია სოფლის მეურნეობისათვის.

ქობულეთის სტრატეგიული განვითარების კონტექსტში, სიტუაციის და რესურსების ანალიზის შედეგად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ტურიზმის სფეროს განვითარების ორი ძირითადი მიმართულება:

ა) რამდენიმე ძირთადი ტურიზმის სახეობა, რომელზეც მოხდება ფოკუსირება;

ბ) დამხმარე სახეობები/აქტივობები, რომლებიც გაამრავალფეროვნებს ტურისტულ პროდუქტს და კიდევ უფრო საინტერესოს გახდის ტურისტულ პაკეტს.

ტურიზმის განვითარება უზრუნველყოფს პოზიტიურ ეკონომიკურ შედეგებს და ეკონომიკური განვითარების ისეთ პროცესებს, რომლებიც ხელს უწყობენ რესურსების ეფექტურ, რაციონალურ გამოყენებას და მომავალი თაობებისათვის მის შენარჩუნებას.

ა) ტურიზმის ძირთადი სახეობები

- ***ეკო-ტურიზმი*** - ეს მიმართულება გულისხმობს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბუნებაში დასვენებას. ამ მხრივა ძალიან კარგი შესაძლებლობებია - მტირალას ეროვნული პარკი, კინტრიშის ნაკრძალი, ქობულეთის დაცული ტერიტორიები, ასევე ისპაჰანის ცნობილი სპაგნუმიანი ჭაობი. ეს ადგილები როგორც ტურისტებისთვის, ისე ბიოლოგებისთვისაც საინტერესოა და მეცნიერები და სტუდენტებისთვის ცალკე ტურების დამუშავების შესაძლებლობაც არსებობს, რაც დაცულ ტერიტორიებზე არსებული ფლორის შესწავლას გულისხმობს;
- ***აგრო-ტურიზმი*** - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებობს აგრო-ტურისტული ტურების განხორციელების პოტენციალი. ეს გულისხმობს ერთი ან რამდენიმედღიანი (რამდენიმე ადგილის მონახულება) ტურის ორგანიზებას, რომლის ფარგლებშიც ტურისტებს შეეძლებათ მონაწილეობა მიიღონ სასოფლო-სამეურნეო საქმეებში, სხვადასხვა ტრადიციული კერძების მომზადებაში და სადაც ამის შესაძლებლობა იქნება ნადირობა-თევზაობაში და ა.შ. ბავშვებისთვის შესაძლებელია სპეციალური პროგრამების შემუშავება, თუ როგორ ხდება რძისა და ყველის მიღება, შინაური ცხოველების ნახვა (ცოცხალი ცხვარი, ძროხა, კურდღელი, ქათმები), სეირნობა ცხენებით.

აგროტურიზმის განვითარებისათვის ხელისშემწყობ ფაქტორებს მიეკუთვნება სოფლის მოსახლეობის ტოლერანტულობა, მიმზიდველი ბუნებრივი სოფლის ლანდშაფტების არსებობა, სოფლის ეთნიკური თავისებურებებისა და მატერიალური კულტურის, ყოფა-ცხოვრების ელემენტების არსებობა.

- ***ზღვაზე დასვენება*** - ტურიზმის საკმაოდ მნიშვნელოვანი მიმართულებაა ქობულეთის მუნიციპალიტეტში. ქობულეთი საზღვაო კურორტია და მრავალ ტურისტს იზიდავს ზაფხულის პერიოდში. ეს მიმართულება მუნიციპალიტეტის ტურისტული ინდუსტრიის მნიშვნელოვანი ნაწილია და სამომავლოდაც ტურისტების დიდი რაოდენობის ვიზიტი ზღვაზე დასვენების მიზნით განხორციელდება.
- ***კონგრეს ტურიზმი*** - ქობულეთში, 4-5 ვარსკვლავიანი სასტუმროების შემდგომი განვითარების შესაბამისად შესაძლებელია კონფერენციების, ბიზნეს შეხვედრების ჩატარებაზე ორიენტირებული ტურიზმის განვითარებაც. სასიამოვნო გარემო, ბიზნეს შეხვედრების დასვენებასთან კომბინაცია ამის კარგ შესაძლებლობას იძლევა. ტურიზმის ეს სახეობა საკმაოდ მომგებიანია.
- ***კულტურულ-შემეცნებითი და ეთნოგრაფიული ტურები*** - ქობულეთის მუნიციპალიტეტის არსებობს რამდენიმე კულტურული ძეგლები როგორიცაა - პეტრას ციხე (ციხისძირი), ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარი, თაღოვანი ხიდები (ბასრიმელას, კობალაურის, ცხემოვანის, ხინოს ეკლესია და სამონასტრო კომპლექსი. ამასთან, მუნიციპალიტეტში საინტერესოა ეთნოგრაფიული კუთხით და ფოლკლორული

ტრადიციებითაც. შესაბამისად ერთ-ერთი საინტერესო მიმართულება იქნება კულტურული/ეთნოგრაფიული ტურ-პროდუქტების დამუშავება და შეთავაზება ტურისტებისთვის. შესაძლებელია ერთდღიანი და ორდღიანი ტურების ორგანიზება.

კულტურულ-შემეცნებითი ტურისტული პროდუქტების შემადგენელ კომპონენტად შეიძლება ასევე განხილული იქნეს შემდეგი:

- ***სახალხო დღესასწაულების ჩართვა ტურისტულ პროდუქტებში*** - ქობულეთის მუნიციპალიტეტში არის რამდენიმე საინტერესო სახალხო დღესასწაული - კინტრიშის ხეობის , ჩაქვისწყლის ხეობის ზეიმი, „ქობულეთობა“ და ა.შ. დღესასწაულების პერიოდი შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვადასხვა ტურების ფორმირების დროს. მრავალი ადგილობრივი თუ უცხოელი ტურისტისთვის საინტერესო იქნება ქობულეთის მუნიციპალიტეტში განხორციელებული ტურის ფარგლებში რომელიმე დღესასწაულზე დასწრება;
- ***ფოლკლორული ელემენტების ტურისტულ პროდუქტებში ჩართვა*** - ადგილობრივი ფოლკლორი - ცეკვა, მუსიკა და ა.შ. შეიძლება განვიხილოთ ასევე ტურისტული პროდუქტის ნაწილად. ამ მხრივ, საჭიროა მუნიციპალიტეტში არსებული ფოლკლორული ანსამბლების, მოცეკვავეების და მუსიკოსების მონაცემთა ბაზის შედგენა და სხვადასხვა ტურების ფარგლებში შესაძლებელია მცირე ფოლკლორული წარმოდგენების ორგანიზება, რაც ტურს კიდევ უფრო საინტერესოს და მრავალფეროვანს გახდის.

ბ) ტურიზმის დამატებითი სახეობები, რაც შეავსებს ძირითად სახეობებს და კომპლექსში საინტერესო ტურისტული პაკეტი ჩამოყალიბდება:

- ***სამკურნალო-გამაჯანსაღებელი დასვენების ფორმები*** - ქობულეთში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ადგილი (ფიჭვნარი, ციხისძირი, სკურდას მთა), სადაც შესაძლებელია პროფილაქტიკური, კარდიოლოგიური, პულმონოლოგიური მკურნალობის მიზნით დასვენების ორგანიზება.
- ***საზაფხულო ბანაკები*** - სხვადასხვა ინსტიტუტებთან, სკოლებთან აქტიური თანამშრომლობით შესაძლებელია ერთ-ერთი მიმართულება იყოს ახალგაზრდული ბანაკების ორგანიზება ქობულეთის კურორტზე, მტირალას ეროვნულ პარკში და ა.შ..
- ***სუვენირების და ხალხური რეწვის წარმოების განვითარება*** - როგორც წესი, ადგილობრივი სუვენირები, ხალხური რეწვის ნიმუშები, ტრადიციული ნაკეთობები - საკმაო პოპულარულობით სარგებლობს ტურისტებში და გარკვეულწილად ტურისტული პროდუქტის ნაწილადაც შეიძლება განვიხილოთ. ამ კუთხით საჭიროა - მონაცემთა ბაზის ფორმირება მუნიციპალიტეტში არსებული ხალხური რეწვის ოსტატების, სუვენირების მწარმოებლების შესახებ და მათი ხელშეწყობა, რომ განავითარონ ეს საქმე. ამისთვის - შეიძლება შეიქმნას მიზნობრივი პროგრამები, შეღავათიანი სესხები მცირე მეწარმეობის განვითარებისთვის და ტურისტულ ადგილებში სპეციალური ადგილების მოწყობა სადაც შესაძლებელი იქნება მსგავსი ნაწარმის რეალიზაცია ტურისტებზე.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი დადებით მხარე ისიცაა, რომ ის ყველაზე ახლოს მდებარეობს (აჭარის სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით) ქ. ბათუმთან და ადვილად არის შესაძლებელი ერთდღიანი, ორდღიანი (ვიკენდ-ტური) ორგანიზება როგორც ტურისტების ისე ბათუმელებისთვისაც.

- **ქობულეთის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების გრძელვადიანი სამოქმედო პოლიტიკის/გეგმის შემუშავება და ტურისტული პროდუქტების ფორმირება.**

მიზანი: სტრატეგიის მთავარი მიზანია ქობულეთის მუნიციპალიტეტში ტურიზმის პერსპექტიული სახეობების იდენტიფიკაცია და მათი განვითარების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება.

პრობლემის აღწერა: დღეისათვის ქობულეთის მუნიციპალიტეტში ტურისტულ აქტივობები არაორგანიზებულ ხასიათს ატარებს. არ არის განსაზღვრული ტურიზმის განვითარების გრძელვადიანი პრიორიტეტები, არ არსებობს სამოქმედო გეგმა, ნაკლებად არის დამუშავებული სხვადასხვა ტიპის ტურ-პაკეტები.

არსებული მდგომარეობა ართულებს ტურიზმის სფეროს ორგანიზაციული ფორმით ჩამოყალიბებას, სათანადო დონის ორგანიზებული ტურისტული სერვისების შეთავაზებას და განვითარებას.

ხედვა: ტურიზმის განვითარების გრძელვადიანი პრიორიტეტების და სამოქმედო გეგმის ფორმირების მეშვეობით შესაძლებელი გახდება ყველაზე ოპტიმალური ტურისტული მიმართულებების იდენტიფიცირება და ტურიზმის განვითარებისთვის აუცილებელი კონკრეტული ნაბიჯების განსაზღვრა. ეს უზრუნველყოფს ტურიზმის განვითარების წარმართვას ორგანიზებულად და ეფექტურად. საქმიანობები გაწერილი იქნება დროში, განისაზღვრება მოკლევადიანი და გრძელვადიანი პრიორიტეტები და აქტივობები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/ორგანიზაციები.

საქმიანობები სტრატეგიის რეალიზაციისათვის: ქობულეთის მუნიციპალიტეტში ტურიზმის სფეროში არსებული მდგომარეობის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ტიპის საქმიანობების განხორციელების აუცილებლობა:

- **ტურიზმის განვითარებაზე ორიენტირებული სამუშაო ჯგუფის ფორმირება** - საჭიროა ჩამოყალიბდეს სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შევა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები, ტურისტული ადგილების თემის წარმომადგენლები და მოწვეული ტურიზმის ექსპერტები. ამ ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს როგორ დეტალური სამოქმედო გეგმის შემუშავება ისე მისი პრაქტიკაში რეალიზაცია.
- **გრძელვადიანი და მოკლევადიანი აქტივობების სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება** აუცილებელია ზოგადი ტურისტული სტრატეგიის ბაზისზე (რომელიც მოიცავს სიტუაციური ანალიზის შედეგად იდენტიფიცირებული ძირითად სტრატეგიულ

მიმართულებებს), ჩამოყალიბდეს ცალსახად განსაზღვრული კონკრეტული ნაბიჯები, რომლებიც უნდა გადაიდგას სამოქმედო გეგმის ცალკეული კომპონენტების განხორციელებისათვის.

- **მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და პრიორიტეტულობის მიხედვით ფინანსირება** სტრატეგიის საფუძველზე. სამოქმედო გეგმის შემუშავების შემდეგ, აუცილებელია შესაბამისი მიზნობრივი პროგრამების შედგენა და მათი რეალიზაციისთვის საჭირო დაფინანსების წყაროების მოძიება (ადგილობრივი, ცენტრალური ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაციები, ინვესტორები და ა.შ.);
- **ტურისტული პროდუქტების ფორმირება** - ზემოჩამოთვლილი ტურიზმის სახეობების პოტენციალის დეტალური ანალიზის საფუძველზე უნდა ჩამოყალიბდეს ტურისტული პროდუქტები მზა სახით (ტურ-პაკეტი, ტურისტული მარშრუტები) რომლის გამოყენებასაც შესძლებს კერძო სექტორი. საჭიროა ფორმირებული იქნეს კომბინირებული ტურები, რაც უფრო მრავალფეროვანს გახდის ტურისტულ პროგრამას. შესაძლებელია სხვადასხვა პერიოდულობის ტურების ორგანიზება - ერთდღიანი, რამდენიმედღიანი, ერთკვირიანი და ორკვირიანი ტურები. მაგ: ეკოტურისტული, აგრო-ტურისტული და კულტურულ-შემეცნებითი ტურის ელემენტების გაერთიანებით შესაძლებელია საკმაოდ საინტერესო რამდენიმედღიანი ან ერთკვირიანი ტურის ორგანიზება, რომლის ფარგლებშიც ტურისტები მოინახულებენ კულტურულ ძეგლებს, გაეცნობიან ეთნოგრაფიულ-ფოლკლორულ ტრადიციებს, დაისვენებენ ეკოტურისტულ ადგილებში, გაეცნობიან სოფლის გარემოს.
- ასევე მაღალი ეფექტის მიღებაა შესაძლებელი ქობულეთის ტურების კომბინირებით აჭარის რეგიონის და/ან სხვა რეგიონის/ების ტურ-პროდუქტებთან.

- **ტურისტული პაკეტების ფორმირებისთვის დამატებითი აქტივობების განვითარების ხელშეწყობა.**

აქტივობა თავის მხრივ მოიცავს:

- სახალხო დღესასწაულების ორგანიზების გაუმჯობესება და მათ შესახებ ტურისტული კომპანიების ინფორმირება;

- ფოლკლორული ელემენტების ტურისტულ პროდუქტებში ჩართვის მიზნით მუნიციპალური ფოლკლორული ანსამბლების მობილიზება, მცირე ფოლკლორული წარმოდგენების დამუშავება და ტურისტულ კომპანიებისთვის ამ შესაძლებლობების გაცნობა;

- სუვენირების და ხალხური რეწვის წარმოების განვითარების ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამები - რეგიონში არსებული ხალხური რეწვის ოსტატების და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ჩამონათვალის დეტალური ბაზის შექმნა. მათ მიერ წარმოებული პროდუქციის სარეალიზაციო სავაჭრო ადგილის იდენტიფიცირება (საჭირო შემთხვევაში არსებულის მოდერნიზაცია ან ახლის შექმნა) - ეს შეიძლება იყოს ქობულეთის ცენტრში არსებული ტურისტულ-საინფორმაციო ცენტრი.

მოსალოდნელი შედეგები:

- სამუშაო ჯგუფის ფორმირება უზრუნველყოფს დაგეგმვის და განხორციელების პროცესის ეფექტურ კოორდინაციას;
- სამუშაო ჯგუფში უნდა შედგებოდეს თვითმმართველობის ორგანოების, ტურიზმის სფეროს ექსპერტების, თემების და დაინტერესებული ჯგუფების წარმომადგენლებისაგან;
- გრძელვადიანი და მოკლევადიანი დეტალური სამოქმედო გეგმის ფორმირება უზრუნველყოფს ტურიზმის განვითარებისთვის აუცილებელი პრაქტიკული ნაბიჯების ორგანიზებულად, პრიორიტეტულობის მიხედვით თანმიმდევრულ განხორციელებას;
- მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირებით შესაძლებელი გახდება სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული აქტივობების რეალიზაცია, მათ შორის არასაბიუჯეტო ფინანსური რესურსების გამოყენებით, რაც აუცილებელია ტურიზმის განვითრების გეგმის განხორციელებისთვის;
- არსებული ტურისტული რესურსების შესაბამისი ტურ-პროდუქტების ფორმირება, ხელს შეუწყობს ორგანიზებული ფორმის ტურისტული სერვისის შეთავაზებას, კერძო სექტორის ჩართულობის ამაღლებას და შესაბამისად ტურისტების მოზიდვას. ტურ-პაკეტები შეიძლება იქნეს შეთავაზებული როგორც ტურ-კომპანიებისთვის ისე ცალკეული ტურისტებისთვის;

ტურისტული პაკეტების ფორმირებისთვის დამატებითი აქტივობების განვითარების ხელშეწყობა კიდევ უფრო საინტერესოს და მრავალფეროვანს გახდის ტურისტულ პაკეტებს, და გაზრდის ტურისტების დაინტერესების შესაძლებლობებს.

- ## ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

მიზანი - ქობულეთის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება, რაც გულისხმობს გზების, ტრანსპორტის, კომუნალური სისტემების და ა.შ. მოწესრიგებას, ტურისტების მიღება-განთავსების, დასვენებისა და გართობის ობიექტების მშენებლობას.

საჭიროება - გარდა ტურისტული რესურსების არსებობისა, ტურიზმის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სათანადო ტურისტული ინფრასტრუქტურის არსებობას. როგორც სიტუაციის ანალიზი გვიჩვენებს, ამ ეტაპზე ქობულეთის მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურა საკმაოდ დაბალ დონეზეა წარმოდგენილი და მოითხოვს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. ეს აუცილებელია, როგორც ტურისტების მოზიდვის ისე კერძო სექტორის გააქტიურების მიზნითაც.

სტრატეგიული ხედვა - ტურისტული ინფრასტრუქტურის სხვადასხვა ელემენტების გაუმჯობესება შექმნის სათანადო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას ხარისხიანი ტურისტული

სერვისის შეთავაზებისთვის. აღნიშნული ხელს შეუწყობს ტურისტული კომპანიების დაინტერესებას, დაიწყონ მუნიციპალიტეტში არსებულ ტურისტულ ადგილებში ტურისტული ჯგუფების ორგანიზებული შემოყვანა. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება ასევე დადებითად იმოქმედებს ინდივიდუალური ტურისტების მოზიდვაზე..

აქტივობები სტრატეგიის რეალიზაციისათვის: ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- ***გზების მოწესრიგება*** - გარდა მთავარი მაგისტრალისა, აუცილებელია შიდა გზების, ტურისტულ ძეგლებთან მისასვლელი გზების და ბილიკების მოწესრიგება. ხშირ შემთხვევაში ეს შეიძლება შემაფერხებელი ფაქტორი იყოს ტურისტების გარკვეული კატეგორიისთვის;
- ***საგზაო ნიშნები*** - აუცილებელია თანამედროვე სტანდარტების გზის მანიშნებლების დადგმა, რომელიც შესრულებული იქნება ორ ენაზე (ქართულ-ინგლისური). ამასთან, მსგავსი ნიშნები უნდა იყოს როგორც მთავარ მაგისტრალზე ისე შიდა გზებზეც, ტურისტებისთვის ორიენტაციის გამარტივებისათვის;
- ***ტურისტულ-საინფორმაციო დაფები (მასზე დატანილი ტურისტული რუკით)*** - საჭიროა მსგავსი დაფების რამდენიმე ადგილას განთავსება (მაგ: ქობულეთის ცენტრი, მტირალას ეროვნული პარკი, დაცული ტერიტორიები და ა.შ.), რაც ხელს შეუწყობს ტურისტებს ადგილზე ორიენტაციაში და ამავე დროს საინფორმაციო/სარეკლამო დანიშნულებაც ექნება.
- ***საინფორმაციო აბრები*** - კულტურულ-ისტორიულ ძეგლებთან საჭიროა ორენოვანი საინფორმაციო აბრების/დაფების განთავსება, რომელიც გარკვეულ ინფორმაციას იძლევა ამ ძეგლების შესახებ;
- ***სანიტარულ-ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფა.***
    - ნაგვის ყუთები ტურისტულ ადგილებში - აუცილებელია ძირითად ტურისტულ ადგილებში;
    - ეკო-ტუალეტები/საპირფარეშოების მოწესრიგება - მეტად მნიშნველოვანი პრობლემაა და აუცილებლია მისი მოგვარება. საჭიროა მთავარ მაგისტრალზე, მნიშვნელოვან ტურისტულ ადგილებსა და კულტურულ-ისტორიულ ძეგლებთან თანამედროვე სტანდარტების საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოწყობა, ხოლო იმ ადგილებში, სადაც შეუძლებელია სტაციონალური საპირფარეშოების მშენებლობა და ფუნქციონირება, ეკო-ტუალეტების განთავსება.
- ***ტრანსპორტი*** - ამჟამად არსებული შედარებით მოძველებული და გაუმართავი სამარშრუტო ტაქსების ჩანაცვლება ახალი სატრანსპორტო საშუალებებით, რაც მგზავრობას უფრო კომფორტულს გახდის; ტურისტული სეზონისთვის ღია ტიპის სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება, განსაკუთრებით სანაპირო ზოლში
- ***განთავსების ობიექტები*** - სანაპირო ზოლზე საკმაო რაოდენობის სასტუმროებია განთავსებული, თუმცა შეინიშნება მაღალი კლასის სასტუმროების და კონფრენც

დარბაზების ნაკლებობა. ტურისტების განთავსებისათვის საზღვაო ზოლიდან დაშორებულ ტურისტულ ადგილებში ადგილობრივი ტრადიციების შესაბამისი სახლების ქსელის განვითარება, რომელიც ხაზს უსვამს ადგილობრივ ტრადიციებს. ამ კუთხით ერთის მხრივ საჭიროა მუნიციპალიტეტში არსებულ სხვადასხვა ტურისტულ ადგილებში სასტუმრო სახლების /კოტეჯების ქსელის განვითარების ხელშეწყობა კერძო ინვესტიციების მოზიდვის / დაინტერესების მეშვეობით. მეორე მხრივ კი გარდა ახალი კოტეჯების/სასტუმრო სახლების მშენებლობისა გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაბამის ტურისტულ ადგილებში ადგილობრივი მოსახლეობის (ვინც დაინტერესებულია ტურისტების მიღებით) სახლების გამოყენებაც ტურისტული მიზნებით. ამ მხრივ საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან დახმარება, რომ სახლებს დაუბრუნდეს ტრადიციული ისტორიული, არქიტექტურული იერსახე, როგორც ექსტერიერში, ასევე ინტერიერშიც. ასეთ სახლებს უნდა ქონდეს შემდეგი ელემენტები: ცალკე საძინებელი ტურისტებისთვის, საშხაპე და ტუალეტი.

- ***კვების ობიექტები*** - თავად ქობულეთში საკმარის რაოდენობაა კვების ობიექტებია, მაგრამ აქაც არსებობს ახალი, თანამედროვე ტიპის ბარების, რესტორნების განვითარების საჭიროება, რომელიც ორიენტირებული იქნება როგორც საშუალო ისე მაღალშემოსავლიან სეგმენტზე. ასევე კარგი იქნება სანაპირო ზოლიდან დაშორებულ ტურისტულ ადგილებში რამდენიმე რესტორნის ან კაფეს გაკეთება, რაც სასურველია თუ იქნება ტრადიციულ სტილში/დიზაინში გადაწყვეტილი და ტურისტებს შესთავაზებს ადგილობრივ კერძებზე ორიენტირებულ მენიუს.

– ***საპიკნიკე და კემპინგის ადგილების კეთილმოწყობა*** - მნიშნველოვან ტურისტულ ადგილებში კემპინგის და პიკნიკის ორგანიზებისთვის აუცილებელი მინიმალური ინფრასტრუქტურის შექმნა. ეს გულისხმობს - საპიკნიკე ადგილებში ხის მაგიდების და სკამების გაკეთება, კემპინგისთვის ადგილების გამოყოფა სადაც იქნება ასევე საშხაპეები, ნაგვის ჩასაყრელი ურნები და ა.შ. ასევე კარგია თუ რამდენიმე ადგილას მაგ: ქობულეთის სანაპირო ზოლში (არა ცენტრალურ ადგილას), დაცულ ტერიტორიებზე ორგანიზებული იქნება კემპინგისთვის საჭირო მოწყობილობის არენდის სერვისი.

- ***ტურისტული საინფორმაციო ცენტრის გაუმჯობესება.*** მიზანშეწონილია არსებული ტურისტულ-საინფორმაციო ცენტრის მოდერნიზაცია, რაც გულისხმობს შემდეგს:

  - ვიზუალური მხარის გაუმჯობესება - აქცენტი გაკეთდეს ადგილობრივი რეგიონისთვის დამახასიათებელ დიზაინზე;
  - რეალური და ზუსტი საინფორმაციო ბაზის ფორმირება - ტურისტს უნდა შეეძლოს მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია რეგიონის, მარშრუტების, სასტუმრო სახლების, მთის კულტურისა და ყოფის შესახებ;
  - ცენტრების მომსახურების სახეობების გამრავალფეროვნება -საჭიროების შემთხვევაში ტურისტს უნდა შეეძლოს დაიქირაოს ცხენი, კარავი ან საძილე ტომარა, მოძებნოს გამყოლი, შეიძინოს ადგილობრივი პროდუქტები და ადგილობრივი რეწვის ნიმუშები: ნაქსოვი, ნაქარგი, ჭედური, ხის საოჯახო ნაკეთობები და ა. შ. ცენტრის თანამშრომლები უნდა ფლობდნენ სალაპარაკო

დონეზე მაინც 1-2 უცხო ენას. ცენტრის შენობაზე უნდა იყოს აბრა/საინფორმაციო აბრა - სადაც მითითებული იქნება საკონტაქტო ტელეფონი/ელ.ფოსტა იქ მომუშავე თანამშრომლების, რათა ნებისმიერ ტურისტს თუნდაც არასამუშაო საათებში შეეძლოს საჭირო ინფორმაციის მიღება.

მოსალოდნელი შედეგები:

- გაუმჯობესდება შიდა გზების სისტემა;
- მოწესრიგდება სატრანსპორტო სისტემა;
- მოწესრიგდება კომუნალური სისტემა;
- საგზაო ნიშნების, ტურისტულ საინფორმაციო დაფები და საინფორმაციო განთავსება - ხელს შეუწყობს ტურისტების ინფორმირებას საინტერესო ტურისტული ადგილების შესახებ;
- გზებზე და ტურისტულ ადგილებში ნაგვის ყუთების, საპირფარეშოების მოწესრიგება მნიშნველოვანად გააუმჯობესებს ეკოლოგიურ სისუფთავის და ტურისტებისთვის საჭირო ნორმალური სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვას;
- ტურისტული საინფორმაციო ცენტრის საქმიანობის გაუმჯობესება ხელს შეუწყობს ტურისტების ინფორმირების გაუმჯობესებას და დამატებითი სერვისების მიწოდებას.
- ტურისტებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამოყალიბება (სასტუმრო სახლები, კვების ობიექტები, კემპინგი/საპიკნიკე ადგილები) მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ტურისტებისთვის საჭირო დასასვენებელი ინფრასტუქტურას და პოზიტიურად იმოქმედებს ტურისტების დაინტერესების გაზრდაზე;
- გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა კიდევ უფრო საინტერესოს გახდის ტურისტებისთვის ქობულეთის მუნიციპალიტეტში დასვენებას, რაც თავის მხრივ გაზრდის დასვენების ხანგრძლივობას.

- კვალიფიციური კადრების ფორმირება ტურისტულ სექტორისათვის

მიზანი: ქობულეთის მუნიციპალიტეტში მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება ტურისტული სერვისების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

პრობლემის აღწერა: ტურიზმის შემდგომი განვითარება დამოკიდებულია შესაბამისი დონის ტურისტული სერვისების ფორმირებაზე, რის მთავარ წინაპირობასაც ტურიზმის სფეროში კვალიფიციური კადრების არსებობა წარმოადგენს. ქობულეთის მუნიციპალიტეტში დღეისათვის კვალიფიციური კადრების დეფიციტია - არ არსებობს კადრები, ვინც კარგად იცნობს ტურისტული სერვისების სპეციფიკას, ტურისტული ბიზნესის მართვის თავისებურებებს და ა.შ. არსებული მდგომარეობა სერიოზულ პრობლემას ქმნის ტურიზმის შემდგომი განვითარების კუთხით. შესაბამისად, აუცილებელია მიზანმიმართული აქტივობების განხორციელება ტურიზმის სფეროში კადრების მომზადებისთვის.

ხედვა: ქობულეთის მუნიციპალიტეტში კვალიფიციური კადრების მომზადება ხელს შეუწყობს ტურისტული სერვისების გაუმჯობესებას, რაც თავის მხრივ კიდევ ერთი დამატებით

პოზიტიური ფაქტორი იქნება ტურიზმის განვითარებისა და ტურისტების მოზიდვისათვის. პროგრამა ხელს შეუწყობს ასევე ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ტურისტული ბიზნესის ორგანიზების შესახებ საჭირო ცოდნის მიღებას, რის შედეგადაც ისინი შეძლებენ ტურიზმის სფეროში მცირე ბიზნესის წამოწყებას. საბოლოო ჯამში კი ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს სოციალურ-ეკონომიკური ფონის გაუმჯობესებას დასაქმების ზრდის და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ხარჯზე.

საქმიანობები სტრატეგიის რეალიზაციისათვის: ტურიზმის განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია შესაბამისი სერვისის დონის შეთავაზება ტურისტებისთვის, რაც თავის მხრივ პირდაპირ კავშირშია კვალიფიციური კადრების არსებობასთან. ამ კუთხით მიზანშეწონილია შემდეგი აქტივობების განხორციელება:

- კადრების მომზადება/ტრენინგი - შესაბამისი სასწავლო პროგრამის განხორციელება, რომლის ფარგლებშიც არსებული გესთჰაუზების მფლობელებისთვის და ტურიზმის სფეროთი დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის ჩატარდება ტურისტულ სერვისის სფეროში მოკლევადიანი, პრაქტიკული ხასიათის ტრენინგები და მოხდება მათი გიდებად მომზადება და ტურისტული მომსახურებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების შესწავლა;

- ტრადიციული-ეთნოგრაფიული უძველესი ხელობების აღდგენა - მაგ. მეთუნეობა, მედურგლეობა, ქსოვილის დამზადება, ფარდაგებისა და ხალიჩების მოქსოვა, თექის დამზადება და სხვა. რისთვისაც აუცილებელია ადგილზე ახალგაზრდებისთვის სასწავლო კურსების ორგანიზება.

- ქობულეთის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების კოორდინატორის შტატის შექმნა - აუცილებელია მინიმუმ 1 ან 2 საშტატო ერთეულის შექმნა, რომლებიც კოორდინაციას გაუწევდნენ ყველა იმ საქმიანობას, აქტივობას, შეხვედრებს და ა.შ., რაც დაკავშირებულია ტურიზმის განვითარებასთან. ტურიზმის კოორდინატორი იქნებოდა შუალედური რგოლი - ადგილობრივ თვითმმართველობას, კერძო სექტორს, მედიას, მოსახლეობას და სხვა სტეიქჰოლდერებს შორის.

მოსალოდნელი შედეგები

- ქობულეთის მუნიციპალიტეტში მომზადდება კვალიფიციური კადრები ტურისტული სერვისის სფეროში;
- გაუმჯობესდება ტურისტული სერვისის ხარისხი;
- ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ტურისტული ბიზნესის მართვის თავისებურებების გაცნობა დაეხმარება მათ ბიზნეს აქტივობების წამოწყებაში;
- ტრადიციული-ეთნოგრაფიული ხელობების შენარჩუნება-აღდგენა დამატებით საინტერესო კომპონენტს შექმნის ტურისტებისთვის;

- ტურიზმის განვითარების კოორდინატორის შტატის შექმნა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ტურიზმის განვითარების პროგრამების ეფექტურ კოორდინაციას, რაც აუცილებელია სათანადო შედეგების მისაღწევად.

- **ტურისტული პოტენციალის პრომოუშენი და სარეკლამო-საინფორმაციო საქმიანობის სამოქმედო გეგმა**

მიზანი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის აქტიური პრომოუშენი ეფექტური მარკეტინგულ-სარეკლამო გეგმის შემუშავების და რეალიზაციის გზით.

პრობლემის აღწერა: ტურიზმის შემდგომი განვითარებისთვის, გარდა ტურისტული პროდუქტის ფორმირების, შესაბამისი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების და სათანადო ტურისტული სერვისის შეთავაზებისა, აუცილებლია აქტიური სარეკლამო-საინფორმაციო კამპანიის განხორციელება. როგორც არსებული სიტუაციის ანალიზი გვიჩვენებს, ქობულეთის ტურისტული პოტენციალის შესახებ საკმარისი ინფორმაციას არ ფლობენ არც ტურისტული კომპანიები და არც პოტენციური ტურისტები (როგორც ადგილობრივი ისე უცხოელი).

ხედვა: ქობულეთის მუნიციპალიტეტის შესახებ საინფორმაციო-სარეკლამო მასალების შექმნა, ეფექტური საინფორმაციო-სარეკლამო კამპანიის დაგეგმვა (ტრადიციული მედია და ინტერნეტ/სოციალური მედია) და რეალიზაცია უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის აქტიურ რეკლამირებას, პოტენციური ტურისტების და სტეიქჰოლდერების ინფორმირებას ტურისტული პროდუქტების შესახებ. ეს კი თავისი მხრივ მნიშნველოვან გავლენას იქონიებს ქობულეთი, როგორც ტურისტული ის იმიჯის ფორმირებაზე, ტურისტების მოზიდვაზე და კერძო სექტორის (ტურკომპანიები, ინვესტორები) დაინტერესებაზე.

საქმიანობები სტრატეგიის რეალიზაციისთვის: ტურისტული პოტენციალის პრომოუშენის და რეკლამირების გეგმა მოიცავს შემდეგ ძირითადად ელემენტებს:

- **სარეკლამო/PR სტრატეგია** - ქობულეთის შესახებ შემდეგი სახის პრეზენტაციების მომზადება:
    - **ვიდეო-პრეზენტაცია** - რამდენიმე წუთიანი ვიდეო-რგოლის დამზადება, რომელიც სრულად ასახავს ქობულეთის ტურისტულ პოტენციალს;
    - **Power point პრეზენტაცია** - პრეზენტაცია ფოტოებით/ტექსტებით მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის შესახებ;
    - **ფოტო-ბანკის ფორმირება** - ქობულეთის მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული ადგილების შესახებ გადაღებული ფოტო-კოლექციის ფორმირება. ფოტოები შეიძლება გამოყენებული იქნეს მრავალი დანიშნულებით - ვებ-გვერდისათვის, Power point პრეზენტაციებისათვის, სოციალურ ქსელებში განთავსებისათვის და ა.შ. ფოტო-კოლექციის ფორმირებისთვის მიზანშეწონილია შესაბამისი ფოტო-კონკურსის ორგანიზება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ

ფოტოგრაფები როგორც აჭარის, ისე საქართველოს სხვა რეგიონებიდან. ფოტო-კონკურსი შესაძლებელია მოიცავდეს ნომინაციას რამდენიმე მიმართულებით - ტურისტული ადგილები, პეიზაჟები და პორტრეტების ტიპის ფოტოები. ფოტოკონკურსის ფარგლებში მიზანშეწონილია პოპულარულ ქართულ ფოტოსაიტებთან (მაგ: www.boke.ge, www.graf.ge) თანამშრომლობა.

- **ტურისტული ბუკლეტების და სამარშრუტო რუკების მომზადება** - ქობულეთის მუნიციპალიტეტის შესახებ რამდენიმე-ენოვანი (ქართული-ინგლისური-რუსული-თურქული) ბუკლეტების მომზადება. ბუკლეტების მომზადება უნდა მოხდეს უცხოური ანალოგების გათვალისწინებით. როგორც წესი, სოფლის ტურიზმის სარეკლამო მასალები უხვად არის ილუსტრირებული გლეხის კარმიდამოს ამსახველი ფერადი ფოტოებით, მიმღები მუნიციპალიტეტის შესახებ ვრცელი ინფორმაციით, განსაკუთრებით ადათ-წესებისა და ტრადიციების შესახებ. მომზადებული საინფორმაციო-სარეკლამო მასალები ფართოდ უნდა გავრცელდეს ტურისტულ კომპანიებს, ტურიზმის დეპარატამენტის საინფორმაციო ცენტრებს შორის და ტურისტულ გამოფენებზე.

- **PR აქტივობები** - გარდა სარეკლამო მიმართულებისა, საჭიროა შესაბამისი PR აქტივობების ორგანიზებაც, რაც გულისხმობს შემდეგს:
  - რამდენიმე ადგილობრივ ან ცენტრალურ ჟურნალ-გაზეთებთან თანამშრომლობა ქობულეთის ტურისტული ადგილების შესახებ საინფორმაციო-საიმიჯო სტატიების გამოქვეყნების მიზნით. მაგ: გაზეთი „აჭარა“, „ბათუმელები“, ტურისტული გამოცემა „ტურიზმი და დასვენება“ (www.davisvenot.ge);
  - სხვადასხვა ტიპის გამოფენებზე (ტურისტული და ა.შ.) პრეზენტაციების წარდგენა ქობულეთის მუნიციპალიტეტის შესახებ;
  - საგანმანათლებლო დაწესებულებებში პრეზენტაციების ორგანიზება ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტურისტული ადგილების პოპულარიზაციის მიზნით.

- **ინტერნეტ მარკეტინგი/სოციალური მედია მარკეტინგის სტრატეგია.**

დღეისათვის ტურიზმის სფეროში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მარკეტინგის და სარეკლამო/საინფორმაციო მიმართულებით ინტერნეტის და სოციალური მედიის გამოყენებას. სოციალურ ქსელებში (Facebook, Twitter, YouTube, და სხვ.) ადამიანთა რაოდენობა დღითიდღე მატულობს. სოციალური ქსელი facebook დღესდღეობით საქართველოში ყველაზე პოპულარული ვებ-სივრცეა და პოპულარულ საიტებს შორის პირველ ადგილს იკავებს. ზოგადად facebook ინფორმაციის მიღება-გაცემასა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში უდიდეს როლს თამაშობს. 2011 წლის ივნისის მონაცემების მიხედვით, facebook-ის საქართველოში დარეგისტრირებულ მომხმარებელთა საერთო რაოდენობა 615’960 იუზერს შეადგენს. მსოფლიო მასშტაბით კი საერთო ჯამში სოციალური ქსელი 700 მილიონზე მეტ მომხმარებელს ითვლის. აქედან 300 მილიონი ადამიანი ყოველდღიურად შემოდის ქსელში. შესაბამისად, მიზანშეწონილია ქობულეთის

მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის შესახებ სრული ინტერნეტ/სოციალური მედია მარკეტინგის პაკეტის შექმნა, რაც გულისხმობს შემდეგს:

- ვებ-გვერდი. რამდენიმე ენოვანი (ქართული, ინგლისური, რუსული) ტურიზმზე ორიენტირებული ვებ გვერდის შექმნა, რომელიც ასახავს ქობულეთის ტურისტულ პოტენციალს და წარმოდგენილი იქნება ტურისტებისთვის საჭირო ყველა ტიპის ინფორმაცია;
- Facebook გვერდი - ფეისბუქზე ქობულეთის ტურისტული პოტენციალის ამსახველი გვერდის არსებობა სოციალური მედია მარკეტინგის აუცილებელი კომპონენტია. მომხმარებლები, რომლებიც „დაალაიქებენ“ ფეისბუქის გვერდს (ანუ გახდებიან ე.წ. „გვერდის ფანი“) თავის ფეისბუქ გვერდის კედელზე მიიღებენ ინფორმაციას მის მიერ მოწონებული გვერდებიდან. შესაბამისად, რაც მეტი „ფანი“ ჰყავს გვერდს - სიახლე მით უფრო მეტ ადამიანს მიეწოდება. ამასთან საინტერსო სიახლეებს, ფოტოებს, ვიდეო-მასალას ადამიანები როგორც წესი თავის მეგობრებსაც უზიარებენ და შესაბამისად საკმაოდ ბევრი ადამიანი ნახულობს. გამოქვეყნებულ ნებისმიერ მასალას (ფოტო, ვიდეო თუ ტექსტურს) იღებს იგივე პრიორიტეტით, რასაც თავისი მეგობრებისგან. ეს ხელს შეუწყობს ასევე პოტენციურ ტურისტებთან/მომხმარებლებთან პირდაპირი კონტაქტის განვითარებას - მათი მოსაზრებების, შენიშვნის გათვალისწინებას.
- Flickr - ფოტოალბომის შექმნა პოპულარულ ფოტო-საიტზე Flickr-ზე. ესეც ერთგვარი დამატებითი საშუალებაა ფოტოების განთავსების მეშვეობით პოტენციური ტურისტების დაინტერესებისთვის.
- Youtube - ქობულეთის შესახებ ოფიციალური Youtube არხის მომზადება, სადაც განთავსდება როგორც ოფიციალური პრომო-ვიდეო რგოლები, ასევე ქობულეთის შესახებ სატელევიზიო გადაცემების ვიდეო-რგოლები, ტურისტების ან მოყვარულების მიერ გადაღებული საინტერესო ვიდეო-მასალები და ა.შ.
- ბლოგი - ქობულეთის შესახებ ინტერნეტ-ბლოგის (ინტერნეტ ჟურნალი/დღიური) შექმნა. ტურისტული პოტენციალის შესახებ მოხდება პოსტების/სტატიების გამოქვეყნება (თანდართული ფოტო-ვიდეო მასალებზე ბმულების მითითებით). ეს ხელს შეუწყობს ერთგვარი ვირტუალური „ქომუნითის“ (ჯგუფის) ფორმირებას და ინფორმაციის გავრცელებას. ამ მიზნით ეფექტური იქნება რომელიმე პოპულარული ქართველი ბლოგერის გარკვეული პერიოდით ჩართულობა ბლოგის პოპულარიზაციის მიზნით.

სოციალური მედია მარკეტინგის საკითხი კრიტიკული მნიშვნელობისაა შემდეგი მიზეზის გამო: ტურისტული პროდუქტები, როგორც არამატერიალური პროდუქტი, შეუძლებელია შეფასებული იქნეს მის გამოყენებამდე. შესაბამისად, ტურისტებისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ძალიან მნიშვნელოვანია მოცემული ტურისტული პროდუქტის სხვა მომხმარებლების შეფასებები. სოციალური მედია ხელს უწყობს მომხმარებლებს შორის ტურისტულ პროდუქტების შესახებ მოსაზრებების და შეფასებების გაზიარებას. ამ ურთიერთობებმა შეიძლება არ მიგვიყვანოს გაყიდვების უცებ გაზრდამდე, მაგრამ რადგანაც

ნდობა, იმიჯი იზრდება ამ ინდუსტრიაში პოზიტიური ურთიერთობების ფორმირების საშუალებით, გარკვეული პერიოდის შემდეგ მოხდება ახალი ტურისტული ადგილების მიმართ დაინტერესების ზრდა. სხვადასხვა სოციალური არხების აქტიური გამოყენება (Facebook, Twitter, Youtube, Blogs და ა.შ), კარგად დაგეგმილ მარკეტინგულ სტრატეგიასთან კომბინაციაში, წარმატების მნიშვნელოვანი საფუძველი იქნება ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტურისტული ადგილების შესახებ პოზიტიური ინფორმაციის გავრცელების, დაინტერესების და პოზიტიური/მიმზიდველი იმიჯის ფორმირების საქმეში.

- **საინფორმაციო/მონაცემთა ბაზის ფორმირება**

საქმიანობის ფარგლებში უნდა განხორციელდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტში ტურიზმთან დაკავშირებული ობიექტების და სერვის პროვაიდერების შესახებ საინფორმაციო ბაზის ჩამოყალიბება, რაც უზრუნველყოფს მაქსიმალურად დეტალური მონაცემების მოგროვებას, ისეთ მიმართულებებზე, როგორიცაა:

- სასტუმრო ობიექტები/სასტუმრო სახლები „გესთჰაუზები“;
- რესტორნები;
- ტურ-გიდები;
- ფესტივალები და სახალხო დღესასწაულები;
- მნიშნელოვანი სამთავრობო, კერძო და საზოგადოებრივი დანიშნულების ორგანიზაციები (მათ შორის - ბანკები, საავადმყოფოები, მაღაზიები და ა.შ.);
- ტურისტებისთვის საჭირო ყველა სახის სხვა ინფორმაცია.

მონაცემთა ბაზა განთავსებული უნდა იქნეს ინტერნეტ-გვერდზე და გამოცემული ბეჭდური სახით.

- **საზოგადოებრივი ინფორმირების კამპანიის წარმოება.**

მუნიციპალიტეტში ტურიზმის სფეროს განვითარება წარმოუდგენელია მოსახლეობის ფართო მასების მონაწილეობის გარეშე. შესაბამისად, მათი ჩართულობის მიღწევის მიზნით აუცილებელია მოსახლეობის ინფორმირებულობისა და ცოდნის დონის ამაღლება ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე.

საინფორმაციო კამპანია უნდა წარიმართოს ორი ძირითადი მიმართულებით:

- ადგილობრივი მოსახლეობისთვის ტურიზმის განვითარების სტრატეგიის, მისი რეალიზაციის მეთოდების და მოსალოდნელი შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. კამპანია გულისხმობს ტურისტული პოტენციალის მქონე ადგილებში ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრების ორგანიზებას, რომლის დროსაც მოხდება დეტალური ინფორმაციის მიწოდება - თუ რა იგეგმება ტურიზმის განვითარების კუთხით ქობულეთის მუნიციპალიტეტში, როგორ არის შესაძლებელი მოსახლეობის ჩართვა ტურიზმის სფეროში, რა დადებითი შედეგები მოყვება ამ დარგის განვითარებას შემოსავლების ზრდის და დასაქმების კუთხით, რა მიზნობრივი პროგრამები იგეგმება

ადგილობრივი თუ რეგიონალური მთავრობის მიერ კადრების გადამზადების ან მცირე ბიზნესის ხელშეწყობის კუთხით და სხვა ინფორმაცია;

- ეკოლოგიურ საკითხებზე საზოგადოებრივი ინფორმირების კამპანია (Public awareness campaigns). კამპანიის ფარგლებში უნდა ჩატარდეს საგანანმანათლებლო შეხვედრები ეკოლოგიის დაცვის, ბუნების დანაგვიანების პრობლემების, ტურიზმის განვითარებაზე ეკოლოგიური მდგომარეობის გავლენის შესახებ და ა.შ.;
  კამპანიის ფარგლებში მიზანშეწონილია ერთგვარი „დასუფთავების“ აქციების პერიოდული ორგანიზება ტურისტულ ადგილებში, რომელიც მიმართული იქნება საყოფაცხოვრებო ნარჩენებით ბუნების დანაგვიანების წინააღმდეგ.

- **ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობა.**

  მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით უნდა განხორციელდეს სხვადასხვა ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობა, მათ შორის - თბილისში და ბათუმში ორგანიზებულ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში. უცხოეთში ორგანიზებულ გამოფენებში მონაწილეობა დიდ ფინანსურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული და ნაკლებად რეალიზებადია, თუმცა შესაძლებელია აჭარის ა.რ. ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტთან თანამშრომლობა საერთაშორისო გამოფენებზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის წარდგენისათვის.

მოსალოდნელი შედეგები :

- შეიქმნება ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ამსახველი ელექტრონული და ბეჭდვითი საინფორმაციო-სარეკლამო მასალები;
- აქტიური სარეკლამო/მარკეტინგული გეგმა უზრუნველყოფს არსებული ტურისტული პოტენციალის წარმოჩენას და პრომოუშენს როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო ბაზარზე;
- ჩამოყალიბდება ინტერნეტ სივრცეში და სოციალური მედიაში ქობულეთის ტურისტული ადგილების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისა და ტურისტული პროდუქტების პრომოუშენის პრაქტიკა, რაც უზრუნველყოს ინფორმაციის გავრცელებისა და უკუკავშირის მაღალეფექტური მექანიზმების ამოქმედებას;
- გაიზრდება ქობულეთის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების სტრატეგიის საინფორმაციო უზრუნველყოფის ხარისხი. მუნიციპალიტეტის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება ყველა შესაძლო დაინტერესებულ მხარეს - კერძო სექტორი/ტურ-კომპანიები, ტურისტები, სტუდენტები, მედია და ა.შ., რაც გამოიწვევს მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლებას და მათ დაინტერესებას ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალით.

- **თანამშრომლობა სხვადასხვა სტეიქჰოლდერებთან**

მიზანი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ეფექტური გამოყენების და ტურიზმის განვითარებისთვის საჭირო აქტივობების განხორციელების მიზნით სხვადასხვა სტეიქჰოლდერებთან აქტიური თანამშრომლობა და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა.

პრობლემის აღწერა: არსებულ ეტაპზე, მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია სტეიქჰოლდერებთან თანამშრომლობის ნაკლებობა. ტურიზმის განვითარება მოითხოვს აქტიურ თანამშრომლობას სხვადასხვა მხარეებთან - რეგიონალური/ცენტრალური მთავრობა, ბიზნეს სექტორი, ადგილობრივი მოსახლეობა და ა.შ., რაც ამ ეტაპზე არ მიმდინარეობს, ან მიმდინარეობს განცალკევებულად, მხოლოდ ერთ ან ორ სტეიკჰოლდერთან.

ხედვა: თანამშრომლობის გააქტიურება სხვადასხვა ორგანიზაციებთან, და მათი ჩართულობის დონის ამაღლებით ქობულეთის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების და პროგრამების განხორციელება.

საქმიანობები სტრატეგიის რეალიზაციისთვის:

ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობა. ტურიზმის სფეროს განვითარებისა და ტურისტების მოზიდვისათვის აუცილებელია მჭიდრო თანამშრომლობა ბიზნეს სექტორის იმ წარმომადგენლებლთან, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი რესურსები (მატერიალური, ფინანსური, ორგანიზაციული) და შეუძლიათ დადებითი გავლენა იქონიონ ქობულეთის მუნიციპალიტეტში ტურისტების მოზიდვაზე და ტურისტული სფეროს განვითარებაზე. ბიზნეს სექტორის ეს სეგმენტი მოიცავს ტურისტულ კომპანიებს და ტურისტულ ასოციაციებს, საბანკო სექტორს, საინვესტიციო კომპანიებს და ა.შ. ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობის გაღრმავებისათვის უნდა განხორციელდეს:

- ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება ტურ-კომპანიებისთვის ტურისტული ადგილების, ტურისტული ობიექტების შესახებ;

- ტურ-კომპანიებისთვის ინფო-ტურების ორგანიზება. რამოდენიმე დღიანი ინფო-ტური, რომლის ფარგლებშიც მოხდება ტურისტული ადგილების დეტალური მონახულება, საოჯახო სასტუმროებთან დაკავშირება და ა.შ.

- გარკვეული შეღავათების დაწესება. მაგ. ადგილობრივი მოსაკრებლების გაუქმება გარკვეულ ტურისტულ ობიექტებზე კონკრეტული პერიოდისთვის;

- საბანკო სექტორთან თანამშრომლობა/მოლაპარკება ქობულეთის მუნიციპალიტეტში ტურისტულ სფეროში სხვადასხვა მცირე ბიზნეს პროექტების (სასტუმრო სახლები, ტურისტული სერვისების ორგანიზება) განხორციელებისთვის კრედიტების გაცემის შესახებ.

სამთავრობო სექტორთან თანამშრომლობა - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, საქართველოს რეგიონალური განვითარების სამინისტრო.

- **აჭარის არ განათლებისა და კულტურის სამინისტრო** - ქობულეთში და/ან მის მოსაზღვრე მუნიციპალიტეტებში ტურიზმსა და მასთან მომიჯნავე დარგებში კადრების მომზადება-გადამზადების ინსტიტუციონალური საფუძვლის ჩამოყალიბება;

- **ტურიზმის დეპარტამენტი** - მჭიდრო თანამშრომლობა მარკეტინგის, პრომოუშენის, საინფორმაციო-სარეკლამო მასალების, ინფო და პრეს ტურების მომზადების, გამოფენების ორგანიზების მიმართულებით.

უნივერსიტეტები - აჭარის და საქართველოს სხვა რეგიონებში არსებულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა სტუდენტების მოზიდვისათვის.

- **პრეზენტაციების ორგანიზება** - ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის, ტურისტული ადგილებისა და მარშრუტების შესახებ;

- **უნივერსიტეტებთან ერთობლივად სხვადასხვა ტიპის აქტივობების დაგეგმვა ქობულეთის მუნიციპალიტეტში** - ფოტო-გადაღება/ფოტო-კონკურსი, სტუდენტური კონფერენციები უნივერსიტეტების შესაბამისი სპეციალობის სტუდენტებისთვის (მაგ. ტურიზმი, ისტორია, ჰუმანიტარული სპეციალობები და ა.შ.) საინფორმაციო ტურების ერთობლივად ორგანიზება (თანადაფინანსების სახით) და ა.შ.

მედია - მედიის როლი უმნიშვნელოვანესია ტურისტული ადგილების პოპულარიზაციის კუთხით. მედიასთან თანამშრომლობის ფარგლებში შესაძლებელია შემდეგი:

- **აჭარის ტელევიზია და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი** - გარკვეული პერიოდულობით ქობულეთის მუნიციპალიტეტის ისტორიის, ტურისტული პოტენციალის, ეთნოგრაფიული-კულტურული ტრადიციებისა და ინფრასტრუქტურის შესახებ საინფორმაციო ჩანართების მომზადება, რეკლამის გაშვება „სოციალური რეკლამის“ სტატუსით და ა.შ.;

- **ადგილობრივი და ცენტრალური პრესა** - სტატიების და საინფორმაციო ჩანართების პერიოდული გამოქვეყნება ტურისტული ადგილების/პოტენციალის პრომოუშენის მიზნით.

- **პრეს-ტურები** - მიზანშეწონილია პერიოდულად (წელიწადში ერთჯერ ან ორჯერ) ჟურნალისტებისთვის პრეს-ტურის ორგანიზება - რომლის დროსაც მოხდება ყველა საინტერესო ტურისტული ადგილების, ტურისტული ინფრასტრუქტურის დათვალიერება და შემდგომში უკვე მოწვეული ჟურნალისტების მიერ შესაბამის მედია საშუალებებში ინფორმაციის გავრცელება. ხარჯების ეკონომიის მიზნით ეს შეიძლება გაკეთდეს ტურ-კომპანიებისთვის ორგანიზებული ინფო-ტურის დროს.

- **სოციალური მედია/ბლოგერები** - სოციალური მედიის მიერ ინფორმაციის გავრცელების მასშტაბურობის და მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან გამოდინარე, მიზანშეწონილია საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან მუნიციპალიტეტში პოპულარული/აქტიური ბლოგერების მოწვევა რამდენიმე დღით. ბლოგერების მოწვევა შეიძლება ორგანიზებული იქნეს იგივე ზემო-ხსენებული პრეს ტურის ფარგლებში.

პრეს-ტურების/ინფო ტურების ორგანიზება სასურველია წელიწადში ორჯერ - ერთი რომელიმე მასობრივი სახალხო დღესასწაულის დროს და მეორე წელიწადის სხვა დროს.

მოსალოდნელი შედეგები:

- ბიზნეს სექტორის ჩართულობა უზრუნველყოფს ტურიზმის სფეროს ძირითადი მოთამაშეების დაინტერესების ამაღლებას ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალით, არსებული ტურისტული მარშრუტების ჩართვას საკუთარ ტურისტულ პაკეტებში, პრაქტიკული ხასიათის დახმარების აღმოჩენას მუნიციპალიტეტისათვის საინტერესო და პერსპექტიული ტურისტული მარშრუტების შემუშავებისა და მათი პოპულარიზაციის საკითხებში, ინვესტიციების მოზიდვას ტურისტულ სფეროში, საბანკო სექტორის დაინტერესების ამაღლებას მუნიციპალიტეტში ტურიზმის სფეროს დაკრედიტების საკითხებით;

- სამთავრობო სექტორის ჩართულობის გაძლიერება - ინფრასტრუქტურული ელემენტების განვითარებას, ტურიზმის სფეროს განვითარებაზე ორიენტირებულ მიზნობრივი პროგამების ფინანსირებას;

- მედიის ჩართულობით მიღწეული იქნება მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის პრომოუშენი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლება;

უნივერსიტეტებთან და ინსტიტუტებთან თანამშრომლობა განაპირობებს საზოგადოების ყველაზე აქტიური ნაწილის, სტუდენტების დაინტერესებას მუნიციპალიტეტის ტურისტული ადგილებით და მათ მოზიდვას მუნიციპალიტეტში.

21.1.4 მუნიციპალიტეტის სამრეწველო პოტენციალის ათვისებ

- **მუნიციპალიტეტში სამრეწველო-გადამამუშავებელი წარმოების სტიმულირება**

მიზანი - სამრეწველო სექტორის ხელშემწყობი პლათფორმის შექმნა და დარგის განვითარების სტიმულირება.

პრობლემის აღწერა: ქობულეთის მუნიციპალიტეტში არსებული რესურსები მუნიციპალიტეტის სამრეწველო კუთხით განვითარების საკმაოდ მაღალ საშუალებას იძლევა. რესურსების დიდი ნაწილი გამოუყენებელი და აუთვისებელია.

მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტში განვითარებულია პირველადი წარმოება პრაქტიკულად არ მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მეორადი დამუშავება.

ყოველივე ზემოაღნიშნულს ემატება კერძო სექტორში დასაქმების მკვეთრად დაბალი დონე, რაც საბოლოო ჯამში ქმნის მუნიციპალიტეტის მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ფონს.

რაც ყველაზე მთავარია, დღეისათვის თითქმის აღარ არსებობს არანაირი ბიუროკრატიული ბარიერები, გამარტივებულია უძრავი ქონების რეგისტრაცია, ასევე გამარტივებულია ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემა. ყოველივე კი ამარტივებს არსებულ დარგში მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმის შესაძლებლობას.

ხედვა - სამრეწველო დარგის განვითარება, უპირველესად ხელს შეუწყობს ადგილობრივი სამრეწველო რესურსების ათვისებასა და მოსახლეობის დასაქმების ზრდას. სამრეწველო დარგის განვითარება განაპირობებს საკუთრივ სანედლეულო ბაზის სრულყოფას.

საქმიანობები სტრატეგიის რეალიზაციისათვის:

- მუნიციპალიტეტის სამრეწველო პოტენციალის შესწავლა;
- კონკრეტული სამოქმედო გეგმების შემუშავება სამრეწველო წარმოების პერსპექტიული მიმართულებებისათვის:
  - სასოფლო–სამეურნეო პროდუქციის გადამუშავების საწარმოო ხაზების ამოქმედება;
  - რძისა და ხორცის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოო ხაზის განვითარება-ხელშეწყობა;
  - ხე-ტყის სამრეწველო რესურსის ათვისება;
  - წყლის რესურსების ათვისება: მინერალური წყლების მოპოვება;
  - სამშენებლო ქვის რესურსების ათვისება.
- დარგის ამოქმედებისა და ფუნქციონირებისათვის საჭირო მინიმალური ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განხორციელება;

- სამრეწველო სექტორის განვითარებისათვის შესაძლო რისკ-ფაქტორების იდენტიფიკაცია და მათი მინიმუმამდე დაყვანა;
- მიწის საკუთრების ლეგალიზაციის პრობლემის მოგვარება;
- მუნიციპალიტეტის სამრეწველო პოტენციალის ოპტიმალური ათვისების მიზნით მეცნიერული კვლევების წარმოება;
- კვალიფიციური კადრების მომზადება-გადამზადება;
- კონკრეტულ სფეროებთან მიმართებაში პილოტური პროექტების შემუშავება და პოტენციურ ინვესტორებთან თანამშრომლობა.

მოსალოდნელი შედეგები:

- მრეწველობის განვითარების ხელშემწყობი მეცნიერულად დასაბუთებული მზა პროექტების ბაზის შექმნა;
- არსებული რესურსების შესახებ საინფორმაციო ინტერნეტბანკის შექმნა;
- გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა;
- ადგილობრივი სამრეწველო რესურსების ათვისება;
- ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა;
- ბაზარზე საკუთარი სასაქონლო ნიშნით გასვლა და დამკვიდრება;
- მიგრაციული პროცესების შემცირება;
- მიწის პრივატიზების პროცესის დაწყება.

- **მრეწველობის დარგის შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება**

მიზანი - ბაზრების და გადამამუშავებელი მრეწველობის ხარისხიანი პროდუქციითა და ნედლეულით სტაბილური მომარაგებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება;

პრობლემის აღწერა: მუნიციპალიტეტში არსებობს რამოდენიმე გადამამუშავებელი დარგის განვითარების პოტენციალი. მიუხედავად ამისა, თითქმის ყველა დარგისათვის საჭიროა სასაწყობე მეურნეობების შექმნა, კვების მრეწველობისათვის კი სამაცივრე საწყობების შექმნა. არსებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ხელს შეუწყობს ამინდთან დაკავშირებული რისკების აღმოფხვრას და ბაზარზე კონკურენტული ბრძოლის მოგებას. ამჟამად კი

სეზონურობის ფაქტორის გათვალისწინებით, ვერ ხერხდება სწორი მარკეტინგული არხის გამოძებნა დროსთან მიმართებაში.

აღნიშნული ინფრასტრუქტურა სტიმულს მისცემს და დააზღვევს პოტენციური რისკებისაგან მრეწველობის დარგის წარმომადგენლებს. მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს აგრეთვე სადაზღვევო კომპანიების დაბალი ინტერესი კვების მრეწველობის სფეროსთან მიმართებაში, მოცემული სტრატეგიის რეალიზაცია კი მათ ინტერესს ერთი-ორად გაზრდის.

ხედვა - მრეწველობის დარგის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა და მოწესრიგება გაზრდის როგორც ინვესტორების ინტერესს მრეწველობის დარგის მიმართ ასევე გამოიწვევს სადაზღვევო ბაზრის განვითარებას.

საქმიანობები სტრატეგიის რეალიზაციისათვის:

- ადგილზე სასაწყობე და სამაცივრე მეურნეობების შექმნა, რომელიც ტექნოლოგიურად სწორად აღიჭურვება და დასაწყობებისა და შენახვისათვის ნორმალურ პირობებს შექმნის;
- მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული კაპიტალური შენობა-ნაგებობების მიყვანა იმ კონდიციამდე, რომელიც უზრუნველყოფს მისი დაჩქარებული ამორტიზაციის შეჩერებას;
- საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

მოსალოდნელი შედეგები:

- სასაწყობე და სამაცივრე ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება უზრუნველყოფს სასოფლო–სამეურნეო პროდუქციის რისკ-ფაქტორების შემცირებას (ბუნებრივ–კლიმატური რისკების შემცირება);
- გადამამუშავებელი მრეწველობის ხარისხიანი ნედლეულით სტაბილური მომარაგება;
- შემცირებული რისკის საფუძველზე სამეწარმეო ინიციატივების ამაღლება;
- დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა;
- საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდა;
- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული „მიტოვებული“ შენობების სამრეწველო მიზნით გამოყენება, რაც ხელს შეუშლის მისი ამორტიზაციის პროცესს.

- ბუნებრივი რესურსების სამრეწველო დანიშნულებით გამოყენება

მიზანი - მუნიციპალიტეტში ბუნებრივი რესურსების სახით არსებული ეკონომიკური პოტენციალის ათვისება.

პრობლემის აღწერა: ქობულეთის მუნიციპალიტეტი ფლობს მნიშვნელოვან სამრეწველო მარაგებს ხე–ტყის, სამშენებლო და სამთამადნო ხასიათის რესურსების სახით. ამ რესურსების უმრავლესობა სამრეწველო მოცულობისაა და იმ სიტუაციაში როცა მუნიციპალიტეტში მკვეთრად შეზღუდულია ადგილობრივი შემოსავლები, განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს მათი ათვისება. სამშენებლო რესურსის გამოყენება მცირე მოცულობით და თანაც საკმაოდ ქაოსურად რამდენიმე წელია უკვე მიმდინარეობს, თუმცა ბევრი კარიერი საერთოდ გამოუკვლეველია. არ ხდება ინფორმაციის გავრცელება მათ შესახებ, რაც მნიშვნელოვანი იქნებოდა ინვესტიციების მოზიდვის კუთხით.

ხედვა - ბუნებრივი რესურსები რაციონალური გამოყენება/ათვისება შესაძლებელს გახდის ადგილზე გაიზარდოს არსებული სამრეწველო რესურსის ლიკვიდურობა და განვითარების სტიმულს მისცემს მსუბუქ და მძიმე მრეწველობას. რაც ძალიან მნიშვნელოვანია ზოგადად მუნიციპალიტეტის ქვეყნის საერთო ეკონომიკურ სივრცეში და შრომის გადანაწილების პროცესში ჩართვისათვის.

საქმიანობები სტრატეგიის რეალიზაციისათვის:

- რესურსის გამოყენების სოციალურ-ეკოლოგიური ეფექტებისა და რიკების შემფასებელი მუდმივმოქმედი ჯგუფის ჩამოყალიბება და ინფორმაციის განსაჯაროება;
- ბუნებრივი რესურსების ათვისების გარემოზე ზემოქმედების ხარისხის შეფასება, შესაბამისი დასკვნების მომზადება;
- ტყე-კაფვის ზონების იდენტიფიცირება;
- ტყე-კაფვის ზონებში მისასვლელი საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;
- მინერალური წყლების საბადოების იდენტიფიცირება;
- მინერალური წყლების მონაცემების შესწავლა და შესაბამისი საინფორმაციო ბაზის შექმნა (მ.შ. თანდართული რუკების სახით);
- ტენდერების გამოცხადება მინერალური წყლის რესურსების ათვისებაზე;
- სამშენებლო ქვების მოპოვების ადგილების იდენტიფიცირება, მისი მონაცემების შესწავლა და შესაბამისი საინფორმაციო ბაზის შექმნა (მ.შ. თანდართული რუკების სახით);
- მადანგამოვლინებითი პოტენციალის ზუსტი აღწერილობების დადება და მათზე მისაწვდომობის გაზრდა;
- ლიცენზიების გაცემის საკითხების მოწესრიგება;
- უკვე არსებული საწარმოების ხელშეწყობა წარმოების გაფართოებისა და ახალი ბაზრების ათვისების კუთხით.

მოსალოდნელი შედეგები:

- დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა;
- მოსახლეობის შემოსავლების ზრდა;
- წარმოების მოცულობის ზრდის სტიმულირება;
- მუნიციპალიტეტის ცნობადობის ზრდა და სავაჭრო ნიშნის ფორმირება;
- მიგრაციული პროცესების შემცირება;
- მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების ზრდა.

21.1.5 ინფრასტრუქტურის განვითარება

- **საგზაო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია**

მიზანი: საგზაო არტერიების სრულფასოვანი ქმედუნარიანობა წელიწადის ნებისმიერ დროს, როგორც ცენტრალური, ისე შიდა მუნიციპალური და შიდა სათემო მიმართულებებით. მუნიციპალიტეტში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შექმნა.

პრობლემის აღწერა: ქობულეთის მუნიციპალიტეტში გამავალი ადგილობრივი, შიდასათემო და შიდასასოფლო მნიშვნელობის გზის ძირითადი ნაწილი გრუნტოვანი საფარისაა. გზის აღნიშნული ტიპი განსაკუთრებით მგრძნობიარეა კლიმატური ცვლილებებისადმი, რაც მუნიციპალიტეტის გეოგრაფიის გათვალისწინებით, სავსებით ბუნებრივი გარემოებაა. გრუნტის საფარის მქონე გზები ფუნქციონირებისათვის ინტენსიურ მზრუნველობას საჭიროებს. ხშირია გზების მოღვარვა, ჩამოშლა და სხვა ტიპის დაზიანებები.

მუნიციპალიტეტში არსებული სატრანსპორტო საშუალებების ძირითადი ნაწილი მოძველებულია, რაც სატრანსპორტო ხარჯებს მნიშვნელოვნად ზრდის. ხშირია სამგზავრო ტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკის დარღვევის შემთხვევებიც.

იმ პირობებში, როდესაც მუნიციპალიტეტს ყველაზე ხელშესახები რესურსი, რითაც შეუძლია ბაზარზე გამოვიდეს, სოფლის მეურნეობა და ტურისტული პროდუქტებია, საგზაო ინფრასტრუქტურის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა ერთ-ერთი არსებითი ხელისშემშლელი ფაქტორი ხდება. იზრდება სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციის ფულადი და დროითი დანახარჯები. საგზაო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არსებული მდგომარეობა არამიმზიდველს ხდის ტურიზმთან მიმართებაში ადგილობრივ პოტენციალს კომფორტის შეთავაზების რესურსის დაქვეითების ხარჯზე.

ხედვა: გაზრდილი ეკონომიკური მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და მეტი სტიმულირებისათვის გამართული, მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა იქნება ერთ-ერთი ყველაზე მოქნილი ეკონომიკური ბერკეტი.

საქმიანობები სტრატეგიის რეალიზაციისათვის:

- შიდასათემო გზების რეაბილიტაცია, გამაგრება და/ან ასფალტირება;
- შიდასათემო გზების, მ.შ. საკურორტო ზონებში, საგზაო სანიშნეებით აღჭურვა;
- შიდასასოფლო გზების პერიოდული მოვლა-გაწმენდითი სისტემის ამოქმედება;
- ხიდების მშენებლობა/რეაბილიტაცია;
- საკურორტო ადგილებისაკენ მყარსაფარიანი საგზაო მიმოსვლის უზრუნველყოფა;
- სამგზავრო გადაზიდვების მარეგულირებელი სისტემის ჩამოყალიბება, მოძრაობის გრაფიკისა და მარშრუტების შემუშავება და კონტროლი;
- საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელების მშენებლობა/არსებულის რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი შედეგები:

- შემცირდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეგიონულ ბაზრებამდე მიწოდების ხარჯები და დრო;
- მიღწეული იქნება ავტო-სატრანსპორტო უსაფრთხოების ხარისხის პოზიტიური ცვლა;
- გამარტივდება თემთაშორისი კავშირ-ურთიერთობები, გაიზრდება მოსახლეობის მობილობა;
- გაიზრდება მგზავრთა გადაყვანა და ტვირთბრუნვა;
- გაიზრდება ტურისტთა რაოდენობა, ამაღლდება ტურისტული პროდუქტების შეძენის სტიმულები;
- გაუმჯობესდება ჰაერის ეკოლოგიური მდგომარეობა.

- **მუნიციპალიტეტის უზრუნველყოფა გამართული წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემით**

მიზანი: წყალმომარაგების 24 საათიანი გრაფიკის უზრუნველყოფა და საკანალიზაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ქალაქის, დაბების, კურორტების/საკურორტო ზონებისა და თემების ცენტრალურ უბნებში.

პრობლემის აღწერა: ქობულეთის მუნიციპალიტეტი მდიდარია წყლის რესურსებით. მიუხედავად წყლის რესურსების სიუხვისა, სოფლების, დაბებისა და ქალაქის მოსახლეობის ნაწილს წყალი გრაფიკით მიეწოდება. სასმელი წყლის მიმწოდებელი სისტემები არასრულფასოვან რეჟიმში ფუნქციონირებს თემებშიც. მათი უმეტესი ნაწილი შენდება სრულფასოვანი საპროექტო სამუშაოების შესრულების გარეშე, კუსტარულად. შედეგად, ხშირია სტიქიური მოვლენების, წყალდიდობების, ჭარბი ნალექიანობის დროს წყალსადენებისა და სათაო ნაგებობების დაზიანება, რაც იწვევს წყლის მიწოდების შეწყვეტას, სასმელი წყლის დაბინძურებას. სასმელი წყლის ბიოლოგიური კონტროლი კი არასრულად და დაბალი სიხშირით მიმდინარეობს.

არასრულფასოვანია მუნიციპალიტეტში არსებული საკანალიზაციო წყლების გამწმენდი სისტემებიც. წინამდებარე გეგმის შემუშავების პროცესში მუნიციპალიტეტში ვერ იქნა მოპოვებული ინფორმაცია გამწმენდი ნაგებობების ტექნიკური მახასიათებლების, წარმადობის და მისი ფუნქციონირებისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გარკვეული ფინანსური სახსრების გამოყოფის შესახებ. ყველაფერი ეს მიუთითებს, რომ საკანალიზაციო წყლების გაწმენდას არასათანადო ყურადღება ექცევა, რაც უარყოფითად აისახება ქობულეთის მუნიციპალიტეტის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე.

ხედვა: ქალაქის, დაბების, კურორტების, არსებული საკურორტო ადგილების, თემების 24 საათიანი წყალმომარაგებით უზრუნველყოფა, საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია და გამართული ფუნქციონირება არსებითი ძვრა იქნება სოციალური ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიმართულებით, ხელს შეუწყობს ეკოლოგიური გარემოს შენარჩუნებას, ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას.

საქმიანობები სტრატეგიის რეალიზაციისათვის:

- წყლის რესურსის შესწავლა და ათვისების პოტენციალის კვალიფიცირებული შეფასება;
- წყალმომარაგების ინფრასტრუქტურული რუკების შექმნა (რუქების და მონაცემთა ბაზების სისტემის შექმნა, რომელიც მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მყოფი ყველა ობიექტის, დანადგარისა და მილსადენების გრაფიკული ვიზუალიზაციის საშუალებას იძლევა);
- წყლის სათავე ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია;
- წყალმომარაგების ქსელების სამშენებლო ნორმატივების და გეოგრაფიულ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით პროექტირება და მშენებლობა;
- წყლის სანიტარული მოთხოვნების უზრუნველყოფა;
- სასმელი წყლის ხარისხის მუდმივი კონტროლის და მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება;
- ქალაქში, დაბაში, კურორტებსა და საკურორტო ადგილებში საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია;
- მდინარეების გაწმენდა საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან - სპეციალური ნაგვის სამარხი ადგილების მოწყობა;
- ინფრასტრუქტურული პროექტების რეაბილიტაციისათვის დონორებთან თანამშრომლობის პრაქტიკის ამოქმედება.

მოსალოდნელი შედეგები:

- შეიქმნება წყალმომარაგების თანამედროვე, ტექნიკური სტანდარტების შესაბამისი წყალმომარაგების სისტემა ქალაქში, დაბებში, კურორტებსა და საკურორტე ადგილებში, თემებში;
- შეიქმნება ეფექტური საკანალიზაციო სისტემა;
- მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება უწყვეტი და ხარისხიანი წყალმომარაგებით;

- შეიქმნება წყალმომარაგების ინფრასტრუქტურული რუკები, რომელიც მნიშვნელოვნად გაამარტივებს წყალსადენების მშენებლობისა და ექსპლოატაციას, მისცემს საშუალებას პოტენციურ ინვესტორებს ობიექტების დაგეგმვისა და ხარჯების, რისკების შეფასების თვალსაზრისით;
- შემცირდება წყლის დაბინძურების ხარისხი;
- შემცირდება უკანონო ნაგავსაყრელების რაოდენობა;
- გაუმჯობესდება ტურისტული ინფრასტრუქტურა.

- მუნიციპალიტეტის უწყვეტი და ხარისხიანი ელექტროფიკაციის უზრუნველყოფა

მიზანი: ქობულეთის მუნიციპალიტეტში არსებული სოციალური და ეკონომიკური პოტენციალის რეალიზაციისთვის უწყვეტი და ხარისხიანი ელექტრომომარაგებით უზრუნველყოფა.

პრობლემის აღწერა: ელექტროენერგიით მომარაგების კუთხით მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემები ორ ძირითად ჯგუფად შეიძლება დავყოთ:

1. მოსახლეობის მომარაგება უწყვეტი და ხარისხიანი ელექტროენერგიით, მიწოდებული ელ. ენერგიის სამართლიანი და გამჭვირვალე, ტექნიკურად დასაბუთებული აღრიცხვისა და გადახდის მექანიზმების ჩამოყალიბება.

არსებულ პრობლემებს განაპირობებს მოძველებული ელექტრო სადენების, საყრდენი ბოძების, სატრანსფორმატორო ქვესადგურების არსებობა. მათი ექსპლოატაციის ვადები ამოწურულია. შესაბამისად, ხშირია მათი მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევები. მიწოდებული ელ. ენერგიის ტექნიკური პარამეტრები (ძაბვა, სიხშირე) არ შეესაბამება ტექნიკურ სტანდარტებს, რაც იწვევს ელექტროტექნიკური მოწყობილობების მწყობრიდან ხშირ გამოსვლას.

არსებული დაბალი დატვირთვების პირობებში სატრანსფორმატორო ქვესადგურები უძლებს არსებულ დატვირთვებს. ენერგომოხმარების გაზრდის შემთხვევაში მოსალოდნელია მათი ხშირი გამოსვლა მწყობრიდან.

არსებულ მდგომარეობას ართულებს ის ფაქტიც, რომ „ენერგოპროჯორჯია“ წარმოადგენს მუნიციპალიტეტში ელ. ენერგიის მიმწოდებელ მონოპოლისტ კომპანიას, რომელიც ხარჯების ეკონომიის მიზნით პერიოდულად ამცირებს ტექნიკური პერსონალის რაოდენობას ადგილებზე. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება პროფილაქტიკური სამუშაოების პერიოდული განხორციელება და დაზიანებების ოპერატიული აღმოფხვრა.

2. ელ. ენერგიის მიწოდების სქემების მოდერნიზაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიის სივრცითი მოწყობის და ამ ტერიტორიების ფუნქციონალური დანიშნულების შესაბამისად, აქ არსებული ეკონომიკური პოტენციალის სრულად ათვისების მიზნით.

არსებული ენერგომომარაგების ქსელები დაპროექტებულია გასული საუკუნის 60-70-იან წლებში. მიუხედავად იმისა, რომ განვლილ პერიოდში ენერგომომოხმარების მოცულობა და გეოგრაფია მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, არსებული სქემები აღარ პასუხობს შემდგომი სოციალური და ეკონომიკური განვითარების წინაპირობების არსებობის მოთხოვნებს.

აუცილებელია ელექტრომომარაგების სქემების მოდერნიზაცია, მისი ადაპტაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ზონირებასთან და ტერიტორიების ფუნქციონალურ დანიშნულებასთან (საცხოვრებელი ზონები, კურორტები და საკურორტე ადგილები, სამრეწველო ზონები და ა.შ.).

არსებულ მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ ენერგოპროჯორჯია წარმოადგენს კერძო კომპანიას, რომელიც არ არის ანგარიშვალდებული მუნიციპალიტეტის წინაშე. შესაბამისად, მუნიციპალიტეტს არ გააჩნია კომპანიაზე ზემოქმედების ეფექტური ბერკეტები.

ხედვა: მეზობელ მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და ქვეყნის უმაღლეს სახელისუფლებო ორგანოებში საკითხის ლობირებით მიღწეული იქნება ენერგომომარაგების სისტემის თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით მოდერნიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ხარისხიან და უწყვეტ ელექტრომომარაგებას, მის მიბმას მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმაზე.

საქმიანობები სტრატეგიის რეალიზაციისთვის:

- თემებში არსებული ელექტროგადამცემი ქსელების სრული რეაბილიტაციის გეგმის შემუშავება და მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებთან შეთანხმება. მუნიციპალიტეტის მხრიდან გეგმის რეალიზაციის მონიტორინგის განხორციელება;
- მუნიციპალიტეტების თემებში გამრიცხველიანების გეგმა-გრაფიკის შემუშავება, მისი საჯაროობის უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის მიერ გეგმის რეალიზაციის მონიტორინგის განხორციელება;
- მუნიციპალიტეტის ელექტრომომარაგების სქემის (სქემების) შემუშავება, მათი მისადაგება მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმით განსაზღვრულ ფუნქციონალურ დანიშნულებებთან;
- საზაფხულო იალაღებზე არსებული დასახლებების სრული ელექტროფიკაციის გეგმის შემუშავება. მუნიციპალიტეტის მხრიდან გეგმის რეალიზაციის მონიტორინგი;
- მუნიციპალიტეტში მიწოდებული ელ. ენერგიის ხარისხის მონიტორინგის სისტემის ამოქმედება.

მოსალოდნელი შედეგები:

- მოსახლეობა შესძლებს მიიღოს უწყვეტი და ხარისხიანი ელ. მომარაგება მთელი წლის განმავლობაში, მათ შორის საზაფხულო იალაღებზეც, კლიმატური პირობების მიუხედავად;
- შემუშავდება მუნიციპალიტეტის ელექტრომომარაგების თანამედროვე მოთხოვნებზე ორიენტირებული სისტემა, მუნიციპალიტეტის ცალკეული ზონების ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით;
- ჩამოყალიბდება წინაპირობები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამრეწველო ობიექტების მშენებლობისა და ფუნქციონირებისათვის;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის საინვესტიციო მიმზიდველობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მიმზიდველობა ტურისტებისათვის.

21.1.6 გარემოსდაცვითი საქმიანობების კოორდინაცია

- სტიქიური უბედურებებისაგან გარემოსდაცვითი ღონისძიებების გაფართოება

მიზანი - მუნიციპალიტეტის ლანდშაფტის მაღალრისკიანი სპეციფიკიდან გამომდინარე, სტიქიური უბედურებებისაგან გარემოს დაცვისათვის ბუფერული წინაღობების უზრუნველყოფა ბუნებრივი და ხელოვნური მექანიზმების გამოყენებით.

სტრატეგიის საჭიროების დასაბუთება: ქობულეთის მუნიციპალიტეტში გარემოს დაზიანების არსებით წყაროს მეწყერი და ღვარცოფი წარმოადგენს. ბევრ შემთხვევაში სტიქიის ხელშემწყობი ხდება არასწორად განვითარებული ანთროპოგენური პროცესები. მეწყრული და ღვარცოფული საშიშროებები ძალიან მაღალია, იმ სოფლებში, სადაც ამგები გრუნტების დაბალი ფიზიკურ-მექანიკური თვისებები ხელსაყრელია ეროზიული და მეწყრული პროცესების განვითარებისათვის.

ნიადაგდაცვითი სამუშაოების განხორციელება მნიშვნელოვანია, როგორც საცხოვრებელი გარემოს შენარჩუნების, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით. მიწის რესურსის შენარჩუნება ერთერთი აუცილებელი ღონისძიებათაგანია. მიწის შეზღუდული რესურსიდან გამომდინარე, პრიორიტეტულად მნიშვნელოვანია შენარჩუნდეს მიწის ის ფართობებიც რომლებიც ეროზიისკენ მიდრეკილია და ღვარცოფებისა და დამეწყრის მაღალ რისკიან ჯგუფებს მიეკუთვნება.

სტრატეგიული ხედვა - მუნიციპალიტეტის გარემოსდაცვითი გრძელვადიანი ეფექტის უზრუნველყოფით სამეურნეო პროგნოზირების ხარისხის ამაღლება და სტიქიის შედეგების მობილური პრევენცია.

სტრატეგიის რეალიზაციის გზები:

- პოტენციური საფრთხის შემსწავლელი სპეციალური ჯგუფის/კომისიის ჩამოყალიბება;

- მაღალრისკიანი ზონების იდენტიფიცირება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე;
- არასწორი ანთროპოგენური ქმედებების გამოვლენა;
- საფრთხის ტიპების გამოკვლევა;
- საფრთხის ლოკალიზების უზრუნველმყოფი შესაძლებლობების მოკვლევა;
- პოტენციური კლიმატური რისკებისაგან ბუნების დაცვის საკითხებზე ორიენტირებული გრძელვადიანი პროგრამის ჩამოყალიბება და რეალიზაციის დეტალური გეგმის დამუშავება;
- ქარსაცავი ზოლების გამოყოფა და საჭიროების შემთხვევაში მის შექმნაზე პროექტის მომზადება შესაბამისი სამთავრობო უწყებებისათვის;
- სტიქიური უბედურებების ზონების ამსახველი გრაფიკული გამოსახულების დატანა მუნიციპალიტეტის რუკებზე;
- ნიადაგების კვლევის შედეგებზე დაყრდნობით სამეურნეო რისკების შეფასება და სივრცითი დაგეგმარების სტრატეგიული გეგმის რეალიზაციის პროცესში რისკების შემსწავლელი კომისიის ინტენსიური ჩართვა.

შედეგი

- არასწორი ანთროპოგენური ქმედებების შედეგების დაძლევა და ეტაპობრივად მისი აღმოფხვრა;
- სწორად და ზუსტად იდენტიფიცირებული სტიქიური საშიშროებები და მის ქვეშ მდგომი რისკ-ზონები.
- რისკ-წინაღობის წინასწარ, ფაქტის დადგომამდე გათვლილი ღონისძიებები;
- კლიმატური საფრთხის შედეგების პრევენციის ერთიანი გეგმა;
- გრძელვადიანი გარემოსდაცვითი სტრატეგიული გეგმა-გრაფიკის შემუშავება და მისი რეალიზაციით ბუნებრივი რისკებისადმი მუნიციპალიტეტის მდგრადობის ამაღლება;
- სტიქიური უბედურებების ზონების ამსახველი გრაფიკული გამოსახულების მეშვეობით რისკის ზონებზე მეტად აღქმადი წარმოდგენის შექმნა ადგილობრივი მოსახლეობისათვის და ინფორმაციული უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის გარემოსდაცვითი მდგომარეობით დაინტერესებული მხარეებისათვის;
- გლეხის ინფორმირებულობის ხარისხის ამაღლება საკუთარი საცხოვრებელი და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებთან მიმართებაში;

- სამეურნეო აგენტებისათვის დაგეგმვისა და პროგნოზირების პროცესის ხარისხის ამაღლების თვალსაზრისით მეტად ინფორმაციული სივრცის უზრუნველყოფა;
- რისკების სწორი შეფასებისა და პრევენციის ხარჯზე მუნიციპალიტეტის განვითარების ერთიანი გეგმის ეფექტურობის ამაღლება.

21.1.7 კომუნიკაცია

- **მუნიციპალიტეტის ინტეგრაცია თანამედროვე საკომუნიკაციო და საინფორმაციო სივრცეში**

მიზანი: ქობულეთის მუნიციპალიტეტში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ელექტრონული კომუნიკაციების სისტემების განვითარება.

პრობლემის აღწერა: თანამედროვე საკომუნიკაციო სისტემები მუნიციპალიტეტში მეტ-ნაკლებად წარმოდგენილია. მუნიციპალიტეტის რიგ ადგილებში არსებობს სტაციონარული სატელეფონო ქსელი, მუნიციპალიტეტის ტერიტორია სრულად არის დაფარული მობილური კავშირგაბმულობის ქსელებით. მობილური კავშირგაბმულობის ოპერატორების საშუალებით მოსახლეობისთვის ასევე ხელმისაწვდომია ინტერნეტიც. მუნიციპალიტეტში არსებული ყველა საჯარო სკოლა ჩართულია ინტერნეტში განათლების სამინისტროს ქსელების საშუალებით. ძირითადი პრობლემას წარმოადგენს ინტერნეტის დაბალი ხელმისაწვდომობა მოსახლეობისა და ბიზნეს სტრუქტურებისათვის, მობილური ოპერატორების საშუალებით ინტერნეტში წვდომის მაღალ ღირებულებასა და ინფორმაციის მიღება-გადაცემის დაბალ სიჩქარეებთან დაკავშირებით. აღნიშნული ფაქტორები საბოლოო ჯამში, ინტერნეტით სარგებლობას მოსახლეობის უმეტესი ნაწილისთვის მიუწვდომელს ხდის. ინტერნეტის არ არსებობა განაპირობებს მოსახლეობის და ბიზნეს სტრუქტურების ამოვარდნას ქართული და საერთაშორისო საინფორმაციო სივრციდან, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს როგორც სოციალური, ასევე ეკონომიკური განვითრების პროცესებს.

მუნიციპალიტეტის ფართომასშტაბიანი ინტერნეტიზაციის პროცესს დამატებით აფერხებს რთული რელიეფი და მოსახლეობის დიდი განშლადობა. საცხოვრებელი სახლები მნიშვნელოვნად არის დაშორებული ერთმანეთისგან, თემები დიდ ფართობზეა გაშენებული. ასეთი დასახლებებისათვის სტაციონარული ქსელების მშენებლობა დიდ კაპიტალდაბანდებებს მოითხოვს. ამავე დროს მოსახლეობის სიმცირის გამო, მიღებული შემოსავლები გაცილებით ნაკლები იქნება მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებთან შედარებით (დაბალი რენტაბელობა). შესაბამისად, კომერციული თვალსაზრისით, საკომუნიკაციო კომპანიებისთვის ქობულეთის მუნიციპალიტეტი მიეკუთვნება არამიმზიდველ რეგიონს ინვესტიციების განხორციელებისათვის.

ხედვა: სტრატეგიული გეგმის რეალიზაციის პერიოდში მიღწეული უნდა იქნეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის სრული დაფარვა მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით, ინტერნეტ წვდომისათვის მისაღები ტარიფებით, მოსახლეობის ეკონომიკური შემოსავლების გათვალისწინებით.

საქმიანობები სტრატეგიის რეალიზაციისათვის:

თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ინტერნეტ კავშირის საშუალებებით მუნიციპალიტეტების ტერიტორიის დაფარვის პრობლემა საერთოა აჭარის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტისათვის. ცალკეული მუნიციპალიტეტებისათვის, მათი ბიუჯეტების დოტაციური ხასიათის გათვალისწინებით, აღნიშნული სტრატეგიის რეალიზაცია მეტად რთულია როგორც ფინანსური, ასევე ტექნიკური პირობების შემუშავებისა და სტრატეგიის პრაქტიკული რეალიზაციის თვალსაზრისით. შესაბამისად აუცილებელია:

- რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებთან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის უწყებებთან თანამშრომლობით ერთიანი პროგრამის შემუშავება რეგიონის მუნიციპალიტეტებში ფართოზოლოვანი ინტერნეტის ამოქმედებისათვის;
- ტექნიკური პირობების (მუნიციპალიტეტის გეოგრაფიის გათვალისწინებით) და სამუშაოთა ღირებულების კომპენსაციის პირობების შემუშავება იმ კომპანიებისთვის, რომლებიც განახორციელებენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ლოკალური ქსელების მშენებლობას და ინტერნეტის მიწოდებას;
- სტრატეგიის რეალიზაციის დაფინანსების წყაროების იდენტიფიკაცია (რეგიონალური და ცენტრალური ბიუჯეტები, დონორები, ბიზნეს სტრუქტურები);
- საინფორმაციო-საგანმანათლებლო ინტერნეტ რესურსის(ების) შექმნა, რომლებიც დაეხმარება მუნიციპალიტეტების მოსახლეობას მათთვის საჭირო ინფორმაციისა და ცოდნის მიღებაში სხვადასხვა თემატიკაზე (მაგ. მუნიციპალიტეტში გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის აგროტექნოლოგიები, ინფორმაცია პერსპექტიულ ჯიშებსა და კულტურებზე, მათ ადგილზე საბაზრო სეგმენტებში, ბიზნესის ორგანიზების საფუძვლები, როგორ მოვაწყოთ მეურნეობა ტურისტების მოსაზიდად და ა.შ.) და რომლებსაც ექნებათ მაღალი პრაქტიკული ღირებულება.

მოსალოდნელი შედეგები:

- მუნიციპალიტეტის თემების მოსახლეობა და ბიზნეს სტრუქტურები შესძლებენ მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით სარგებლობას მისაღებ ფასებში უშუალოდ თავისი საცხოვრებელი და საქმიანობის ადგილის მიხედვით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის ქვეყნის და საერთაშორისო საინფორმაციო სივრცეში ინტეგრაციის ხარისხი;
- ამაღლდება მუნიციპალიტეტის ცნობადობის ხარისხი;
- ჩამოყალიბდება ხელსაყრელი საინფორმაციო ველი მუნიციპალიტეტის ტურისტული და სამრეწველო პოტენციალის პრომოუშენისთვის;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის საინვესტიციო მიმზიდველობა;

- გაიზრდება მოსახლეობის წვდომა საგანმანათლებლო ხასიათის რესურსებთან, რომელიც შეასრულებს მნიშვნელოვან როლს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდისა და მისი ხარისხის ამაღლების სფეროში.

21.1.8 ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სისტემის გაუმჯობესება

- მუნიციპალიტეტში სამედიცინო ინფრასტრუქტურისა და სამედიცინო მომსახურების მიწოდების განვითარების ხელშეწყობა

მიზანი: მუნიციპალურ სამედიცინო დაწესებულებებში მოსახლეობისათვის მაღალი ხარისხის, პაციენტზე ორიენტირებული სამედიცინო მომსახურების მიწოდება, რომელიც ორიენტირებული იქნება პაციენტის ჯანმრთელობაზე და არა მის გადახდისუნარიანობაზე.

პრობლემის აღწერა: ქობულეთის მუნიციპალიტეტში მოქმედი კლინიკის მიმართ ნდობის ხარისხი, მოსახლეობის სოციოლოგიური კვლევის (2011 წელი) თანახმად, ძალიან მიზერულია. ხშირად, სწორედ, ამ გარემოებით იყო განპირობებული უნდობლობა ჯანდაცვის ადგილობრივი მომსახურების მიმართ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კლინიკის გარე სერვისის ეფექტურად უზრუნველყოფა ვერ ხერხდება თუნდაც საგზაო ინფრასტრუქტურის ხარვეზების გამო. თუმცა, სამედიცინო სერვისის არადამაკმაყოფილებელი ხარისხი არ არის მხოლოდ ინფრასტრუქტურის გაუმართაობის შედეგი. ძალიან მნიშვნელოვანია საკადრო პრობლემა. კვლევის შედეგებითაც დადასტურდა, რომ მუნიციპალიტეტის მოსახლეობა უკმაყოფილოა პერსონალის პროფესიონალიზმით, სირთულეა შესაბამისი სპეციალიზაციის სამედიცინო სპეციალისტების ფიზიკურად არ არსებობა მუნიციპალიტეტის შიგნით.

ჯანდაცვის სისტემა ზოგადად ქვეყანაში ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით მასშტაბურ სისტემურ ნაკლოვანებებს განიცდის. მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია პრობლემის სიხისტის შემცირებაზე აქტიური მუშაობა და თემის ლობირება.

ძალიან ხშირად ხდება ისე, რომ ადამიანებს აქვთ არასწორი წარმოდგენა საკუთარი სამედიცინო მომსახურების ირგვლივ, ეს ეხება როგორც ზოგადად სერვისის შინაარსს, ასევე მისი მიღების გზებს. უფლებების რეალური საფუძვლების არასწორ გააზრება განაპირობებს მეტწილად მომხმარებელთა უფლებების შელახვას. ჩვეულებრივ, არ აქვს პაციენტს (მითუფრო პოტენციურს) ინფორმაცია, რომელიც დროის სანდო ინტერვალში მნიშვნელოვანი ცვლილების მოლოდინს არ შეიცავს, ანუ მყარი ინფორმაცია შედარებით დეფიციტურია. ამასთან, სხვადასხვა სუბიექტური და ობიექტური მიზეზებით ფაქტამდელი და ფაქტის დადგომის მომენტის შესატყვისი სამედიცინო მომსახურების ღირებულება იდენტური არაა. ეს ნაწილი განსაკუთრებით სადაზღვეო პაკეტების პირობებს ეხება. აუცილებელია მომხმარებელს ქონდეს მხოლოდ ზუსტი წარმოდგენა მის წინაშე არსებული მომსახურების შინაარსობრივ და ფინანსურ მხარეზე.

პრობლემები, რომლებიც ჯანდაცვის სექტორში დგას მუნიციპალურ დონეზე, მოითხოვს სხვადასხვა სამსახურების ეფექტურ ურთიერთანამშრომლობას და კოორდინირებულ საქმიანობას ერთის მხრივ სამთავრობო და ადგილობრივ უწყებებსა და მეორეს მხრივ კერძო სექტორს შორის.

ხედვა: მუნიციპალური კლინიკის მიმართ დადებითი საზოგადოებრივი იმიჯის ფორმირება ხელს შეუწყობს ადგილზე მაღალპროფესიული სამედიცინო გუნდის ჩამოყალიბებას და დაბალი პრესტიჟი, როგორც ექიმების მიგრირების ფაქტორი აღმოიფხვრება.

სტრატეგიის რეალიზაციის გზები:

- თანამშრომლობა კერძო და არასამთავრობო სექტორებთან, დონორ ორგანიზაციებთან და საქმიანობების კოორდინაცია;
- ადგილობრივი მოთხოვნის შესაბამისად საავადმყოფოს რეორგანიზაციის პროცესში მოსახლეობის ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინება, როგორც პროფილური, ისე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის შენარჩუნების მიმართულებით;
- გეოგრაფიული მისაწვდომობის თვალსაზრისით პრობლემური პერიფერიების იდენტიფიცირება და მათთვის პირველადი სამედიცინო მომსახურების პროდუქტზე წვდომის უზრუნველყოფა;
- სოციალურად დაუცველ ფენებზე ინფორმაციის აღწარმოების უფრო მობილური სისტემის შექმნა ტერიტორიული სიმცირის ეფექტის ხარჯზე და სამედიცინო პროდუქტების მისაწვდომობის მიმართულებით შუამავლობა;
- მოსახლეობის ინფორმირებულობის საკითხებზე ინტენსიური მუშაობა;
- შეუფერხებელი საგზაო მიმოსვლისათვის ინფრასტრუქტურის პარალელური განვითარება;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და აქტიური მხარდაჭერა;
- სამედიცნო მომსახურების ხარისხისა და მოცულობის შესახებ ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფა;
- ლობირება ჯანდაცვის საკითხებზე ზემდგომ სტრუქტურებში მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიერ.

მოსალოდნელი შედეგები

- ზრუნვის და დაცულობის სამოქალაქო შეგრძნების მზარდი ტენდენცია;
- მწვავე სოციალური ფონის დინამიკის შერბილება;
- ადგილობრივი სამედიცინო დაწესებულებების მიმართ ნდობის კორექცია;
- სოციალურად დაუცველთა მიმართ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაზრდა;
- ადგილზე კვალიფიციური სამედიცინო სპეციალისტების ნაკადის შენარჩუნების პროცესისათვის პოზიტიური ტონის მიცემა;
- პოტენციური ტურისტებისათვის სამედიცინო ინფრასტრუქტურით გამოწვეული დისკომფორტის მოხსნა;
- მუნიციპალიტეტის იმიჯის სამედიცინო მიმართულებით განვითარებისათვის სასტარტო პოზიციის მიზნობრივი გაუმჯობესება;

- სამედიცინო სერვისის, როგორც სამეწარმეო გარემოს უზრუნველმყოფი სოციალური და კომერციული ელემენტის ხარჯზე ბიზნესის განვითარების წახალისება, მათ შორის სააფთიაქო ქსელის გაფართოება და კონკურენციის გაზრდა;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ზოგადი ავადობისა და ასოცირებული უნარშეზღუდულობის დონის შემცირებით სიცოცხლის ხარისხის ამაღლება;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვირდება;
- მომსახურების მიწოდების კორექტირების მოქნილი მექანიზმის ოპტიმალურ დროში შემუშავებისათვის რესურსის კოორდინირება;
- მოსახლეობისათვის მიწოდებული სამედიცნო მომსახურების ხარისხისა და მოცულობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
- მოსახლეობის ინფორმირებულობის ადეკვატურობა სამედიცინო უზრუნველყოფის საკითხების ირგვლივ, როგორც ადგილობრივ, ისე რეგიონულ სამედიცინო დაწესებულებებში, რაც გამორიცხავს მომსახურების მიღებისას არსებულ გაურკვევლობებსა და უხერხულობებს.

21.1.9 განათლების სისტემის ხელშემწყობი გარემოს ფორმირება

- მოზარდებისა და ახალგაზრდების განათლების და სოციალური ინტეგრაციის ხარისხის ამაღლება

მიზანი: სოციალიზაციის პროცესის გაფართოებით მოზარდებისა და ახალგაზრდების სოციალური ჩართულობის ზრდის ხარჯზე, მათი თვითრეალიზაციის ხელშეწყობა და განვითარება.

პრობლემის აღწერა: მუნიციპალიტეტის განათლების სფეროს მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს კვალიფიცირებული კადრების დეფიციტი, რიგ შემთხვევაში დიდი ხნით შეუვსებელი ვაკანტური ადგილები, რაც საბოლოო ჯამში მოქმედებს სკოლებში განათლების ხარისხზე. მასწავლებელთა კონტიგენტის შევსებისას წარმოქმნილი პროფესიულ შესაბამისობისა და კვალიფიკაციის პრობლემები მტკივნეულად აისახა სასწავლო პროცესის ხარისხზე. ამ უკანასკნელის ვარდნა უკვე ორ ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში გრძელდება და სელექციური მიგრაციის მზარდი პროცესისა და სოციალური ფონის დამძიმების კვალად, მნიშვნელოვნად გაღრმავდა. განათლების ხარისხის დაქვეითების ფონზე მინიმუმამდე შემცირდა სოციალური აქტიურობა. ეკონომიკურად სტაგნირებულ გეოგრაფიულ არეალში ახალგაზრდებისათვის სოციალური აქტიურობის ერთადერთ მასშტაბურ სივრცედ სოფლის მეურნეობის დარგობრივ სექტორში კონსერვატიული და ინერციული მიწათმოქმედება რჩება. ეს დარგი არსებულ პირობებში არამარტო კომერციული ინტერესების თვალსაზრისით, არამედ ინოვაციების გამოყენებითაც ერთობ არამიმზიდველია.

სასკოლო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების განახლება შესაბამისი ლიტერატურით არ მიმდინარეობს. სკოლებში ჩვეულებრივ ან არ მოქმედებს, ან მხოლოდ შეზღუდული შინაარსობრივი დატვირთვით ფუნქციონირებს სხვადასხვა ტიპის სახელოვნებო წრეები.

მოზარდების, ახალგაზრდების წინაშე ცალსახად დგას შემეცნების და თვითრეალიზაციის პრობლემები. ის საშუალებები, რომლებსაც საჯარო სკოლა ტრადიციულად იყენებს, საკმაოდ კონსერვატულია. აკადემიურ სივრცეში უშუალო ურთიერთობა და საკუთარი აზრის გამოხატვა, კითხვების დასმა და არგუმენტირებული აზრთა გაცვლა სოციალურად აქტიური თემატიკის ირგვლივ ყოველთვის ვერ ხერხდება. ამ მხრივ სოციალური მედია გაცილებით მეტი შესაძლებლობის მქონე მედიუმია, სადაც ადამიანები თავად საუბრობენ, იმის ნაცვლად, რომ ინფორმაციის პასიური მიმღებნი იყონ. ეს მედიუმი შედარებით უკეთესადაა ჩართული ქალაქის სკოლებში, მაგრამ ქობულეთის მუნიციპალიტეტში ინტერნეტიზაციის ხარისხიდან გამომდინარე ეს ვერ ხერხდება. ადგილობრივ თვითმმართველობას აქვს შესაძლებლობა თავის გამოვლენის საშუალება მისცეს ახალგაზრდების ამ ჯგუფს და გაუკეთოს ორგანიზება დისკუსიებს სხვადასხვა საკითხებზე (გარემოს დაცვისა და დემოკრატიის საკითხებზე, განათლებისა და ჯანდაცვის სისტემების პრობლემებზე და სხვა) როგორც მუნიციპალიტეტის მასშტაბით ასევე სხვა მუნიციპალიტეტების მონაწილეობითაც.

ხედვა: ქალაქის მიმართულებით ახალგაზრდების სელექციური მიგრაციის შემცირება უზრუნველყოფს კრიტიკულად მოაზროვნე, აქტიური ფენის ხარჯზე მუნიციპალიტეტში ჯანსაღი სოციალური პროცესის პროვოცირებას და სკოლის რეგენერაციის უნარიანობას.

საქმიანობები სტრატეგიის რეალიზაციისათვის:

- მოზარდ–ახალგაზრდებზე გარკვეული საკადრო რესურსის ორიენტირება;
- ფოკუს-ჯგუფების ინტერესებისა და საჭიროებების კვლევა;
- მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი სამსახურების მიერ საჯარო დისკუსიის ქვეშ მოქცევადი საკითხების თემატიზება და დისკუსიების ორგანიზება;
- სოციალიზაციის პროცესის გრძელვადიანი გეგმის შემუშავება და საჯაროობის უზრუნველყოფა;
- სკოლის გარე აქტივობის ფარგლებში ახალი უნარ-ჩვევების ათვისებისა და რეალიზაციისათვის მიზნობრივი არეალის მომზადება;
- ახალგაზრდების ინტეგრაციისა და სამოქალაქო ჩართულობის გასაზრდელად პროექტების მომზადება და ლობირება, როგორც სხვადასხვა დონის სამთავრობო ერთეულებში, ისე არასამთავრობო და კომერციულ სექტორებთან;
- სოციალიზაციის პროცესის გაინტენსიურობით განვითარების შექმნილი შესაძლებლობების ეფექტურად ათვისების ხელშეწყობა;
- საბიბლიოთეკო ფონდის შევსებისათვის მუნიციპალური ფინანსების მიმართვა;

- სკოლების მიერ მართვასა და სასწავლო პროცესში მაღალი ტექნოლოგიებისა და თანამედროვე კომუნიკაციების მეტი ინტენსივობით გამოყენება;
- სკოლის ფუნქციონირებაში მოსწავლეების სწავლისგარე ჩართულობის გაზრდა;
- მოსწავლეთა სასკოლო კლუბების ჩამოყალიბების ხელშეწყობა და ფუნქციონირების მხარდაჭერა;
- შიდამუნიციპალური სასკოლო კონკურსების ჩატარება საუკეთესო სკოლის, მასწავლებლის მოსწავლის, კლუბის, ჯგუფის და სხვათა გამოსავლენად;
- სხვადასხვა ორგანიზაციულ საკითხებში მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩართვა;
- კონკურსების, კონფერენციებისა და ოლიმპიადების შესახებ სკოლებზე ინფორმაციის მიწოდება და მონაწილეობის ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შედეგები:

- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცოდნის აკადემიური დონის ამაღლება;
- სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებისათვის ნიადაგის მომზადება;
- მიგრაციის (განსაკუთრებით კი სელექციური მიგრაციის) ტემპის შენელება;
- სოციალურად აქტიური, ჯანსაღი შრომითი რესურსის ჩამოყალიბების შესაძლებლობა მუნიციპალიტეტის შიგნით;
- მოსწავლე-ახალგაზრდების თვითშეფასების კორექცია და ახალი უნარ-ჩვევებით განვითარება;
- კონკურსებში, კონფერენციებსა და ოლიმპიადებში მონაწილეობით (მით უფრო წარმატებულად მონაწილეობით) მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაციის შესაძლებლობების გაფართოება;
- კონკურენციის პირობებში ზოგადად სკოლის და საკუთრივ მასწავლებელთა და მოსწავლეთა მოტივაციის ზრდა და განვითარება;
- მუნიციპალიტეტში, მ.შ. სკოლებში არსებული დეფიციტური კადრების შევსება;
- სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარება;
- სასკოლო და სკოლამდელი განათლების თვით აღწარმოების უნარის ზრდა და კვალიფიკაციური რესურსის დაგროვების გაზრდილი შესაძლებლობები.

- სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის ფორმირება

მიზანი - ქობულეთისა და მთლიანად აჭარის მუნიციპალიტეტების სოციალური გარემოსა და ეკონომიკური ასპექტების მრავალვექტორიან სკანირებას და პერსპექტივების გაფართოებას რესურსების ოპტიმალური კომბინირებითა და ინოვაციური მიდგომის შემუშავება-რეალიზაციის ხარჯზე.

სტრატეგიის საჭიროების დასაბუთება: აჭარის მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზმა აჩვენა, რომ სიტუაციის არსებითი ცვლილებები აუცილებლობაა და ეს აუცილებლობა მნიშვნელოვანწილად იქნება

დამოკიდებული გამოყენებული მეთოდებისა და საშუალებების ინტელექტტევადობაზე. მნიშვნელოვანია ინფორმაციის მოკვლევის, გადამუშავებისა და შემდგომი გამოყენების პროცესი გატარდეს აქტიური სამეცნიერო-აკადემიური მხარდაჭერითა და უშუალო მონაწილეობით. მუნიციპალიტეტის განვითარების ყველა პრიორიტეტული მიმართულება საჭიროებს გამოწვევებზე მეცნიერულად დასაბუთებული სვლების განხორციელებას.

მაღალკვალიფიციური პერსონალის ინტენსიური მომზადება და გადამზადება, მითუმეტეს, მაღალი რაოდენობრივი მოთხოვნის ფონზე, სტრატეგიული დაგეგმარებისათვის აუცილებელი კომპლექსური სამუშაოების ინტელექტუალური წონადობა და სამიზნე გეოგრაფიულ არეალზე მიმდინარე სოციალური პროცესი აყენებს მუნიციპალიტეტებში სამეცნიერო-კვლევითი ფუნქციის მქონე რესურსის შექმნის საჭიროებას.

სტრატეგიული ხედვა - აჭარის მუნიციპალიტეტებში სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ფუნქციონირება გამოიწვევს სოციალური ფონის არსებით შეცვლას. ეკონომიკური განვითარებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო გარემოს რაფინირებას და გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს შეუწყობს როგორც ადამიანური რესურსების, ასევე განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანი აქტივობების მიგრირებას მუნიციპალიტეტისკენ.

საქმიანობები სტრატეგიის რეალიზაციისათვის:

- იმ საკითხების გამოვლენა, რომლებიც საჭიროებენ სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების წარმოებას და მათი ერთგვარი საინფორმაციო ბანკის შექმნა;
- სხვადასხვა პროფილის აკადემიური დაწესებულებებიდან საკადრო რესურსის იდენტიფიცირება მულტიფუნქციური ცენტრის სპეციალიზაციათა მიმართულებით;
- სამეცნიერო დარგების პრიორიტეტების დადგენა, სხვადასხვა სახის რეკომენდაციების შემუშავება და სამეცნიერო სამუშაოების კოორდინაცია;
- საინფორმაციო ბანკის საფუძველზე საიტის შექმნა და ფუნქციონირება;
- საგრანტო და სამეცნიერო ფონდების შესახებ ინფორმაციის მოძიება და მისი გავრცელება ვებ-გვერდის მეშვეობით;
- პროფესორ-მასწავლებლებისათვის საგრანტო თუ სხვა ფონდების მიერ გამოცხადებული კონკურსებისათვის პროექტებში მონაწილეობის მიღებაზე ხელშეწყობა;
- სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრის მუშაობის პრაქტიკის გაცნობა და არსებულ სიტუაციაზე მორგებული სისტემის დანერგვა;
- თითოეული სამეცნიერო ცენტრის დებულებების შედგენა, დამტკიცება და დებულებით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელების პერიოდული მონიტორინგი;

- სამეცნიერო კვლევით სამუშაოებში სტუდენტების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა;
- ერთობლივი კვლევითი საქმიანობის წარმართვა როგორც საქართველოს სხვა სამეცნიერო კვლევით ცენტრებთან ერთად ასევე სხვა ქვეყნების სამეცნიერო ცენტრებთან ერთად;
- სხვადასხვა სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მიღება და მათი მასპინძლობა.

მოსალოდნელი შედეგები:

- მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აკადემიური დატვირთვის გაძლიერება;
- სამეცნიერო და კვლევითი ფორმატის ღონისძიებათა მასპინძლობა და გარემოს აკადემიური სიცოცხლისუნარიანობის ამაღლება;
- სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ინტენსიური გამოყენება მუნიციპალიტეტის ეკონომიკური ეფექტიანობისა და სოციალური სიცოცხლისუნარიანობის გასაზრდელად;
- საგრანტო და სამეცნიერო ფონდების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- სამეცნიერო ნაშრომების პოპულარიზაცია და მისი გავრცელება;
- ვებ-გვერდის მეშვეობით გამოქვეყნებული ლექტორ-მასწავლებლების ნაშრომებით მათი პროფესიული იმიჯის ფორმირება და პერსპექტივების გაფართოება;
- სამეცნიერო ნაშრომების საინფორმაციო ბაზების შექმნა;
- იმ დარგების განვითარება, რომელი მიმართულებითაც მოხდება სამეცნიერო ცენტრების ჩამოყალიბება;
- მოხდება სტუდენტ-ახალგაზრდების სამეცნიერო ცენტრების მუშაობაში აქტიური ჩართულობა და მათი პროფესიული ზრდა;
- მუნიციპალიტეტის პოზიტიური ცნობადობის გაზრდა;
- მიგრაციის შეკავება.

21.1.10 მუნიციპალიტეტის კულტურული განვითარება

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა

მიზანი - მუზეუმ-ნაკრძალების, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი და მოძრავი ძეგლებისა და ობიექტების დაცვა, მოვლა-პატრონობა და პოპულარიზაცია.

პრობლემის აღწერა: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურული და ისტორიული ძეგლების საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობაა წარმოდგენილი. მათგან სანახაობრივი იერ-სახე მხოლოდ ერთ ნაწილს აქვს შენარჩუნებული. ძეგლების უმრავლესობა საჭიროებს სარესტავრაციო და აღდგენით სამუშაოებს. საგზაო სანიშნები ტურისტული მარშრუტებისათვის ძეგლის მდებარეობის მითითებით ძირითადად განთავსებულია. თუმცა, საკუთრივ ძეგლების ცნობადობა ცალკეული გამონაკლისების გარდა, საკმაოდ დაბალია. ცნობადობის ნაკლებობა პოტენციური მნახველების რიცხვს ამცირებს. ერთიანი ბაზა აღნიშულ ძეგლებზე არ მოიპოვება

ელექტრონულ სივრცეში და ზოგადად ამ ტიპის ხარისხიანი ინფორმაციის საჯაროობა დაბალია. არსებული საინფორმაციო ბაზა არ იძლევა ძეგლების სტატიკურ მდგომარეობაზე სრულფასოვანი წარმოდგენის ქონის შესაძლებლობას. დაბალია ახალგაზრდების, მათ შორის ადგილობრივების მხრიდან, ძეგლების მიმართ ინფორმირებულობა და ტურისტული ინტერესი.

მუნიციპალიტეტის ლანდშაფტური თავისებურებებიდან გამომდინარე ძეგლები უმრავლეს შემთხვევაში რთულად მისავალ ნაწილში მდებარეობს. არ აკრავს გარს ადეკვატური მინიმალური ინფრასტრუქტურაც კი. არაა შექმნილი საინფორმაციო გზამკვლევები. ამ და სხვა მიზეზთა ტურისტული კომპანიების ინტერესი უმრავლესად ძალიან დაბალია და შესაბამისად მათ მიერ ტურისტულ მარშრუტებში ასახვას არ პოულობს. თავისუფალი გიდების დაქირავებაც აღნიშული მიმართულებებით არსებით სირთულეს წარმოადგენს.

ხედვა - კულტურული მემკვიდრეობისადმი მოსახლეობის ცნობადობისა და მისდამი სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდით შეიცვლება კულტურულ-ისტორიული თვითშეფასება და ჩამოყალიბდება ისტორიული მემკვიდრეობის დაცვის სამოქალაქო მოთხოვნილება.

საქმიანობები სტრატეგიის რეალიზაციისათვის:

- არქიტექტორული კომპლექსების, კულტურული მემკვიდრეობის ცალკეული ნიმუშების შესწავლა, მათი ისტორიული, მეცნიერული და მხატვრული ღირებულებების განსაზღვრა - მათი პასპორტიზაცია;
- მუნიციპალიტეტის არქიტექტურული კომპლექსების, კულტურული მემკვიდრეობის ცალკეული ნიმუშების რეაბილიტაციისათვის მეთოდოლოგიური ექსპერტიზა და საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;
- მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების ინტეგრირებული ინფრასტრუქტურის შექმნა;
- კულტურული მემკვიდრეობის შესახებ სამეცნიერო ნაშრომების მომზადებას მხარდამჭერი სტრატეგიული დოკუმენტის მომზადება და მათი გავრცელების კამპანიის განხორციელება;
- თანამშრომლობა როგორც სხვა მუნიციპალიტეტებთან, ისე ქვეყნის სხვა ერთეულებთან და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა;
- არქიტექტურული კომპლექსების, კულტურული მემკვიდრეობის ცალკეული ნიმუშების რესტავრაცია-რეაბილიტაცია;
- ძეგლების მიმდებარე ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის მოწესრიგება: მისასვლელი გზებისა და ბილიკების მოწესრიგება, ტუალეტების მშენებლობა, სანაგვე ყუთების დამონტაჟება, საცნობარო აბრების დამონტაჟება;
- კულტურული მემკვიდრეობის ფიქსაცია და ინვენტარიზაცია, მათი მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბაზის შევსება;
- პანორამული სურათების შექმნა და მისი განთავსება ინტერნეტში;
- კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის და შემეცნების მიზნით, კულტურულ-საგანმანათლებლო და ტურისტული პროგრამების მომზადება;
- აქტიური თანამშრობლობა ტურ-ოპერატორებთან;

- სკოლებთან თანამშრომლობა და საბავშვო-საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება;
- სხვადასხვა დონის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ორმხრივი თანამშრომლობა კულტურისა და ისტორიული ძეგლების ცნობადობის შესაცვლელად და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობების საწარმოებლად.

მოსალოდნელი შედეგები:

- შედგება კულტურული მემკვიდრეობის მოძრავ ძეგლთა ინვენტარიზაცია და შეივსება მონაცემთა საინფორმაციო ბაზა;
- შემუშავდება სპეციალური კულტურულ-შემეცნებითი ტურები;
- დაინერგება დარგში აპრობირებული საერთაშორისო სტანდარტები და გამოცდილება;
- მოხდება ძეგლების რესტავრაცია-კონსერვაცია;
- კულტურული და ისტორიული ძეგლების ცნობადობის ამაღლება განაპირობებს ისტორიული ძეგლებისა და მუზეუმების პოპულარიზაციას, რაც თვის მხრივ ვიზიტორთა რიცხვის ზრდაზე პოვებს ასახვას;
- კულტურული მემკვიდრეობის შესახებ მეცნიერულ შრომათა და პუბლიკაციათა დაგროვება გააღრმავებს ობიექტებისადმი აკადემიურ ინტერესს და აამაღლებს ამ სივრცეში მათ ცნობადობას;
- მოწესრიგდება მიმდებარე ინფრასტრუქტურა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ძეგლების ჩართვით ტურისტული მარშრუტების აგება და პოპულარიზაცია;
- გაიზრდება მოზარდებისა და ახალგაზრდების ინტერესი და სოციალური პასუხისმგებლობა კულტურული მემკვიდრეობის მიმართ.

- მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების გააქტიურება

მიზანი - მრავალფეროვანი პროგრამებით მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების გაჯერება და კულტურული ნოვაციებისათვის სივრცის გამოყოფა.

პრობლემის აღწერა: მუნიციპალიტეტი არ გამოირჩევა კულტურული ინფრასტრუქტურის მრავალფეროვნებითა და მაღალი ხარისხით, თუმცა ექსპლუატაციისთვის ვარგისი ინფრასტრუქტურის გარკვეულ რაოდენობას ფლობს მუნიციპალიტეტის პრაქტიკულად ყველა სოფელი. სოფლებში კლუბების უმრავლესობა უმოქმედოდაა დარჩენილი. უმრავლეს მათგანში სკოლებთან არ ფუნქციონირებს დამატებითი კლუბები და წრეები, არცთუ მცირეა იმ სოფლების რაოდენობა, სადაც არ მოღვაწეობენ ფოლკლორული კოლექტივები.

გაქრობა ემუქრება ხალხური რეწვის რამდენიმე სახეობასაც. ახალგაზრდა თაობის, ისევე როგორც საქმიანი წრეების, დაინტერესება ამ მიმართულებით მიზერულია. რეალიზაციისა და თვითგამოხატვის საშუალებების მკვეთრმა დეფიციტმა განაპირობა კულტურულად აქტიური ფენების გადინება მუნიციპალიტეტიდან, მითუფრო მისი სოფლებიდან. შედეგად კულტურული ცხოვრების ხარისხი რეგრესული ტენდენციის სახეს იძენს.

სტრატეგიული ხედვა - მუნიციპალიტეტში კულტურული ფონის გაჯანსაღება გაზრდის ადგილობრივი მოსახლეობის ინტეგრაციის რესურსს და შექმნის სტიმულს მიგრაციული პროცესის დამაგრებისათვის.

საქმიანობები სტრატეგიის რეალიზაციისათვის:

- კულტურული პროგრამის დაგეგმარება, როგორც ადგილობრივი, ისე მოწვეული კოლექტივების მონაწილეობით;
- მონაწილეობა მუნიციპალიტეტს გარეთ გამართულ ღონისძიებებში;
- საერთაშორისო ფესტივალების შესახებ ინფორმაციის მოძიება;
- ანსამბლებისათვის ფორმებისა და ინსტრუმენტების შეძენა და განახლება;
- თეატრის დასის ქმედუნარიანობის ხელშეწყობა;
- სხვა თეატრალური დასების მასპინძლობის მხარდაჭერა;
- სოფლის კლუბების არსებული მდგომარეობის შესწავლა მათი განახლება და ამოქმედება;
- კერძო ინიციატივების გამოვლენა და მხარდაჭერა;
- ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის შევსება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;
- მხარდაჭერა სასკოლო კლუბების ჩამოყალიბებაში;
- ტრადიციული და სახალხო დღესასწაულების ორგანიზება;
- მუნიციპალური კონკურსების ორგანიზება;
- გარკვეული საკადრო რესურსის მომზადება/გადამზადება კულტურული მენეჯმენტის მიმართულებით;

მოსალოდნელი შედეგები:

- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის თავისუფალი დროის კულტურული ათვისება;
- კულტურის სფეროში მოღვაწეთა სტიმულირება;
- მოზარდებისათვის კულტურული შემეცნებისა და არჩევანის გაფართოება;
- ცხოვრების წესის კულტურული ელემენტებით შევსებაზე მოზარდთა ორიენტირება;
- ხელი შეუწყობა მოსახლეობის ადგილზე დამაგრებასა და მიგრაციული პროცესების შენელებას;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის ტურისტული მიმზიდველობა;
- დაიხვეწება მუნიციპალიტეტის კულტურული იმიჯი.

21.1.11 მუნიციპალიტეტში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა

- ქობულეთს მუნიციპალიტეტში ფიზიკური აღზრდისა და პროფესიული სპორტის განვითარება

მიზანი - საზოგადოების აქტიურობის გაზრდა და სპორტის სფეროს პოპულარიზაცია.

სტრატეგიის საჭიროების დასაბუთება: მუნიციპალიტეტში სპორტს მეტნაკლებად მასობრივი ხასიათი აქვს და საზოგადოების დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სპორტულ ცხოვრებაში. სწორი სტრატეგიის შემთხვევაში მუნიციპალიტეტს გააჩნია ყველა ის პოტენციალი, რომელიც უზრუნველყოფს წარმატებული სპორტსმენების გაზრდას, რომლებიც ასახელებენ არამხოლოდ მუნიციპალიტეტს, არამედ საქართველოსაც.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სპორტის განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობა. სპორტის სფეროს ინფრასტრუქტურის მოწყობასა და რეაბილიტაციას სჭირდება საკმაოდ დიდი თანხები, რის დაფინანსებასაც მუნიციპალიტეტი საკუთარი ბიუჯეტით ვერ უზრუნველყოფს, ამიტომ საჭიროა მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და თანამშრომლობა სხვადასხვა დონორ ორგანიზაციებთან.

სტრატეგიული ხედვა - მოხდება მასობრივ სპორტში ჩართულ ადამიანთა და სპორტული მიღწევების რაოდენობრივი ზრდა.

საქმიანობები სტრატეგიის რეალიზაციისათვის:

- საჭიროა სკოლების მომარაგება სპორტული ინვენტარით – უნდა გაუმჯობესდეს ზოგადსაგანმანათლებლო და სასპორტო სკოლების ინფრასტრუქტურა;
- უნდა შეიქმნას უმაღლესი მიღწევების სპორტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- პერიოდულად უნდა ხორციელდებოდეს მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების განხორციელება;
- შემუშავებული უნდა იქნას სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარების გეგმა, რომლებიც წარედგინებათ დაინტერესებულ პოტენციურ ინვესტორებს;
- ყველა სპორტული სკოლისათვის უნდა შეიქმნას განვითარების გეგმა;
- საჭიროა მჭიდრო საქმიანი ურთიერთობის დამყარება სპორტის ეროვნულ დეპარტამენტთან, სასპორტო სკოლებთან, ფედერაციებთან, ოლიმპიურ კომიტეტთან, კლუბებთან, მუნიციპალიტეტებთან და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან;
- მწვრთნელებისა და სპორტსმენების წამახალისებელი მექანიზმების ამოქმედება;
- სპორტული ღონისძიებების წლიური კალენდარის შედგენა;
- სპორტის პრიორიტეტული მიმართულებების გამოვლენა.

მოსალოდნელი შედეგები:

- ამაღლდება მწვრთნელთა კვალიფიკაცია;

- გაიზრდება სპორტსმენების მოტივაცია სპორტული მიღწევების გაუმჯობესებისათვის;
- უზრუნველყოფილ იქნება სასკოლო სპორტული ღონისძიებებისა და ამ ღონისძიებებში ჩართულ მოსწავლეთა რაოდენობის ზრდა;
- გაიზრდება პროფესიულ სპორტში ჩართულ ადამიანთა რაოდენობა;
- გაიზრდება სპორტულ ღონისძიებებზე დამსწრეთა რაოდენობა;
- საერთაშორისო და ეროვნულ სპორტულ სარბიელზე პრიზიორთა და გამარჯვებულთა რაოდენობის ზრდა;
- სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია.

22 დანართები

22.1 ქობულეთის მუნიციპალიტეტის მდინარეები და მათი შენაკადები

№	მდინარის (შენაკადის) დასახელება	საზღვაო აუზის კუთვნილება	სათავის მდებარეობა ზღვის დონიდან (მ)	სიგრძე (კმ)	სიგანე (მ)	სიღრმე (მ)	სიჩქარე (მ/წმ)	საშუალო ვარდნა 1კმ-ზე (მ)	წყალშემკრები აუზის ფართობი (მ²)	მრავალწლიანი საშუალო ხარჯი (მ³/წმ)	საშუალო წლიური ჩამონადენი (მლნ.მ³)	წლიური ენერგია საქართველოს ფარგლებში, მლნ.კვტ/საათი
1	ჩაქვისწყალი	შავი ზღვა	1280	22				26	176	9,9	312,2	970
	შენაკადები:											
1.1	ბეთლემისწყალი	შავი ზღვა		9								
1.2	საღორელასწყალი	შავი ზღვა		11								
1.3	მეჩხრისწყალი	შავი ზღვა		13								
1.4	ბოსლათასწყალი	შავი ზღვა										
1.5	კარავასწყალი	შავი ზღვა										
1.6	ხართახევისწყალი	შავი ზღვა										
1.7	ღაშისწყალი	შავი ზღვა										
1.8	მონადირისწყალი	შავი ზღვა										
1.9	სახალვაშოსწყალი	შავი ზღვა										
1.10	ბზონიცისწყალი	შავი ზღვა		7								
1.11	სამოჩხერისწყალი	შავი ზღვა										
1.12	ხალისთავისწყალი	შავი ზღვა										
1.13	საფორჩხელასწყალი	შავი ზღვა										
2	აჭყვისწყალი	შავი ზღვა	215	5,8								
3	დეხვა	შავი ზღვა	1120	14				64,3	41	3,5	110,4	
4	კინტრიში	შავი ზღვა	2320	45	1-80	0,2-3	0,7-1,8	44,8	291	17,3	545,6	87
	შენაკადები:											
4.1	კინკიშა	შავი ზღვა	1300	14					39,6			
4.2	აჭყვა	შავი ზღვა	960	19								
4.3	მაღლახევის ღელე	შავი ზღვა										
4.4	ჩერულის ღელე	შავი ზღვა										
4.5	შუაღელე	შავი ზღვა										
4.6	ღომა	შავი ზღვა										
4.7	ოხტომი	შავი ზღვა										
4.8	ხეკნარა	შავი ზღვა										
4.9	ქობრონისწყალი	შავი ზღვა										
5	ჩოლოქი	შავი ზღვა	853	32				9,3	159	7,03	221,7	
	შენაკადები:											
5.1	ოჩხამური	შავი ზღვა		19								
	შენაკადები:											
5.1.1	ცხრაფონა	შავი ზღვა										
5.1.2	სკურა	შავი ზღვა										
5.1.3	შეხვეტილას ღელე	შავი ზღვა										
5.1.4	შავი ღელე	შავი ზღვა										
5.1.5	თოღანი	შავი ზღვა										
5.1.6	ხონინა	შავი ზღვა										
5.2	შარისწყალი	შავი ზღვა		16								
5.3	ღელა	შავი ზღვა		12								
5.4	რიყა	შავი ზღვა										
6	აჭისწყალი	შავი ზღვა	2190	12								

საინფორმაციო წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო;
შაქრო ფალავანდიშვილი, აჭარის ბუნება და სოფლის მეურნეობა, გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“, 2005.

22.2 მუნიციპალიტეტში არსებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოები

№		მადანგამოვლინებები და წიაღისეულის სახეობები	ზომის ერთეული	სამრეწველო მარაგები (კატეგორიების მიხედვით)			პროგნოზული მარაგები	გამოყენება	შენიშვნა
				A+B +C_1	C_2	სულ			
I	**ფერადი და კეთილშობილი ლითონები:**								
1	ოქროს გამადნების კვარცულ-ძარღვული მცირესულფიდური ტიპი:								
1.1		ხალასთავი	ტონა				7.7	ოქროს მრეწველობა	
1.2		ჩაქვისთავი	ტონა				10.5	ოქროს მრეწველობა	
II	**სამშენებლო მასალები:**								
1	მოსაპირკეთებელი მასალა-მაგმური ქანები:								
1.1	ხალასთავის გაბრო[15]-დიორიტის საბადო		ათასი $м^3$	608.0	-	608.0		მოსაპირკეთებელი და ინერტული მასალების, სასაქონლო ბლოკის წარმოება	
1.2	დაგვის მიკროტუფო ბრექჩიების[16] საბადო		ათასი $м^3$	1,138.0	-	1,138.0		მოსაპირკეთებელი და ინერტული მასალების წარმოება	
2	ღორღის ნედლეული-ვულკანოგენური ქანები:								
2.1	კინკიშის ანდეზიტ[17]-ბაზალტების[18] საბადო		ათასი $м^3$	8,765.0	-	8,765.0		ინერტული მასალების წარმოება	
3	სააგურე თიხები:								

[15] გაბრო–შავი ან რუხი ფერის ამოფრქვეული ქანი; კარგად პრიალდება; ფილების სახით იყენებენ კედლის მოსაპირკეთებლად.

[16] ბრექჩია–ქანი, რომელიც შედგება სხვადასხვა ქანის ერთმანეთთან შეკავშირებული კუთხოვანი ნატეხებისგან.

[17] ანდეზიტი–ვულკანური წარმოშობის ქანი; იყენებენ როგორც მყავაგამძლე და სამშენებლო მასალას - სამხრეთ ამერიკის მთაგრეხილის –ანდების–სახელის მიხედვით.

[18] ბაზალტი–ვულკანური წარმოშობის ქანი, ჩვეულებრივ, შავიფერისა; იყენებენ სამშენებლო საქმეში, კერამიკულ და მინის მრეწველობაში.

3.1	ოჩხამურის კერამზიტული[19] თიხის საბადო		ათასი m^3	4,000.0	-	4,000.0		კერამზიტული ხრეშის წარმოება, ბეტონის შემავსებლის ნედლეული, სოფლის მეურნეობა და ჰიდროპონიკა, თბოსაიზოლაციო მასალა	მარაგები დღეისათვის ჩამოწერილია დაძიებიდან 35-წლიანი ვადის გასვლის გამო
3.2	ცეცხლაურის ცეცხლგამძლე თიხის საბადო		ათასი m^3	1,718.0	-	1,718.0		აგურის, კრამიტის, მეტლახის, კაფელის და კერამიკული ნაწარმის წარმოება	მარაგები დღეისათვის ჩამოწერილია დაძიებიდან 35-წლიანი ვადის გასვლის გამო
3.3	ჯიხანჯურის სააგურე-საკრამიტე თიხის საბადო		ათასი m^3	448.0	-	448.0		აგურის, კრამიტის, მეტლახის, კაფელის და კერამიკული ნაწარმის წარმოება	მარაგები დღეისათვის ჩამოწერილია დაძიებიდან 35-წლიანი ვადის გასვლის გამო
III	**ქიმიური მრეწველობა:**								
1	მინერალური პიგმენტები-ლატერიტები და ოხრა:								
		ციხისძირი	ათასი ტონა				750.0	საღებავების წარმოება	
IV	**სასუქები სოფლის მეურნეობისათვის:**								
1	ტორფი სასუქისათვის:								
1.1		ქობულეთი (ისპანის ტორფწარი	ათასი ტონა	1,699.6	1,816.8	3,516.4		სასუქი	

შენიშვნა:
A კატეგორიის მარაგები-დეტალურად შესწავლილი და დადგენილი მარაგები
B კატეგორიის მარაგები-წინასწარი ძიებით საკმარისად შესწავლილი და დადგენილიმარაგები
C_1 კატეგორიის მარაგები-დაძიებული უბნების მიმდებარე სავარაუდო მარაგები განსაზღვრული გეოლოგიური მონაცემების მიხედვით
C_2 კატეგორიის მარაგები-ცალკეული საბადოს მარაგები განსაზღვრული გეოლოგიური მონაცემების მიხედვით

[19] კერამზიტი–გაფუებული ფოროვანი გამომწვარი თიხის ღორღი; იყენებენ მსუბუქი ბეტონისა და რკინაბეტონის დასამზადებლად.

22.3 სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე გაცემული ლიცენზიები

№	ლიცენზიისსახე	მოპოვების მოცულობა ლიცენზიის მიხედვით	ლიცენზიისმფლობელი	გაცემისთარიღიდავადა
1	კინკიშის ანდეზიტ-ბაზალტების საბადოზე საღორღე ნედლეულის მოპოვება	90 000 მ³	შპს „აჭარის ინერტული მასალების კომპანია“	25.06.2007, 5 წლით
2	ცეცხლაურის სააგურე თიხის გამოვლინებაზე სააგურე თიხის მოპოვება	200 000 მ³	შპს „Evrika sky“	01.08.2007, 10 წლით
3	ოჩხამურის სააგურე თიხის გამოვლინებაზე სააგურე თიხის მოპოვება	150 000 მ³	შპს „Evrika sky“	01.08.2007, 10 წლით
4	კონკიშის ანდეზიტო-ბაზალტის გამოვლინება	112 800 მ³	შპს „ჯორჯტრანსინტერროილი“	09.03.2010, 3 წლით
5	კონკიშის ანდეზიტო-ბაზალტის გამოვლინების II უბანი	186 500 მ³	შპს „ჯორჯტრანსინტერროილი“	25.05.2010, 3 წლით
6	მდინარე კინტრიშის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება	97 500 მ³	შპს „გზა“	13.07.2010, 08.12.2012-მდე
7	მდინარე კვირიკეს ანდეზიტო-ბაზალტის გამოვლინება	5 500 მ³	ფიზიკური პირი კაკო გოგიტიძე	10.09.2010, 2 წლით
8	ხალასთავის გაბრო-დიორიტის გამოვლინება		შპს „გრანმარ ჯორჯია“	01.11.2010, 5 წლით, შესწავლა-მოპოვების მიზნით
9	კონკიშის ანდეზიტო-ბაზალტის გამოვლინების I უბანი	415 000 მ³	შპს „TM GROUP“	08.11.2010, 2013 წლის 25 მაისამდე

22.4 შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ მიერ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განხორციელებული ინვესტიციები 2008-2010 წწ.

№	დასახელება	ინვესტიციების მოცულობა (მლნ. ლარი)	წილი ინვესტიციების მთლიან მოცულობაში (%)
1	ქალაქი ბათუმი	7,2	53,23
2	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	3,312	24,49
3	**ქობულეთის მუნიციპალიტეტი**	**3,013**	**22,28**
	სულ	**13,525**	**100,00**

წყარო: შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

22.5 შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ მიერ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აშენებული გაზსადენები

№	დასახელება	2008 წელი		2009 წელი		2010 წელი		სულ 2008-2010 წწ		ჯამური სიგრძე
		საშუალო წნევა	დაბალი წნევა	საშუალო წნევა	დაბალი წნევა	საშუალო წნევა	დაბალი წნევა	საშუალო წნევა	დაბალი წნევა	
1	ქალაქი ბათუმი	6 747	3 851	6 250	5 357	26 748	4 696	39 745	13 904	53 649
2	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	-	-	1 082	-	26 997	-	28 079	-	28 079
3	**ქობულეთის მუნიციპალიტეტი**	**7 725**	**14 575**	**-**	**-**	**14 893**	**4 215**	**22 618**	**18 790**	**41 408**
	სულ	14 472	18 426	7 332	5 357	68 638	8 911	90 442	32 694	123 136

წყარო: შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

22.6 აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შპს „აჭარის ბუნებრივი აირის“ საკუთრებაში არსებული გაზსადენების სიგრძე

		მაღალი წნევა	საშუალო წნევა	დაბალი წნევა	სულ
1	ქალაქი ბათუმი	-	21 600	31 400	53 000
2	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	-	23 070	8 000	31 070
3	**ქობულეთის მუნიციპალიტეტი**	**28 900**	**6 900**	**38 900**	**74 700**
	სულ	28 900	51 570	78 300	158 770

წყარო: შპს „აჭარის ბუნებრივი აირი“

22.7 შპს „აჭარის ბუნებრივი აირის“ აბონენტების რაოდენობა (2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით)

№	დასახელება	მოსახლეობა	ორგანიზაციები	სულ
1	ქალაქი ბათუმი	3 798	235	4 033
2	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	1 243	7	1 250
3	**ქობულეთის მუნიციპალიტეტი**	**3 042**	**96**	**3 138**
	სულ	8 083	338	8 421

წყარო: შპს „აჭარის ბუნებრივი აირი“

22.8 2010 წელს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოხმარებული აირი

	დასახელება	მოსახლეობა	ორგანიზაციები	სულ	წილი მთლიანი მოხმარებიდან (%)
1	ქალაქი ბათუმი	4,56	3,01	7,57	64,21
2	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	0,3	0,8	1,10	9,33
3	**ქობულეთის მუნიციპალიტეტი**	**2,05**	**1,07**	**3,12**	**26,46**
	სულ	6,91	4,88	11,79	100,00

წყარო: შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“; შპს „აჭარის ბუნებრივი აირი“

22.9 მუნიციპალიტეტის დამშრობი არხები და ნაგებობები

არხების და ნაგებობების დასახელება	**ექს. შესვლის წელი**	**არხის სიგრძე (კმ)**	**ჩამოკიდებული ფართობი (ჰა)**
დამშრობი არხი	1987	6,39	550
მაგისტრალური არხი	1984	3,95	40
მაგისტრალური არხი	1984	2,68	110
მთისძირა დამშრობი არხი	1984	2,1	40
დახურული დამშრობი ქსელი	1982	7,62	90
დამშრობი ქსელი	1974	1,5	65
მაგისტრალური დამშრობი ქსელი	1968	8,56	335
მაგისტრალური არხი	1966	8,37	680
დამშრობი ღია ქსელი	1966	10,56	30
დახურული ქსელი	1966	10	20
დამშრობი ქსელი	1956	4,1	27,6
დამშრობი ქსელი	1951	1,4	40
სულ		**67,23**	**2027,6**

22.10 დამშრობი არხების ქსელები

არხების და ნაგებობების დასახელება	**არხის სიგრძე (კმ)**	**ჩამოკიდებული ფართობი (ჰა)**
ლელვას დამშრობი არხი	1,8	4,4
ბობოყვათის დამშრობი არხი	1,3	5,2
ციხისძირის დამშრობი არხი	1,2	7,6
კვირიკის დამშრობი არხი	1,1	7,6
ქვედა აჭყვის დამშრობი არხი	1	9,6
ზედა ულიანოვკის დამშრობი არხი	1	8

დაგვის დამშრობი არხი	1	5
ჩაქვის დამშრობი არხი	0,9	15
ქობულეთის დამშრობი არხი	0,9	4,4
ჩაისუბნის დამშრობი არხი	0,9	4,3
ქვედა ულიანოვკის დამშრობი არხი	0,8	4,6
ქაქუთის დამშრობი არხი	0,8	3
ხალის დამშრობი არხი	0,8	2,8
მუხაისტატეს დამშრობი არხი	0,8	2,1
ალამბრის დამშრობი არხი	0,7	2
ხუცუბნის დამშრობი არხი	0,6	6
რაიგრასიის დამშრობი არხი	0,6	3
სულ	**16,2**	**94,6**

22.11 სამელიორაციო არხების ტექნიკური მონაცემები

სამელიორაციო სისტემის დასახელება	თემის ან სოფლის დასახელება	ობიექტის სიგრძე (გრ/მ)	მომსახურეობის ფართობი (ჰა)	მდგომარეობა
სუბერკაცის დამშრობი მასივი	მუხაესტატე	31982	74,69	მუშაობს
	სოფ. ქობულეთი	28346	66,2	მუშაობს
	ზენითი	20284	47,37	მუშაობს
	ლეღვა	8718	20,36	მუშაობს
	წყავროკე	24866	58,07	მუშაობს
		114196	**266,69**	
ტოგონას დამშრობი მასივი	კვირიკე	2244	5,1	არ მუშაობს
	აჭყვისთავი	10595	24,08	მუშაობს
	ალამბარი	70400	160	მუშაობს
	ხალა	3872	8,8	არ მუშაობს
	გვარა	12232	27,8	მუშაობს
	ხუცუბანი	10142	23,05	მუშაობს
	მუხაესტატე	4483	10,19	მუშაობს
	ქაქუთი	7700	17,5	არ მუშაობს
		121668	**276,52**	
მდინარე აჭყვის დამშრობი მასივი	ალამბარი	2378	6,1	არ მუშაობს
	კვირიკე	2300	5,9	არ მუშაობს
	ქობულეთი	10716	28,2	მუშაობს
		15394	**40,2**	
მდინარე დეხვის დამშრობი მასივი	ბობოყვათი	1412	8,8	მუშაობს
	ციხისძირი	5418	12,9	მუშაობს
		6830	**21,7**	
ოქ ის და მშ რო ბი	შპს "ჩოლოქი"	85536	182	მუშაობს

	კვირიკე	3169		არ მუშაობს
	ციხისძირი	14096		არ მუშაობს
	ბობოყვათი	10792		არ მუშაობს
	დაგვა	8704		არ მუშაობს
		122297	**182**	
ჩოლოქის სატუმბი სადგური	ჩოლოქი		რკინა ბეტონის ძირი,კედლები აგურის	მუშაობს
აღწერა – მიწის არხები	**სულ**	**380385**	**787,11**	
	მუშა არხების სიგრძე	325130	743,71	
	არამუშა არხების სიგრძე	55255	43,4	
	მუშა არხებით მომსახურე ფართობი		743,71	
	არამუშა არხებით მომსახურე ფართობი		43,4	

22.12 საზოგადოებრივ კოლეჯის ფაკულტეტები

ტურიზმი

- სასტუმრო საქმის მწარმოებელი - ისწავლება სასტ. მართვის სისტემა“OPERA”
- მიმღები-რეცეფციონისტი - ისწავლება სასტ. მართვის სისტემა“OPERA”
- ბარმენი -ისწავლება ბარისა და რესტორნის მართვის სისტემა “ MICROS”
- სარესტორნო საქმის მწარმოებელი -ისწავლება ბარისა და რესტორნის მართვის სისტემა “ MICROS”
- გიდი
- საფეხმავლო გიდი
- ტუროპერატორი
- კულინარული ხელოვნება - მზარეული
- კონდიტერი
- დასუფთავების სამსახური

სამშენებლო

- კალატოზი
- მეფილე-მომპირკეთებელი
- მღებავი
- შემდუღებელი
- ზეინკალ-სანტექნიკოსი
- ელექტრიკოსი

- საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებელ-ტექნიკოსი
- თაბაშირ-მუყაოს სპეციალისტი
- რკინა-ბეტონის სამუშაოთა მწარმოებელი (მეარმატურე, მეყალიბე, მებეტონე)
- ამწის მემანქანე
- მძიმე სამშენებლო ტექნიკის ოპერატორი

დამატებითი სპეციალობები

- ოფის-მენეჯერი
- კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი
- ღონისძიების მომწყობი
- სამაცივრო მოწყობილობების ტექნიკოსი
  ავტო-საქმე - დიაგნოსტიკა და შეკეთება
- მეფუტკრე

4-5 საფეხურის პროგრამები

- ფარმაცევტის თანაშემწე
  მშენებლობის მწარმოებელი
- სარესტორნო საქმის მწარმოებელი
- სასტუმრო საქმის მწარმოებელი

22.13 კინტრიშის დაცული ტერიტორიები

კინტრიშის დაცული ტერიტორიების შემადგენლობაში შედის 1959 წელს დაარსებული კინტრიშის ნაკრძალი და კინტრიშის დაცული ლანდშაფტი, რომელიც 2007 წელს დაარსდა. კინტრიშის დაცული ტერიტორიები განლაგებულია მდინარე კინტრიშის თვალწარმტაც ხეობაში და სოფელ ცხემვანსა და ხინოს მთის შუაა მოქცეული. კინტრიშის დაცული ტერიტორიების ქვემო საზღვარი ზღვის დონიდან 250-300 მეტრზე გადის, ხოლო ზედა ალპურ იალაღებს ებჯინება (2000 მეტრი ზღვის დონიდან). უმაღლესი მწვერვალია მთა სარბიელა (2471 მეტრი ზღვის დონიდან)

კინტრიშის დაცული ტერიტორიების ფართობი შეადგენს 13893 ჰექტარს, აქედან ნაკრძალს უჭირავს 10 703 ჰა, ხოლო დაცულ ლანდშაფტს-3 190 ჰა.

კინტრიშის დაცული ტერიტორიები შავ ზღვასა და აჭარა-იმერეთის მთათა სისტემას შორისაა მოქცეული. ეს მთები ზღვის ტენიან ჰაერს აკავებს და კინტრიშის უაღრესად ტენიან ჰავას განსაზღვრავს. მთელი წლის მანძილზე აქ თითქმის იმდენივე ნალექი მოდის, რამდენიც აჭარის შავი ზღვის სანაპიროზე (3000 მმ). აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 24^{0}C, ხოლო იანვრის-4^{0}C.
კინტრიშის დაცული ტერიტორიების მთლიანი რელიეფი ღრმა ხეობებითაა დასერილი. ნაკრძალის წყლის მთავარი არტერია-მდინარე კინტრიში სათავეს ხინოს მთიდან იღებს და ქალაქ ქობულეთის სიახლოვეს შავ ზღვაში ჩაედინება. მისი სიგრძე 45 კილომეტრია. ნაკრძალის დანარჩენი მდინარეებია: ხეკნარა, პერანგა, მამედაღი, დიდღელე, მისანათის ღელე (რომელზეც

30 მეტრიანი თვალწარმტაცი ჩანჩქერია), ბოლქვაძეების ღელე და ჩრდილა (ორსაფეხურიანი 70 მეტრი სიმაღლის წყალვარდნილით). ყველა ეს მდინარე კინტრიშის შენაკადებს წარმოადგენს. მაღლა მთებში განლაგებულია პატარა ტბები-ტბიყელისარბიელა და სიძერძალი, რომელთა ფართობი 1,5 ჰექტარს არ აღემატება. ტბები ტბიყელი და სარბიელა უშუალოდ ნაკრძალის ტერიტორიაზე, ხოლო ტბა სიძერძალი-მის საზღვრებს გარეთ.

კინტრიშის დაცული ტერიტორიების ფლორისთვის აჭარული ენდემების, მდიდარი მარადმწვანე ქვეტყის, გვიმრების და ლიანების სიმრავლეა დამახასიათებელი. ნაკრძალის დენდრო ფლორა 102 სახეობას ითვლის. აქ 46 სახეობის ხის, 4 სახეობის ბუჩქის და ლიანების 8 სახეობის ნახვაა შესაძლებელი. აქაური რელიქტებია: პონტოური მუხა (Quercus pontica), მედვედევის არყი (Betula medwedewii), უნგერნის შქერი (Rhododendron ungerni), უთხოვარი (Taxus baccata), კოლხური ჯონჯოლი (Staphylea colchida), თაგვისარა (Ruscus ponticus), კავკასიური ხურმა (Diospyros lotus), ჩვეულებრივი წაბლი (Castanea sativa). 7201 ჰექტარი აქ წიფლნარ ტყეებს უკავიათ, 2912 – წაბლნარებს, რცხილნარები 496 ჰექტარზე გვხვდება, მუხნარი – 389 ჰა-ზე, სოჭნარ-ნაძვნარი – 140 ჰა-ზე, ცაცხვნარი – 40 ჰა-ზე, თხილნარი – 33 ჰა-ზე, მურყნარი – 12 ჰა-ზე, აბზინები – 4 ჰა-ზე, წყავის რაყები 727 ჰა-ზე, პონტოურ დეკას – 712 ჰა, კავკასიურ დეკას – 172 ჰა, შქერიანებს - 1611 ჰა უჭირავს.

კინტრიშის დაცული ტერიტორიების მდინარეები და ხევები მდიდარია კალმახით (Salmo fario trutta).მდინარე კინტრიშის ქვემო დინებაში ხშირად შეხვდებით შამაიას (Chalcalburnus chalcoides) დასაზანს (Cyprinus carpio). ამბობენ, რომ ადრე კინტრიშს შავი ზღვიდან საქვირითოდ ხშირად სტუმრობდა ორაგული (Salmo fario morpha).

ამფიბიებიდან ნაკრძალში მცირეაზიური ტრიტონი (Triturus vittatus), ვასაკა (Hyla arborea), ჩვეულებრივი გომბეშო (Bufo), მცირეაზიური ბაყაყი (Rana macrocnemis), ტბის ბაყაყი (Rana ridibunda), ქვეწარმავლებიდან-ჩვეულებრივი ანკარა (Natrix natrix), წყლის ანკარა (Natrix tessellata), სპილენძა გველი (Coronella austriaca) და კავკასიური გველგესლა (Vipera kaznakovi) გვხვდება.

ნაკრძალის ორნითო ფაუნა საკმაოდ მდიდარია მტაცებელი ფრინველებით. აქაღრიცხულია ჩია არწივი (Aquila pennata), კაკაჩა (Buteo buteo), ქორი (Accipiter gentilis marginatus), მიმინო (Accipiter nisus), მარჯანი (Falco subbuteo), ჩვეულებრივი კირკიტა (Falco tinnunculus), აგრეთვე, ღამისმტაცებლები: ზარნაშო (Bubo bubo), წყრომი (Otus scops) დაჭოტი(Aegolius funereus). სხვა ფრინველებიდან კინტრიშში ბუდობს ოფოფი (Upupa epops), კოდალა (Picinae), ყორანი (Corvus corax), შაშვი (Turdus), მოლაღური (Oriolus oriolus)და აგრეთვე ისეთი იშვიათი ფრინველები, როგორებიცაა: კავკასიური როჭო(Tetrao mlokosiewiczi)და კასპიური შურთხი(Tetraogallus caspius).

მცირე ძუძუმწოვრებიდან კინტრიშის ხეობის მკვიდრები არიან: თხუნელა (Talpa), სინდიოფალა (Mustela nivalis), კავკასიური ციყვი (Sciurus anomalus), კურდღელი (Lepus), მელა (Vulpes vulpes), მაჩვი (Meles meles), ტყისკატა (Felis silvestris), წავი (Lutra lutra). ჩლიქოსნებიდან ნაკრძალის ტყეებში ბინადრობს შველი (Capreolus capreolus), უფრო მაღლა კი ალპური და სუბალპური სარტყლების საზღვარზე არჩვი(Rupicapra rupicapra) და გარეული ღორი(Sus scrofa). მტაცებლებიდან ნაკრძალში მურა დათვი (Ursus arctos) ბინადრობს, რომლის პოპულაცია საკმაოდს ტაბილურია.

კინტრიშის ნაკრძალის ტერიტორიაზე საქართველოს „წითელინუსხის“ შემდეგი სახეობებია გავრცელებული: კალმახი(Salmo fario trutta), კავკასიური სალამანდრა (Mertensiella caucasica),

მურა დათვი (Ursus arctos), წავი (Lutra lutra), კავკასიური ციყვი (Sciurus anomalus), კავკასიური როჭო (Tetrao mlokosiewiczi),კასპიური შურთხი (Tetraogallus caspius), ბექობის არწივი (Aquila heliaca), შავარდენი(Falco peregrinus),მცირეაზიური ტრიტონი (Triturus vittatus).
კინტრიშის ნაკრძალის ტერიტორიაზე განლაგებულია ხინოს სამონასტრო კომპლექსი და ცხემვანის წმ.გიორგის სახელობის ეკლესია.
კინტრიშის დაცულ ტერიტორიებს საკმაოდ კარგი ტურისტული პოტენციალი გააჩნია. ის სულ რაღაც 20 კილომეტრითაა დაშორებული კურორტ ქობულეთიდან. დაცულ ტერიტორიებზე შესაძლებელია საწყლოსნო, ეთნოლოგიური, ეკოლოგიური და ფრინველებზე დაკვირვების ტურების მოწყობა. დაცულ ტერიტორიებზე გახსნილია ტურისტული მარშრუტები.

22.14 მტირალას ეროვნული პარკი

აჭარა და თურქეთის მოსაზღვრე ტერიტორია გამოირჩევა უძველესი ენდემური სახეობების სიუხვით, რაც განსაზღვრავს მტირალას ეროვნული პარკის დაარსების მნიშვნელობას.
ახლად დაარსებული მტირალას ეროვნული პარკი მცირე კავკასიონის, სახელდობრ, აჭარა-იმერეთის ქედის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში, ქობულეთ-ჩაქვის ქედზე მდებარეობს. პარკის ცენტრალური ნაწილის გეოგრაფიული კოორდინატებია: აღმოსავლეთ გრძედის $41^{0}50'$ და ჩრდილოეთ განედის $41^{0}40'$. პარკი სამი მუნიციპალიტეტის: ძირითადად ქობულეთის, აგრეთვე ხელვაჩაურისა და ქედის ტერიტორიაზეა განლაგებული. იგი 16 000 ჰექტარზეა განფენილი და საკმაოდ კარგად შემონახულ ტყისა და ბუჩქნარის ეკოსისტემებს მოიცავს. პარკის ჩამოყალიბება სამხრეთ კოლხეთის რელიქტური ტყეების დაცვის საშუალებას იძლევა.
პარკის ბირთვული (განსაკუთრებით მკაცრი დაცვის) ზონა მოიცავს თითქმის ხელუხლებელ კოლხური ტყით დაფარულ ტერიტორიას, რომელიც უნიკალური მერქნიანი მცენარეულობითაა წარმოდგენილი. ბუნებრივი მცენარეული საფარის ხელუხლებლობა რთული რელიეფით, განკერძოებული, ძნელად მისადგომი მდებარეობითა და გარკვეული დროის მანძილზე დაცვის რეჟიმის არსებობითაა განპირობებული. პარკის ტერიტორია დღემდე რჩება მცენარეთა და ცხოველთა ბევრი, მათ შორის უიშვიათესი, გადაშენების პირას მყოფი, ენდემური და რელიქტური სახეობის თავშესაფრად.
პარკს კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაც ეკისრება: მან ხელი უნდა შეუწყოს ქობულეთ-ჩაქვის ქედის ბუნებრივ ეკოსისტემათა წონასწორობის შენარჩუნებას, რაც თავიდან აგვაცილებს ეროზიულ-მეწყერული მოვლენების განვითარებას და წყალმოვარდნებს როგორც მთის, ასევე ბარის ზონის შესაბამის ზოლში. ეკოლოგიურად სუფთა გარემო ქმნის იდეალურ პირობებს სასმელი წყლის მარაგის სტაბილურობისა და სისუფთავისათვის.
გეოლოგიური თვალსაზრისით პარკის ტერიტორია მცირედით განსხვავდება აჭარის მთლიანი გეოლოგიური სურათისაგან. აქ ძირითადად გავრცელებულია მესამეული ანდეზიტები და ტუფოგენური ქანები. ოროგრაფიულად ქობულეთ-ჩაქვის ქედი, სადაც პარკი ჩამოყალიბდა, აჭარას ჰყოფს ზღვისპირა და შიდა ნაწილებად. პარკის ტერიტორიაზე, რომელიც ძირითადად ზღვისპირა აჭარის ზონას მოიცავს, გამოიყოფა: მთისწინეთის გორაკ-ბორცვიანი სარტყელი (500-600 მ-მდე ზღვის დონიდან), მთის ქვედა (1000-1200-მდე), შუა (1500-1600-მდე) და ზედა (1500-

1600 მეტრზე მაღლა) სარტყლები. უმაღლესი ნიშნულები 1700 მეტრის სიახლოვესაა და მიესადაგება მორვილის ქედს, რომელსაც პარკის აღმოსავლეთი საზღვარი გასდევს. მთა მორვილის სიმაღლეა 1773 მეტრი, ხოლო პარკის უმაღლესი წერტილია 1761 მეტრი. 1300 მეტრს აღემატება მთები დიდი მტირალა, ტერათი და სხვა. დანაწევრებულ რელიეფულ ფორმებს შორის გამოირჩევა თვალწარმტაცი ვიწრო ხეობები და კანიონები.

ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური მაჩვენებელი 2000 მმ-ზე მეტია, ხოლო მთა დიდი მტირალას ზღვისკენ მიქცეულ ფერდობებზე 4000 მმ-ზე მეტი, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს ადგილობრივი ბიოტის უნიკალურობას. მთა მტირალა (1381 მეტრი ზღვის დონიდან) მთელს საქართველოში ყველაზე ნალექიანი ადგილია (4520 მმ წლის განმავლობაში). ტოპონიმი „მტირალა“ მთას სწორედ უხვნალექიანობის გამო შეერქვა. ჰაერის ტენიანობა აღწევს 80-85%-ს. ხშირია ნისლიანი დღეები, რაც თავისებურ ელფერს ანიჭებს მარადმწვანე ქვეტყით მოცულ, გაუვალ კოლხურ ტყეებს. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა აქ აბსოლუტური სიმაღლის მიხედვით მერყეობს 10-12^{0}c-დან (500-600 მეტრი ზღვის დონიდან) 5-6^{0}c-მდე (1000-1200 მეტრი ზღვის დონიდან). მთის ქვედა სარტყელში ყველაზე თბილი თვის-აგვისტოს საშუალო მაჩვენებელია 20^{0}c, ყველაზე ცივი-იანვრის თვის-მინუს 2^{0}c. აბსოლუტური მინიმუმი 1000-1200 მ-ზე ზღვის დონიდან არის მინუს 13,6^{0}c. წელიწადში საშუალოდ 274 დღე ყინვის გარეშეა. თოვლის საფარის სიმაღლე მთის შუა და ზედა სარტყლებში ხშირად 3-4 მეტრს აღწევს.

პარკის ტერიტორიაზე ძირითადი ჰიდრორესურსებია მდინარეები ჩაქვისწყალი და ყოროლისწყალი, რომლებიც შავ ზღვას ერთვიან, ხოლო ქედის სამხრეთ ფერდობზე-მდინარე აჭარისწყლის შენაკადები: დოლოგანი, ზუნდაგისწყალი და სხვა. ბევრი მათგანი ულამაზეს ხეობებში მიედინება, ჭორომებსა და ჩანჩქერებს ქმნის. ტერიტორიაზე მრავლადაა მინერალური და მტკნარი წყაროები, რომლებიც სამკურნალო თვისებებითაა გამორჩეული.

მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ძირითადად სამი ტიპის ნიადაგი გამოიყოფა. ზღვის დონიდან 600 მეტრამდე გავრცელებულია წითელმიწები, რომლებზეც შერეული ფართოფოთლოვანი ტყეებია. სიმაღლის მატებასთან ერთად წითელმიწები იცვლება ყვითელმიწა, ყომრალი და ტყის ყომრალი ნიადაგებით, რომლებსაც ძირითადად წიფლნარები და წიფლნარ-წაბლნარი ტყის მასივები მიესადაგება. აქა-იქ ალუვიური ნიადაგის ფრაგმენტებს ვხვდებით.

მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორია რელიქტურ მცენარეთა იშვიათი მრავალფეროვნებით ხასიათდება. აქ გავრცელებულია 68 ოჯახის 202 გვარის 284 სახეობა, მათ შორის ხემცენარეთა 18, ბუჩქების 21 და ბალახების 245 სახეობა. 16 სახეობა ენდემურია, მათ შორის კავკასიის 5, საქართველოს 1, კოლხეთის 3 და აჭარის 3 ენდემია. საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი იშვიათი რელიქტური ენდემებია: პონტოური მუხა (Quercus pontica), მედვედევის არყი (Betula medwedewii), უნგერნის შქერი (Rhododendron ungerni), ეპიგეა (Epigaea gaultherioides) და სხვა. მარადმწვანე ბუჩქი უნგერნის შქერი და მედვედევის არყი მსოფლიოში მხოლოდ აჭარასა და თურქეთის მიმდებარე ტერიტორიაზე გვხვდება.

მტირალას ეროვნული პარკის თითქმის 100% ტყითა და გაუვალი ბუჩქნარითაა დაფარული. ზღვის დონიდან სიმაღლის მიხედვით ტყეები შემდეგნაირადაა განაწილებული:

-500-600-მდე-შერეული ფართოფოთლოვანი კოლხური ტყეები;

-500-600 მეტრიდან 1000-1200 მეტრამდე-წაბლის სარტყელი (Castanea sativa);

-1000-1200 მეტრიდან-წიფლის სარტყელი (Fagus orientalis).
ქვედა სარტყელში დომინირებს წაბლნარ-წიფლნარები, სადაც პირველ იარუსში ხშირია რცხილა (Carpinus caucasica), იფანი (Fraxinus excelsior) და სხვა. ქვეტყეში გვხვდება ჯონჯოლი (Staphylea colchica), ბზა (Buxus colchica), შქერი (Rhododendron ponticum), იელი (Rhododendron luteum), წყავი (Laurocerasus officinalis) და სხვა. ქვედა და შუა სარტყელში გავრცელებულია თხმელიანი (მურყნარი) (Alnus barbata, Alnus incana). ზღვის დონიდან 1000-1200 მეტრზე მაღლა გვხვდება უნიკალური წიფლნარი უნგერნის შქერით (Rhododendron ungerni) და სხვა ტიპის მარადმწვანე და ფოთოლმცვენი ქვეტყით: შქერი (Rhododendron ponticum), იელი (Rhododendron luteum), წყავი (Laurocerasus officinalis), მოცვი (Vaccinium arctostaphyllos), მოლოზანა (Viburnum orientalis),მაყვალი (Rubus caucasicus), ბაძგი, იგივე ჭყორი (Ilex colchica), კოლხური თაგვისარა (Ruscus colchicus) და სხვა.
მტირალას ფაუნაც საკმაოდ მდიდარია. ცხოველთა 9 სახეობა შეტანილია ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN)„წითელ ნუსხაში“, როგორც გლობალურად საფრთხის ქვეშ მყოფი, ხოლო საქართველოს „წითელ ნუსხაში“ დამატებით კიდევ 14 სახეობა, სულ 23 სახეობა.

22.15 ქობულეთის დაცული ტერიტორიები

ქობულეთის დაცული ტერიტორიები 1999 წელს შეიქმნა და მოიცავს ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალს-ისპანი II (331 ჰა) და ქობულეთის აღკვეთილს-ისპანი I (439 ჰა), რომლებიც ქალაქ ქობულეთის ჩრდილოეთით, შავი ზღვის გასწვრივ,სანაპიროდან, კერძოდ ფიჭვნარის ეკოპლაჟიდან დაახლოებით 300 მეტრში მდებარეობს. ისპანის დაცული ტერიტორიები ქალაქ ქობულეთს აღმოსავლეთით მიუყვება. ჩრდილოეთით დაცულ ტერიტორიებს თიკერის რელიქტური კოლხური ტყის „აღდგენის ზონა“ ესაზღვრება, აღმოსავლეთით კი-მუდამ დათოვლილი გომის მთა, კინტრიშის ნაკრძალი და აჭარა-გურიის მთები გადმოჰყურებს.
ტერიტორია აგებულია თანამედროვე (მეოთხეული ასაკის) ზღვიურ-მდინარეული და ტბიურ-ჭაობის ნალექებით. აქ ტიპიური ზღვის, ნოტიო სუბტროპიკული კლიმატია. წლიური ნალექიანობა 1500-2500 მმ-ია.
ისპანი I-ზე (ქობულეთის აღკვეთილი) დღევანდელი მდგომარეობით წარმოდგენილია ნახევრად დეგრადირებული მეორადი მცენარეული დაჯგუფებები. ისპანი II წარმოადგენს უნიკალურ სფაგნიუმიან-ტორფიან ჭაობს. 1996 წლიდან ისპანი II რამსარის კონვენციის საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიანი ტერიტორიაა, რომელიც მიგრირებადი და მოზამთრე ფრინველების დასასვენებელი ადგილია.
ისპანი II მსოფლიოში პირველი უნიკალური ხელუხლებელი, ცოცხალი სფაგნუმიანი ტორფნარია, სადაც წყლის დანაკარგი მხოლოდ აორთქლებით ხორციელდება. ის მხოლოდ წვიმის წყლით საზრდოობს. ისპანის ტორფნარი თითქოს ტბაა ნიადაგის ზედაპირის ზემოთ, რომელსაც საბანივით ახურავს 25-45 სმ სისქის სფაგნუმი-თეთრი ხავსი. იგი არასოდეს იფარება წყლით. სფაგნუმი წყალთან ერთად ქმნის სრულიად გლუვ გუმბათს ყოველგვარი ბორცვაკების გარეშე, რომელიც შემოგარენიდან 4-5 მეტრით მაღლაა წამოწეული. სფაგნუმი ისე მოქმედებს, როგორც ღრუბელი. მას შეუძლია წონასთან შედარებით 25-ჯერ მეტი წყალი შეიწოვოს. ძლიერი

კოკისპირული წვიმებისას, როცა არემარე წყლითაა დაფარული, ამ დროს ისპანი II-ის გუმბათი მშრალია. მისი დანახვა გადასახედი კოშკიდანაა შესაძლებელი.

ტორფნარში ბიომრავალფეროვნებისათვის განსაკუთრებული, ყველაზე მეტად ხელუხლებელი ჰაბიტატებია, რომელთაც ადამიანის ზემოქმედება არ განუცდიათ. სფაგნუმი ქმნის საოცარ „ბალიშებს“. აქ დომინანტობსSphagnum imbricatum - ეს მსოფლიოში იშვიათი და გარემოს დაბინძურებისადმი ყველაზე მეტად მგრძნობიარე ტორფი სხავსის სახეობა. „ბალიშებზე“ ჩრდილოური წარმოშობის მცენარეებთან ერთად, რომლებმაც კოლხეთში მეოთხეული გამყინვარების დროს შემოაღწიეს-მრგვალფოთოლა დროზერა, იგივე ცვრიანა (Drosera rotundifolia), ტორფის ისლი (Carex riparia), წყლის სამყურა (Menyanthes trifoliata), თეთრი რინხოსპორა (Rhynchospora alba) და სხვა, იზრდებიან კოლხეთის ფლორისათვის დამახასიათებელი შქერი (Rhododendron ponticum), იელი (Rhododendron luteum), ეკალღიჭი (Smilax excelsa). აქ ხარობს აგრეთვე სამეფო გვიმრა (Osmunda regalis), ჯადვარი, იგივე ორქიდეა (Orchis), კავკასიური რინხოსპორა (Rhynchospora caucasica), ლიკოპოდიელა (Lycopodiella).

შემოდგომასა და გაზაფხულზე ტორფნარის ტერიტორიაზე უამრავი გადამფრენი ან მოზამთრე ფრინველი იყრის თავს: კოხტა ჭოვილო (Tringa erythropus), კაკაჩა (Buteo buteo), ბექობის არწივი (Aquila heliaca), ტურუხტანა (Philomachus pugnax), ზღვის კაჭკაჭი (Haematepus ostralegus), სისინა გედი(Cygnus olor) და სხვა.

ქობულეთის დაცულ ტერიტორიებზე ბინადრობენ:

– ძუძუმწოვრებიდან: წავი (Lutra lutra), მაჩვი (Meles meles), კურდღელი (Lepus), ნუტრია (Myocastor coypus), ბუჩქნარის მემინდვრია (Microtus arvalis), მინდვრის თაგვი (Apodemus agrarius) და სხვა;

– ამფიბიებიდან: ვასაკა (Hyla arborea), ჩვეულებრივი გომბეშო (Bufo), მწვანე ბაყაყი (Rana esculenta), ჩვეულებრივი ტრიტონი (Triturus vulgaris)

– ქვეწარმავლებიდან: ჩვეულებრივი ანკარა (Natrix natrix), წყლის ანკარა (Natrix tessellata), ბოხმეჭა, ანუ მყვრელი (Anguis fragilis),გველხოკერა (Ophisaurus apodus),ზოლიანი ხვლიკი (Eremias scripta),კასპიის კუ (Mauremys caspica) ჭაობის კუ (Emys orbicularis);

– თევზებიდან: ქორჭილა (Perca fluviatilis), კარჩხანა (Carassius), მდინარის გველთევზა (Anguilla anguilla), ქარიყლაპია (esox lucius).

ტორფნარები ინახავენ უმნიშვნელოვანეს არქეოლოგიურ ძეგლებს. 1964 წელს სადრენაჟო არხის გათხრისას აქ აღმოჩენილი იქნა ძველი წელთაღრიცხვის IV და III ათასწლეულების მიჯნის დროინდელი, ტორფის ქვეშ დაკონსერვებული ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარები. აქ 5-6 ათასი წლის წინათ დასახლებულა ადამიანი, მაშინ, როდესაც ეს ადგილი ჯერ კიდევ არ იყო დაჭაობებული. სახლები მორებითაა ნაგები და ორი ტიპისაა: ჯარგვლური, ანუ უშუალოდ მიწაზე მდგარი და შედარებით უფრო გვიანი, ხიმინჯებზე შემდგარი.

ისპანის ჭაობის ტორფის გამოყენება შეიძლება ორგანულ სასუქად სოფლის მეურნეობაში და იაფიანი საწვავის სახით თბოელექტროსადგურებში.

დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა მიღებასა და მოგზაურობის დაგეგმვას უზრუნველყოფს დაცული ტერიტორიის ადმინისტრაცია. ადმინისტრაციის შენობაში არის ვიზიტორთა ცენტრი, სადაც სამი ორადგილიანი სასტუმრო ნომერია ვიზიტორთათვის.

22.1 ისტორიული ძეგლები და ღირშესანიშნაობები ქობულეთის მუნიციპალიტეტში

№	ძეგლის ან ღირშესანიშნაობის დასახელება	ძეგლის ან ღირშესანიშნაობის მდებარეობა	აგების თარიღი	შენიშვნა
1	ქობულეთის ზღვისპირა პარკი	ქ. ქობულეთი	XX საუკუნე	
2	ბობოყვათის სამთავრობო რეზიდენცია	სოფ. ბობოყვათი	XX საუკუნე	
3	კინტრიშის დაცული ტერიტორიები (კინტრიშის ნაკრძალი, კინტრიშის დაცული ლანდშაფტი)	კინტრიშის ხეობა		
4	მტირალას ეროვნული პარკი			
5	ქობულეთის დაცული ტერიტორიები: ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი-ისპანი II -ისპანის სფაგნუმიანი ტორფნარი და ისპანი I-ქობულეთის აღკვეთილი			
6	„მამუკას ციხე“	სოფ.ალამბარი	გვიანი შუა საუკუნეები	
7	პეტრას ციხე (პეტრა-ციხისძირის მუზეუმ-ნაკრძალი)	სოფ.ციხისძირი		
ა)	საკათედრო ტაძარი		VI საუკუნე	
ბ)	ტაძრის ნანგრევები		შუა საუკუნეები	
გ)	გალავანი		შუა საუკუნეები	
დ)	სხვა ნაგებობანი		შუა საუკუნეები	
8	წმ.მარიამის მიძინების ეკლესია	სოფ.დაგვა	XIX საუკუნე	
9	წმ.გიორგის საყდარი	სოფ.კვირიკე	XVIII საუკუნე	მოქმედი
10	ჯამე	სოფ.კვირიკე	გვიანი შუა საუკუნეები	მოქმედი
11	წმ.კონსტანტინეს და ელენეს სახელობის გუმბათიანი ეკლესია	სოფ.ზედა კვირიკე	1901-1911 წწ.	მოქმედი
12	წმ.კვირიკეს სახელობის ეკლესია	სოფ.ზედა კვირიკე	XX საუკუნე	მოქმედი
13	დარბაზული ეკლესია	სოფ.ზედა აჭყვა	გვიანი შუა საუკუნეები	
14	წმ. თეოდორეს სახელობის ეკლესია	სოფ.ზედა აჭყვა	XVIII საუკუნე	მოქმედი
15	პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესია	სოფ.ზედა აჭყვა	XIX საუკუნე	მოქმედი
16	წმ. გიორგის სახელობის ეკლესია	სოფ.ქვედა აჭყვა	XX საუკუნე	მოქმედი
17	წმ.გიორგის სახელობის ეკლესია	სოფ.ლეღვა (ცხრაფონა-ჩეხედანა)	XVII საუკუნე	
18	წმ.გიორგის სახელობის მამათა მონასტერი	სოფ.ლეღვა	მე-XVIII საუკუნის პირველი ნახევარი	მოქმედი
19	ხომერიკების საგვარეულო ეკლესია	სოფ.ლეღვა (სკურა)	XVIII-XIX საუკუნეები	მოქმედი
20	ქურა	სოფ.ლეღვა	XIV საუკუნე	
21	წმ.გიორგის სახელობის ეკლესია	სოფ.აჭი	XIII-XIV საუკუნეები	

22	მთავარანგელოზის ეკლესია	სოფ.ქაქუთი	გვიანი შუა საუკუნეები	
23	წმ.გიორგის სახელობის ეკლესია (თეთროსანი)	სოფ.ხუცუბანი	V-VI საუკუნეები	
24	თაღოვანი ხიდი	სოფ.ხუცუბანი	XIX საუკუნე	
25	ბერძნების ნაეკლესიარი	სოფ.ხუცუბანი (ბაჯელიძეების უბანი)		
26	ჯამე	ქვედა დაგვა	XIX საუკუნე	
27	თაღოვანი ხიდი	სოფ.ქობულეთი	XIX საუკუნე	
28	წმ.სამების სახელობის გუმბათიანი ეკლესია	სოფ.ჩაისუბანი	XIX საუკუნე	
29	„თემარკოფის“ ხიდი	სოფ.ხალა	გვიანი შუა საუკუნეები	
30	ჯამე	სოფ.ხალა	გვიანი შუა საუკუნეები	
31	მთავარანგელოზთა სახელობის ტაძარი	სოფ.ჩაქვი	XX საუკუნე (1995 წ.)	მოქმედი
32	ელიას ციხე	სოფ.ჭახათი (ჭახათის მთა)	შუა საუკუნეები	
33	საწნახელი	სოფ.ზენითი	ძვ.წ.აღ. III საუკუნე	
34	თაღოვანი ხიდი	სოფ.ცხემვანი	გვიანი შუა საუკუნეები	
35	წმ. გიორგის სახელობის ეკლესია	სოფ.ცხემვანი		მოქმედი
36	ბასრიმელას თაღოვანი ხიდი	სოფ.კობალაური	გვიანი შუა საუკუნეები	
37	თაღოვანი ხიდი	სოფ.ვარჯანაული	XVIII საუკუნე	
38	ხინოს სამონასტრო კომპლექსი:	სოფ.ხინო		
ა)	ეკლესიის ნანგრევები		შუა საუკუნეები	
ბ)	გალავანი		შუა საუკუნეები	
გ)	სხვა ნაგებობები		შუა საუკუნეები	
39	გოგიტიძეების ეკლესია	კინტრიშის ნაკრძალი		
40	№1 საჯარო სკოლა	ქ.ქობულეთი	XIX საუკუნე	
41	ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის ტაძარი	ქ.ქობულეთი		
42	საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა (ეფენდიევის აგარაკი)	ქ.ქობულეთი, დ.აღმაშენებლის ქ. №568	XX საუკუნე	
43	საცხოვრებელი სახლი	ქ.ქობულეთი, დ.აღმაშენებლის ქ. №130	XX საუკუნე	
44	საცხოვრებელი სახლი	ქ.ქობულეთი, დ.აღმაშენებლის ქ. №706	XX საუკუნე	
45	ქვისწყობიანი სამარხი	ქ.ქობულეთი, ფიჭვნარი	ძვ.წ.აღ.V საუკუნე	

22.2 კულტურის ცენტრებთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლები

№	ანსამბლის დასახელება	მონაწილთა რაოდენობა	რა სახის სასცენო კოსტიუმი ან მუსიკალური ინსტრუმენტი გააჩნიათ	ვის მიერ იქნა შეძენილი (მიუთითეთ ღირებულება)	რა სახის სასცენო კოსტიუმი ან მუსიკალური ინსტრუმენტი ესაჭიროებათ	რეპერტუარში შემავალი ცეკვები	ანსამბლის დაფინანსების წყარო
1	ქაქუთის კულტურის ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი "სულიკო"	22	ფანდური, ჩონგური	კულტურისა და განათლების სამინისტრო	განდაგანა, ფერხული, ხორუმი, სვანური	განდაგანა, ფერხული, ხორუმი, სვანური,	კულტურის ცენტრი
2	ზედა აჭყვას სასოფლო კლუბთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი "სიხარული"	40	განდაგანა, 2ც ჩონგური, 2 ც დოლი	კულტურისა და განათლების სამინისტრო	მთიულური, ქალთა ხევსურული, სვანური	განდაგანა, ფარცა, მთიულური, ქართული, კინტოური, გოგონების ხორუმი	კულტურის ცენტრი
3	კულტურის ცენტრთან არსებული ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი "საუნჯე"	70	განდაგანა, ხევსურული, მთიულური	კულტურისა და განათლების სამინისტრო	დოლი	განდაგანა, მთიულური, ხევსურული	კულტურის ცენტრი
4	კულტურის ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი "ქობულეთი"	35	ფერხული, განდაგანა, სვანური, ქობულეთური განდაგანა, ჩოხა-ახალუხი მომღერლებისათვის, ჭიბონი, დოლი	კულტურისა და განათლების სამინისტრო		განდაგანა, ოსური, დავლური, ხორუმი, ფერხული, სვანური, მთიულური, ქალთა საცეკვაო, სამაია, მთიულური ყაზბეგური	კულტურის ცენტრი
5	კულტურის ცენტრტან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი "მხედრული"	42	განდაგანა, დავლური, სვანური, მთიულური, სამაია, ფხოური, მოხეური, ფარიკაობა, ნარნარი, კავკასიური,	კულტურის ცენტრი		განდაგანა, დავლური, სვანური, მთიულური, სამაია, ნარნარი, ფხოური, მოხეური, ფარიკაობა, კავკასიური	კულტურის ცენტრი
6	ხალას კულტურის სახლთან არსებული ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი "შევარდენი"	45	განდაგანა	კულტურის ცენტრი		განდაგანა, მტიულური, ქალთა მოხეური, ფარიკაობა, ქალ-ვაჟთა მოხეური, ხორუმი, დავლური-ქართულით, ფერხული	

22.3 სახალხო რეწვის ოსტატები

№	შემოქმედების სახეობა	წარმომადგენელი	საქმიანობის ადგილი	საქმიანობის ტრადიცია
1	რეწვა	კიკნაძე დურმიშხანი	სოფ.კვირიკე	
2	რეწვა;ხეზე კვეთა	რომანაძე რეზო	სოფ.აჭყვისთავი	
3	რეწვა;ხეზე კვეთა	რომანაძე ილია	სოფ.აჭყვისთავი	ოჯახური ტრადიცია
4	რეწვა;ხეზე კვეთა	ცეცხლაძე ჯემალი	სოფ.აჭყვისთავი	თვითნასწავლი
5	რეწვა;ქსოვა;ქარგვა	რომანაძე დოდო	სოფ. აჭყვისთავი	თვითნასწავლი
6	რეწვა;ქსოვა;ქარგვა	რომანაძე ციალა	სოფ. აჭყვისთავი	ოჯახური ტრადიცია
7	რეწვა: ქსოვა-ქარგვა	ბერიძე ნინო	სოფ. აჭყვისთავი	
8	რეწვა: ქსოვა-ქარგვა	რომანაძე გუგული	სოფ. აჭყვისთავი	თვითნასწავლი
9	რეწვა: ქსოვა-ქარგვა	ხახუტაიშვილი მაია	სოფ. აჭყვისთავი	თვითნასწავლი
10	რეწვა: ქსოვა-დეკორაცია	ბოლქვაძე თინათინ	სოფ. ცეცხლაური	თვითნასწავლი
11	რეწვა: წნულები	შარვაძე ვასილ	სოფ. ცეცხლაური	თვითნასწავლი
12	რეწვა: ქარგვა	კაკაბაძე ნატო	სოფ. საჩინო	
13	რეწვა: ქარგვა	კაკაბაძე ნინო	სოფ. საჩინო	
14	რეწვა: ხეზე კვეთა	ვერულიძე ვაჟა	ქობულეთი, აღმაშენებლის 350	ოჯახური ტრადიცია
15	რეწვა: ხეზე კვეთა	ბაუჟაძე მემედ	სოფ ჭახათი	ოჯახური ტრადიცია
16	რეწვა: ხეზე კვეთა	მიქაძე ბადრი	ქობუ;ლეთი, რუსთაველის №130	ოჯახური ტრადიცია
17	რეწვა: წნულები	სარჯველაძე ქეთი	ქობუ;ლეთი, რუსთაველის №130	თვითნასწავლი
18	რეწვა: წნულები	შამანაძე ლილი	სოფ. გვარა	
19	რეწვა: წნულები	ათაბაძე შალვა	სოფ. გვარა	
20	რეწვა: წნულები	ჯიჯავაძე ლანა	სოფ. გელაური	
21	რეწვა: ხეზე კვეთა, მეტალი	ნაკაშიძე შაქრო	სოფ. ხალა	ოჯახური ტრადიცია
22	რეწვა: ქარგვა	გუგეშაშვილი ლანა	ქობულეთი, რუსთაველის №140	
23	რეწვა: ხეზე კვეთა	მჟავანაძე ბესიკ	აღმაშენებლის 116	
24	რეწვა: ხეზე კვეთა, მეტალი	დგვეფაძე ბესიკ	ჯავახიშვილის ჩიხი №6	

22.4 დაცული ტერიტორიების ტურისტული პოტენციალი

- **დაცული ტერიტორიების ტურისტული მარშუტები**

ქობულეთის მუნიციპალიტეტში არსებობს კინტრიშის,ქობულეთის ნაკრძალების და მტირალას ეროვნული პარკის ტურისტული მარშუტები,რომელთა ტურების ხანგძლივობა გრძელბა კვირამდე.

დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია სთავაზობს ვიზიტორებს სხვადასხვა ტურისტულ მარშუტებს,რაც დიდ არჩევანს უტოვებს ტურისტებს აირჩიონ მათვის მისაღები მარშუტის სახეობა..საკურორტო მარშუტებიდან ყველა მათგანი განკუთვნილია ქვეითებისათვის და ტურების ხანგრძლივობა შეადგენს 1დღეს. გარდა ქობულეთი – კინტრიშის ნაკრძალი – ხინო – ქობულეთის ტურისტული მარშუტისა, რომლის ხანგრძლივობა სურვილის მიხედდვით მერყეობს კვირამდე პერიოდს.

აღსანიშნავია რომ ბოლო წლეებში იმატა მსურველთა როდენობამ ისარგებლოს დაცული ტერიტორიების ტურისტულ მარშუტებში,მაგრამ ინფრასტრუქტურის დაბალი დონე ვერ უზრუნველყოფს მსურველთა რაოდენობის სრუად დაკმაყოფილებას რადგან არ არსებობს სხვადასხვა საზოეგადეობრივი დაწესებულებები (საპირფარეშოები, გზამკლევები და სხვა.) მისი სრულად რეალიზაცისთვის საჭიროა ინფრასრუქტურის განვითარება.

1. **კინტრიშის დაცული ტერიტორია**

კინტრიშის დაცულ ტერიტორიაზე ეწყობა სხვადასხვა სახეობის ტურები. რომელთა ხანგრძლივობა ერთი დღეა.სადაც ტურისტებს ადმინისტრაცია სთვაზობს სხვადასხვა აქტივობებს: ლაშქრობს, ცხენოსნობას, სპორტული თევზაობას.

კინტრიშის ვიზიტორთა ცენტრი გთავაზობთ 2 ტურისტულ მარშუტს:1. “თამარის თაღოვანი ხიდი და ბზების კორომი” – 1კმ, ნახევარ საათიანი, საფეხმავლო. 2. “უთხოვარი და ტბა ტბიყელი” – 7 – 8 საათიანი, 37 კმ, საფეხმავლო და საცხენოსნო.

2.ქობულეთის დაცული ტერიტორია

დაცულ ტერიტორიაზე ეწყობა სხვადასხვა ტურები რომელთა ხანგრძლიეავობა ერთი. ქობულეთის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრი გთავაზობთ 3 ტურისტულ მარშუტს: 1. “ისპანი 2” – ნახევარკილომეტრიანი, საგანმანათლებლო, საფეხმავლო მარშუტი, ხანგრძლივობა - 30 წთ.;

2. “დროზერა” – საფეხმავლო მარშუტი, ხანგრძივობა – საათ ნახევარი, 2 კმ.

3. “თეთრხავსი”- მეცნიერთათვის, 1კმ, 1 სთ, საფეხმავლო. (ნაკრძალში)

3.მტირალას ეროვნული პარკი

მტირალს ეროვნულ პარკში ეწყობა ტურები რომელთა ხანგრძლივობა შეადგენს ერთ დღეს,ძირითადად ეწყობა ლაშქრობები რომელიც ტურისტებს აძლევს საშუალებას დატკბნენ მტირალას თვალწარმტაცი ბუნებით.

მტირალას ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრი 2 ტურისტულ მარშუტს გთავაზობთ:

1. საფეხმავლო ტური - 7 კმ, 4 სთ;

2. საფეხმავლო და საცხენოსნო ტური - 15 კმ, 2 დღიანი.

გარდა ლაშქრობისა ადმინისტრაცია ვიზიტორებს სთავაზობენ სხვადასხვა აქტივობებს: მაგ:ცხენოსნობა.

მტირალსა ეოვნულ პარკში ტურისტთა ძირითადი ნაკადი იყო ტურისტულად აქტიურ სეზონზე ივლისიდან სექტემბრის ჩათვლით.

22.5 ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტურისტული მარშრუტები

1. **ქობულეთი – ლეღვა – ქაქუთი – ნაცხავატევი – აჭი – ქობულეთი**

სიგრძე: 66 კმ. მათ შორის 5 კმ. ქვეითი

პერიოდი: 1 დღე

ხანგრძლივობა: მაისიდან ოქტომბრამდე

მოსანახულებელი ადგილები: ქობულეთი, სოფელი ლეღვა, ქაქუთი, ნაცხავატევი, აჭი.

2. **ქობულეთი – ისპანის ჭაობი – კვირიკე – ქობულეთი**

სიგრძე: 26 კმ. მათ შორის 1 კმ. ქვეითი

პერიოდი: 1 დღე

ხანგრძლივობა: მთელი წელი (დამოკიდებულია ამინდზე)

მოსანახულებელი ადგილები: ქობულეთი, ისპანი სპაგნუმის ჭაობი, სოფელი კვირიკე, სოფელი ზედა კვირიკე, სოფელი ზედა სამება (მთა სკურდა), სოფელ ქობულეთი.

ეკო მარშუტი

3. **ქობულეთი – ისპანის ჭაობი – პალიასტომის ტბა – ქობულეთი**

სიგრძე: 90 კმ. გადაადგილება ხდება კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციამდე (პალიასტომის ტბის გარშემო ტური შედის მარშრუტის სიგრძეში) მათ შორის 1 კმ. ქვეითი.

პერიოდი: 1 დღე

ხანგრძლივობა: მთელი წელი (დამოკიდებულია ამინდზე).

მოსანახულებელი ადგილები: ისპანის ჭაობში ეკო ტური, ისპანის სპაგნუმი, კოლხიდას ეროვნული პარკი.

4. **ქობულეთი – კინტრიშის ნაკრძალი – ხინო – ქობულეთი**

სიგრძე: 131 კმ. მათ შორის 1 კმ. ქვეითი

პერიოდი: მთელი წელი

ხანგრძლივობა: 1დღე

მოსანახულებელი ადგილები: ქობულეთი, სოფელ ქობულეთი, ბასრიმელას თაღოვანი ხიდი, ცხემვანას თაღოვანი ხიდი, კინტრიშის ნაკრძალი, ხინოს სამონასტრო კომპლექსი.

22.6 ტურიზმის განვითარების პოტენციური მიმართულებები

1. **შემეცნებითი ტურიზმი:**

პეტრა-ქაჯეთის ციხე – ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარი – ბასრიმელას თაღოვანი ხიდი – კობალაურის თაღოვანი ხიდი – ცხემოვანის თაღოვანი ხიდი – ხინოს ეკლესია – ხინოს სამონასტრო კომპლექსი.

2. **ეკოტურიზმი:**

ისპანის სფაგნიუმიანი ჭაობი – კიტრიშის ხეობა – კინტრიშის ნაკრძალი; (ისპანის ჭაობის მიმდებარე ტერიტორია ვიზიტორთა სახლის მოწყობა და შიგნით ეკოლოგიური მუზეუმის განთავსება, ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება)

3. **სამთო ტურიზმი:**

ჩაქვისთავი – ზერაბოსელი – ხინო;

(ქობულეთი – ჭახათი – ხინოს მისასვლელი გზის კეთილმოწყობა – ტურისტული მარშრუტის საგზაო პირობების შესწავლა, მარკირება, პასპორტიზაცია, სახიფათო უბნის სქემების შედგენა).

4. **საცხენოსნო ტურიზმი:**

ხინო – პერანგას მთა – ცხემლისი – გომარდული;

(სოფ. ხინოს ტერიტორიაზე საცხენოსნო სავარჯიშო მინდორისა და საჯინიბოს მოწყობა, ქობულეთი – ჭახათი – ხინოს მისასვლელი გზის კეთილმოწმობა, ტურისტული მარშრუტის საგზაო პირობების შესწავლა, მარკირება, პასპორტიზაცია, სახიფათო უბნების სქემების შედგენა).

5. **სამკურნალო ტურიზმი:**

კურორტი ქობულეთი – კურორტი ციხისძირი – საკურორტო ადგილი სკურდას მთა – ახალსოფლის სამკურნალო მინერალური წყალი:

(ქობულეთი – სამება – სკურდას მთის მისასვლელი გზის კეთილმოწყობა, სამკურნალო ტალახით მკურნალობის მეთოდიკის აღდგენა, მინერალური წყლის გამოსასვლელისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა).

6. **სამონადირეო ტურიზმი:**

ჩაქვისთავი – ხეკნარა – ხინო – პერანგას მთა;

(სამონადირეო მეურნეობისათვის ტერიტორიის შერჩევა, მონადირეთა სახლების განთავსება, საეგერო სამსახურის ჩამოყალიბება, სამონადირეო მარშრუტების მარკირება, სქემების შედგენა).

7. **სასოფლო და აგრარული ტურიზმი:**

ჩაქვი – ქობულეთი – ჩაქვისთავი;